ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიის ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა, არქეოლოგია

სალომე ჯამბურია

აბრეშუმის გზის ისტორიულ-არქეოლოგიური კონტექსტი საქართველოში და მისი პერსპექტივა

არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი ვახტანგ ლიჩელი

არქეოლოგიის დოქტორი,
პროფესორი თიმ უილიამსი

თბილისი

2022 წელი

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტმა მრავალი დეკლარაცია, კონვენცია, ქარტია და პროგრამა შექმნა მსოფლიოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის. ევროპის საბჭოს ევროპის კულტურული მარშრუტები, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სია, კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი ნუსხა და სხვა წარმოადგენენ ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მართვის ძალისხმევა მსოფლიო მასშტაბით. UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამის ფარგლებში აბრეშუმის გზების მემკვიდრეობის დერეფნების ტრანსსასაზღვრო სერიული ნომინაციის გაჩენა წარმოადგენს კიდევ ერთ ახალ საერთაშორისო პლატფორმას მემკვიდრეობის მართვისა და კულტურული დიპლომატიის თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია აბრეშუმის გზების ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების, მასთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა საქართველოში და მათი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის აბრეშუმის გზების ტრანსსასაზღვრო და სერიული ნომინაციის ფარგლებში წარდგენის შესაძლებლობის განხილვა. ნაშრომი მიმოიხილავს უძველესი და შუა საუკუნეების საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზებს, ამ გზებთან დაკავშირებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, მათ შორის არქეოლოგიურ ძეგლებს. ისტორიული, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაცემები უძველესი და შუა საუკუნეების საქართველოს საგარეო კულტურულ და ეკონომიკური კავშირების შესახებ, ისევე როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და მისი ღირებულებების მართვის თეორიები წარმოადგენენ ჩარჩოს წინამდებარე ნაშრომისთვის.

კვლევის შედეგად, საქართველოში იდენტიფიცირებულია სხვადასხვა პერიოდში მოქმედი სავაჭრო გზები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომელიც დაკავშირებულია აბრეშუმის გზებთან. კვლევის შედეგები ავსებს აბრეშუმის გზების

კავკასიის მონაკვეთის შესახებ არსებულ ლაკუნას. აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით განხილულია საქართველოს ჩართვის პერსპექტივა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სერიული და ტრანსსასაზღვრო აბრეშუმის გზის ნომინაციაში. ამასთან, გაანალიზებულია ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, რომელიც დაკავშირებულია როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობასთან ისე მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხებთან.

კვლევა ხაზს უსვამს ისტორიული წარსულის ხელხალი გააზრებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების წარმოჩენის მნიშვნელობას ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირებისთვის. აბრეშუმის გზების კულტურული მემკვიდრეობის დერეფნების კომპლექსური ღირებულებების, მათ შორის კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ღირებულებების გათვალისწინებით, დაფიქსირებულია აბრეშუმის გზებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სათანადოდ წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობა.

Abstract

Over the past decades, various international bodies have adopted many declarations, charters, conventions and programmes to protect and promote cultural heritage worldwide. European Cultural Routes by the Council of Europe, the World Heritage List and the Representative List of Intangible Cultural Heritage of Humanity of UNESCO are those frameworks in which efforts have been made to preserve and manage heritage across the globe. Within the UNESCO World Heritage programme, a relatively new Silk Roads Transnational and Serial Nomination appears to be another platform for international heritage management and cultural diplomacy.

Within the UNESCO World Heritage Programme, a relatively new Silk Roads Transnational and Serial Nomination appears to be another platform for international heritage management and cultural diplomacy. The thesis aims to study historical and archaeological evidence for the "Silk Road" and related cultural heritage sites in Georgia to analyze the possibility of submitting them in the framework of the UNESCO World Heritage Silk Roads Transnational and Serial nomination. In doing so, the paper synthesises trade and transit roads leading to the territory of ancient and medieval Georgia and cultural heritage sites, including archaeological sites related to these roads. Historical, archaeological and numismatic data on the foreign cultural and economic ties of ancient and medieval Georgia, as well as theories of cultural heritage management and its value, provide a framework for the present study. As a result of the research, the trade routes operating in different periods and cultural heritage sites related to the Silk Roads have been identified in Georgia. The study's results complement the existing lacuna on the Caucasus section of the Silk Roads. Based on the abovementioned results, the prospect of Georgia's inclusion in the UNESCO World Heritage Serial and Transboundary Silk Road nomination is discussed. In this regard, challenges related to the state of conservation of the heritage sites and the cooperation with neighbouring countries are analysed. The study highlights the importance of re-thinking the historical past and outlines ways heritage sites can become a source of positioning a country in the international arena. Given the complex values, including cultural, social, economic and

political, of the cultural heritage corridors of the Silk Roads, the importance of properly presenting and promoting the cultural heritage sites associated with the Silk Roads is outlined.

შინაარსი

აბსტრაქტი i

Abstract iii

ილუსტრაციები vii

აბრევიატურებისა და შემოკლებათა ჩამონათვალი xi

თავი 1. შესავალი 1

1.1 საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა (კვლევის მნიშვნელობა) 1

1.2 კვლევის მიზნები 3

1.3 კვლევის მეთოდოლოგია 4

1.4 ნაშრომის სტრუქტურა 5

1.5 ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა 6

თავი 2. აბრეშუმის გზა: არა მხოლოდ გზა და არა მხოლოდ აბრეშუმი 7

თავი 3. კულტურული მარშრუტების კონცეფცია და ინსტიტუციური ჩარჩოები 12

3.1 UNESCO: მემკვიდრეობის მარშრუტი და კულტურული ლანდშაფტი 12

3.2 ICOMOS: ქარტია კულტურული მარშრუტების შესახებ 15

3.3 UNESCO: აბრეშუმის გზების მსოფლიო მემკვიდრეობის სერიული და ტრანსნაციონალური ნომინაცია 17

3.3.1 წინაპირობები და საერთაშორისო კონტექსტის მიმოხილვა 17

3.3.2 აბრეშუმის გზების სერიული და ტრანსნაციონალური მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციის ჩარჩო 20

3.4 ევროპის საბჭო: კულტურული მარშრუტების პროგრამა 24

3.4.1 ევროპული აბრეშუმის მარშრუტის იდეა 26

3.5 საქართველოს კულტურის სამინისტრო: საქართველოს კულტურული მარშრუტები 28

თავი 4. აბრეშუმის გზების პრეისტორია კავკასიაში..... 30

თავი 5. სავაჭრო ურთიერთობები ანტიკური ხანის კავკასიაში..... 57

5.1. ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მომავალი გზა: წერილობითი წყაროები და ნუმიზმატიკური მასალა..... 57

5.2. კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები კოლხეთში არქეოლოგიური მასალის მიხედვით (ძვ. წ. III - ახ. წ. III სს.)..... 64

5.2.1 ელინისტური პერიოდი 64

5.2.2. რომაული პერიოდი 71

5.3. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ანტიკურ ხანის (ძვ. წ. III - ახ. წ. III სს.) იბერიის (ქართლის) სამეფოში არქეოლოგიური მასალის მიხედვით 87

თავი 6. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ადრეული შუა საუკუნეების (IV- VIII სს.) საქართველოში 108

6.1. ეგრისის (ლაზთა) სამეფო 108

6.2. ქართლის სამეფო..... 141

თავი 7. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები „ახალქალაქობის“ პერიოდსა (IX-XI სს.) და განვითარებულ შუა საუკუნეებში (XI-XIV სს.) 145

თავი 8. საქართველოს ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გვიან შუა საუკუნეებში (XV-XVI სს.) 171

9. დასკვნა..... 186

გამოყენებული ლიტერატურა 219

ილუსტრაციები

ფიგურა 1 აბრეშუმის გზის პირველი რუკა, ფერდინანდ ფონ რიხტოფენის მიერ. 1876 წელი 190

ფიგურა 2 ბრინჯაოს ზარაკი, ფიჭვნარის სამაროვანი, ძვ. წ. IV საუკუნე..... 190

ფიგურა 3 რკინის ლურსმანი და მასზე შემორჩენილი ხის ფრაგმენტი, ფიჭვნარის სამაროვანი, ძვ. წ. IV საუკუნე..... 190

ფიგურა 4 ლალაქვის გავრცელების, კასპიისპირეთისა და სტეპების მარშუტები 191

ფიგურა 5 გრაკლიანი გორაზე აღმოჩენილი შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტი..... 191

ფიგურა 6 გრაკლიანი გორაზე აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები..... 192

ფიგურა 7 გრაკლიანი გორაზე აღმოჩენილი სავარაუდოდ სტელის ფრაგმენტები..... 192

ფიგურა 8 ტახტიძირის სამაროვანზე აღმოჩენილი შავლაკიანი კანთაროსი, ყელზე ამოკაწრულია გრაფიტო ბერძნული წარწერით; ძვ.წ. 350-325 წწ. 192

ფიგურა 9 ტახტიძირის სამაროვანზე აღმოჩენილი შავლაკიანი კანთაროსი (კილიკი) .. 193

ფიგურა 10 შავლაკიანი თიხის ჯამები, ტახტიძირის სამაროვანი..... 193

ფიგურა 11 კერამიკული ამფორა-რიტონი, ტახტიძირის სამაროვანი..... 194

ფიგურა 12 კონუსური საბეჭდავი, ტახტიძირის სამაროვანი..... 194

ფიგურა 13 „პევტინგერის ტაბულა“- არტაშატიდან სებასტოპოლისამდე მიმავალი გზა 195

ფიგურა 14 საქართველო ძვ.წ. VI-III საუკუნეებში 196

ფიგურა 15 Google Earth გამოსახულება - ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მომავალი გზა. 196

ფიგურა 16 ფაზისის 13 ლოკაცია 197

ფიგურა 17 საქართველო III-IV საუკენეებში 198

ფიგურა 18 სვეტებიანი დარბაზი, არმაციხე, მცხეთა 198

ფიგურა 19 კრამიტების ნახაზი, ა. აფაქიძის მიხედვით 199

ფიგურა 20 კრამიტების ფრაგმენტები არმაზის ნაქალაქარზე 199

ფიგურა 21 პიტიახშთა არმაზისხევის კომპლექსი. არმაზისხევის აბანო 199

ფიგურა 22 დედოფლის გორა, სასახლის რეკონსტრუქცია გარედან ი. გაგოშიძის მიხედვით 200

ფიგურა 23 დედოფლის გორა, სასახლის რეკონსტრუქცია შიგნიდან ი. გაგოშიძის მიხედვით 200

ფიგურა 24 დარიალის ციხე 201

ფიგურა 25 დარიალის ციხე 201

ფიგურა 26 საქართველო ძვ.წ. II-I საუკუნეებში, პომპეუსის ლაშქრობის მარშრუტი 202

ფიგურა 27 ავგუსტეს დენარის მინაბაძები 202

ფიგურა 28 ოქროს ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი, ზღუდერი 203

ფიგურა 29 ოქროს ბეჭედი შავი მინის ინტალიოთი, ზღუდერი 203

ფიგურა 30 ოქროს ბეჭედი გრილოსით, ზღუდერი 203

ფიგურა 31ოქროს ბეჭედი იაგუნდის (?)ინტალიოთი, ზღუდერი 204

ფიგურა 32 ოქროს ბეჭედი, გრანატის თვალით, ზღუდერი 204

ფიგურა 33 ოქროს ბეჭედი არწივის და კურდღლის ინტალიოთი, ზღუდერი 204

ფიგურა 34 ოქროს საყურეები, ზღუდერი 205

ფიგურა 35 მინის სანელსაცხებლე („ორთავა კოლბა“), ზღუდერი 205

ფიგურა 36 მინის ბოთლი, ზღუდერი 205

ფიგურა 37 ჩრდილო იტალიური უგვენტარიუმი, დედოფლის გორა 205

ფიგურა 38 საქართველო IV საუკუნის მეორე და V საუკუნის პირველ ნახევარში 206

ფიგურა 39 ნოქალაქევი-არქეოპოლისის გეგმა 206

ფიგურა 40 საქართველო VIII საუკუნეში, მურვან ყრუს ლაშქრობის მარშრუტი 207

ფიგურა 41 წითელლაკიანი კერამიკა 207

ფიგურა 42 ვარდციხის გეგმა 208

ფიგურა 43 შორაპნის ციხის გეგმა 208

ფიგურა 44 Google Earth გამოსახულება - სკანდა, საზანო, შორაპნის ციხეები 209

ფიგურა 45 Google Earth გამოსახულება - ეგრისის სამეფოს თავდაცვითი ციხესიმაგრეები (ნ. მურღულიას მიხედვით) 209

ფიგურა 46 საქართველო VI საუკუნეში 210

ფიგურა 47 უჯარმის ციხის გეგმა 210

ფიგურა 48 საქართველო IX საუკუნეში 211

ფიგურა 49 საქართველო X საუკუნეში 211

ფიგურა 50 საქართველო XI საუკუნეში 212

ფიგურა 51 ფარავნის ქარვასლა 212

ფიგურა 52 ფაიანსის თასი, (ქაშანი), XII-XIII სს 213

ფიგურა 53 იმპორტული ჭურჭლის ფრაგმენტი (ჩინური სელადონი), XII-XIII სს 213

ფიგურა 54 ლარნაკი, ირანული (ქაშანი), XII-XIII სს 214

ფიგურა 55 მძივები, დმანისის ნაქალაქარი 214

ფიგურა 56 დმანისი სამიმოსვლო გზებზე (ნ.რეზესიძის მიხედვით) 215

ფიგურა 57 გრემის ნაქალაქარის გეგმა 216

ფიგურა 58 ჩინური ნაწარმი გრემის ნაქალაქარიდან 217

ფიგურა 59 კახეთის სამეფოს რუკა XV საუკუნეში 217

ფიგურა 60 Google Earth გამოსახულება - გრემის სავაჭრო მიმართულებები 218

აბრევიატურებისა და შემოკლებათა ჩამონათვალი

გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

CIIC – International Committee on Cultural Routes

კულტურული მარშრუტების საერთაშორისო კომიტეტი

ICOMOS –International Council of Monuments and Sites

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო

UNESCO – Unitied Nations Educational, Scientific and Cultural Organization

გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია

UNWTO – Unitied Nations World Tourism Organization

გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

EPA – Enlarge Partial Agreement

გაფართოებული წილობრივი შეთანხმება

თავი 1. შესავალი

1.1 საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა (კვლევის მნიშვნელობა)

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტმა არა ერთი დეკლარაცია, კონვენცია, ქარტია და პროგრამა შექმნა მსოფლიოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის. UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის სია“, ევროპის საბჭოს „ევროპის კულტურული მარშრუტები“, UNESCO-ს „კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი ნუსხა“ და სხვა წარმოადგენს ჩარჩოებს, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მართვის ძალისხმევა საერთაშორისო მასშტაბით. UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის“ პროგრამის ფარგლებში აბრეშუმის გზის მემკვიდრეობის სერიული ტრანსნაციონალური ნომინაციის გაჩენა (2014 წ.) წარმოადგენს კიდევ ერთ ახალ საერთაშორისო პლატფორმას მემკვიდრეობის მართვის თვალსაზრისით (ჯამბურია 2021).

ისტორიული აბრეშუმის გზების ე. წ. კულტურული მემკვიდრეობის დერეფნები ახალ ღირებულებებსა და მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საზოგადოებაში. კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე დისკურსში აბრეშუმის გზას ენიჭება კულტურული, სოციალური, ეკომიკური და პოლიტიკური ღირებულებები. ადგილის ბრენდირება, რეგიონული კონკურენტუნარიანობა და მიმზიდველობა, კულტურული ტურიზმი, ინვესტიციების მიღება, სიმბოლოების შექმნა, ადგილის განცდა/შეგრძნება, იდენტობის მშენებლობა, ადგილობრივი თემების ჩართულობა და სოციალური ერთიანობა წარმოადგენდეს აბრეშუმის გზის მემკვიდრეობის იდენტიფიცირებისა და მართვის სარგებელს განვითარების სტრატეგიებში მსოფლიო მასშტაბით.

აბრეშუმის გზების UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სერიულმა და ტრანსსასაზღვრო ნომინაციის პროექტმა ისტორიული გზის გასწვრივ არსებული ქვეყნების პოლიტიკურ და კულტურულ დღის წესრიგში დიდი აქტუალობა შეიძინა (ჯამბურია 2021). სამი ქვეყნის ჩინეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ტერიტორიაზე

მდებარე 33 კომპონენტი, მათ შორის ქალაქები, სავაჭრო დასახლებები, საფორთიფიკაციო და რელიგიური ნაგებობები, 2014 წელს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდროების კომიტეტის 38-ე სესიაზე შეტანილ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, როგორც აბრეშუმის გზის პირველი ტრანსსასაზღვრო კულტურული მემკვიდრეობა სახელწოდებით „აბრეშუმის გზები, სამარშრუტო ქსელი ჩანგ'ან-ტიანშანის დერეფანი" (UNESCO, 2014, 22). გარდა ამისა, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის მხარეებმა წარადგინეს ნომინაციის დოსიე „აბრეშუმის გზები: ზარაფშან-კარაკუმის დერეფანი" წინასწარულ ნუსხაში 2021 წელს. ასევე, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარულ ნუსხაშია წარდგენილი, ჩინეთის, ინდოეთის, ნეპალისა და ბუტანის „სამხრეთ აზიის აბრეშუმის გზები" და ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის „ფერგანა-სირდარია აბრეშუმის გზების მემკვიდრეობის დერეფანი". ამასთან, მიმდინარეობს დასავლეთის მიმართულებით სხვა დერეფნების შესწავლაც (Jing და Denyer, 2019, 13).

UNESCO-ს სტრატეგიაში „აბრეშუმის გზა" მრავლობით რიცხვში გამოიყენება. აბრეშუმის გზების ცნება გააზრებულია როგორც ძვ.წ. II საუკუნიდან XVI საუკუნის ჩათვლით მოქმედი საკომუნიკაციო ქსელები, რომელიც ფუნქციონირებდა სხვადასხვა მოკლე და გრძელი, ორმხრივი მარშრუტებით და ქმნიდა როგორც აბრეშუმის ისე სხვა სავაჭრო საქონელის გაცვლა-გამოცვლის, იდეებისა და რელიგიების გავრცელების და ხალხთა გადაადგილების საშუალებას (Williams, 2014). აბრეშუმის გზების ნომინაციის კონტექსტში შემუშავებულია სამი კატეგორია სხვადასხვა ტიპის ძეგლებისა და კულტურული ლანდშაფტებისათვის:

1. ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობდა ვაჭრობასა და ტრანსპორტირებას;
2. სავაჭრო საქონლის წარმოების ადგილები, როგორიცაა სამრეწველო და საწარმოო ობიექტები;
3. აბრეშუმის გზების შედეგები, მათ შორის ურბანული ცენტრები, სალოცავი ადგილები და სხვა (Williams, 2014, 34-69).

პარალელურად, მიმდინარეობს დისკუსია, ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამის ფარგლებში ევროპული აბრეშუმის გზის მარშრუტის ჩამოყალიბებისა და შემდგომში მისი სერტიფიცირების მიზნით (Citta' Di Venezia, 2019).

ამდენად, აღნიშნულ საერთაშორისო კონტექსტში აბრეშუმის გზების ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების შესწავლა საქართველოში დიდ მნიშვნელობას იძენს, ისტორიის უკეთ გააზრებისა და წარმოჩენის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ეფექტური მართვის, ნიშური ტურიზმის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით.

1.2 კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია აბრეშუმის გზის მატერიალური კულტურის იდენტიფიცირება კავკასიაში საქართველოს მაგალითზე და მისი UNESCO-ს კონცეპტუალური მოდელის აბრეშუმის გზის ტრანსნაციონალურ ნომინაციაში წარდგენის შესაძლებლობის გაანალიზება. კვლევის მიზანია შეისწავლოს თუ რამდენად ითვალისწინებს UNESCO-ს აბრეშუმის გზის ნომინაციის შედარებით ახალი ინიციატივა იმ ძეგლების დაცვასა და შენარჩუნებას, რომლებიც სხვაგვარად ვერ მოექცეოდნენ მნიშვნელოვანი ყურადღების ცენტრში.

საკვლევი საკითხები:

1. საქართველოში აბრეშუმის გზების მასშტაბის, ქრონოლოგიის და კულტურული გავლენების შესახებ მონაცემების შესწავლა

    1.1. რომელი კულტურული ძეგლები და ლანდშაფტები ჩამოყალიბდა ან განიცადა გავლენა საქართველოში აბრეშუმის გზის შედეგად?

2. UNESCO-ს ინიციატივის ფარგლებში აბრეშუმის გზის მემკვიდრეობის მართვის თეორიული მიდგომების შესწავლა და მისი მიმართება საქართველოსთან

2.1. რა არის აბრეშუმის გზის სერიული ტრანსნაციონალური ნომინაციის თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩოები და რას გულისხმობს ის კონკრეტული ძეგლებისა და კულტურული ლანდშაფტების შერჩევის თვალსაზრისით?

2.2. რა არის UNESCO-ს სერიული ტრანსნაციონალური მემკვიდრეობის სტრატეგიის უპირატესობა და უარყოფითი მხარე?

1.3 კვლევის მეთოდოლოგია

კავკასიაში აბრეშუმის გზის აქტივობების შესახებ არსებული მონაცემების შესწავლა განხორციელდა ლიტერატურის მიმოხილვით. შესწავლ იქნა ისტორიული წყაროები, მოგზაურთა ჩანაწერები, არქეოლოგიური და ისტორიული შრომები და გამოკვლევები.

თვისობრივი მეთოდოლოგიის მეშვეობით გაანალიზდა აბრეშუმის გზის მატერიალური კულტურა, კერძოდ, იმპორტული და ნუმიზმატიკური მასალა, ვინაიდან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმაოდგენს მონეტები და სხვადასხვა ტიპის იმპორტული ნაწარმი. ხაზგასასმელია, რომ წარმოდგენილი ნაშრომის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს იმპორტული ნაწარმის სტატისტიკური მონაცემების დადგენას. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტული ნაწარმის რაოდენობრივი ანალიზი საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას მოგვცემდა სავაჭრო ურთიერთობების შესწავლის თვალსაზრისით, აღნიშნული არ წარმოადგენს კვლევისათვის შესაბამისს მეთოდს, რადგან ზემოხსენებული საერთაშორისო პლათფორმებისათვის უმთავრესი საგანია გზები და ამ გზებზე არსებული არქეოლოგიური ძეგლები.

რეგიონში აბრეშუმის გზის მარშრუტების დასადგენად გაანალიზდა ისტორიული რუქები და თანამედროვე ტოპოგრაფია, აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული დაკავშირებული ნაქალაქარების არქიტექტურული მემკვიდრეობა როგორიცაა სავაჭრო დასახლებების ნაშთები, ქარვასლები, თავდაცვითი ნაგებობები და არქეოლოგიური ძეგლები.

1.4 ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ცხრა თავს, ილუსტრაციებს და გამოყენებულ ლიტერატურას ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ნაშრომის პირველი თავი წარმოდგენილია შესავლის სახით და ასახულია კვლევის მიზანი, საგანი, თემის აქტუალურობა, მეთოდოლოგია. ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება ტერმინ „აბრეშუმის გზის“ დეფინიციას და აღნიშნულ მეტაფორასთან დაკავშირებულ კონოტაციებს. აბრეშუმის გზის დეფინიციისა და თავისებურებების აღწერის მიზნით გამოყენებულ უახლეს უცხოურ ლიტერატურაზე წვდომის საშუალება მომეცა ინგლისში ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში (University College London, UCL), კვლევითი ვიზიტების დროს (2018-2019 წლებში), სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო პროექტის ფარგლებში.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია კულტურული მარშრუტის კონცეფცია, მისი მიმართება მდგრადი კულტურული ტურიზმისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებთან. აღნიშნული თავი დეტალურად განიხილავს კულტურული მარშრუტისა და კულტურული ლანდშაფტის იდენტიფიცირებისა და მართვის თანამედროვე მიდგომებს, ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო და ადგილობრივ პროგრამებს, მათ შორის, UNESCO-ს აბრეშუმის გზის ტრანსნაციონალურ ნომინაციის სტრატეგიას, რომელიც UNESCO მრჩეველთა ორგანიზაციის ICOMOS-ის სახელით შემუშავებულია წარმოდგენილი დისერტაციის თანახელმძღვანელის, ექსპერტის, პროფესორ თიმ უილიამსის მიერ, ასევე, ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამასა და ადგილობრივი კულტურული მარშრუტების პროგრამას, რომლთა საქართველოში იმპლემენტაციისა და განვითარების პროცესებში დისეტაციის ავტორი თავად იყო ჩართული, როგორც საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი. ამდენად, ავტორის დაკვირვებები კვლევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს.

ნაშრომის მეოთხე თავი განიხილავს ე.წ. „აბრეშუმის გზის“ ჩამოყალიბების წინაპირობებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აბრეშუმის გზა არ იყო პირველი გრძელ

მანძილზე არსებული სავაჭრო-საკომუნიკაციო ქსელი. მეოთხე თავში განხილულია ე.წ. „აბრეშუმის გზის“ პერიოდამდე არსებული სავაჭრო ურთიერთობები კავკასიაში და აღშინულია, რომ როგორც გრძელ მანძილზე არსებული, ისე შიდა მოხმარების გზები, ადრე არსებულ ძველ გზებსა თუ ბილიკებს უფუძნება ან მის სიახლოვესაა გამართული.

ნაშრომის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე თავები ისტორიული პერიოდების თანმიმდევრობის პრინციპით განიხილავს საქართველოში არსებულ სავაჭრო ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებს, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე იმ ქალაქებისა და დასახლებების მატერიალურ კულტურას, არქეოლოგიურ ძეგლებსა და გზებს, რომელიც დაკავშირებულია იმ პერიოდის სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებთან.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს სავაჭრო კავშირებს პრეისტორული ხანიიდან მეთექვსმეტე საუკუნის ჩათვლით. მეთექვსმეტე საუკუნე დისერტაციის ქრონოლოგიურ ლიმიტად შეირჩა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის აბრეშუმის გზის ტრანსნაციონალური ნომინაციის სტრატეგიის მიხედვით. თუმცა, რასაკვირველია, „აბრეშუმის გზა“ თითქმის უწყვეტი საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობების პროცესია და ის ამჟამადაც გრძელდება.

1.5 ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

წარმოდგენილ სადოქტორო დისერტაციას პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს უძველესი დროიდან შუა საუკუნეების ჩათვლით საქართველოსა და კავკასიის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობებისა და აბრეშუმის გზის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევარებს, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებას. ამასთან, პრაქტიკულ მიმართულებებს მისცემს ევროპის საბჭოს და UNESCO-ს ზემოაღნიშნული საერთაშორისო პროგრამებით დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებს.

თავი 2. აბრეშუმის გზა: არა მხოლოდ გზა და არა მხოლოდ აბრეშუმი

„ნებისმიერი ლანდშაფტი შედგება

არა მხოლოდ იმისგან, რასაც ჩვენ ვხედავთ,

არამედ იმისგან, რაც ჩვენს წარმოსახვაშია“.

D.W. Meinig, 1979 წ.

ე.წ. აბრეშუმის გზის შესახებ არაერთი მცდარი მოსაზრებაა გავრცელებული (Williams, 2015). უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ „აბრეშუმის გზა“ თანამედროვე, მეცხრამეტე საუკუნის ტერმინია (Waugh, 2010, 1), ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების სავაჭრო გზებზე მცხოვრები ხალხები, ცხადია, ზემოხსენებულ ტერმინს არ გამოიყენებდნენ (Clements, 2017; Hansen, 2012). ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი მარშრუტს უწოდებდნენ მომდევნო მსხვილი ქალაქისაკენ მიმავალ გზას, მაგ: სამარყანდისკენ. რიგ შემთხვევებში, კი ეს შეიძლება ყოფილიყო გზები „ჩრდილოეთისკენ“ ან სამხრეთისკენ“, *უდაბნოს გზა, მარილის მარშრუტი, ჩაის გზა* და სხვა. (Hansen, 2012, 6; Williams, 2015, 3).

უკანასკნელი კვლევების თანახმად, მეტაფორა „აბრეშუმის გზა“ 1838 წელს გერმანელმა გეოგრაფმა კარლ რიტერმა შეთხზა (Winter, 2022, 1). თუმცა, ამ დრომდე ტერმინის გამომგონებლად საყოველთაოდ იყო მიჩნეული გამოჩენილი გერმანელი გეოგრაფი, ფერდინანდ ფონ რიხტოფენი. რიხტოფენი 1868-1872 წლებში იკვლევდა ნახშირის საბადოებსა და პორტებს ჩინეთში, რადგან მას დავალებული ჰქონდა რკინიგზის ხაზის პროექტირება გერმანული გავლენის მქონე პროვინიცია შანდონიდან გერმანიამდე, სიანის მახლობლად მდებარე ნახშირის ველების გავლით (Hansen, 2012, pp. 7-8). გეოგრაფმა თავის გამოკვლევებს ხუთ ტომიანი ატლასი მიუძღვნა, რომლის პირველ ტომში ანტიკური ხანის, კერძოდ, ჰანის დინასტიისა და რომის იმპერიის პერიოდის სავაჭრო გზა სახელწოდებით „Die Seidenstrassen“ (აბრეშუმის გზა) გამოსახა რუკაზე ფიგურა 1) როგორც მხოლოდ ერთი ხაზი (Wang, 2010; Clements, 2017, pp. 1-15; Hansen, 2012, 7-8). თუმცა მან, სხვადასხვა ადგილას, ტერმინი გამოიყენა როგორც მხოლობით ისე მრავლობით (გზები) რიცხვში.

ტერმინი აბრეშუმის გზა გერმანელი გეოგრაფის, რიხტოფენის შემდეგ, შვედმა გეოგრაფმმა, სვენ ჰედინმა გამოიყენა, რომელიც კარლ რიტერის მოწაფე იყო. მან ამ ტერმინით დაასათაურა 1936 წელს გამოცემული წიგნი, მისი ცენტრალური აზიის გამოკვლევების შესახებ (Hansen, 2012, 8).

აბრეშუმის გზის მეტაფორამ პოპულარობა თანდათანობით მოიპოვა და უკანასკნელ წლებში ისტორიული რეზონანსი ჰპოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ სი ძინფინის მიერ 2013 წელს საერთაშორისო პროექტის „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელისა“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“, შემოკლებით „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ინიცირების საფუძველზე (Belt and Road Initiative, 2021).

ტერმინი აბრეშუმის გზა საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირად გამოიყენება ბილატერული და მრავალმხრივი ურთიერთობების დასახასიათებლად აზიის კონტინენტზე (Millward, 2013, 86). ბრიტანელი ისტორიკოსისა და აბრეშუმის გზის მკვლევარის სუსან უითფილდის თქმით, აბრეშუმის გზა ერთგვარი ბრენდია და ის ფართოდაა გავრცელებული როგორც აკადემიური წრეებში, ისე მის გარეთ (Whitfield, 2015, 1-7). ტურისტული კომპანიები, რესტორნები და სხვა დაწესებულებები თამამად იყენებენ ტერმინს თავიანთი მარკეტინგული კამპანიებისათვის (Millward, 2013). ავტრალიელი სოციოლოგი, თიმ უინთერი (Winter, 2019) კი საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ აბრეშუმის გზა თანამედროვე ეპოქის ყველაზე ძლევამოსილი გეოკულტურული კონცეფციაა.

ე.წ. აბრეშუმის გზა, სინამდვილეში, არასდროს ყოფილა ერთი გზა და არც მოძრაობა იყო მხოლოდ ერთი მიმართულებით, ჩინეთსა და რომს შორის, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ან პირიქით (Clements, 2017; Hansen, 2012), როგორც ეს ხშირად არის მიჩნეული (Millward, 2013; Willliams, 2015).

საინტერესოა, რომ ფართოდ გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, რომის იმპერიის მონეტები არ არის აღმოჩენილი ჩინეთში, მაშინ როცა ათასობით ოქროსა და ვერცხლის რომაული მონეტაა გამოვლენილი ინდოეთის სამხრეთ სანაპიროზე, სადაც

რომაელი მოვაჭრეები ხშირად მიემგზავრებოდნენ. ჰანსენის თანახმად, უძველესი ევროპული მონეტა, რომელიც ჩინეთშია ნაპოვნი, ბიზანტიურია და ის 530-540 წლებით თარიღდება (Hansen, 2012, 20). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რომაელი ვაჭრები მხოლოდ მონეტებით არ სარგებლობდნენ. სხვადასხვა ქსოვილების, სანელებლებისა და საღებავების (მაგალითად, ინდიგო) სანაცვლოდ, ისინი ასევე ვაჭრობდნენ ნატიფად დამუშავებული მინით, ვერცხლითა და ოქროთი, არაბული საკმევლით, წითელი ზღვის მარჯანითა და ტოპაზით (Frankopan, 2015, 18).

კიდევ ერთი მცდარი მოსაზრება აბრეშუმის გზასთან, სახელდობრ, მის მთავარ ფუნქციასთან დაკავშირებით, რომელიც საყოველთაოდაა გავრცელებული, ეხება ჩინეთში წარმოებული აბრეშუმის დასავლეთში გატანასა და გაყიდვას. სინამდვილეში, ვაჭრობის საგანს აბრეშუმის გარდა მრავალი სხვა ნაწარმი წარმოადგენდა. იყიდებოდა მინა, ძვირფასი ქვები, ლითონები, ქაღალდი, სანელებლები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ქიმიკატები, ტყავის ნაწარმი, უნაგირები, სამედიცინო ბალახეულობა, და მონები (Clements, 2017; Hansen, 2012). ამასთან, არც თავად ეკონომიკური საქმიანობა იყო აბრეშუმის გზის მთავარი აქტივობა. რიგ იდეებს, გამოგონებებსა და ინოვაციებს (მოშინაურებული ცხენი, ბამბა, ქაღალდი და დენთი), რომლებიც კავშირ-ურთიერთობების გზით ევრაზიის მასშტაბით გავრცელდა, ბევრად უფრო დიდი გავლენა ჰქონდა ანტიკური და შუა საუკუნეების საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაზე, ვიდრე აბრეშუმით ვაჭრობას (Millward, 2013, 21; Willliams, 2015, 3). არტერიის გასწვრივ, რომელიც წყნარ ოკეანეს, ცენტრალურ და სამხრეთ აზიას, ინდოეთს, სპარსეთის ყურეს, ხმელთაშუაზღვისპირეთს და სხვა გეოგრაფიულ წერტილებს ერთმანეთთან აკავშირებდა, სხვადასხვა საგნებთან ერთად ვრცელდებოდა წეს-ჩვეულებები და რწმენა წარმოდგენებიც (Frankopan, 2015, 27-44).

საინტერესოა, რომ იელის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი, ვალერიე ჰანსენი უძველესი ისტორიული დოკუმენტების (წერილები, სასამართლო დავები, მონების კონტრაქტები, ტვირთის დეკლარაციები, სამედიცინო რეცეპტები და სხვა) შესწავლის შედეგად ასკვნის (Hansen, 2012), რომ აბრეშუმის გზის გასწვრივ მცხოვრები

თემები უფრო აგრარული ტიპის საზოგადოებებს წარმოადგენდნენ ვიდრე კომერციულს. ავტორის მოსაზრებით, მათი უმეტესობა ჩართული იყო უფრო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ვიდრე სავაჭრო აქტივობებში. ჰანსენის კვლევების (Hansen, 2012) თანახმად, ადამიანები უმეტესად იმ ადგილას ატარებდნენ მთელ ცხოვრებას, სადაც იბადებოდნენ. მხოლოდ ომებისა და პოლიტიკური არეულობის დროს ხდებოდა ტრადიციული საცხოვრისის იძულებით დატოვება. ჰანსენის (Hansen, 2012, 4) თანახმად, მათ შორის, იმიგრანტების მეშვეობით, ვრცელდებოდა რიგი რელიგიური მიმდინარეობები, ბუდიზმი, იუდაიზმი, ზოროასტრიზმი და ქრისტიანული მოძღვრების ფორმები სხვადასხვა მიმართულებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აბრეშუმის გზა არა იყო სტატიკური. საუკუნეების მანძილზე გზები და ბილიკები ხშირად იცვლებოდა სეზონის, ამინდის, ომის, რეგიონული კონფლიქტების, გეოპოლიტიკური ძალაუფლებების ცვლილებების, სხვა ბუნებრივი გარემო პირობებისა თუ სოციო-პოლიტიკური ფაქტორების გამო. პერიოდულად იქმნებოდა ახალი გზები, იცვლებოდა მარშრუტები, ამასთან, გამოიყენებოდა უფრო ძველი, ძვ.წ. II საუკუნემდე არსებული სავაჭრო გზებიც, რომლის მეშვეობით იყიდებოდა სხვადასხვა საქონელი, როგორიცაა სპილოს ძვალი, მარილი, ჩაი, ნეფრიტი, ცხენი და სხვა (Whitfield, 2015, 3).

ცხადია, აბრეშუმის გზა, რომლის ათვლის წერტილად ძვ. წ. 119 წელია მიჩნეული (Frankopan, 2015, 10), არ იყო პირველი ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზა. ათასწლეულების განმავლობაში ევრაზიის სტეპებში გაბატონებულ მომთაბარეებს სხვადასხვა ქალაქებში გაჰქონდათ სპილენძი, კალა და ფირუზი ირანიდან, ოქრო მონღოლეთის ალტაის მთებიდან, ლაზურიტი ავღანეთიდან (Sheraat, 2004), ბეწვეული ციმბირიდან, საკმეველი არაბეთიდან, ბამბა ინდოეთიდან, რომელსაც ცვლიდნენ თავიანთი შალისა და ტყავის ნაწარმში, ცხენებსა და მსხვილფეხა პირუტყვში (Christian, 2000, 14). ამავე კონტექსტში შეიძლება აღინიშნოს ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნეში ინდოეთიდან შავი ზღისაკენ მიმავალი სავაჭრო მაგისტრალი (ლორთქიფანიძე, 1957).

არსებობს მოსაზრება, რომ ჩინური აბრეშუმის ნაწარმმა შესაძლოა ძვ. წ. II საუკუნემდე გადალახა ევრაზია. რასაც ადასტურებს ანტიკურ ხანაში, აბრეშუმის აღმოჩენები ევროპისა და აზიის სხვადასხვა სამაროვნებზე, დაწყებული კელტური სამაროვანით ჰალდშთადში, დამთავრებული კერამეიკოსის სამაროვნით ათენში ან პაზირიკის სამარხით ყაზახეთში (De la Vaissière, 2014, 102).

უძველესი აბრეშუმის აღმოჩენის შემთხვევა საქართველოშიც ფიქსირდება. სახელდობრ, ფიჭვნარის სამაროვანზე ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებულ სამარხში გამოვლენილი ბრინჯაოს პატარა ზარზე (ფიგურა 2) და რკინის ლურსმანზე არსებულ ხის ნაწილზე (ფიგურა 3) შემორჩენილი ტექსტილის ლაბორატორიული შესწავლის საფუძველზე დადგინდა აქ აბრეშუმის ბოჭკოს არსებობა, სხვადასხვა ტიპის ტექსტილის ნიმუშებთან ერთად (Kvavadze და Chichinadze, 2020). თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ჩინეთის გარდა, აბრეშუმის წარმოშობის სხვადასხვა წყაროებიც არსებობდა, მაგალითად, ბანგლადეშსა (Clements, 2017, 37) და ინდოეთში, სადაც ჩინური აბრეშუმისგან განსხვავებული ტიპის აბრეშუმს რთავდნენ, ჯერ კიდევ ძვ. წ. 2500 წლიდან (Hansen, 2012, 19). ამასთანავე, არსებობს ცნობები, თუმც მწირი, სკვითების სამყაროში აბრეშუმის გავრცელების შესახებ (De la Vaissière, 2014, 102).

გეოგრაფიულად, აბრეშუმის გზა გასაოცრად მრავალფეროვან ლანდშაფტს მოიცავდა, რომელიც საკმაოდ სახიფათო იყო (Hansen, 2012, 10). არსებობდა როგორც სახმელეთო ისე საზღვაო, როგორც აღმოსავლეთ-დასვლეთის ისე ჩრდილოთისა და სამხრეთის მიმართულების გზები (Whitfield, 2015, 3). სახმელეთო მარშრუტებზე მოგზაურთა უმეტესობა მოკლე მანძილზე მოძრაობდა. სავაჭრო საქონელი ძირითად ადგილობრივად იყიდებოდა და რამდენიმე ეტაპსა და მყიდველის ხელს გაივლიდა, სანამ ის საბოლოო მფლობელთან აღმოჩნდებოდა (Hansen, 2012, 10). აბრეშუმის გზის ვაჭრობა უმეტესად ასეთი პრაქტიკით ხასიათდებოდა ყველა პერიოდში. ამ მხრივ განსხვავებულია, VI-VIII საუკუნეებში, საშუამავლო ვაჭრობით განთქმული, თანამედროვე უზბეკეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სოგდიელები (Hansen, 2012, 4-5), რომლებიც სავაჭრო მიზნებისათვის შედარებით დიდ მანძილზე გადაადგილდებოდნენ.

ჰანსენის (Hansen, 2012) თანახმად, შორ-მანძილზე მოძრავი ქარავნები იშვიათადაა ნახსენები ისტორიულ ჩანაწერებში. ასეთი შემთხვევები ხდებოდა, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოები ცვლიდნენ ემისარებს. რამდენიმე ეტაპს გადიოდა საზღვაო გზით ვაჭრობაც, თუმცა, ის სახმელეთო გზასთან შედარებით უფრო გრძელი იყო, მაგალითად, მარშრუტი აღმოსავლეთ აფრიკიდან ⇨ შრილანკამდე (Whitfield, 2015, 3). აბრეშუმის გზის მთელ სიგრძეზე გავლა, მისი ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში, ვერავინ შეძლო (Whitfield, 2004, 13). მხოლოდ რამდენიმე მოგზაურმა გადასერა მთიანი ცენტრალური აზია (3,600 კმ.), სამარყანდიდან ჩანგ'ანამდე. მათგან, ვინც ევროპიდან ჩინეთამდე მთელი გზა გაიარა, მეცამეტე საუკუნეში მცხოვრები ცნობილი იტალიელი ვაჭარი მარკო-პოლოა (Hansen 2012, 10).

ხაზგასასმელია, რომ აბრეშუმის გზაზე ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა არ იყო ერთიან სტრუქტურად ორგანიზებული. საგნებისა და იდეების გაცვლა ხდებოდა როგორც დაგეგმილად, ისე შემთხვევით, ვაჭრობით, დიპლომატიით, პილიგრიმების მეშვეობით, დაპყრობებისა და ხალხთა მიგრაციების შედეგად. ამ ურთიერთგაცვლაში, რომელიც იმპერიული და რელიგიური გაერთიანებების ქვეშ ყვაოდა, წვლილი შეიტანეს მეომრებმა, მისიონერებმა, მომთაბარეებმა, ელჩებმა, ხელოსნებმა და ვაჭრებმა (Milward, 2013, 28).

თავი 3. კულტურული მარშრუტების კონცეფცია და ინსტიტუციური ჩარჩოები

3.1 UNESCO: მემკვიდრეობის მარშრუტი და კულტურული ლანდშაფტი

ტერმინი **მემკვიდრეობის მარშრუტი** UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის[1] (UNESCO, 1972) იმპლემენტაციის სამოქმედო სახელმძღვანელოში პირველად[2] 2005 წელს ჩნდება, როგორც მემკვიდრეობის სპეციფიკური ტიპი (UNESCO, 2005). აღნიშნულს წინ უძღოდა 1994 წლის 24-25 ნოემბერს, ქ. მადრიდში გამართული

[1]კონვენციის სრული სახელწოდებაა „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია", თუმცა, მას ძირითადად შემოკლებით მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სახელით მოიხსენებენ.

[2] სახელმძღვანელო პრინციპების განახლება ხდება პერიოდულად.

UNESCO-სა და ICOMOS-ის ექსპერტთა შეხვედრა თემაზე: „მარშრუტები, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი“ (UNESCO, 1994).

დისკუსიის ინიციატივა, თავის მხრივ, ესპანეთს გაუჩნდა, მას შემდეგ, რაც 1993 წელს, სანტიაგო დე კომპოსტელას (ძველი ქალაქი) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლს (1985 წ.) დაემატა პილიგრიმული მარშრუტი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. 1994 წლის შემდეგ, არაერთი შეხვედრისა და მსჯელობის შედეგად, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის იმპლემენტაციის, 2005 წლის, სამოქმედო სახელმძღვანელოს დანართ 3-ში „სახელმძღვანელო მითითებები სპეციალური ტიპის აქტივების მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანისათვის“ განიმარტა მემკვიდრეობის მარშრუტების დეფინიცია და ის ასპექტები, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მემკვიდრეობის მარშრუტების მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში წარდგენისას (UNESCO 2005, 88). აღნიშნული მითითებების განმარტებით, UNESCO-ს მემკვიდრეობის მარშრუტი შედგება მატერიალური ელემენტებისგან, რომელთა კულტურული მნიშვნელობა წარმოდგება ქვეყნებსა და რეგიონებს შორის არსებული გაცვლისა და მრავალგანზომილებიანი დიალოგისგან, და რომელიც ასახავს ამ მოძრაობის ურთიერთქმედებას მარშრუტის გასწვრივ, სივრცესა და დროში.

ამდენად, მემკვიდრეობის მარშრუტების კონცეფცია:

- ემყარება მოძრაობის დინამიკას და გაცვლის იდეას, განგრძობადობას სივრცესა და დროში;
- ეხება ერთ მთლიანობას, სადაც მარშრუტი აღემატება მის შემადგენელ ელემენტთა ჯამს და რომლის საშუალებით ის იძენს მის კულტურულ მნიშვნელობას;
- ხაზს უსვამს გაცვლას და დიალოგს ქვეყნებს ან რეგიონებს შორის;
- არის მრავალგანზომილებიანი, სხვადასხვა ასპექტით განმავითარებელი და შემავსებელი მისი მთავარი მიზნისა, რომელიც შეიძლება იყოს რელიგიური, კომერციული, ადმინისტრაციული ან სხვა (UNESCO 2005, 89).

სამოქმედო სახელმძღვანელოს თანახმად, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის მიზნით, მარშრუტის შესაბამისობის დადგენისას, ავთენტურობის საკითხი უნდა

იქნას განხილული მარშრუტის მნიშვნელობისა და მისი სხვა შემადგელი ელემენტების საფუძველზე. ასევე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მარშრუტის ხანგრძლივობა/ისტორიულობა (UNESCO 2005, 89).

მემკვიდრეობის მარშრუტი შეიძლება ჩაითვალოს კულტურული ლანდშაფტის სპეციფიკურ, დინამიკურ ტიპად (UNESCO 2005, 89). ტერმინი **კულტურული ლანდშაფტი,** რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 1992 წლის მე-16 სესიაზე დამტკიცდა (UNESCO, 1992, 54-55) აღნიშნავს კულტურულ აქტივებს, რომლებიც წარმოადგენს „ბუნებისა და ადამიანის კომბინირებულ ნამუშევარს“ (UNESCO, 2021, 22) და იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

1. ადამიანის მიერ განზრახ შექმნილი ლანდშაფტი
2. ორგანულად განვითარებული ლანდშაფტი, რომელიც შეიძლება იყოს რელიქტური (ან ნამარხი) ლანდშაფტი ან განგრძობადი ლანდშაფტი, რომელიც ინარჩუნებს აქტიურ სოციალურ როლს თანამედროვე საზოგადოებაში მჭიდროდ დაკავშირებულ ტრადიციულ ცხოვრების წესთან და რომელშიც ევოლუციური პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.
3. ასოციაციური კულტურული ლანდშაფტი, რომლის შეფასება შეიძლება ბუნებრივი ელემენტის რელიგიური, მხატვრული ან კულტურული ასოციაციების გამო და არა მატერიალური კულტურის მონაცემის, რომელიც შესაძლოა არც იყოს ან/და უმნიშვნელო იყოს (UNESCO 2021, 22-23).

ამდენად, კულტურული ლანდშაფტი შეიძლება იყოს როგორც სპეციალურად შექმნილი (არქიტექტორის ან მებაღის მიერ), ხალხური (ოჯახის ან თემის ყოველდღიური საქმიანობის შედეგად), ისტორიული, ეთნოგრაფიული და ასევე ის შეიძლება იყოს ქალაქი ან მისი ცალკეული უბანი, ცალკეული ისტორიული ძეგლი, ანსამბლები, ისტორიული განაშენიანება, საინჟინრო კომუნიკაციები, არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვიციები, ბუნების ძეგლები და სხვა.

კულტურული ლანდშაფტი ადამიანისა და ბუნების ხანგრძლივი (ისტორიული) ურთიერთდამოკიდებულების კვინტესენცია და კულტურული მემკვიდრეობის

ნაწილია. ის ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ კულტურასა და იდენტობას. კულტურული ლანდშაფტი დაკავშირებულია როგორც ისტორიულ პროცესთან, ისე ტრადიციულ სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობასთან. კულტურული ლანდშაფტი წარმოდგენას აყალიბებს ლანდშაფტის პოტენციალზე და ეკოლოგიურ თავისებურებებზე, ეკონომიკურ და სოციალურ ღირებულებებზე (ელიზბარაშვილი, მეესენი და სხვ... 2018, 71-72).

3.2 ICOMOS: ქარტია კულტურული მარშრუტების შესახებ

მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის იმპლემენტაციის სამოქმედო სახელმძღვანელოში, მემკვიდრეობის მარშრუტების ტერმინის გაჩენიდან სამ წელიწადში, UNESCO-ს მრჩეველთა საბჭოს ICOMOS-ის კულტურული მარშრუტების საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტმა (CIIC) შეიმუშავა საერთაშორისო ქარტია კულტურული მარშრუტების შესახებ. კულტურული მარშრუტების განვითარების მნიშვნელობამ და შემდგომი სამეცნიერო თანამშრომლობის ჩამოყალიბების საჭიროებამ განაპირობა ICOMOS-ის სტრუქტურაში კულტურული მარშრუტების საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის (CIIC) ჩამოყალიბება. CIIC ოფიციალურად 1998 წელს დაარსდა, მის შექმნას კი საფუძველი ჩაეყარა 1994 წლის ზემოხსენებულ შეხვედრაზე, ესპანეთში. სამეცნიერო კომიტეტის ინტენსიური ძალისხმევისა და საერთაშორისო კონსულტაციების ხანგრძლივი პროცესის შედეგად, CIIC-მა ჩამოაყალიბა კულტურული მარშრუტების დეფინიცია და მართვის მეთოდოლოგია.

2008 წლის 4 ოქტომბერს, კვებეკში (კანადა), ICOMOS-ის მე-16 გენერალურმა ასამბლეამ რატიფიცირება მოახდინა საერთაშორისო ქარტიის, სახელწოდებით „ICOMOS-ის ქარტია კულტურული მარშრუტების შესახებ“, რომელიც კულტურული მარშრუტების საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტმა (CIIC) მოამზადდა (ICOMOS, 2008).

ქარტია დეტალურად განიხილავს კულტურული მარშრუტების ცნებას, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ახალ კატეგორიას, რომელიც საჭიროებს მოვლა-პატრონობის ახალ მიდგომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი დაცვა უფრო ფართო

კონტექსტში, მათ შორის მისი იმ მნიშვნელოვანი კავშირებისა, რომელიც პირდაპირაა ასოცირებული მის ბუნებრივ, კულტურულ და ისტორიულ გარემოსთან.

კულტურული მარშრუტის კონცეფცია ცნობს და ხაზს უსვამს მარშრუტის ყველა შემადგენელი ელემენტის ღირებულებას, როგორც მთლიანის არსებითი ნაწილებისა. ის ასევე თვალსაჩინოს ხდის, რომ კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებების თანამედროვე სოციალური კონცეფციით, კულტურული მარშრუტი წარმოადგენს რესურს, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კულტურული მარშრუტების ახალი კონცეფცია არ ეწინააღმდეგება კულტურული მემკვიდრეობის დადგენილ და აღიარებულ კატეგორიებს, არამედ აძლიერებს მათ მნიშვნელობას ინტეგრირებულ, ინტერდისციპლინარულ და საერთო ჩარჩოს ფარგლებში. ის არ გადაფარავს სხვა კატეგორიებს ან ობიექტების ტიპებს, ძეგლებს, ქალაქებს, კულტურულ ლანდშაფტებს, სამრეწველო მემკვიდრეობას და სხვა, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს მოცემული კულტურული მარშრუტის ორბიტაში, არამედ ათავსებს ამ ობიექტებს ერთიან სისტემაში და აყალიბებს ახალ ურთიერთობებს, მათ შორის ახლებური სამეცნიერო პერსპექტივის საშუალებით და იძლევა ისტორიის მრავალმხრივ, უფრო სრულყოფილ და უფრო ზუსტ ხედვას.

ქარტიაში ნათლადაა ნაჩვენები განსხვავება კულტურულ მარშრუტს, კულტურულ დერეფანსა და კულტურულ ტურისტულ მარშრუტს შორის. მკაფიოდ არის ახსნილი, რომ კვლევა არის კულტურული მარშრუტების ფუნდამენტური კომპონენტი, კულტურული მარშრუტის კონცეფცია მოითხოვს მისი კვლევის, შეფასების, დაცვის, კონსერვაციის, გამოყენებისა და მართვის სპეციფიკურ მეთოდოლოგიას. ეს მეთოდოლოგია კი მოითხოვს კოორდინირებული და ერთობლივად მართული აქტივობების სისტემის შექმნას.

კულტურული მარშრუტის არამატერიალური ასპექტები ფუნდამენტურია მისი არსის და ასევე, მისი ასოციაციური მემკვიდრეობის ღირებულებების მნიშვნელობის გასაგებად. შესაბამისად, ქარტია ხაზს უსვამს მატერიალური ასპექტების შესწავლის

როლს სხვა არამატერიალური ხასიათის ღირებულებებთან კავშირში. ქარტია, ასევე, ხაზს უსვამს, კულტურული მარშრუტების იდენტიფიცირებისათვის მარშრუტის შემადგენელი ელემენტების ავთენტურობისა და სიმრთელის ხარისხს.

ქარტიაში სპეციალურად ცალკე საკითხადაა განიხილული კულტურული მარშრუტის მდგრადი გამოყენების საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ტურისტულ საქმიანობასთან. ქარტიის თანახმად, კულტურულ მარშრუტს მნიშნელოვანი როლი აქვს ტერიტორიული ერთიანობისა და მდგრადი განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, მიჩნეულია, რომ ძალისხმევა უნდა მიიმართოს კულტურული მარშრუტების შესახებ ცოდნის ამაღლებისაკენ, ისევე როგორც მისი ტურისტული მიზნებისათვის შესაბამისი და მდგრადი გამოყენებისაკენ. ამ მიზნით, ქარტიის თანახმად, კულტურული მარშრუტის დაცვა და პოპულარიზაცია ჰარმონიულად უნდა მოიცავდეს ტურისტურულ ინფრასტრუქტურას, მისასვლელ გზას, საინფორმაციო დაფებს და სხვა საპრეზენტაციო მოწყობილობებს, იმგვარად, რომ კულტურული მარშრუტის ისტორიული ღირებულებების ავთენტურობას, სიმრთელესა და მნიშვნელობას საფრთხე არ ემუქრებოდეს. კულტურული მარშრუტის შემუშავება ტურიზმის მიზნებისთვის უნდა უზრუნველყოფდეს ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობასა და ადგილობრივი ტურისტული კომპანიების პრიორიტეტულობას. ამასთან, ქარტიის განმარტებით, კულტურული მარშრუტები მიჩნეული უნდა იქნას ხალხთა შორის ერთიანობის სიმბოლოდ. მიჩნეულია, რომ ისტორიული კავშირები, რომელიც განვითარდა კულტურული მარშრუტის გასწვრივ შესაძლოა გახდეს განახლებული თანამშრომლობის საწინდარი იმ ხალხთა შორის, რომლებსაც საერთო ღირებულებები და ცოდნა აკავშირებდათ წარსულში (ICOMOS, 2008).

3.3 UNESCO: აბრეშუმის გზების მსოფლიო მემკვიდრეობის სერიული და ტრანსნაციონალური ნომინაცია

3.3.1 წინაპირობები და საერთაშორისო კონტექსტის მიმოხილვა

გაეროს უწყებებმა, UNESCO-მ და UNWTO-მ დიდი ხანის წინ სცნეს აბრეშუმის გზის ისტორიულ-კულტურული კავშირებისა და მატერიალური და არამატერიალური

მემკვიდრეობის საკითხებზე საერთაშორისო ყურადღების გამახვილების საჭიროება. 1988 წელს, UNESCO-მ დაიწყო პროექტი *„აბრეშუმის გზების ინტეგრალური კვლევა, დიალოგის გზები“*, რომლის მიზანია აბრეშუმის გზების გასწვრივ ჩამოყალიბებული ინტერ-კულტურული ურთიერთკავშირების ხაზგასმა და მათი გაღრმავება (UNESCO, 2021a). 1993 წელს კი, ინიციატივა „აბრეშუმის გზის ტურიზმის პროექტი“ წამოიჭრა UNWTO-ს გენერალურ ასამბლეაზე, ინდონეზიაში, რომელიც დღეს აღნიშნული ორგანიზაციის ეგიდით, 34 ქვეყნის ერთიან ძალისხმევას წარმოადგენს აბრეშუმის გზის ტრანსნაციონალური მდგრადი ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით (UNWTO, 2021)[3].

UNESCO-ს მიერ 1994 წელს დაწყებული „გლობალური სტრატეგიის“ (UNESCO, 1994a) ფარგლებში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მრჩეველმა ორგანიზაციამ, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭომ (ICOMOS), 2000-ანი წლების დასაწყისში ჩაატარა მსოფლიო მემკვიდრეობისა და წინასწარული ნუსხების ანალიტიკური კვლევა. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო უფრო „წარმომადგენლობითი, დაბალანსებული და სანდო მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის“ შექმნის უზრუნველყოფა. კვლევამ, სახელწოდებით „მსოფლიო მემკვიდრეობის სია, ხარვეზების შევსება – სამოქმედო გეგმა მომავლისათვის“, სამი დამატებითი, ტიპოლოგიური, ქრონოლოგიურ-რეგიონალური და თემატური მიდგომების საფუძველზე, გამოავლინა არსებული სიის ნაკლოვანებები და შეუსაბამობები UNESCO-ს გლობალურ სტრატეგიასთან (ICOMOS, 2004). სახელდობრ, აღმოჩნდა, რომ ზემოაღიშნულ ნუსხებში რელიგიური შენობები და ე. წ. „ელიტარული არქიტექტურის“ ძეგლები რაოდენობრივად მნიშვნელობრივად აღემატებოდა სხვა ტიპის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ისევე როგორც, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ძეგლები სხვა რელიგიურ ძეგლებს. ასევე აღმოჩნდა, რომ ევროპა ჭარბად იყო წარმოდგენილი მსოფლიოს დანარჩენ კონტინენტებთან შედარებით (ჯამბურია, 2021).

[3] საქართველო UNESCO-სა და UNWTO-ს ორივე, აღნიშნული პროექტის წევრი ქვეყანაა.

პრაქტიკულად ამავე პერიოდში მიმდინარეობდა მსჯელობა მემკვიდრეობის მარშრუტების ცნებისა და კატეგორიის შესახებ (თავი 2.1). 2005 წლიდან კი, მსოფლიო მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი, დაბალანსებული და სანდო ნუსხის შექმნისთვის ერთ-ერთი ღონისძიება და მეთოდი ტრანსნაციონალური ნომინაციების იდეა ხდება, რომლის მიხედვით, რამდენიმე ქვეყნის ერთობლივი ნომინაციის დოსიე უნდა მოიცავდეს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ნაკლებად წარმოდგენილი სახელმწიფოების ღირსშესანიშნავ ადგილებს (UNESCO, 2005).

ამდენად, არსებული გამოწვევების კონტექსტში, ორივე, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, კულტურული დიპლომატიის ხელშეწყობისა და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის წარმომადგენლობითობის მიმართულებით გამოვლენილი ხარვეზების აღსაფხვრელად (Williams, 2016, 12), ათწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა „აბრეშუმის გზების მსოფლიო მემკვიდრეობის ტრანსნაციონალური და სერიული ნომინაციის პროექტი“ (Williams, 2015), რომელიც UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდეობის ცენტრის, აზიისა და წყნარი ოკეანის განყოფილების ხელმძღვანელის, დოქტორ ფენგ ძინგის ინიციატივითა და კოორდინაციით დაიწყო 2003 წელს (Williams, 2020).

აბრეშუმის გზების ნომინაციების მომზადებაზე ზედამხედველობის მიზნით, 2009 წელს ჩამოყალიბებულმა, აბრეშუმის გზების სერიული მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციის მთავრობათაშორისმა საკოორდინაციო კომიტეტმა (ICC)[4], კომიტეტის პირველივე შეხვედრაზე, UNESCO-ს მიმართა თხოვნით, რათა უზრუნველეყო აბრეშუმის გზის თემატური კვლევის ჩატარება (Williams, 2020). აღნიშნული კვლევა, 2011-2012

[4]თავდაპირველად კომიტეტის შემადგენლობაში ერთიანდებოდნენ: ჩინეთი, შუა აზიის ხუთი და აზიის სხვა ქვეყნები (ავღანეთი, ინდოეთი, ირანი, იაპონია და ნეპალი). 2020 წლის მდგომარეობით კომიტეტი მოიცავს 16 მონაწილე ქვეყანას (ავღანეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, იაპონია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ნეპალი, პაკისტანი, კორეის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთი, თურქეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი) და ერთ დამკვირვებელ ქვეყანას (ბუტანი). ICOMOS-ის საერთაშორისო კონსერვაციის ცენტრი სიანში (IICC-Xi'an, ჩინეთი) ასრულებს ICC- ის სამდივნო ფუნქციას (Williams, 2020, 1-3).

წლებში, ICOMOS-ის სახელით განახორციელა თიმ უილიამსმა, რომლის საბოლოო ვერსია გამოქვეყნდა 2014 წელს (Williams, 2014).

3.3.2 აბრეშუმის გზების სერიული და ტრანსნაციონალური მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციის ჩარჩო

აბრეშუმის გზების შესახებ ICOMOS-ის თემატური კვლევის ფარგლებში შემუშავდა UNESCO-ს აბრეშუმის გზების ტრანსნაციონალური და სერიული ნომინაციის სტრატეგია. UNESCO-ს სტრატეგიაში „აბრეშუმის გზა“ მრავლობით ფორმაში, მარშრუტებისა და გაცვლითი საქონლის დეფინიციის ყველაზე ფართო გაგებით გამოიყენება (Williams 2015, 3). აბრეშუმის გზების ცნება გააზრებულია როგორც ძვ. წ. II საუკუნიდან XVI საუკუნის ჩათვლით მოქმედი საკომუნიკაციო ქსელები, რომელიც ფუნქციონირებდა სხვადასხვა მოკლე და გრძელი, ორმხრივი მარშრუტებით და ქმნიდა როგორც აბრეშუმის ისე სხვა სავაჭრო საქონელის გაცვლა-გამოცვლის, იდეებისა და რელიგიების გავრცელების და ხალხთა გადაადგილების საშუალებას (Williams, 2014). აბრეშუმის გზების ცნება გამოიყენება მარშრუტებისა და ამ გზებზე გავრცელებული საგნების უფართოესი გაგებით.

აბრეშუმის გზების აღნიშნული კონცეფციის თანახმად, აბრეშუმის გზების გასწვრივ არსებული ძეგლები, ძეგლებისა და კულტურული ლანდშაფტების ატრიბუტები იყოფა სამ კატეგორიად:

1. ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობდა ვაჭრობასა და ტრანსპორტირებას; (მათ შორის ქარვასლები და სასტუმროები, სამხედრო პოსტები, გარნიზონის სადგურები და ციხე-სიმაგრეები, ხიდები, სარწყავი სისტემები, ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები);
2. სავაჭრო საქონლის წარმოების ადგილები (მათ შორის, ლითონის დამუშავება, წარმოება, რეწვა და სხვა სამრეწველო და საწარმოო ობიექტები);
3. აბრეშუმის გზების შედეგები, როგორებიცაა ქალაქები, ხელოვნება, და ცოდნა ჩამოყალიბებული კონტაქტებისა და ურთიერთგაცვლის შედეგად, სავაჭრო

ქალაქების, ურბანული ცენტრებისა და დასახლებების ჩათვლით; რელიგიური, სულიერი და საზეიმო ადგილები (მათ შორის სალოცავები, გამოქვაბულები, აკლდამები, პილიგრიმული ადგილები) და ადგილები, რომელიც ასოცირებულია პოლიტიკურ ღონისძიებებთან, იდეების, ენის, მუსიკის, ქორეოგრაფიის, პოეზიის გადაცემა-გავრცელებასთან (Williams, 2014, 34, 69-70; Williams 2015, 22).

ვინაიდან, სავსებით სამართლიანად, შეუძლებლადაა მიჩნეული ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული აბრეშუმის გზის გასწვრის არსებული ყველა შესაძლო ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ნომინირება, აბრეშუმის გზების შესახებ ICOMOS-ის თემატური კვლევა განიხილავს ძეგლების შერჩევის მიზნით სამ ვარიანტს, რომელთაგან ერთი დაკავშირებულია ძეგლებთან, მეორე თემატიკასთან და მესამე დერეფნებთან. კვლევის შედეგად, UNESCO-ს აბრეშუმის გზის ტრანსნაციონალური ნომინაციის სტრატეგიისათვის ყველაზე ეფექტურ გზად დერეფნების იდეაა მიჩნეული.

1. **თემატური მიდგომა** მოიაზრებს აბრეშუმის გზის სხვადასხვა ტიპის ატრიბუტებიდან, საუკეთესო ძეგლებისა და ლანდშაფტების შერჩევას რათა წარმოჩენილ იქნას ამ ასპექტების პოტენციური „გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება[5]“. მაგალითად,

[5] „გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება” წარმოადგნეს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიკაციის ძირითად კრიტერიუმს და საფუძვლად უდევს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხას. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის იმპლემენტაციის სამოქმედო სახელმძღვანელოს 49-ე პარაგრაფის შესაბამისად, განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება არის ,,..კულტურული ან/და ბუნებრივი მნიშვნელობა, რომელიც იმდენად გამორჩეულია, რომ სცდება ეროვნულ საზღვრებს და თანაბრად მნიშვნელოვანია მთელი კაცობრიობის აწმყო და მომავალი თაობებისათვის“ (UNESCO, 2021, 24). კონვენციის შესრულების სამოქმედო გზამკვლევი განსაზღვრავს ათ კრიტერიუმს განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასებისათვის, რომელთაგან პირველი ექვსი ეხება კულტურული მემკვიდრეობის კატეგორიას:

(i) უნდა წარმოადგენდეს ადამიანის შემოქმედებითი გენიის ნიმუშს; ან
(ii) უნდა მიუთითებდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში, მსოფლიო რომელიმე კულტურული არეალის ფარგლებში არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების, ქალაქგეგმარების ან ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების სფეროში ადამიანურ ფასეულობათა მნიშვნელოვან ურთიერთგაცვლაზე; ან
(iii) უნდა წარმოადგენდეს რომელიმე კულტურული ტრადიციის ან, დღესაც არსებული ან გამქრალი ცივილიზაციის ამსახველ უნიკალურ ან განსაკუთრებულ ნიმუშს; ან
(iv) უნდა წარმოდგენდეს ნაგებობის, არქიტექტურული ანსამბლის ან ლანდშაფტის ღირსშესანიშნავ მაგალითს, რომელიც ასახავს კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს (ეტაპებს); ან

აბრეშუმის გზის ინფრასტრუქტურის კვლევა, ისეთი ძეგლების არჩევის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს საგზაო-სადგურებს, ირიგაციის სისტემებს და ა.შ. თემატური მიდგომის მაგალითია, ასევე, აბრეშუმის გზის მხოლოდ ე.წ. შედეგების შერჩევა, როგორიცაა აბრეშუმის გზის დიდი ქალაქები, აბრეშუმის გზის ბუდისტური გამოქვაბულები, აბრეშუმის გზის ისლამური სალოცავები და ა.შ. თუმცა, აქვეა ხაზგასმული აბრეშუმის გზის ძეგლების თემატური დაყოფის უარყოფითი მხარე, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამგვარი მიდგომა ანაწევრებს აბრეშუმის გზის ლანდშაფტის მთლიან გააზრებას, დიდი ქალაქების, შედარებით მცირე ზომის სავაჭრო ქალაქების, საგზაო-სადგურების, სალოცავებისა და მონასტრების ურთიერთკავშირს. აღნიშნული მიდგომა მცირე კატეგორიის ძეგლების გამოტოვებას ითვალისწინებს და წინააღმდეგობაშია იმ იდეასთან, რომლის მიხედვით, მთლიანი უფრო მეტია ვიდრე ინდივიდუალური ნაწილების ჯამი. გარდა ამისა, ამგვარი მიდგომის საფუძველზე, თითოეული თემის ფარგლებში ყველაზე შესაფერი ძეგლების შერჩევა, ICOMOS-ის კვლევის თანახმად, იქნება რთული პროცესი და საჭიროებს უფრო დეტალურ კომპარატივისტულ ანალიზს[6]. ხაზგასმულია, ასევე ის ფაქტი, რომ ნომინაცია არ უნდა იქცეს ძეგლების უბრალო კატალოგად, შემადგენელ კომპონენტებს შორის კულტურული, სოციალური, ისტორიული და ფუნქციური კავშირის გარეშე (Williams, 2014, 58).

(v) უნდა იყოს ტრადიციული საცხოვრისის ან მიწათმოქმედების გამორჩეული მაგალითი, რომელიც წარმოადგენს რომელიმე კულტურას (კულტურებს), განსაკუთრებითმაშინ, თუ ეს კულტურა საფრთხის წინაშეა შეუქცევადი ცვლილებების გამო; ან

(vi) უნდა იყოს უშუალოდ ან თვალსაჩინოდ დაკავშირებული განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე მოვლენებთან, ყოფით ტრადიციებთან, იდეებთან, რწმენასთან, მხატვრულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებთან (ამ კრიტერიუმმა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში ან სხვა კრიტერიუმთან თანხვედრისას შეიძლება განაპირობოს ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანა)(UNESCO, 2021, 29-30).

[6] კომპარატივისტული ანალიზი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ძეგლის ნომინირებისათვის წარდგენილი დოსიეს შემადგენელი კომპონენტია. ნომინირებული ძეგლის შედარება უნდა მოხდეს მსგავს ძეგლებთან, რომლებიც აღნუსხულია ან არ არის აღნუსხული მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. შედარებამ უნდა გამოკვეთოს მსგავსება, რომელიც ნომინირებულ ძეგლს გააჩნია სხვა ძეგლებთან მიმართებაში და ასევე დაასახელოს ის მიზეზები, რაც განსაკუთრებულს ხდის ნომინირებულ ძეგლს. შედარებითი ანალიზი მიზნად ისახავს ახსნას ნომინირებული ძეგლის მნიშვნელობა როგორც მის ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტში. შედარება უნდა მოხდეს იმ ძეგლებთან, რომლებსაც გააჩნიათ იგივე ღირებულებები, როგორიც ნომინირებულ ძეგლს განსაზღვრულ გეო-კულტურულ არეალში (UNESCO, 2021, 108).

2. **ცალკეული ძეგლების/ლანდშაფტების მიდგომა** მოიაზრებს ინდივიდუალური ძეგლების არჩევას ქვეყნებში რათა წარმოჩნდეს აბრეშუმის გზის პოტენციური „გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულება“. აბრეშუმის გზა, როგორც ერთი სერიული ნომინაცია არის უზარმაზარი მასშტაბისა და განფენილობის, შესაბამისად, ქმნის მენეჯმენტის საკითხებში მრავალ სირთულეს. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, რთულია თანმიმდევრულობის მიღწევა ძეგლების შერჩევაში. პირობითად, რამდენი ქარვასლა, მეჩეთი და სხვა შეიძლება შეირჩეს გზის გასწვრივ, და როგორ უნდა მოხდეს მათი კომპარატივისტული ანალიზი. ამ შემთხვევაში, თემატური კვლევების ჩატარება ხდება საჭირო თითოეული ტიპის ძეგლისთვის რათა დასაბუთდეს თითოეული ქალაქის, ქარვასლის, მეჩეთის, ხიდის და ა.შ. შერჩევის მიზეზი, რაც არაეფექტურია (Williams, 2014, 59).

3. დერეფნების მიდგომა ითვალისწინებს რამდენიმე სივრცითი დერეფნის შერჩევას, რომლებიც ასახავს აბრეშუმის გზების გეოპოლიტიკურ რეაგირებებს და აბრეშუმის გზების შედეგების მრავალფეროვნებას, და რომელთაგან თითოეულს შეუძლია „გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების“ დემონსტრირება. ნომინაციის სტრატეგიის ამგვარი მიდგომა ამცირებს კომპარატივისტული ანალიზების მასშტაბს და ქმნის ძეგლების უფრო ეფექტურად არჩევის შესაძლებობას. დერეფნების მიდგომა ფოკუსში აქცევს ორივე, ცალკეული სეგმენტების მთავარ სავაჭრო ქალაქებს, მათ კომპლექსურ მონაცემებს, და უფრო მომცრო ძეგლების ფართო სპექტრს, რომლებიც ასახავს მოძრაობის კონცეფციას ლანდშაფტში, გადაადგილების დამხმარე საშუალებებს, შესაბამისს ინფრასტრუქტურას, და რელიგიური, მხატვრული და სოციალური ცვლილებების შედეგებს. დერეფნების მიდგომა, აბრეშუმის გზის მცირე მასშტაბის მქონე ელემენტების ჩართულობით, ასევე ამყარებს ფართო სურათის კონცეფციას, რომელიც ეფუძნება პრინციპს - მთლიანი უფრო მეტია ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილები.

დერეფნების მიდგომა ქმნის ინტელექტუალურ ჩარჩოს აბრეშუმის გზების გასწვრივ მდებარე ძეგლების სერიის შერჩევის კუთხით მსჯელობისათვის, მათი ქრონოლოგიური,

გეო-კლიმატური, ტოპოგრაფიული და სოციალური ფაქტორების საფუძველზე (Williams, 2014, 59-60).

კვლევის ფარგლებში ასევე შემუშავდა კრიტერიუმები დერეფნის შერჩევისათვის:

1. დერეფნები, რომლებიც ასახავს კულტურულ რეაგირებას ტოპოგრაფიულ, კლიმატურ და ეკოლოგიურ ვარიაციების მიმართ. აქ მოიაზრება დერეფნები, რომლებიც მიუყვება მათ შორის, მაღალ პლატოებსა და მთის უღელტეხილებს, ნაყოფიერ ხეობებსა და ოაზისს, უდაბნოებსა და მათ საზღვრებს, სანაპიროებს, მდინარეების ხეობებს და ა.შ.
2. დერეფნები, რომლებიც ასახავს იმპერიებს და გეოპოლიტიკურ ვარიაციებს. აქ მოიაზრება იმ ძირითადი იმპერიული სისტემების ჩართვა, რომლებიც აბრეშუმის გზებზე აყვავდა და კონკურენციას უწევდა ერთმანეთს, ასევე მცირე სამეფოებისა და ქალაქ-სახელმწიფოების მოცვა, რომლებიც გარკვეულ ინტერვალში განვითარდა (Williams, 2014, 60-61; Williams, 2015, 35).

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურ ხანასა და მომდევნო პერიოდში გამოიყენებოდა საზღვაო/სანაოსნო გზები, UNESCO-ს აბრეშუმის გზების აღნიშნული ნომინაციის სტრატეგია გამორიცხავს სანაოსნო/ საზღვაო მარშრუტებს და ფოკუსირებულია მხოლოდ სახმელეთო კავშირებზე.

3.4 ევროპის საბჭო: კულტურული მარშრუტების პროგრამა

ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციასთან, სახელდობრ, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხასთან. რიგ შემთხვევაში მსოფლიო მემკვიდრეობის მრავალი ძეგლი ევროსაბჭოს კულტურული მარშრუტების შემადგენილი ნაწილია. განსაკუთრებული შემთხვევაა სანტიაგო დე კომპოსტელას პილიგრიმული გზა. აღნიშნული კულტურული მარშრუტის ორი ნაწილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი (UNESCO, 1985, 10). ეს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ჩართვის ჯერჯერობით ერთადერთი მაგალითია.

ნიშანდობლივია, რომ ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამის წამოწყების ინოვაციური იდეაც სანტიაგო დე კომპოსტელას პილიგრიმულ გზას უკავშირდება, ისევე როგორც ზემოხსენებული მემკვიდრეობის მარშრუტის დეფინიციის გაჩენა (თავი 2.1) და ICOMOS-ის მიერ კულტურული მარშრუტების ქარტიის შემუშავება (თავი 2.2).

1984 წელს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია 987 ევროპის პილიგრიმულ მარშრუტებზე, რითაც მოუწოდა მინისტრთა კომიტეტს რათა გაეცოცხლებინათ პილიგრიმული გზები და ეს პროცესი დაეწყოთ სანტიაგო დე კომპოსტელას მიმართულებით მიმავალი ევროპული გზებით (Parliamentary Assembly, 1984). რეკომენდაციის მიღებიდან სამი წლის თავზე, 1987 წლის 23 ოქტომბერს ევროპის საბჭოს პირველი კულტურული მარშრუტი ძალაში შევიდა სანტიაგო დე კომპოსტელას დეკლარაციით (Council of Europe, 1987). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ დეკლარაციაში ასახული პოსტულატები დღესაც წარმოადგენს კრიტერიუმების ჩარჩოს ევროსაბჭოს კულტურული მარშრუტების სერტიფიცირებისათვის ნომინირებული კანდიდატი მარშრუტებისათვის (Denu, 2015, 9).

2013 წლის 18 დეკემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ CM/Res(2013)66 რეზოლუციაში ტერმინი **კულტურული მარშრუტი** განმარტებულია როგორც კულტურული, საგანმანათლებლო მემკვიდრეობის და ტურიზმის ერთობლივი თანამშრომლობის პროექტი, რომლის მიზანია მარშრუტის ან მარშრუტების სერიის შექმნა და ხელშეწყობა, რომელიც ემყარება საერთო ევროპული ღირებულებების შეცნობისა და პატივისცემის თვალსაზრისით ტრანსნაციონალური მნიშვნელობის მქონე ისტორიულ გზას, კულტურულ კონცეფციას, ფიგურას ან მოვლენას (Council of Europe, 2013). სიტყვა „მარშრუტი“ არ გამოიყენება ფიზიკური გზების ვიწრო გაგებით, არამედ უფრო კონცეპტუალური და ზოგადი მნიშვნელობით. აღნიშნულ შემთხვევაში, მარშრუტი გულისხმობს კულტურული ძეგლებისა და გეოგრაფიული ტერიტორიების ქსელს, რომელთაც საერთო თემა აერთიანებთ და თითოეულ ძეგლს ან ტერიტორიას,

მათი იდენტობისა თუ ისტორიის შესაბამისად აქვთ განხვავებული ფორმები (Bert, 2015, 15).

კულტურული მარშრუტები მიიჩნევა უფრო განვითარებულ ხედვად, ვიდრე ცნება „ძეგლი“, რომელიც თავდაპირველად გულისხმობდა კონტექსტიდან განცალკავებულ არტეფაქტს და თანდათანობით იძენდა ახალ კატეგორიებს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს, როგორიცაა ლანდშაფტი, არამატერიალური მემკვიდრეობა, ან სამრეწველო არქეოლოგია (Bert, 2015, 17).

2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, ევროპის საბჭოს მიერ სერტიფიცირებულია 45 კულტურული მარშრუტი, რომელითაგან საქართველო ხუთი მარშრუტის წევრია (Council of Europe, 2021). აღნიშნული მარშრუტები მოიცავს სხვადასხვა თემებს, როგორიცაა არქიტექტურა და ლანდშაფტი; რელიგია, გასტრონომია და არამატერიალური მემკვიდრეობა; ხელოვნების, მუსიკის და ლიტერატურის ცნობილ მოღვაწეებს ევროპიდან. მარშრუტები წარმოდგენილია დასასვენებელი და საგანმანათლებლო ღონისძიებების სახით, რაც ტურიზმისა და მდგრადი განვითარების მთავარ რესურსს შეადგენს. კულტურული მარშრუტები, როგორც წესი, აერთიანებს მემკვიდრეობის ძეგლებს, უნივერსიტეტებს, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობებს, და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს, ტურ-ოპერატორებს და სხვა.

ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების სერტიფიცირებას და სერტიფიცირებული მარშრუტების პერიოდულ შეფასებას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის CM/Res(2013)67 შესაბამისად, ახდენს კულტურული მარშრუტების შესახებ გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPA) მმართველი საბჭო (Council of Europe, 2013a).

3.4.1 ევროპული აბრეშუმის მარშრუტის იდეა

2018 წლიდან ევროპის საბჭოს ვენეციის ოფისის ეგიდით დაიწყო აბრეშუმის ევროპული მარშრუტის კონცეფციის განვითარება შემდგომში ევროპის საბჭოსთვის

სერტიფიცირებისათვის წარსადგენად (Council of Europe, 2018). ამ ეტაპზე შექმნილია სამეცნიერო კომიტეტი, რომლის მანდატი გულისხმობს, სხვა საკითხებთან ერთად, აბრეშუმის ევროპული მარშრუტის იტინერარიუმის განსაზღვრასა და დადგენას და ასევე, ევროპული აბრეშუმის მარშრუტის ასოციაციისათვის პარტნიორების მოძიებას. ევროპული აბრეშუმის მარშრუტის ნარატივი ეფუძნება მეცამეტე საუკუნეში მცხოვრები ვენეციელი ვაჭრის მარკო პოლოს მოგზაურობას აღმოსავლეთისაკენ და მოიცავს აბრეშუმის წარმოებისა და კომერციული საქმიანობის გზებს ევროპაში მომდევნო საუკუნეებში (Citta' Di Venezia, 2019).

განიხილება კულტურული მარშრუტის დაყოფა ორ ნაწილად:

1. მარკო პოლოს მარშრუტი ვენეციიდან კავკასიაში;
2. დასავლეთ და ცენტრალურ ევროპის ქალაქთა ქსელი, რომლებმაც შეიმუშავეს აბრეშუმის წარმოებისა და ვაჭრობის ტრადიცია.

ევროპული აბრეშუმის მარშრუტის პროექტის მიზანია:

- წარმოაჩინოს აბრეშუმის მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობა, მათ შორის, ცოდნა, ტრადიციები, წარმოების ტექნიკა, რომლებმაც გავლენა მოახდინა ჩართული ტერიტორიების ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ ისტორიაზე, ხელი შეუწყო ძლიერი იდენტობის შექმნას და სხვადასხვა თემების ჩამოყალიბებას;
- გამოკვეთოს აბრეშუმის როლი, როგორც ხელოსნობის, სამრეწველო საქმიანობისა და ვაჭრობაში ცვლილებების ანარეკლი, აგრეთვე ტრადიციების, ადათ-წესებისა და გემოვნების ცვლილებებისა ყველა ეპოქაში;
- წვლილი შეიტანოს ინკლუზიური და მდგრადი კულტურული ტურიზმის განვითარებაში;
- ხელი შეუწყოს კავშირებს და თანამშრომლობას ევროპის ქალაქებსა და რეგიონებს შორის, რომელიც წარმოადგენენ აბრეშუმის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრებს და ზოგიერთ შემთხვევაში, კვლავ განაგრძობენ საქმიანობას ამ მიმართულებით. ასევე, წაახალისოს თანამშრომლობა აბრეშუმის ისტორიის, დაცვისა და თანამედროვე

გამოყენების ფუნქციის მქონე მუზეუმებსა და კვლევით ცენტრებს შორის (Citta‘ Di Venezia, 2019).

3.5 საქართველოს კულტურის სამინისტრო: საქართველოს კულტურული მარშრუტები

2016 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, საქართველო გახდა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPA) 27-ე წევრი, რის შედეგადაც აქტიურად დაიწყო შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეროვნულ დონეზე განხორციელება (Council of Europe, 2016). პარალელურად, სამინისტროს ინიციატივით დაიწყო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროექტის ანალოგიური პროგრამის ჩამოყალიბება ეროვნულ დონეზე. ინიციატივის მიზანი გახდა ისეთი პროექტების განვითარების ხელწყობა, რომელიც ემსახურება საქართველოს ისტორიის, მეხსიერების, იდენტობის, მემკვიდრეობის, კულტურული ტრადიციებისა და საქართველოს მრავალფეროვანი კულტურის წარმოჩენას; ახალი ინიციატივებისა და სამაგალითო და ინოვაციური პროექტების ინიცირებას კულტურული ტურიზმისა და კულტურის მდგრადი განვითარების სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი კულტურული მარშრუტების გამოვლენისა და მათი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩამოყალიბდა სამინისტროსთან არსებული საქართველოს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების საბჭო, როგორც მინისტრის მულტიდისციპლინური, სათათბირო ორგანო. საბჭო დაკომპლექტდა სხვადასხვა სფეროს უწყების წარმომადგენლებით. მარშრუტების გამოვლენის კრიტერიუმების შემუშავებისას სამინისტრომ, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორის ჩართულობით, იხელმძღვანელა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების კრიტერიუმებით, და მისი ადაპტირება მოახდინა ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

კულტურული მარშრუტების გამოვლენისა და სერტიფიცირებისათვის განაცხადების მიღება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2018 წლის 1 მარტიდან დაიწყო, 2021 წლის მონაცემებით კულტურის სამინისტროს მიერ აღნიშნული საბჭოს რეკომენდაციის შედეგად სერტიფიცირებულია ათი კულტურული მარშრუტი.

ნიშანდობლივია, რომ სამინისტროს ინიციატივითა და ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების დაკვეთით, 2019 წელს განხოციელებულ დოქტორ ედით სჟივასი თავის ანგარიშში საქართველოს კულტურული მარშრუტების შესახებ, საქართველოს კულტურისა და ტურიზმის სფეროში პოლიტიკის და პრაქტიკის განხილვისა და SWOT ანალიზის საფუძველზე, საქართველოსთვის ერთ-ერთ შესაძლებლობებად ასახელებს უძველესი აბრეშუმის გზის კვალდაკვალ კულტურული ტურიზმის განვითარებას (Szivas, 2019, 25).

თავი 4. აბრეშუმის გზების პრეისტორია კავკასიაში

ინერტული მარშრუტების პრინციპის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გავიაზროთ საერთაშორისო ქსელები და კავშირები, რომელიც არსებობდა ძვ. წ. II საუკუნემდე, ე.წ. აბრეშუმის გზის შექმნა/წარმოშობამდე. ეს მიდგომა ეფუძნება ფართოდ აღიარებულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ გზები, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, უმეტესად უცვლელი რჩება. კომუნიკაცია სხვადასხვა რეგიონებს შორის მყარდება იმავე ბილიკებით, გადასასვლელებით, სამდინარო და საზღვაო მარშრუტებითა თუ სახმელეთო გზებით (Wilkinson, 2014, 65), რომლებიც წინა პერიოდში არსებობდა.

პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე კავკასიის რეგიონი სხვადასხვა ტომთა განსახლების, სახელმწიფოთა ფორმირებისა და მრავალი კულტურის გავრცელების არეალს წარმოადგენდა.

სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ამ რეგიონებს შორის არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს საფუძველი ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში ჩაეყარა, როდესაც ვაჭრობის საგანს ობსიდიანი წარმოადგენდა (Renfrew, 1966; Dixon et al., 1968, Nadooshan et al., 2013; სტურუა, 1994, 21-36). მოგვიანებით, ბრინჯაოს ხანაში ობსიდიანით ვაჭრობას ამავე საკომუნიკაციო გზით ლითონი ენაცვლება (შანშაშვილი და ნარიმანიშვილი, 2016, 67).

სამხრეთით ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთით ეგეოსის ცივილიზაციებთან ტერიტორიულმა სიახლოვემ ხელი შეუწყო კავაკასიის ჩართულობას ბრინჯაოს ხანის ევრაზიაში მიმდინარე კულტურულ და ეკონომიკურ პროცესებში. ბრინჯაოს ხანაში კავკასიაში გავრცელებულ მრავალ კულტურას შორის კულტურული ინტერაქციების თვალსაზრისით აღსანიშნავია მაიკოპის (Мунчаев, 1994, 158-225), მტკვარ-არაქსისა (ორჯონიკიძე, 2004; მირცხულავა, 2011) და თრიალეთის (Куфтин, 1941) კულტურები. ამ კულტურათა შორის თავისი გეოგრაფიული მასშტაბებით გამოირჩეოდა

მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში მოიცავდა თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიას (დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის გარდა), ჩრდილო-დასავლეთ ირანს, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ ანატოლიას. ეს კულტურა კიდევ უფრო შორს, სამხრეთით ვრცელდებოდა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლს აღწევდა სირიასა და პალესტინაში, სადაც ის კირბეთ კერაკის კულტურის სახელწოდებითაა ცნობილი (ჩუბინიშვილი 1965, 7-26; ორჯონიკიძე, 2004; ჯაფარიძე, ოთ. 2006, 285, 293). ფართო გეოგრაფიული მასშტაბი აშკარად ქმნიდა ადგილობრივ ვარიაციებსა და ქრონოლოგიურ განსხვავებებს მტკვარ-არაქსის კულტურაში, თუმცა მატერიალური კულტურის თვალსაზრისით ერთგვაროვნება შეიმჩნევა (Sagona, 2014, 43). ოთარ ლორთქიფანიძის (2002, 82) თანახმად, საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური ვარიანტი მჭიდრო კავშირს მოწმობს უძველეს აღმოსავლეთ ცივილიზაციებთან, რომლის მტკიცებულებად მას ყუამილიანი ცულების გავრცელება მიაჩნია. ყუამილიანი ცულები შუა აღმოსავლეთში (მესოპოტამია, ელემი და ირანი) ძვ. წ. IV ათასწლეულში და III ათასწლეულის დასაწყისში ჩნდება. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კი აღნიშნული ცულები ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე (საჩხერე) შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხრეთ რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში (ლორთქიფანიძე, 2002, 78, 82; ჯაფარიძე, 1961, 145-150). მიიჩნევენ, რომ ყუამილიანი ცულები, ისევე როგორც სხვა არქეოლოგიური არტეფაქტები, ყუადაქანებული ცულები, ხიშტისებური იარაღი, შუბისპირები და თავხვია საკინძეები, რომელთაც პარალელებს უძებნიან შუმერულ ბრინჯაოს ნაკეთობებთან, ტომთა შორის არარეგულარული ვაჭრობის შედეგად ევროპაში კავკასიიდან ვრცელდება (ლორთქიფანიძე და მუსხელიშვილი, 2011, 128; აბესაძე, 1969, 38-41).

კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ევრაზიის სტეპებში, სადაც ძვ. წ. IV ათასწლეულიდან მაიკოპის ცივილიზაცია ყვაოდა (Дударев, 2020, 14-21), ახლო აღმოსავლეთთან (ურუქის რეგიონი, შუამდინარეთი) შორ მანძილზე სავაჭრო კავშირებს მოწმობს არქეოლოგიური მონაცემები, მდიდრული სამარხეული ინვენტარის,

ეგზოტიკური ქვების მძივების, ცილინდრული საბეჭდავებისა და ლაზურიტის[7] აღმოჩენები (Kohl, 2007, 57-125; Cunliffe, 2015, 92-95; Curtis და Kruszyñski, 2002, 3). შორ მანძილზე ვაჭრობის პირველი ძვირფასი პროდუქტის, ლაზურიტის გამოვლენა ჩრდილო კავკასიაში ცხადყოფს ძლიერ სირია-მესოპოტამიურ კავშირებს ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, ე.წ. ურუქის ექსპანსიის პერიოდში (Abramishvili, 2017, 19-20; Cunliffe, 2015, 92-95). პრეისტორიულ ხანაში ლალაქვის მოპოვების წყაროები დადასტურებულია თანამედროვე ჩრდილო-აღმოსავლეთ ავღანეთში (ბადახშანის რეგიონი, სარ-ი-სანგის საბადო), ტაჯიკეთში პამირის მთიანეთსა და აღმოსავლეთ ციმბირში ბაიკალის ტბის მახლობლად (Wilkinson, 2014, 125; Hermann 1968, 22), თუმცა ამათგან ლაზურიტის ექსპორტის მთავარ კერად ავღანეთია მიჩნეული (Wilkinson, 2014, 125). თობი უილკინსონი (2014, 130-131) ლალაქვის გავრცელების ხუთ მარშრუტს გამოყოფს, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა ორი მათგანი:

1. კასპიისპირეტისა მარშრუტი - რომელიც მიემართებოდა ბაქტრიის გავლით ან ყარაყორუმის უდაბნოს სამხრეთით, კასპიის ზღვის ირგვლივ და შემდეგ სამხრეთით, ან დასავლეთით შავი ზღვისკენ.
2. სტეპების მარშრუტი - ალტერნატიული, ძალიან გრძელი და ნაკლებად სარწმუნოდ მიჩნეული კავშირი, ბაქტრიიდან ჩრდილოეთით მდ. ოქსუსის გასწვრივ, სამხრეთ ურალისა და კასპიისპირეთის გავლით, რუსეთის სამხრეთ სტეპებიდან კავკასიის ან შავი ზღვის მიმართულებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ორი მარშრუტი (ფიგურა 4) ყველაზე ნაკლებ როლს ასრულებდა ლალაქვით საგარეო ვაჭრობაში. საქართველოს ტერიტორიაზე, თრიალეთის კულტურის N17 ყორღანის ოქროს თასის კედელზე შემორჩენილი ლაჟვარდის ერთი ქვა, რომელიც აფაქიძეს (2003, 25) ცენტრალური აზიიდან იმპორტირებულად მიაჩნია ე.წ. კასპიისპირეთის მარშრუტით უნდა იყოს შემოტანილი. საინტერესოა ამავე თასზე დატანილი ქარვის ქვებიც, რომელთა

[7] იგივე ლალაქვა, ლაჟვარდი (აფაქიძე, 2003, 23)

წარმომავალობა ბალტიისპირეთიდან არის ნავარაუდევი (აფაქიძე 2003, 25; Cultraro 2016, 52-53). თრიალეთის ოქროს თასის შემკობისათვის ძვირფასი ქვების იმპორტის ეს შემთხვევა სამხრეთ კავკასიის შორეულ კულტურულ კავშირ-ურთიერთობებს ასახავს შუაბრიჯაოს ხანაში (აფაქიძე 2003, 23-25; შანშაშვილი და ნარიმანიშვილი, 2016, 80).

ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო და III ათასწლეულის პირველი ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ათვისებითა და წარმოების გაფართოებით ხასიათდება (ინანიშვილი 2014, 49). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ანატოლიაში სახელდობრ, არსლანთეფეზე აღმოჩენილი ლითონის ნივთების ნაწილი კავკასიური წარმომავლობისაა, რაც კავკასია-ანატოლიის რეგიონებს შორის ძვ. წ. IV - III ათასწლეულებში არსებულ კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიანიშნებს (ინანიშვილი 2014, 51). უფრო მეტიც, არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით მიჩნეულია, რომ არსლანთეფე (მალათიის რეგიონი) მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში სამხრეთ კავკასიის, ანატოლიისა და მესოპოტამიის მოსახლეობისათვის საკონტაქტო ზონას წარმოადგენდა (შანშაშვილი და ნარიმანიშვილი, 2016).

კავკასიის, ისევე როგორც მთლიანად წინა აზიის ტერიტორიაზე ძვ. წ. IV-III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურული არეალისათვის დამახასიათებელია დარიშხნით ლეგირებული, სპილენძის ფუძეზე მიღებული ფერადი ლითონ-დამუშავების არტეფაქტები, რომლებიც ტიპურია ადგილობრივი ბრინჯაოს წარმოებისათვის. ამავდროულად, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მათ შორის მაიკოპის, ამუქი F-ის, ურის, არსლანთეფე VIII-VII-ის, სუზისა და სხვა ძეგლების ნივთიერ მასალაში ჩნდება განსხვავებული შენადნობისაგან ნიკელიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული ნიმუშები. ნიკელიანი ბრინჯაოს ნივთები სამხრეთ კავკასიაში ცნობილია საქართველოს (აბანოსხევის, ხიზანაანთ გორა, სამშვილდე, ქვაცხელა, ამირანის გორა, ხელთუბანი, ორჭოსანი), აზერბაიჯანის (ბეიუკ-კესიკი, ქიულ-თეფე, ტელმანკელდი) და სომხეთის (ტალინი) არქეოლოგიური გათხრებიდან (ინანიშვილი 2014, 60-61). ვინაიდან კავკასიაში ნიკელშემცველი სპილენძის მადნების არსებობა გეოლოგიურად არ დასტურდება, ხოლო

წინა აზიის სპილენძის გამადნებათა სისტემაში ნიკელის შემცველი მადანი დასავლეთ ირანის პლატოზე, ანარაკის გამადნებათა რეგიონში (თალმესის და მესკანის მადნები) მოიპოვება, მიჩნეულია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში წინა აზიის რეგიონი ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასია ნიკელიანი ბრინჯაოს მასალით ირანიდან მარაგდებოდა. სამხრეთ კავკასია კი ამ ინოვაციური ნაწარმის გავრცელების მარშრუტში ერთგვარ ამთვისებელ და დონორ რეგიონად არის მოაზრებული, ისე როგორც ურუქის ექსპანსიის პერიოდში (ინანიშვილი 2014, 62-63, 137).

ძვ. წ. IV - III ათასწლეულებში, მთავარი სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიაში, სირიასა და პალესტინაში მალათიაზე გადიოდა, რაც კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურების განვითარებასა და გავრცელებას უწყობდა ხელს. ამავე პერიოდში ფუნქციონირებდა ურმიისა და ვანის ტბებისაკენ მიმავალი სავაჭრო გზაც (შანშაშვილი და ნარიმანიშვილი, 2016, 81-87).

ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებიდან მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს კულტურას შუაბრინჯაოს ხანის ყორღანული კულტურები ენაცვლება. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბედენური კულტურის (ძვ.წ. XXVI-XXIV სს.) ეტაპზე, ყორღანებში (წნორი, ბაკურციხე, მარტყოფის ბედენური სამი ყორღანი) პირველად ჩნდება ბრინჯაოს ნივთები, რომელიც კალის საკმაოდ მაღალ პროცენტს შეიცავს (ჯაფარიძე, 1998, 122). ეს ტექნოლოგიური სიახლე (ფერად ლითონდამუშავებაში ახალი მალეგირებელი ელემენტის, კალის წარმოებაში შემოსვლა) ინტენსიურად ვრცელდება შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანების კულტურაში (ინანიშვილი, 2014, 63; ჯაფარიძე, ოთ. 2006, 318). ამ პერიოდში კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება ანთიმონი (ჯაფარიძე, ოთ. 2006, 347). ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ტრადიციული სპილენძ-დარიშხნიანი შენადნობის პარალელურად, ხმარებაშია ანთიმონ-დარიშხნიანი, კალა-დარიშხნიანი, ანთიმონიანი და კალიანი ბრინჯაოსაგან მიღებული ნივთები (ინანიშვილი, 2014, 63-64). კალა კავკასიაში არ მოიპოვება თუმცა, რიგი ავტორები კალის ადგილობრივი მცირე მადნების არსებობას მაინც არ გამორიცხავენ (Иессен, 1935, 194-195; ჯაფარიძე, 1991, 151). ძვ. წ. II ათასწლეულის ევრაზიაში კალა-ანთიმონიანი ბრინჯაოს ინვენტარის ფართო

გავრცელების არეალის, კონტინენტზე კალისა და ანთიმონის საბადოთა გეოგრაფიული განლაგებისა და აქ აღმოჩენილი სამთო-მეტალურგიული წარმოების ძეგლების ფუნქციონირების ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე, გ. ინანიშვილი (2014, 65, 137) ასკვნის, რომ კალა ამიერკავკასიის სპილენძ-ბრინჯაოს წარმოებისათვის იმპორტირებული იყო ანატოლიიდან, ჩრდილოეთ ირანიდან, შუა აზიიდან და აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპიდან. ანთიმონი კი ევრაზიის ბრინჯაოს წარმოების ცენტრებში კავკასიური ექსპორტის მეშვეობით უნდა გავრცელებულიყო, მთიანი რაჭის მეტალურგიული კერიდან (ინანიშვილი, 2014, 65).

ცნობილია, რომ ანატოლიაში, კერძოდ ასურულ სავაჭრო კოლონია, ქარუმში კალა ასურელ ვაჭრებს შემოჰქონდათ ვერცხლისა და ოქროს სანაცვლოდ (Wilkinson 2014, 87). კაპადოკიაში, ქიულთეფე - ქანესში აღმოჩენილი ძვ. წ. XIX - XVIII საუკუნეებით დათარიღებული წერილობითი ძეგლები ადასტურებენ ანატოლიასა და ასურეთს შორის არსებულ სავაჭრო კავშირებს და კალას, როგორც ვაჭრობის საგანს (ჯაფარიძე, ოთ., 2006, 348; Edens 1995, 60). ასურული სავაჭრო კოლონიების ამოქმედების პერიოდის თანადროულობა კალიანი ბრინჯაოს ნივთების ფართოდ გამოყენებასთან ამიერკავკასიაში, სარწმუნოს ხდის მოსაზრებას კალის ანატოლიიდან იმპორტის შესახებ. ოთ. ჯაფარიძის (2006, 349) თანახმად, ვერცხლი, რომელიც მოთხოვნადი ლითონი ხდება თრიალეთის კულტურაში, ასევე ანატოლიიდან უნდა ყოფილიყო იმპორტირებული.

თრიალეთის კულტურის ამიერკავკასიული წარმოშობის პარალელურად, აღნიშნული კულტურის ზოგიერთ ელემენტში, კერძოდ, კერამიკაში, საიუვილერო ნაწარმსა და ყორღანებში კრემაციული დაკრძალვის რიტუალში ცალსახად ვლინდება წინააზიური სამყაროს გავლენა. საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. III - II ათასწლეულების ყორღანებში აღმოჩენილი ნივთები, რიგ შემთხვევებში, პირდაპირ მსგავსებებს ავლენენ ამიერკავკასიის სხვა რეგიონებისა და წინა აზიის, მათ შორის სირიის, ირანის, მესოპოტამიის, მცირე აზიისა თუ ეგეოსური სამყაროს არქეოლოგიურ კომპლექსებში აღმოჩენილ მასალებთან (Куфтин, 1941; ლორთქიფანიძე, 2002, 83-99). თრიალეთის კულტურაში ცალკეული ინოვაციების გაჩენა დაკავშირებულია როგორც

გარე სამყაროსთან აქტიური კულტურულ-ეკონომიკური კავშირებით, ისე თრიალეთური კულტურის არეალში წინააზიური, კერძოდ, ხეთური და ხურიტული ეთნოკულტურული ტრადიციების მატარებელი ტომების მიგრაციის თანმდევ პროცესებთან (გოგაძე, 1972, 79, 107).

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების შედეგად ნადგურდება მალათიაზე გამავალი სავაჭრო გზა, ისევე როგორც ასირიელების სავაჭრო კოლონიები. ძვ. წ. XIII საუკუნეში მითანის სამეფოს დაცემისა და ასურეთის მილიტარისტული პოლიტიკის შედეგად აღმოსავლეთში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გავლენა ჩანს რომ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაზეც აისახა, რასაც სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ახლო აღმოსავლური არტეფაქტებისა და მათი მინაბაძების სიმცირე მიანიშნებს (შანშაშვილი და ნარიმანიშვილი, 2016, 89).

ადრეული საგარეო კავშირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბერძნულ სამყაროსთან არსებული კონტაქტების გაანალიზება. სამხრეთ კავკასიასა და ეგეოსურ სამყაროს შორის კულტურული ურთიერთობების დამყარება ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდანვე ივარაუდება (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი..., 2016, 11-49; აბრამიშვილი, 2016, 178-179; ფუთურიძე, 2006, 66-74; ფუთურიძე, 2016, 139-163; ბრაგვაძე, 2016, 122-127). თრიალეთის კულტურის ცალკეული არტეფაქტების კრეტისა და კონტინენტური საბერძნეთის ბრინჯაოს ხანის მასალებთან მსგავსების შესახებ პირველად თრიალეთის კულტურის აღმომჩენი ბ. კუფტინი მიუთითებდა (Куфтин, 1940, 30-31, 1941, 93, 96).

თრიალეთის კულტურის ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთკავშირის კონტექსტში, შესაბამის აკადემიურ ლიტერატურაში დისკუსიის საგანს წარმოადგენს ბრინჯაოს გრძელი საძგერებელი მახვილების ე. წ. რაპირების[8] წარმომავლობისა და გავრცელების

[8] ამ ეტაპზე, საქართველოში აღმოჩენილია 12 რაპირი შემდეგ ლოკაციებზე: დილიჭა, სადუღას ყორღანები, სამთავრო, ლილო, მრავალწყალი და თეთრი ქვების სამაროვანი.

საკითხი (Kuftin, 1941, 99; ჯაფარიძე, 1969, 157-162; Abramishvili, 2001, 1-8; ჭაბაშვილი, 7-9; Sherazadishvili, 2015, 148-155). ავტორთა ერთი ჯგუფი (კუფტინი, ლომთათიძე, ჩუბინაშვილი, მარტიროსიანი, ესაიანი, ჯაფარიძე) სამხრეთ კავკასიაში რაპირების აღმოჩენას ამ რეგიონის ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთკავშირის პირდაპირ მოწმობად მიიჩნევს და მათ გავრცელებას ძველი აღმოსავლეთის გზით ვარაუდობს (Sherazadishvili, 2015, 148). მკვლევართა მეორე ჯგუფი (გოგაძე, აბრამიშვილი, კუშნაროვა და რისინი, შულცი, შერაზადიშვილი) კი მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიური ისევე როგორც ეგეოსური რაპირები ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის მახვილების პროტოტიპებია (Abramishvili, 2001, 1-8; ჭაბაშვილი, 2009, 7-9; Sherazadishvili, 2015, 148-155).

ძველი ბერძნული ლიტერატურა (ჰომეროსი, ჰესიოდე, ევმელოს კორინთელი, „ნავპაკტიკა“, კიკლიკური ეპოსი) ბერძენთა პირველ კონტაქტებს აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთთან მიკენურ ეპოქაში, ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში კოლხეთში ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობას უკავშირებს, (ურუშაძე, 1964, 169-200), თუმცა აღნიშნული მითის ნამდვილობის დამადასტურებელი პირდაპირი არქეოლოგიური მასალა ჯერ-ჯერობით არ არის მოპოვებული (ლორთქიფანიძე, 2002, 184).

ბერძნული წერილობითი წყაროებისა (სტრაბონი, ჰეროდოტე, ევსებოსი) და იქ აღნიშნული ტოპონიმების გადასინჯვის შედეგად, საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული მ. ინაძეს (2009, 174-190; 2002) არქაულ ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს.) კოლხეთის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობის შესახებ რკინის ექსპორტით დაინტერესებულ ეგეიდელებსა და მცირეაზიელ ეოლებთან. ადრე ელინისტურ სამყაროსა და კოლხეთს შორის არსებული ურთიერთობების ჰიპოთეტურ მოწმობადაა მიჩნეული ძვ. წ. VIII - VII სს - ში, ბერძნული კოლონიზაციის წინარე ხანაში რიგი არქეოლოგიური მონაცემებისა, მათ შორის ვანში აღმოჩენილი კერამიკის ახალი ფორმები, ბერძნული კანთაროსისებური და კალათოსისებური ჭურჭელი, რომელთაც პირდაპირი ანალოგი ეძებნებათ კულძულ ევბეაზე, ლეფკანდის სამაროვანზე აღმოჩენილ ბერძნულ ჭურჭელთან (ლორთქიფანიძე, 2001, 86-87; ინაძე, 2002, 12-13).

ძვ. წ. VIII - VII სს - ში, კოლხურ კერამიკაში ჩნდება შემკულობის ახალი მოტივები, რომელიც ძალიან გავს ბერძნული გვიანგეომეტრიული კერამიკის ორნამენტებს. ძვ.წ. VIII საუკუნიდან კოლხეთში ჩნდება ასევე ტანსაცმლის შემკობის ახალი ელემენტი, რომელთა შორისაა ბერძნული ე. წ. სუბმიკენური ტიპის ერთწილადი მშვილდისებური ფიბულები. ზოგიერთი კოლხური ფიბულა ბერძნულის მსგავსად წიწვისებური ორნამენტით ან თევზების გამოსახულებით არის მორთული (სულავა, 2011; ლორთქიფანიძე, 2002, 187-188). აფხაზეთის ტერიტორიაზე, ახალ ათონში აღმოჩენილი ბერძნული ტიპის ნავისებური ფიბულა (ძვ. წ. VIII-VII სს), რომელიც სულავას (2011, 227; 1998, 11-12) აზრით, კოლხეთში საზღვაო გზით, მცირე აზიის გვერდის ავლით უნდა იყოს მოხვედრილი, კოლხეთისა და ეგეოსური სამყაროს ე.წ. ბერძნული კოლონიზაციამდელი კონტაქტების მოწმობადაა მიჩნეული. ამ კონტექსტში საინტერესოა აღნიშნული პერიოდის კოლხურ ბრინჯაოს ცულებზე დატანებული სვასტიკისა და მეანდრის გამოსახულებების სიმრავლე, რომელიც ტიპიურია გეომეტრიული ბერძნული ხელოვნებისათვის, და აღარ გვხვდება ძვ. წ. VIII-VII სს-ის წინააზიურ კულტურებში (Boardman, 1994, 15). ზემოაღნიშნული სიახლეები კოლხეთში ვერ აიხსნება ვერც ადგილობრივი ტრადიციების გაგრძელებად და ვერც წინააზიურ კულტურებთან კავშირით.

ამ პერიოდის კოლხურ კულტურაში განსაკუთრებით აღსანიშნავი სიახლეა ორმხრივპროტომიანი ტერაკოტული ფიგურების გაჩენა, რომლებიც აღმოჩენილია ვანსა (ლორთქიფანიძე, 2002, 188) და ნოქალაქევში (ლომიტაშვილი, 2003, 19-30). ბრინჯაოსა და თიხის მსგავსი ქანდაკებები ფართოდაა გავრცელებული ძვ. წ. VIII-VII სს-ის ბერძნულ სამყაროში (ინაძე, 2004, 11-12). ამასთან, კოლხეთის მთელ რიგ სამაროვნებზე ურეკში, ნიგვზიანსა და მუხურჩაში აღმოჩენილია ბრინჯაოს ანთროპომორფული პლასტიკის ნიმუშები, რომლებიც დიდ მსგავსებას ავლენენ გეომეტრიული ხანის ბერძნულ ანთროპომორფულ ქანდაკებებთან. მუხურჩაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ე. წ. მეეტლის ქანდაკების პირდაპირ ანალოგს წარმოადგენს გვიანგეომეტრიული ბერძნული მეეტლის მცირე ზომის ქანდაკებები დელფოსიდან და ოლიმპიიდან (ინაძე, 2004, 13; ლორთქიფანიძე, 1999, 27). მუხურჩაში აღმოჩენილი ბრინჯაოს მეეტლის ქანდაკება

ბერძნული იმპორტის ყველაზე უძველეს შემთხვევად არის მიჩნეული მთელ შავი ზღვისპირეთში (ლორთქიფანიძე, 1999, 27). ძვ. წ. VIII-VII სს-ის ბერძნულ-კოლხური ურთიერთობების თვალსაზრისით უაღრესად მნიშნელოვანია ასევე კუნძულ სამოსზე და კოლხეთში აღმოჩენილი ბავშვიანი ცხენოსანი ქალის მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკებები, რომელთა წარმომავლობა კავკასიურადაა (კოლხური) მიჩნეული (პაპუაშვილი, 2010, 46-58; Licheli, 2016, 119-120). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ურეკის, დღვაბასა და ერგეტას კოლხურ კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილ ცხენოსანი ქალისა და ხარის ქანდაკებებს, რომელთაც ზუსტი პარალელები მოეპოვებათ ბერძნულ სამყაროში. ქალღმერთების ცხენოსანთა ქანდაკებები, რომელთა ოთხი ჯგუფი არსებობს, სამ რეგიონში ეგეოსის სამყაროში, კოლხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაშია გავრცელებული (პაპუაშვილი, 2010, 50). მათი გეოგრაფიული დიაპაზონის შესწავლიდან ირკვევა, რომ ოთხივე ჯგუფი მხოლოდ კოლხეთში გვხვდება, რითაც დასტურდება კოლხეთის საშუამავლო როლი (Licheli, 2016, 119-120; ვაჩაძე, 2019).

ამდენად, არქეოლოგიური მასალა გარკვეულწილად მოწმობს წერილობითი წყაროების მიხედვით გამოთქმულ მოსაზრებას ძვ. წ. VIII-VII სს-ში ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის არსებული კონტაქტების შესახებ, რომელმაც რეგულარული ხასიათი მოგვიანო საუკუნეებში შეიძინა, მას შემდეგ, რაც შავიზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დაიწყო ბერძნული სამოსახლეობის წარმოშობა.

ბერძნული ახალშენების დაარსება შავის ზღვის სანაპირო ზოლში ძვ. წ. 750 წლიდან იწყება (Boer, 2006, 269-288; Bilde *et al.,* 2008, 115-173). ოლბია და ქერსონესი ყირიმში, ტრაპეზუნტი, ამისო და სინოპე თურქეთის ტერიტორიაზე, ფანაგორია თანამედროვე რუსეთში, ტანაისი მდინარე დონის დელტაზე, ფაზისი, გიენოსი და დიოსკურია კოლხეთში წარმოადგენდნენ ბერძნულ სავაჭრო კოლონიებს, საიდანაც ბერძნებს ადგილობრივი მინერალები და პროდუქტები გაჰქონდათ მდიდრული ბერძნული საქონლის სანაცვლოდ (Braund, 1994, 87-117; Curtis და Kruszyñski, 2002, 5; ინაძე, 1999ბ, 17-18; ჭყონია, 1999, 34). აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ბერძნული

კოლონიზაციის ხასიათის[9] შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა გამოთქმული (ფიფია, 2013, 21-60; Braund, 1994, 87). მკვლევართა უმრავლესობის აზრით, კი კოლხეთში ბერძნული „კოლონიზაცია“ ფუნდამენტალურად განსხვავებული იყო ჩრდილო შავი ზღვისპირეთში მიმდინარე კოლონიზაციასთან შედარებით და მას ძირითადად მშვიდობიანი სავაჭრო ხასიათი ჰქონდა (Koshelenko და Kuznetsov, 1996; ლორთქიფანიძე, 1972, 43; კვირკველია, 1999, 25).

ანტიკური ხანის მწერლებიდან ჰეროდოტე და ჰეკატეიოს მილეტელი არაფერს წერენ კოლხეთში ბერძნული ქალაქების შესახებ (Koshelenko და Kuznetsov, 1996), თუმცა გარკვეული ცნობები შემონახულია ფსევდო-სქილაქს, ფსევდო-სკიმნოსა და სტრაბონთან, რომელთაგან ყველაზე მეტყველია ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ის საკმაოდ ხშირად ახსენებს დიოსკურიას და ასევე ფაზისს, რომელსაც კოლხთა ემპორიონს[10] უწოდებს (Strabo, XI, 2, 17). მისი გამოცემით, ანტიკურ ხანაში ფაზისს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის სავაჭრო პორტებთან, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებული იყვნენ ხმელთაშუაზღვისპირეთთან. სტრაბონის ცნობით, კოლხეთის ექსპორტს შეადგენდა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი,

---

[9] შავიზღვისპირეთის, მათ შორის, კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის სხვადასხვა საკითხის (ვაჭრობა, საზღვაო გზები, ადგილობრივი მოსახლეობის, და ბერძნების ურთიერთობა და სხვ.) შესახებ მსჯელობას მიეძღვნა ვანი-წყალტუბოს სიმპოზიუმები და აისახა მის მასალებში, რომელიც გამოდის 1979 წლიდან:

1) Проблемы Греческой Колонизации северного и восточного Причерноморья. Материалы I Всесоюз. симпоз. По древ. Истории Причерноморья, Цхалтубо, [4-7 мая] 1977. Тбилиси: Мецниереба, 1979.
2) Демографическая ситуация в Причерноморье в период Великой Греческой Колонизации. Тбилиси. 1981.
3) Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья на тему "Эллинизм и Причерноморье", Цхалтубо, 21-27 V 1982 г.
4) Местные этно-политические объеденения причерноморья в VII-IV вв. До н. э. Тбилиси. 1988.
5) Причерноморье VII-V вв. До. н. э. Писменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья Вани 1987. Тбилиси. 1990.
6) La Mer Noire, Zone De Contacts - Actes Du VIIe Symposium De Vani, Colchide, 26-30 IX 1994.
7) შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი, 1999.

[10] სავაჭრო ადგილი

ხე-ტყე და გემთმშენებლობისთვის საჭირო ყველა მასალა, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნდა კოლხეთში. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კოლხური სელის ინდუსტრიასა და ექსპორტზე, რომელიც სტრაბონის გადმოცემით საკმაოდ შორის იყო სახელგანთქმული (Strabo, XI, 2, 17). ვარაუდობენ, რომ კოლხეთიდან ასევე გაჰქონდათ მზა ხელოსნური ნაწარმი და გაჰყავდათ მონებიც. პირდაპირი ცნობები კოლხეთში მონათა ბაზრის შესახებ დღემდე არ მოგვეპოვება, თუმცა ამ მხრივ, საინტერესოა ათენის კერამიკულ სახელოსნოებში დამზადებულ ნაწარმზე განთავსებული წარწერები (ლორთქიფანიძე, 2002, 201; ლორთქიფანიძე, 1966, 79, 86; ფიფია, 2013, 65).

კოლხეთში ძვ. წ. VI საუკუნიდან რეგულარულ სავაჭრო ურთიერთობების არსებობაზე მიუთითებს პირველ რიგში, ადგილობრივ მოჭრილი მონეტების „კოლხური თეთრის“ ბრუნვა, რომელიც მთელი კოლხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (კაპანაძე, 1950, 25-26; ინაძე, 2009, 236).

არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ბერძენ ვაჭრებს იონური ქალაქებიდან (სამოსი, ქიოსი, თაზოსი) კოლხეთში უმეტესად მხატვრული და სუფრის კერამიკა, ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, ზეითუნის ზეთი, ნელსაცხებლები და კარგი ხარისხის ღვინო შემოჰქონდათ (ინაძე 2009, 238; ლორთქიფანიძე 1972, 48). ღვინის იმპორტის პრაქტიკას ადასტურებს დიდი ზომის, სატრანზიტო თიხის ჭურჭლის, ამფორების მასიური აღმოჩენები კოლხეთის მრავალ ძეგლზე (ლორთქიფანიძე, 1972, 50; ახვლედიანი, 2005, 66).

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ბერძნულ სამყაროს კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში გამოყოფენ ორ ეტაპს: პირველი მოიცავს ძვ. წ. VII საუკუნის დასარულსა და ძირითადად ძვ. წ. VI საუკუნეს, ხოლო მეორე კი ძვ. წ. V-IV საუკუნეებს (ლორთქიფანიძე, 1972, 48-49; 1966, 68). კოლხეთში არქაული ხანის (ძვ. წ. VII-ის დასასრული - VI ს.) ბერძნული იმპორტის ნიმუშები აღმოსავლურ-ბერძნული (იონური) და ატიკური (ათენი) წარმოშობის სუფრის ჭურჭლის სახით უმეტესწილად ზღვისპირა კოლხურ დასახლებებზე (ბათუმის ციხე, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, სიმაგრე,

ოჩამჩირე, ეშერა) მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი (კვირკველია, 1999, 24). უფრო მწირი რაოდენობითაა წარმოდგენილი არქაული იმპორტი კოლხეთის შიდა რაიონებში და შემოიფარგლება გვიანარქაული ხანის ქიოსური და ლესბოსური ამფორების ერთეული ფრაგმენტებით (გურიანთა, ვანი, დაბლაგომი) აღმოსავლურ-ბერძნული მოხატული ჭურჭლის ორი ფრაგმენტით (ფიკელურას სტილის ფრაგმენტი ჭოგნარიდან და ძვ. წ. VI ს - ის პირველი ნახევრის ქიოსური თასის ფრაგმენტი ვანიდან), ატიკური წითელფიგურული კილიკებითა და გვიანარქაული ხანის საბეჭდავი-ბეჭდებით ვანიდან (კვირკველია, 1999, 24-25). როგორც ჩანს, ძვ. წ. VII-ის დასასრულსა და ძვ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში ბერძნულ-კოლხურ ურთიერთობებს ჯერ კიდევ ჰქონდათ ინტენსიური ხასიათი (ლორთქიფანიძე, 1966, 68).

კლასიკურ ხანაში ბერძნული იმპორტი უფრო მრავალფეროვანი ხდება და ამასთან იზრდება კოლხეთში მისი გავრცელების არეალიც. ძვ. წ. V საუკუნის ფიჭვნარის კოლხურ სამაროვნაზე გამოვლენილი იმპორტული კერამიკა წარმოდგენილია ეგეოსურ სამყაროსთან დაკავშირებული სხვადასხვა საწარმოო ცენტრის ამფორების (ქიოსური, ლესბოსური და ე.წ. პროტოთაზოსური), ატიკური მოხატული, ორნამენტირებული, სადა შავლაკიანი კერამიკისა და ე.წ. იონიური ჭურჭლის სახით (კახიძე, 2016, 82, 99; კახიძე და ვიკერსი, 2014, 30-34). ძვ. წ. V საუკუნიდან კოლხეთში მკვიდრდება დაკრძალვის ბერძნული ჩვეულება, მიცვალებულისათვის ე.წ. ქარონის ობოლის გატანების წესი. ჯერ-ჯერობით ფიჭვნარი ერთადერთი ძეგლია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ასე ადრეული ხანიდან (ძვ. წ. V ს. II მეოთხედი) დასტურდება აღნიშნული წესი. ცალკეულ სამარხებში საკმაოდ ხშირადაა გამოვლენილი თითო, ორი თუ ოთხი კოლხური მონეტა, ტრიობოლები (კახიძე, 2016, 100; კახიძე და ვიკერსი, 2014, 34). დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ბერძნული იმპორტისა და ნუმიზმატიკური მასალის ტოპოგრაფია ცხადყოფს, რომ სავაჭრო საქმიანობა არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში, არამედ კოლხეთის შიდა დასახლებებშიც მიმდინარეობდა. ო. ლორთქიფანიძის (1999) აზრით, მაგისტრალური მარშრუტები მიუყვება მდინარეების რიონისა და ყვირილას ხეობებს, რომელიც ჯერ კიდევ რკინისა და ბრინჯაოს ხანაში იყო

გამოყენებული. ძვ. წ. VI-IV საუკუნის ბერძნული იმპორტი დაფიქსირებულია ფაზისსა და ვანს შორის მდებარე, ანტიკური ხანის ყველა მნიშვნელოვან ძეგლზე, ესენია: სიმაგრე (მიქელაძე, 1978, 62-68), დაფნარი (თოლორდავა, 1983, 136-138), დამბლაგომი (თოლორდავა, 1983ა, 129-135) და მთისძირი (გამყრელიძე 1983, 127-128). ბერძნული იმპორტი ვრცელდება მდ. რიონის ზემო დინების გასწვრივაც, ქუთაისში (ატიკური შავლაკიანი კერამიკა და ბრინჯაოს მუზარადი), ასევე, მაღალმთიან სოფელ ბრილშიც (ატიკური შავლაკიანი კერამიკა და პოლიქრომული მინის ჭურჭელი), მდინარე ყვირილის გასწვრივ ჭოგნარში (იონური და ატიკური კერამიკა), საჩხერესა (მოდინახე - ატიკური შავლაკიანი კერამიკა) და ითხვისში (ატიკური შავლაკიანი და შავფიგურულიკერამიკა) (ლორთქიფანიძე, 1999, 27; Lordtkipanidze, 2002, 12). ბერძნული შავლაკიანი, შავფიგურული და წითელფიგურული კერამიკა გავრცელებულია მდინარე ყვირილას მარცხენა ნაპირზე, კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის უძველეს დასახლება საირხშიც (ნადირაძე, 1990, 20-97), რომელიც კოლხეთის სამეფოს ძვ. წ. V-IV საუკუნეების ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა (ბრაგვაძე, 1993, 13).

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ კოლხეთიდან სახმელეთო გზით, ბერძნული იმპორტის გავრცელებას იბერიაშიც. ბერძნული იმპორტის ნიმუშები იბერიაში გავრცელებულია მდ. მტკვრის ხეობაში, ხოვლე ნამოსახლარზე და მდ. მტკვრის შენაკადების, მდინარეების არაგვისა (ყაზბეგი) და ფრონეს (რუსთავი, ავლევი, ტახტიძირი) ხეობებში (ლორთქიფანიძე, 1999, 28; Lordtkipanidze, 2002, 12-13; გაგოშიძე, 2020). ბერძნული იმპორტი აღმოჩენილიანია გრაკლიანზეც (ლიჩელი, 2019, 27-29).

ამ პერიოდში კოლხეთის მოსახლეობის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ანტიკური საბერძნეთის გარდა, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებთან, ბოსფორის სამეფოსთანაც ფიქსირდება. ამ კუთხით აღსანიშნავია, ყირიმში, ნიმფეის არქაული ტაძრის არქეოლოგიური გათხრებისას, ძვ. წ. V საუკუნის ფენაში აღმოჩენილი კოლხური პითოსების ნამტვრევები კოლხურ ვერცხლის მონეტებთან ერთად; ბოსფორის სამეფოს დედაქალაქის პანტიკაპეის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძვ. წ. VI - IV სს. კოლხური ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტები, და იქვე ნაპოვნი ძვ. წ. VI ს. ღია ტიპის იონური

ჭრაქის ფრაგმენტი, რომელზედაც ამოკაწრულია წარწერა „კოლხოს“(ინაძე, 2009, 239-240; ლორთქიფანიძე, 1966, 91-90).

წინაელისტური ხანაში კოლხეთს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მცირეაზიის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარე სატრანზიტო ვაჭრობის მსხვილ ცენტრ სინოპთან, რასაც მოწმობს სინოპური კერამიკული ტარის დიდი რაოდენობით გამოვლენა ქობულეთ-ფიჭვნარში, სოხუმის ციხესა და გუად-იხუზე, ასევე სინოპური დრაქმების აღმოჩენის ფაქტი სოხუმში, გუდაუთასა და ქობულეთ-ფიჭვნარში (ინაძე, 2009, 240; კახიძე, 2016, 143; დუნდუა და დუნდუა, 2013, 76). წინაელისტური ხანის დასასრულიდან კი კოლხეთი ეკონომიკურ ურთიერთობებს იწყებს მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროს მეორე მნიშვნელოვან სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრ ჰერაკლიასთან (ინაძე, 2009, 240).

წინაელისტური ხანაში კოლხეთს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც (სირია, ეგვიპტე, ფინიკია, ირანი), რის შედეგად აღმოსავლური პროდუქცია, სამკაული და ნელსაცხებლები ვრცელდებოდა არა მხოლოდ კოლხეთის ბარის, არამედ მთიან რაიონებშიც. ვაჭრობა ეგვიპტესა და სირიასთან ხორციელდებოდა არმენიაზე ან ჭოროხის ხეობაზე გამავალი სახმელეთო გზებით, ან საზღვაო მარშრუტით ქ. მილეტის მეშვეობით. მილეტელი ვაჭრები ეგვიპტურ და სირიულ პროდუქციას ნავკრატისიდან საზღვაო გზით აწვდიდნენ შავიზღვისპირეთისა და მათ შორის კოლხეთის სანაპირო ქალაქებს, საიდანაც აღმოსავლური საქონელი მდ. ფაზისის სანაოსნო-სატრანზიტო მაგისტრალით კოლხეთის შიდა და მთიან რაიონებამდეც აღწევდა. საფიქრებელია, რომ ამ გზით უნდა მომხვდარიყო ეგვიპტური სკარაბეები რაჭაში. ეგვიპტესა და სირიასთან ვაჭრობის შედეგად უნდა იყოს შემოტანილი აგრეთვე ფინიკიური მინის ორი საბალზამე, ეგვიპტური და სირიული ფერადი მინისა და პასტის მძივები რაჭაში, ძვ. წ. VI - IV სს - ის სირიული სახელოსნოს ფერადი მინის მძივები დაბლაგომში, ეგვიპტური და სირიული წარმოშობის არაერთი ნივთი ვანში (ინაძე, 2009, 242).

ირანთან კოლხეთისა და იბერიის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ მეტად მწირი წერილობითი წყაროები არსებობს, შესაბამისად, მსჯელობა ძირითადად არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე მიმდინარეობს (ბრაგვაძე, 2009, 22-27; ბრაგვაძე, 2017, 151; გაგოშიძე, 1984). როგორც ცნობილია, ძვ. წ. VI საუკუნეში ამიერკავკასიის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამხრეთ-ირანული ტომების მიერ შექმნილი სპარსეთის სახელმწიფო აქემენიანთა საგვარეულო დინასტიით სათავეში, რომელმაც დაიპყრო თითქმის მთელი მცირე აზია, სირია, პალესტინა, ბაბილონი და მოგვიანებით მისი ხელისუფლება ეგვიპტეზეც განავრცო (მელიქიშვილი, 2012, 147). ძვ. წ. VI ს-ში სპარსეთმა დაიმორჩილა ისტორიული კოლხეთის სამხრეთ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც ჰეროდოტეს (484-425) ცნობით, სპარსეთის ერთ-ერთ, მე-19 სატრაპიას შეადგენდა. უფრო ჩრდილოეთით მცხოვრები კოლხები და მათი მეზობლები კავკასიონის ქედამდე, სპარსეთის მეფეებისათვის ნებაყოფლობითი ძღვენის მირთმევით შემოიფარგლებოდნენ (მელიქიშვილი, 2012ა, 156). აქემენინათა უზარმაზარი იმპერიის ფარგლებში ძლიერ განვითარდა ვაჭრობა, ფულის მოჭრისა და მიმოქცევის სისტემა. სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებამ აქემენიანთა იმპერიაში დააჩქარა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი იმპერიაში შემავალ თუ მის მეზობლად მცხოვრებ ხალხებში, რაც ისტორიული საქართველოს მოსახლეობასაც შეეხო (მელიქიშვილი, 2012, 147; მელიქიშვილი, 2012ა, 156). აქემენიდური ირანის კულტურული გავლენები აისახა იბერიის კერამიკულ წარმოებასა (კვიჟინაძე, 1975, 8; გაგოშიძე, 1982, 118; დავლიანიძე, 1983, 128; ნარიმანიშვილი და შატბერაშვილი, 2002, 54-70) და კოლხურ ოქრომჭედლობაზე (ჭყონია, 1981, 11-49; ჭყონია, 2013, 117-121).

ირანთან სავაჭრო ურთიერთობების მოწმობადაა მიჩნეული ირანული წარმომავლობის საყოფაცხოვრებო ნივთების, წითლად მოხატული თიხის დოქების გავრცელება ძვ. წ. V-IV სს-ის ძეგლებზე მთელ შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მესხეთსა (Нариманишвили, 1991, 69-80) და იმერეთში (ლორთქიფანიძე, 1995, 22; ნადირაძე, 1990, 77; ბრაგვაძე, 2003, 89; გაგოშიძე, გოგიბერიძე და მახარაძე, 2006, 43-44; ბრაგვაძე, 2015, 40-

41). კოლხურ ჭედურ ხელოვნებაზე აქემენიდურ გავლენის ამსახველი თვალსაჩინო ნიმუშებია ვანის ნაქალაქარისა და საირხის საბადურის გორის სამარხებში გამოვლენილი ძვ. წ. V-IV სს-ის ირანული წარმომავლობის ან აქემენიდური ხელოვნების მიბაძვით დამზადებული ოქროსა და ვერცხლის არაერთი ნივთი (ჭყონია, 1981, 11-16, 32-37, 41-49; ბრაგვაძე, 2015, 37-48; მახარაძე და წერეთელი, 2007, 38-39, 62-78, 84-94; Nadiradzé, 1990, 213-222; Braund, 1994, 126-127). ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრის სამარხებში აღმოჩენილი ე. წ. ზურგჩაზნექილი ოქროს სამაჯურები (ჭყონია, 2013, 117-121, მახარაძე და წერეთელი, 2007, 65; ლორთქიფანიძე, ო. 1972ა, 18; გაგოშიძე, 1981, 16; ჭყონია, 1981, 47-19; ნადირაძე, 1990, 49-50) რომელთა გარკვეული ნაწილი ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული აქემენიდური ირანის სახელოსნოებიდან გამოსული სამაჯურების მიბაძვით, ზოგიერთი ნაწილი კი უშუალოდ ირანული სახელოსნოების ნაწარმია და კოლხეთში გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის გზითაა მოხვედრილი (ჭყონია, 2013, 117-121; ლორთქიფანიძე, 1995, 14; ნადირაძე, 1990, 50). ირანული ტორევტიკის მინაბაძია ასევე სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ვერცხლის რიტონი (გამყრელიძე, 1982, 73-80; Gamkrelidze, 1998, 211-219). კოლხეთის მხატვრულ ნაწარმზე ირანული გავლენების თვალსაზისით, საირხის მრავალრიცხოვანი მონაპოვარიდან მნიშვნელოვანია ოქროს საკერებელ ფირფიტასა და ვერცხლის სურაზე გამოსახული ხარისა და ლომის ბრძოლის სიუჟეტი, რომელიც აქემენიდურ კულტურაში ზოროასტრული კალენდრის უმთავრესი დღისა და უპირველესი რელიგიური დღესასწაულის გაზაფხულის ბუნიობის აღმნიშვნელი მოტივია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ორივე ნივთი შეიძლება თანაბრად ჩაითვალოს როგორც ირანიდან შემოტანილად ისე ადგილობრივ დამზადებულად. ორივე შემთხვევაში სახეზეა ირანული რელიგიისა და კულტურის პირდაპირი გავლენა (ბრაგვაძე, 2017, 152). ანალოგიური სცენაა წარმოდგენილი ვანის ძვ. წ. V საუკუნეების შუა ხანებით დათარიღებულ ოქროს, ადგილობრივი წარმოების, კოლხურ დიადემებზეც (ლორთქიფანიძე, ო 1972ა, 11; ჭყონია, 1981, 11-17; ბრაგვაძე და წერეთელი, 1999, 38-46).

ძვ. წ. V-IV სს-ში სამხრეთ კავკასიაში აქემენიდური გავლენის ყველაზე მეტყველი საბუთია სპარსული რეზიდენციის ნაშთები. აქემენიდური „სასახლის“ ხუროთმოძღვრული დეტალები გამოვლენილია იბერიაში - ალაზნის ველზე, ადგილ გუმბათზე (Knauss, 2006, 104; ყიფიანი, 1993, 4-13); თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე - სარი-თეფეზე, სოფ. ყარაჯარმილში (Babaev, Gagoshidze და Knauß, 2007, 31-47); სომხეთში - დრასხანაკერტში, სოფ. ბენიამინთან (Ter-Martirossov, 1996, 187-189) და ერებუნში არინ-ბერდის ბორცვზე (Kanetsyan, 2001, 145-155). აქემენიდური ტიპის ორმაგპროტომიანი კაპიტელი აღმოჩენილია აგრეთვე აღმოსავლეთ კოლხეთში, საირხის ნაქალაქარზე (ყიფიანი, 1993, 4-30).

აქემენიდური ხანის ინტენსიური კვალი დადასტურებულია გრაკლიანი გორაზე, რომელიც შიდა ქართლში, მდინარეების ლეხურასა და თორთლას შორის მდებარეობს და წარმოადგენს პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით არსებულ მრავალფენიან ნამოსახლარს (Licheli, 2011). აქემენიდურ ხანის ძვ. წ. V-IV სს-ის კულტურული ფენები შემონახულია ძეგლის II, III და IV ტერასებზე, სამარხებითა და ნაგებობებით, მათ შორის ცეცხლის საკურთხევლებით (Licheli, 2020, 351-353; 2020a; Licheli, 2011). გრაკლიან გორაზე ასევე გამოვლენილია აქემენიდური ტიპის მრავალრიცხოვანი კერამიკა (Licheli, 2020a, 50). გრაკლიანი გორის III ტერასაზე, გვიან ბრინჯაოს კულტურულ ფენაში ძვ. წ. V-IV საუკუნეებში ჩაჭრილ არხში, რომლის ფუნქცია გაურკვეველი რჩება, სხვადასხვა დონეზე დაფიქსირებულია შერეული კერამიკული და ოსტეოლოგიური მასალა, მათ შორის, შავლაკიანი ჭურჭლის, სავარაუდოდ კილიკის ძირის ფრაგმენტი (ფიგურა 5), რომელსაც შიდაპირზე შტამპით დატანილი ორი პალმეტი აქვს. კეცი მკვრივია, ნაცისფერი და ცუდად განლექილი. ლაკიც უხარისხოა. კეცის სისქე ძირზე - 0, 6 სმ, ქუსლის სიმაღლე - 2 სმ. ფიქრობენ, რომ იგი დამზადებულია მცირე აზიაში ან აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის რომელიმე ბერძნულ კოლონიაში (ლიჩელი, 2019, 27-29). ეს, ჯერ-ჯერობით, აღმოსავლეთ საქართველოში ბერძნული შავლაკიანი კერამიკის აღმოჩენის ყველაზე უკიდურესი ლოკაციაა, რომელიც ესოდენ დაშორებულია შავი ზღვის სანაპიროს. აქ აღმოჩენილი ბერძნული შავლაკიანი კერამიკა IV ტერასაზე

გათხრილი N IV – 1 შენობის სინქრონულია. შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამართულ სარიტუალო ბაქანზე ცეცხლის გადასატანი ორი თიმიატერიონი აღმოჩნდა. ასეთივე თიმიატერიონები აღმოჩენილია 2018 წელს IV ტერასაზე გამოვლენილ NIV – 5 შენობის ღუმელზეც. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გრაკლიანის გორაზე გამოვლენილი ბერძნული არქიტექტურული დეტალები (ფიგურა 6).

2018 წელს, გრაკლიანი გორის V ტერასაზე, G4 კვადრატის დასავლეთ ნაწილში, 0 დონიდან (ზ.დ. 691.43 მ) - 0.86 მ-ზე გამოვლინდა, 0.40 მ-ის სიმძლავრის თიხნარი ფენა, რომელშიც ფიქსირდება რიყის ქვები და რომელიც ზემოდან ადევს ყვითელი ხრეშის ფენას. თხრილის აღმოსავლეთი პროფილის კედლიდან 3.20 მ-ის დაშორებით ნულოვანი წერტილიდან დონიდან-0.96 მ-ის სიღრმეზე (ზ. დ. 691.43მ) აღმოჩნდა კირქვის მცირე ზომის არქიტექტურული დეტალები. ისინი მიმობნეული იყო H4 კვადრატში, 0.70 მ-ის რადიუსზე. აღმოჩენილია სულ 28 ფრაგმენტი. მათ შორის 9 შემკულია „მარგალიტების“ ერთი რიგით (ფიგურა 6), რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია თითო ვერტიკალური ლილვაკით, 12 ფრაგმენტი მკვეთრად პროფილირებული და ორნამენტის გარეშეა, ხოლო 7 ძლიერად დაზიანებულია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნულოვანი დონიდან -0.97 მ სიღრმეზე, თხრილის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა ამავე დეტალების მსგავსი ფორმები და ამავე ტიპის ქვის ფრაგმენტები. ვარაუდობენ, რომ ეს არის სტელა, რომელიც შემკული იყო „მარგალიტების“ ორნამენტით და შესაძლოა, მის შუა ნაწილში გამოკვეთილი იყო რომელიღაც ღვთაების ქანდაკება, რაზეც მიუთითებს შემორჩენილი დრაპირების ერთი ფრაგმენტი (ფიგურა 7). სტელა დამსხვრეულია.

აღნიშნულ ფენაში აღმოჩენილი კერამიკული მასალა შერეულია და არ არის სინქრონული, რაც ართულებს დეტალების სტრატიგრაფიულად დათარიღებას. ამ მხრივ, მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ ანალოგებით. ამ ფენაში, უშუალოდ დეკორატიულ დეტალებთან ერთად გამოვლენილია, როგორც გვიანი ბრინჯაოს ხანის თიხის შავად გამომწვარი თასის ფრაგმენტი, ისე შავლეგა ჯამის ფრაგმენტი, რომელიც ანალოგიურია

ხოვლე II ჰორიზონტში არსებული მასალის და დათარიღებულია ძვ. წ. V-IV სს-ით. აღსანიშნავია, რომ ეს ფენა გაჯერებულია ქართლური მოხატული კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტებით, მათ შორისაა სამადლოს ტიპის კერამიკა, რომელიც ძვ. წ. IV ს-ის ბოლო - II ს-ის დასაწყისით თარიღდება (ლიჩელი, 2019, 30-31).

რაც შეეხება ზემოთ აღწერილი არქიტექტურული ფრაგმენტების პარალელებს, მსგავსი დეკორი, კერძოდ, მარგალიტისებური მწკრივი, სადაც თითოეული მათგანი გამოყოფილია ერთმანეთისაგან ორი ვერტიკალური ლილვაკით დამახასითებელია ელინისტური არქიტექტურისათვის (Winter, 2006). ეს ხუროთმოძღვრული ორნამენტი გვხვდება ბერძნული კოლონიების ჩრდილოეთ შავი ზღვის ჩრდილოეთითაც, სადაც იგი თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნით (Bujskich, 2010, 98-120; Катющин, Крыжщий & Кутаисов, 2004.) საინტერესოა, რომ გრაკლიანი გორაზე აღმოჩენილ არქიტექტურულ დეტალებს ზუსტი ანალოგი არ ეძებნებათ არც იბერიაში და არც კოლხეთში, რომელიც ასე ძლიერ განიცდიდა ბერძნული კულტურის გავლენას.

აქამდე აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილი იყო ბერძნული ორდერის რამოდენიმე ფრაგმენტი (სვეტები, სვეტის თავები და კარნიზის ნატეხები) იბერიის ძველი დედაქალაქის მცხეთის მიდამოებიდან. ქ. მცხეთის დასავლეთით 8, 5 კმ-ზე, სარკინეში აღმოჩენილია იონური ორვოლუტიანი სვეტისთავი, რომელიც შემკულია იგოეთში ნაპოვნი არქიტექტურული ორნამენტის მსგავსი გამოსახულებით, მარგალიტების მწკრივით (აფაქიძე, 1963, 39-42). კაპიტელი ძვ. წ. III-II საუკუნეების რკინის საწარმოს ნაშთებშია აღმოჩენილი და ვვარაუდობენ, რომ ამ ადგილას შემთხვევით არის მოტანილი, შესაბამისად, მისი თარიღის განსაზღვრა სტატიგრაფიის შედეგად ვერ მოხერხდა. აფაქიძე (1963, 39-42) მას ძვ. წ. III საუკუნით ათარიღებს, ო. ლორთქიფანიძე (1968, 60) კი მას, სარდის არტემიდეს ტაძრის კატიპელებთან შედარებით, ძვ. წ. III-II საუკუნეებს მიაკუთვნებს. გ. ყიფიანის (1987, 24-33) აზრით, სარკინეს კაპიტელი, მისი ტექტონიკის, მორთულობის სტილისტური მხარისა და მეტროლოგიის გათვალისწინებით, გვიანელინისტური ხანით, ძვ. წ. II-I საუკუნეებით თარიღდება.

ძეგლის გამთხრელის აზრით, გრაკლიან გორაზე გამოვლენილი ბერძნული არქიტექტურული დეტალები ძვ. წ. V ან ძვ. წ. IV საუკუნეებს მიუკუთვნება (Licheli, 2020, 354). აღნიშნული არქიტექტურული დეტალები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის, არამედ საზოგადოდ, ბერძნული კულტურის გავლენენის ხარისხისა და ამიერკავკასიაში მისი გავრცელების გზების საკვლევად. საკითხი რთულდება იმ ფონზე რომ ბერძნულ წერილობით წყაროებში არ ფიქსირდება არავითარი ინფორმაცია ბერძნების აქტივობის შესახებ აღნიშნულ რეგიონში, სადაც ამ დროს აქემენიდური კულტურის ინფილტრაცია მიმდინარეობს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა წითელბეგების ნამოსახლარის, კერძოდ ტახტიძირის სამაროვნის ნივთიერ მასალაში გამოვლენილი ბერძნული და აღმოსავლური იმპორტის სინქრონულობა. წითელბეგების ნამოსახლარი მდებარეობს მდ. ფრონის მარცხენა ნაპირას, ქარელის მუნიციპალიტეტების სოფლების ტახტიძირისა და დვანის საზღვარზე. 1996-1997 წლებში ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ი. გაგოშიძის ხელმძღვანელობით წითელბეგების სამხრეთ ბოლოში ძვ. წ. IV საუკუნისა და III საუკუნის დასაწყისის (გვიანაქემენიდური-ადრეელინისტური) 23 სამარხი, ხოლო ჩრდილოეთ უბანზე გვიანელინისტური-ადრერომაული ხანის 11 სამარხი გათხარა (გაგოშიძე, 2020, 14-15, გაგოშიძე, 1997, 16-17). ტახტიძირი საქართველოში უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტია, საკმაოდ დაშორებული შავი ზღვის სანაპიროდან, სადაც სამარხებში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა აღმოჩენილი ძველი ბერძნული იმპორტი[11], კერამიკა მათ შორის, შავლაკიანი კანთაროსი (ფიგურა 8), კილიკი (ფიგურა 9) და ჯამები (ფიგურა 10), უნგვენტარიუმი, არიბალოსისებრი ჭურჭელი, მინისა და ლითონის ნაწარმი (გაგოშიძე, 2020, 30). ტახტიძირში რკინის ბერძნული იარაღებიც აღმოჩნდა, რომელთა შორის საინტერესოა

[11]უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისს სამეცნიერო დისკუსიებსა და პუბლიკაციებში სრულიად იგნორირებული იყო ტახტიძირში გამოვლენილი ბერძნული იმპორტი, მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენის შესახებ ძეგლის გამთხრელმა საერთაშორისო სამეცნიერო სესიაზე, კავკასიის არქეოლოგიის უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, წაიკითხა მოხსენება „არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის რაიონი)“ (გაგოშიძე 1997, 16-17), რომელიც თეზისის სახით გამოქვეყნდა 1997 წელს.

სტრიგილი, ძველბერძნული (და რომაული) ხელსაწყო, რომელსაც მოჭიდავე ათლეტები სხეულიდან საპოხი ზეთისა და ზედ აკრული ჭუჭყის ჩამოსაფეკად ხმარობდნენ შეჯიბრების შემდეგ. მისი შიდა ქართლში აღმოჩენა, გამთხრელის აზრით, აქ სპორტული შეჯიბრებების იმ ბერძნული წესის გავრცელებას უნდა გულისხმობდეს, რომლის თანმხლები ატრიბუტია სტრიგილი. ტახტიძირი, ჯერჯერობით, საქართველოში ზღვისპირეთიდან ყველაზე მეტად დაშორებული პუნქტია, სადაც ძვ. წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ სამარხში დადასტურებულია დაკრძალვის ბერძნული წესი, მიცვალებულისთვის მონეტის, ე. წ. ქარონის ობოლის გატანების ფაქტი, ტახტიძირში დაკრძალულ ერთ-ერთ ბავშვს პირში ალექსანდრე მაკედონელის სტატერი აღმოაჩნდა, მეორე მიცვალებულისთვის კი კოლხური თეთრი გაუტანებიათ (გაგოშიძე 2020, 16, 23). ტახტიძირის გამთხრელის, ი. გაგოშიძის (2020, 16) თანახმად, ძვ. წ. IV საუკუნის შიდა ქართლში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში ბერძნული დამწერლობის წესიც გავრცელებულა, რასაც N6 სამარხში აღმოჩენილ შავლაკიან კანთაროსზე, რომელიც ეროვნულ მუზეუმშია გამოფენილი, ამოკაწრული ბერძნული წარწერები (სავარაუდოდ, მფლობელის სახელი) მიუთითებს (ფიგურა 8).

ტახტიძირის სამარხებში ბერძნულ იმპორტთან ერთად უხვად არის დაფიქსირებული აღმოსავლური იმპორტიც. N8 სამარხში აღმოჩენილ წყვილ შავპრიალა კერამიკული ამფორა-რიტონის ფორმა (ფიგურა 11), ი. გაგოშიძის (2020, 16) მტკიცებით, სპარსულ-აქემენიდურია. მისი აზრით, ადრეული აქემენიდური ხანის (ძვ. წ. VI ს.) ბაბილონური ნაწარმია, ამავე სამარხში აღმოჩენილი, მუქი ცისფერი ქალცედონის კონუსური საბეჭდავი, რომელზეც ძველაღმოსავლური სიუჟეტი - სიცოცხლის ხე და მის ორივე მხარეს აყალყული თხებია ამოკვეთილი (ფიგურა 12). ი. გაგოშიძე (2020, 45) მას ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრში, ბაბილონში დამზადებულად მიიჩნევს, რომლსაც ჯ. ბორდმანის მიერ „ბერძნულ-აღმოსავლურ“ საბეჭდავებში გამოყოფილ ე. წ. სასახლის სტილის კლასის საუკეთესო ნიმუშთა რიგს მიაკუთვნებს. აშკარაა, რომ ტახტიძირის სამაროვნის ნივთიერ მასალაში დასავლეთ და აღმოსავლეთ სამყაროს საქართველოში თანხვედრაა ასახული. ძვ. წ. V-IV საუკუნეების ჩრდილო ირანულ ნაწარმად ითვლება

ფერუმარილის კონტეინერები, თვალის საღებავისათვის განკუთვნილი, ფერადი მინის ცილინდრული ან ოთხწახნაგა განიკვეთის წაგრძელებული პრიზმის ფორმის ჭურჭელი, ე. წ. კოლ-ტუბი, რომლის სამი ეგზემპლარი - შავი საღებავით სავსე ორი მთელი კოლ-ტუბი ტახტძირის სამაროვანის N8 სამარხში და მესამე, კოლტუბის ნატეხი - მძივად გამოყენებული კოლტუბის ყელ-პირი N18 სამარხში აღმოჩნდა (გაგოშიძე, 2020, 33).

გაგოშიძის (2020, 53) მტკიცებით, აქემენიდურ ირანსა და საქართველოს (კოლხეთს) შორის მრავალმხრივი კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები დამყარდა ძვ. წ VI საუკუნის დასასრულიდანვე, რის შედეგადაც მნიშვნელოვანად შეიცვალა იმდროინდელი საქართველოს მატერიალური კულტურის თითქმის ყველა სფერო. ი. გაგოშიძე პოლიტიკური ერთიანობით ხსნის იმ ფაქტს, რომ ბერძნული კერამიკული იმპორტი სამადლომდე და კოლხური თეთრი მცხეთამდე აღწევს, მაშინ როცა მეზობელ არმენიაში დღემდე არც კოლხური თეთრი უპოვიათ და არც შავლაკიანი ჭურჭლის ნატეხები.

აღსანიშნავია, რომ შავიზღვისპირეთში ბერძნული პოლისების და აქემენიდურ კულტურაში ბერძნული ელემენტების არსებობის მიუხედავად, აქემენიდურ ხანაში ბერძნული კულტურის პირდაპირი გავლენა თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე არ დასტურდება (Redgate, 1998, 61). მწირია მონაცემები სომხეთის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ანტიკურ ხანაში, თუმცა ჰეროდოტესთან შემონახულია ცნობა ასირიელების მიერ სომხეთიდან ბაბილონში ღვინის ექსპორტის შესახებ. რედგეითის (1998) თანახმად, აქემენიდების სამეფო გზები სამხრეთ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ფუნდუკების მეშვეობით ფუნქციონირებდა.

ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ საქართველოში ლიხის ქედის ორივე მხარეს ვრცელდება ისეთი სპეციფიკური ბერძნული წესი, როგორიცაა მიცვალებულისათვის ქარონის ობოლის გატანება. მეზობელ არმენიაში კი იმ დროს ამ წესს არ იცნობდნენ (გაგოშიძე 2020, 54).

უკანასკნელ წლებში ქარონის ობოლის სამარხებში ჩაყოლების ფაქტებს ყურადღება მიექცა ალბანეთის ტერიტორიაზეც. კერძოდ, 2006 წელს ჯალილაბადის რაიონში, თალიშის მთის ფერდობზე, სოფ. ჯაფარხანლში გათხრილ ორმოსამარხში მიცვალებულის ყბის არეში დადასტურდა პართიის მეფის მითრიდატე II-ის (123-88 ძვ.წ) ვერცხლის მონეტა (Гошгарли, 2010, 127-128).

საქართველოს ორივე ნაწილში ერთდროულად ვრცელდება ბერძნული ასო-ნიშნები (ითხვისში შესრულებული ბერძნული გრაფიტოები, ტახტიძირში კანთაროსზე ამოკვეთილი წარწერა, სამადლოსა და კავთისხევის ციხიაგორის კრამიტებზე დატანილი რიცხვები ბერძნული ასო-ნიშნებით). ამავე დროს, სპარსულ-აქემენიდური იმპორტი და გავლენები ერთნაირად აისახება მთელს საქართველოში აქემენიდური ტიპის ორმაგპროტომიანი კაპიტელები კავთისხევში, საირხესა და ვანში (ყიფიანი 1993; გაგოშიძე 2020, 54) და ჩრდილოირანული წარმოების კოლტუბების გავრცელება არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც (Gagoschidze და Saginaschvili, 2000).

ადრე ანტიკური ხანიდან ბერძნული იმპორტული კერამიკა სამხრეთ საქართველოსაც აღწევდა, რომელიც კოლხეთის სამეფოდან ვრცელდებოდა (დემეტრაძე 2009, 25-30; Licheli 2007, 58). აწყურის ნაქალაქარზე, რომლიც ბორჯომის ხეობის დასაწყისში, მდ. მტკვრის ორივე მხარეს მდებარეობს, ბერძნული იმპორტი პირველად ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ჩნდება. აწყურში აღმოჩენილი ბერძნული კერამიკა ორ ჯგუფად იყოფა, აღმოსავლურ ბერძნული და ატიკური (დემეტრაძე, 2009, 25). ნაქალაქარზე აღმოჩენილი იონიური თასის ფრაგმენტი, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის მიწურულს განეკუთვება, კოლხეთის გარეთ მოპოვებულ იმპორტულ ნაწარმში ყველაზე ადრეულია (Licheli, 2007, 58). დანარჩენი იმპორტი ძვ. წ. V საუკუნის შუახანებიდან ვიდრე ძვ. წ. II საუკუნემდე პერიოდს უნდა მოიცავდეს (Licheli, 2007; დემეტრაძე, 2009). აწყურის ნაქალაქარზე მოპოვებულ მასალაში ბერძნული იმპორტული ნაწარმის (ძვ. წ. VI ს-ის იონიური არქაული კილიკები; ატიკური წარმოების ძვ. წ. V-IV საუკუნების შავლაკიანი და შავფიგურული კერამიკის ფრაგმენტები; 80-მდე თვალადი მძივები) კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა აქემენიდური და მისი მიბაძვით დამზადებული

კერამიკული ნივთები. თვით აქემენიდურ ირანში დამზადებულად მიაჩნია ვ. ლიჩელს (2000, 139-142) რამოდენიმე ჭურჭელი, რომლებიც წარმოდგენილია წითელი საღებავით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჩალისფერკეციანი ნატეხებით. მას, ცხადია, განიხილვენ იმ აქემენიდურ კონტექსტში, რომელიც აქ ლითონის ნივთებით არის ცნობილი, რომელთაგან აღსანიშნავია ბრინჯაოს 30 ნახვრეტიანი ფირფიტა, კალენდარი, რომელიც თევზების გამოსახულებებითაა შემკული და ძვ. წ. IV-III საუკუნეებს განეკუთვნება. ამავე დროს, საინტერესოა ის სამკაული და ინსიგნიები (ცხენის, მტრედის, მზის, მთვარის კვეთილი გამოსახულებებით შემკული ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭდები), რომლებიც აშკარად აქემენიდური ხასიათისაა და დაკრძალვის სრულიად უცხო რიტუალთანაა (ხარის მთლიანი ჩონჩხები სამარხებში) დაკავშირებული (Licheli, 2000, 139-142).

ბერძნული იმპორტული კერამიკა აწყურში სავარაუდოა რომ ვანიდან, ქობულეთ-ფიჭვნარიდან, სიმაგრიდან ან ბათუმის ციხიდან ვრცელდებოდა. სამხრეთ საქართველოს აჭარასთან გოდერძის უღელტეხილი, ხოლო კოლხეთის შიდა რაიონებთან, რომლის ცენტრსაც ძველი ვანი წარმოადგენდა, ზეკარის უღელტეხილი აკავშირებს (დემეტრაძე, 2009, 27). ძვ. წ. VI-I საუკუნეებში კოლხეთის ძირითად სავაჭრო პუნქტებს შორის ინტენსიურ სარედისტრიბუციო საქმიანობას ახორციელებდა ვანი, სადაც თავს იყრიდა კოლხეთის შიდა ბაზარზე შემოსული ნაირგვარი კერამიკა (Licheli, 2007, 58). ბერძნული იმპორტის სამხრეთ საქართველოში ზეკარის უღელტეხილის გზით გავრცელებას ადასტურებს როგორც არქეოლოგიური ისე ნუმიზმატიკური მასალა (ლიჩელი, 2018, 115-116). ბერძნული შავპრიალა კერამიკა და მონეტების განძი აღმოჩნილია ვანი-აწყურის შემაერთებელ გზაზე, სოფ. სულორის ტერიტორიაზე, რომელიც კოლხეთიდან სამხრეთ საქართველოში გადამავალი გზის საწყისია. განძში შედიოდა 700-მდე ვერცხლის ადგილობრივი მონეტა, ტრიობოლები და ვერცხლის სამი უცხოური მონეტა, რომელთაგან ორი დაზუსტებითაა განსაზღვრული, მესამეს ატრიბუცია კი სათუოა (დუნდუა და დუნდუა, 2013, 75). ამათგან ერთი მონეტა არის აქემენიდური ხანის ძვ. წ. V საუკუნის სპარსული სიკლი (შუბლი – მარჯვნივ მიმართული ირანის „მეფის

გამოსახულება. ზურგი – *quadratum incusum)* (დუნდუა და დუნდუა, 2013, 77). მეორე კი მცირეაზიული ვერცხლის მონეტაა, რომელიც მოჭრილია ლიდიის სამეფოში ძვ. წ. 561-546 წლებში. ავერსზე ერთმანეთის საპირისპიროდ გამოსახულია დაღრენილი ლომის და ხარის თავები. ზურგი, ორი *quadratum incusum*. მცირე ზომის ვერცხლის მესამე მონეტაზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ფაფარიანი ლომის თავი, ხოლო ზურგზე – გამარტივებული ვარსკვლავისმაგვარი ფიგურა. შუბლის მოტივის მიხედვით, პირობითად ისიც ლიდიას მიეკუთვნება (არ გამორიცხავენ მის ემისიას კარიაში) და თარიღდება ძვ. წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით (დუნდუა და დუნდუა, 2013, 75).

ნიშნდობლივია, რომ უღელტეხილის სამხრეთით, კურორტ აბასთუმნის ტერიტორიაზე ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოების შედეგად მიკვლეულია ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, რაც, ასევე, ამ ხანაში უღელტეხილის აქტიურ გამოყენებაზე მიუთითებს (ლიჩელი, 2018). ეს გზა აღწერილია, აგრეთვე, ახ. წ. IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილ საგზაო რუკაზე (ფიგურა 13), რომელსაც „პევტინგერის ტაბულას“(Tabula Peutingeriana)[12] უწოდებენ.

[12] ახ.წ. IV საუკუნეში რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის შედგენილ საგზაო რუკა აღმოჩენილ იქნა 1501 წელს, და მოხვდა ცნობილი სიძველეთმცოდნის კონდარ პევტინგერის ბიბლიოთეკაში. ამიტომაც მას „პევტინგერის ტაბულას“ უწოდებენ. რომაელი გეოგრაფის რუკა ვაჭარ-მოგზაურებისთვის იყო გათვლილი და მასზე მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქები და მათ შორის არსებული მანძილებია დატანილი. კასტორიუსის რუკის X-XI სეგმენტებზე გამოსახულია აზიის კონტინენტი და მასთან ერთად ამიერკავკასიის ქვეყნებიც, მათზე გამავალი სავაჭრო გზებისა და ქალაქების ჩათვლით. რუკა თავდაპირველად გამოსახული ყოფილია ფერადი საღებავებით პერგამენტის 12 ფურცელზე, რომელთაგან პირველი არ შემონახულა. 12 ფურცელი, სეგმენტი ერთმანეთზე გრძივ არის მიწებებული და მასზე გამოსახული მსოფლიო წაგრძელებული ფორმისაა. რუკა დროთა განმავლობაში განხლებულა და ჩვენამდე მოღწეული რუკის ასლი XII საუკუნისაა. დროთა განმავლობაში, რუკის არაერთგზის გადაწერის დროს, ლათინურად დაწერილი უცხო ქვეყნის, ქალაქის თუ სხვა ლოკაციების სახელები მახინჯდებოდა. ამიტომ მიუხედავად მცდელობებისა, ზოგიერთი ლოკაციის სახელწოდება დღემდე იდენტიფიცირებული არ არის (ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი 2010, 130-131). კასტორიუსის რუკის შესწავლა ხდება მხოლოდ რავენელი უცნობი ავტორის მიერ 650 წ-ის ახლო ხანებში შედგენილი „კოსმოგრაფიის“ მონაცემების დახმარებით. რავენელი ანონიმი ხშირად იყენებს პევტინგერის ტაბულას და ამასთან ერთად ასწორებს და ავსებს მთელი რიგი დამატებითი ცნობებით, რომელიც მას სხვა წყაროებიდან აქვს აღებული (ლომოური 1953, 102). პევტინგერის ტაბულა ამჟამად ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება და UNESCO-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრშია შეტანილი.

სამხრეთ საქართველოში ვანი-აწყურის გზის მეშვეობით უნდა იყოს გავრცელებული ბერძნული კულტურისათვის დამახასიათებელი დაკრძავის წეს-ჩვეულება ქარონის ობოლის მიცვალებულისათვის გატანება. ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წნისში ძვ. წ. IV-III სს-ის სამარხებში დადასტურებულია კოლხური ვერცხლის გამოყენების შემთხვევები ქარონის ობოლის დანიშნულებით, დაკრძალულებს პირში ედოთ თითო კოლხური ტრიობოლი (კვიჟინაძე, 1983, 31-32).

ამდენად, ახალი აღმოჩენების საფუძველზე ჩანს, რომ მიუხედავად შავი ზღვისაგან კავკასიის იბერიის გეოგრაფიული იზოლაციისა, ბერძნული იმპორტი და დაკრძალვის წესები თავს იჩენს აქემენიდური/პოსტ-აქემენიდური ირანის გავლენის კონტექსტში, ისევე როგორც აქემენიდური გავლენები ბერძნული კულტურის ორბიტაში მყოფ კოლხეთში.

ამრიგად, საქართველო უძველესი დროიდან იყო გზაჯვარედინი, სადაც აღმოსავლეთი და დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი ერთმანეთს ერწყმოდა, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი ნივთიერი მასალა. სავაჭრო ურთიერთობები აზიასა და ევროპას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უძველესი დროიდან არსებობდა. ე. წ. აბრეშუმის გზების წარმოქმნა კი განპირებებულია ძვ. წ. II საუკუნეში არსებულ საერთაშორისო სავაჭრო გზებში ჩინეთის ჩართვით (De la Vaissière, 2014, 102-103). აბრეშუმის გზის ცალკეულ მონაკვეთებში, რომელიც ჯერ კიდევ წინარე ელინისტურ ხანაში ისახებოდა, საქართველოს ჩართულობის დასტურად მიჩნეულია 1856 წელს ძვ. წ. VI-IV საუკუნეების აქემენიდური სიკლის აღმოჩენა კოლხური მონეტების განძთან ერთად სურამის მიდამოებში (დუნდუა და დუნდუა, 2013, 77), რომელიც მდ. ფაზისის მეშვეობით ჩანს შემოსული ანტიკური საქართველოს ტერიტორიაზე და ძვ. წ. V-IV საუკუნეების ათენური ტეტრადრაქმა დმანისში (დუნდუა და დუნდუა, 2006, 49), ასევე შუა აზიაში, ფერგანის ველზე კოლხური თეთრის ოცი მონეტისაგან შედგენილი განძის აღმოჩენა (ლორთქიფანიძე და მუსხელიშვილი, 2011, 155).

კოლხეთსა და იბერიაში არაქაულსა და კლასიკურ ხანაში არსებული ლოკალური მნიშვნელობის მარშრუტები ქმნიან წინაპირობას იმ გზების ჩამოყალიბებისათვის ფიგურა 14), რომელიც ელინისტურ ხანაში უფრო ფართო სავაჭრო კავშირებისა და აბრეშუმის გზის შემადგენელი ნაწილი ხდება (ლორთქიფანიძე, 1999, 25-28; 1957, 376-383; კახიძე, 2016, 135-136).

თავი 5. სავაჭრო ურთიერთობები ანტიკური ხანის კავკასიაში

ელინისტური ხანა მსოფლიოში ეკონომიკური გამოღვიძებისა და სავაჭრო აღებ-მიცემობის ინტენსიური აღმავლობის პერიოდად არის მიჩნეული. ამ დროს, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფართო ქსელში ექცევა არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ უფრო შორეული ქვეყნები, ცენტრალური აზია, ინდოეთი და ჩინეთი (ლორთქიფანიძე, 1957, 383; დუნდუა და დუნდუა, 2006, 66).

5.1. ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მომავალი გზა: წერილობითი წყაროები და ნუმიზმატიკური მასალა

ბერძენ-რომაელ ავტორთა (პატროკლე, არისტობულე, სტრაბონი, ვარონი, პლინიუსი) ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკური ხანიდან მოყოლებული ერთ-ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც დასავლეთ სამყაროს აღმოსავლეთთან აკავშირებდა, ამიერკავკასიაზე (ალბანეთი, იბერია, კოლხეთი) გადიოდა (ლორთქიფანიძე, 1957; ლორთქიფანიძე, 2010, 97; Ртвелдзе, 2012, 129-131).

აღნიშნული გზის შესახებ უძველესი ცნობები დაცულია ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის *„გეოგრაფია“-ში.* სტრაბონს, როგორც თავის ნაშრომში აღნიშნავს, ინფორმაციის სამი სხვადასხვა წყარო ყავს, ესენია:

1. არისტობულე კასანდრეა (ძვ.წ. 375-301), ბერძენი ისტორიკოსი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს თან ახლდა ექსპედიციების დროს და დაწერა ნაშრომი აზიაში კამპანიების შესახებ;
2. ერატოსთენე (ძვ.წ. 276 - ძვ. წ. 195/194), ბერძენი მათემატიკოსი და გეოგრაფია;

3. პატროკლე (მოღვაწეობის პერიოდი ძვ.წ. 312-270 წწ.), ბერძენი გეოგრაფი და სამხედრო ოფიცერი, რომელიც დაინიშნა სელევკი I-ის მიერ სოგდიანასა და ბაქტრიანას გამგებლად. ძვ.წ. 285 წელს სელევკ I-ის ფლოტის მეთაურად გაგზავნის შემდეგ, პატროკლე იკვლევდა ამ ოლქების ჩრდილოეთ ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობების შესაძლებლობებს.

ზემოხსენებული გზის შესახებ სტრაბონი ერთგან გადმოგვცემს,

> „…ასე ამბობენ, რომ ოქსოსი საზღვრავს ბაქტრიანას და სოგდიანასგან და ვარგისია სანაოსნოდ. ისე რომ ინდური საქონელი მიაქვთ მასზე და ადვილად შემოაქვთ ჰირკანიაში და მის მეზობლად მდებარე ადგილებში, ვიდრე პონტომდე მდინარეების მეშვეობით“ (Strabo, II, 1, 15).

მეორეგან იგი ამ გზის უფრო დეტალურ აღწერილობას იძლევა,

> „…არისტობულე ოქსს მიიჩნევს უდიდეს მდინარედ, რომელიც მას აზიაში უნახავს, გარდა ინდოეთის (მდინარეებისა). და შემდეგ იგი ამბობს, რომ ის სანაოსნოა (ორივე, ისიც და ერატოსთენეც, პატროკლეს მიხედვით იმეორებენ) და რომ დიდი რაოდენობით ინდური ნაწარმი ჩამოაქვთ მასზე ჰირკანიის ზღვისკენ, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდგომ მდინარე კვიროსით და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინკენ ჩააქვთ“ (Strabo, XI, 7, 3).

მტკვრის მომდევნო მხარეებად შესაბამისს ლიტერატურაში სათანადოდაა მიჩნეული მდინარე ფაზისის თანამედროვე რიონ-ყვირილის მაგისტრალი (ლორთქიფანიძე 1957; ლორთქიფანიძე 2010), რომლის შესახებ სტრაბონი სხვა ადგილას აღნიშნავს,

> „…ფაზისი სანაოსნოა სარაპანისამდე (შორაპანი). ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა. აქედან ქვეითად ოთხ დღეში მიისვლება კვიროსამდე. ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი კოლხთა ემპორიონი, გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით. აქედან ამისომდე და სინოპემდე არის სამი ან ორი დღის ზღვით სამგზავრო“ (Strabo, XI, 2, 17).

ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მომავალი საერთაშორისო გზის შესახებ ცნობებს გვაწვდის პლინიუსიც მის „ბუნების ისტორია“-ში, სადაც იგი ციტირებს რომაელ სწავლულს მარკუს ტერენტიუს ვაროს (ძვ. წ. 116-27).

„...ვარო დასძენს, რომ, აგრეთვე, პომპეუსის ლაშქრობის დროს გამოკვლეულ იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში მდინარე ბაქტრთან, რომელიც ერთვის მდინარე ოქსს, ხოლო ამ მდინარიდან კასპიის ზღვით შესაძლებელია მდინარე მტკვარამდე ჩასვლა და რომ ინდური საქონელი არაუმეტს ხუთი დღისა სახმელეთო გზით ჩაიტანება პონტოში ფაზისთან“ (Pliny, 6, 19).

ამრიგად, ბერძნულ-რომაული წყაროებში აღწერილი საერთაშორისო გზა მოემართებოდა ინდოეთიდან კასპიის ზღვამდე სანაოსნო მდინარის ოქსოსის მეშვეობით, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ტერიტორიის გავლით (კავკასიის ალბანეთი, იბერია), მდ. მტკვრის ხეობით და ხმელეთით, და სანაოსნო მდინარე ფასისის (თანამედროვე რიონ-ყვირილას მაგისტრალი) მეშვეობით უკავშირდებოდა შავი ზღვის სანაპიროს ქალაქ ფასისს, შემდეგ საზღვაო გზით შავი ზღვისპირეთისა და მცირე აზიის ქალაქებს, სინოპესა და ამისოს.

სტრაბონისა და პლინიუსის ცნობები ერთმანეთს ავსებს შავი ზღვისპირეთში ინდოეთიდან მომავალი გზის კავკასიის მონაკვეთის უკიდურესი დასავლეთი სეგმენტის შესახებ და მათი წარმომავლობა სხვადასხვა წყაროდან კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის აღწერილი გზის არსებობას. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი (Бартольд, 1925, 11; Манандян, 1954, 53; Томпсон, 1953, 248; Tarn, 1951, 483-490; Karttunen, 1997; Braund, 1994, 40-42; Waugh, 2013) მიიჩნევდა, რომ ზემოხსენებულ ცნობებში საუბარია ინდოეთიდან ფასისამდე საქონლის გადატანის მხოლოდ შესაძლებლობაზე და სკეპტიკურად განიხილავდნენ აღნიშნული გზის ფუნქციონირების საკითხს. ანტიკური წყაროების ანალიზისა და არქეოლოგიური მტკიცებულებების საფუძველზე ზ. იამპოლსკიმ (Ямпольский, 1956), გ. გოზალიშვილმა (Гозалишвили,1956), ოთ. ლორთქიფანიძემ (1957; 1999) პ. კალიერმა (Callieri, 2001) და უკანასკნელ წლებში პ. შნეიდერმა (Schneider, 2017)

უფრო დამაჯერებელი გახადეს ზემოაღნიშნული სატრანზიტო გზის არსებობა (Jamburia 2022, 178).

შესაბამისს აკადემიურ ლიტერატურაში აღნიშნული მარშრუტის არსებობის საწინააღმდეგოდ გამოთქმული თითოეული მოსაზრების განხილვას არ შევუდგები, თუმცა, შევეხები ტარნის სპეკულაციას კასპიის ზღვაზე ნაოსნობის შესაძლებლობის საკითხთან დაკავშირებით.

მდინარე ოქსუსიდან ჰირკანიის ზღვამდე მარშრუტის შესახებ პლინიუსის ცნობის განხილვის დროს, ტარნი კონტექსტიდან ამოგლეჯილად იშველიებს კასპიის ზღვის შესახებ სტრაბონის დახასიათებას, „ნავების გარეშე და გამოუყენებელი“ (Strabo, XI, 7, 2) რის საფუძველზეც მიუთითებს, რომ კასპიის ზღვა სანაოსნო არ არის.

სინამდვილეში, სტრაბონის მიერ მოყვანილი მიზეზი კასპიის ზღვაზე გემების ნაკლებობის შესახებ, განსხვავდება ტარნის ინტერპრეტაციისაგან, სტრაბონი აკრიტიკებს ჰირკანიელებს სასოფლო-სამეურნეო და სხვა რესურსების გამოუყენებლობის გამო.

უფრო მეტიც, ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობების თანახმად, ცნობილია, არა მხოლოდ ის, რომ კასპიის ზღვა სანაოსნოა, არამედ ისიც, თუ რამდენი დრო დასჭირდებოდა მის გადალახვას (Herodotus, I, 203). ჰეროდოტეს ეს ცნობა გამორჩენილი აქვს რიგ ავტორებს, მათ შორის ო. ლორთქიფანიძესა და პ. შნეიდერს იმ მკვლევართა მტკიცებების დაუსაბუთებლობის საპასუხოდ, რომლებიც ამ გზის არსებობას უარყოფდნენ.

მიუხედავად ამისა, ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული სავაჭრო ქსელის ზოგიერთ სეგმენტზე სტრაბონისა და პლინიუსის ცნობები მოკლებულია გარკვეულ სიზუსტეს. კერძოდ, არც სტრაბონის და არც პლინიუსის ანგარიშები შეიცავენ სავაჭრო მარშრუტის საწყისი ადგილის ან მისი პირველი სახმელეთო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიის შესახებ ინფორმაციას ინდოეთიდან ბაქტრიამდე, და იქიდან კასპიის ზღვამდე. ამასთან, ისინი კასპიის ზღვაზეც არ მიუთითებენ სანაოსნო პორტის სახელწოდებას ან მის ზუსტ

მდებარეობას. თუმცა, სხვა ადგილას სტრაბონი მისი გეოგრაფიის ერთ-ერთი აბზაცში ასახელებს კასპიის ზღვასა და ბალხს შორის მიმავალ გზას (Strabo, II, 1, 11).

უძველესი ქალაქი ბალხი მდებარეობს ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე ამუ დარიას სამხრეთით დაახლოებით 65 კილომეტრზე, რომლიც ანტიკურ ხანაში ქალაქთან ახლოს მიედინებოდა. ჰინდიქუშსა და ამუ დარიას შორის ნაყოფიერ დაბლობში მდებარე ქალაქი ბალხი აკონტროლებდა ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილს, ცენტრალურ აზიას, ირანსა და დასავლეთ ჩინეთს შორის მიმავალ სავაჭრო გზებს. აქემენიდური დინასტიის (ძვ. წ. 538-331) დროს უკვე მდიდარი ქალაქი იყო, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობების შემდეგ ძველი ბაქტრიის დედაქალაქი ხდება (Azad, 2013).

მეოცე საუკუნის ფრანგმა მკვლევარმა ალფრედ ფუშერმა შეისწავლა ინდოეთის ძველი სავაჭრო გზები ("Vieille route de l'Inde") და მათი კარტოგრაფირება მოახდინა (Foucher, 1942). ფუშერის თანახმად, აღმოსავლეთიდან დასავლეთში უცხოური ელემენტების გავრცელების არტერიას წარმოადგენდა - გზა, რომელიც კვეთდა ავღანეთის ჰინდიქუშს და მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში. ინდოეთის ძველი გზის დიდი მარშრუტი ერთმანეთთან აკავშირებდა ბალხსა (ავღანეთს) და ტაქსილას (პაკისტანში) კაპისას (ავღანეთი), უძველეს ნაგარაჰარასა და პურუშაპურას (პაკისტანი) გავლით. ტაქსილადან, შემდეგ ის მიემართებოდა პათანკოტისა და საგალასკენ, და აღწევდა ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე როჰტაკამდე (Chandra, 1977, 1-22) (ფიგურა 15).

ინდოეთიდან შავი ზღვისკენ გზის არსებობას ამყარებს V საუკუნში მცხოვრებად მიჩნეული ანონიმი ავტორის პერიპლუსი, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო", სადაც აღნიშნულია, რომ მდ. ფაზისის მარცხენა ნაპირზე, მოთავსებულია მილეტელების მიერ დაარსებული ელინური ქალაქი ეგრეთ წოდებული ფაზისი, რომელშიც თავს იყრის 60 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი, მათ შორის ინდოეთიდან და ბაქტრიიდან (ახლანდელი უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და ავღანეთის ტერიტორიის ნაწილი) მოსული

ბარბაროსები (კეჭაყმაძე, 1961). მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობის ავტორი V ს-ში მოღვაწეობდა, უმეტესობა წყროებისა, რომლითაც ის სარგებლობდა უფრო ადრინდელია.

კარლ მიულერის გამოკვლევით, პერიპლუსის ძირითად წყაროებია ახ. წ. II საუკუნეში მოღვაწე ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, მენიპე პერგამონელის (ახ.წ. I ს.) „მოგზაურობა ხმელთაშუა ზღვის გარშემო“, ფსევდო-სკიმნოსის „პერიეგესისი“ (ძვ.წ. II-I) და ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსი (361-357) (ყაუხჩიშვილი 1976, 103). ზემოაღნიშნული პასაჟი კი ამოღებული ყოფილა ფსევდო სკიმნოსის ლექსად დაწერილი გეოგრაფიული კომპედიუმიდან, რომელიც ძვ. წ. I საუკუნით თარიღდება (გამსახურდია, 1973, 120).

აქვე უნდა აღინიშნოს ვერცხლის ექვსი ბაქტრიული მონეტის აღმოჩენის შემთხვევა თბილისში, ქალთა გიმნაზიის მშენებლობის დროს, XIX საუკუნის 70-იან წლებში, რომელიც ზემოაღწერილი სავაჭრო-სატრანზიტო გზის ფუნქციონირების მტკიცებულებად მიიჩნევა. მონეტების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია ძვ. წ. II საუკუნე. მათი ადგილსამყოფელი დღეისათვის დაუდგენელია (დუნდუა და დუნდუა, 2013, 115). გარდა ამისა, იბერიის სამეფოში, კერძოდ, ფასანაურთან ახლოს, შემთხვევით აღმოჩენილია ბაქტრიის მმართველის ევტიდიმეს ვერცხლის ტეტრადრაქმის ძვ. წ. I საუკუნის სოგდური მინაბაძი, ავერსზე ტიარიანი მმართველის თავისა და რევერსზე ომფალოსზე მჯდომი ჰერაკლეს სქემატური გამოსახულებით. ევტიდიმეს ვერცხლის ტეტრადრაქმები იჭრებოდა სოგდიანაში საერთაშორისო ვაჭრობისთვის. იბერიაში აღმოჩენილი მონეტა მოსკოვის ისტორიულ მუზეუმის კოლექციებშია დაცული (ლორთქიფანიძე და მუსხელიშვილი, 2011, 155-156).

ბაქტრიული მონეტები და ევტიდემეს სოდგური მინაბაძი აღმოსავლეთ საქართველოდან დუნდუას (2019, 12) აზრით, შესაძლოა პართია-ალბანეთის გზით არის შემოსული. სომხეთის სამონეტო ბაზრისთვის აღნიშნული სამონეტო კატეგორია უცხოა, მაშინ როდესაც თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბაქტრიული ნუმიზმატიკის ნიმუში მიკვლეულია.

ვინაიდან ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მომავალი სავაჭრო გზის შესახებ უძველესი ცნობა ძვ. წ. III საუკუნის 80-იან წლებში მცხოვრები ავტორისაგან, პატროკლესგან მომდინარეობს, აღნიშნული გზის არსებობა ადრეანტიკური ხანიდან ივარაუდება (ლორთქიფანიძე, 1957, 381). ამასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქის ამისოს მონეტების აღმოჩენა ერთი მხრივ კოლხეთში, ხოლო მეორე მხრივ ნისაში, პართიაში, საფუძველს იძლევა ვარაუდისთვის, რომ ამისოს მონეტები ანტიკური ავტორების მიერ აღწერილი, შავი ზღვიდან ინდოეთისკენ მიმავალი გზის მეშვეობით მოხვდა პართიის ტერიტორიაზე. აღნიშნულზე დაყრდნობით, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს გზა ათვისებული იყო უკვე ძვ. წ. IV საუკუნეში (ლორთქიფანიძე და მუსხელიშვილი, 2011, 155).

ადრე ანტიკური ხანიდან სავაჭრო გზის ფუნქციონირებას მოწმობს ასევე, კოლხური თეთრის 20 მონეტისაგან შედგენილი განძის აღმოჩენა ფერგანის ველზე (ლორთქიფანიძე და მუსხელიშვილი, 2011, 155). დუნდუას (2019, 13) თანახმად, კოლხური თეთრის ხვედრითი წონა უცხოურ ბაზრებზე და თვით ბაზრების რაოდენობა შეზღუდულია. ასეთ პირობებში კი, მისი აღმოჩენის ფაქტი ფერგანის ველზე საკმაოდ ნიშანდობლივია. ამავდროულად, დუნდუას (2019, 13) აზრით, ამ დროს კოლხური ფულის ლოკალიზაცია უნიკალური განძის სახით თითქოსდა გამორიცხავს ამ კატეგორიის ნუმიზმატიკური ძეგლების მეტად თუ ნაკლებად ინტენსიურ მიმოქცევას შესაბამის რეგიონში.

დუნდუამ (2019, 13-14) ტრანსკავკასიური სატრანზიტო გზის მოქმედების ზოგადი ქრონოლოგიური დიაპაზონი შემდეგნაირად განსაზღვრა:

- I ეტაპი: ძვ. წ. III საუკუნე - II საუკუნის I ნახევარი, ძვ. წ. 65 წლამდე. მისი მტკიცებით, ფლავიუსების (69 - 96) ხანაში ტრანსკავკასიური ტრანზიტი მოშლილი ჩანს.
- II ეტაპი: მისი ხელახალი ფუნქციონირება - ტიბერიუსის (14-37 წწ.) პრინციპატის დასაწყისი.

5.2. კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები კოლხეთში არქეოლოგიური მასალის მიხედვით (ძვ. წ. III - ახ. წ. III სს.)

5.2.1 ელინისტური პერიოდი[13]

ძვ. წ. III-I საუკუნეების არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ჩანს, რომ ამ პერიოდში კოლხეთის აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები გრძელდება ბერძნულ სამყაროსთან. ელინისტურ ხანაში კოლხეთის იმპორტს იგივე ნედლეული და ნაწარმი წარმოადგენდა რასაც წინაელისტურ ხანაში (ლორთქიფანიძე, 1966, 123; იხ. თავი 4), თუმცა ამ პერიოდში უკვე იცვლება იმ ბერძნული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების სია, რომელთაც კოლხეთთან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობები ქონდა დამყარებული. მცირდება კოლხების სავაჭრო კონტაქტები ათენთან (ლორთქიფანიძე, 2002, 214). ნაცვლად ამისა, ინტენსიური ხდება წინარეელინისტურ ხანაში დაწყებული ურთიერთობები კოლხეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის პონტოს სამეფოს ბერძნულ ქალაქებს, განსაკუთრებით კი ზეითუნის ზეთის ექსპორტით განთქმულ ქალაქ სინოპეს შორის (ინაძე, 1962, 95-96; ლორთქიფანიძე, 1966, 124). სინოპედან კოლხეთში შემოჰქონდათ სხვადასხვა კერამიკული ნაწარმი, ამფორები, მონტერიუმები, კრამიტი, ლუთერიები და სხვა, რომელთა ნიმუშები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი კოლხეთის როგორც ზღვისპირა ისე შიდა ტერიტორიაზე არსებულ ნამოსახლარებზე, მათ შორისაა გონიო, ქობულეთ-ფიჭვნარი, ბათუმის ციხე, ფოთის მიდამოები, ქარიეტა, ოჩამჩირე, სოხუმი და მისი მიდამოები, ეშერა, გურიანთა, ბუკისციხე, ერგეთა, ქვალონი, ვანი და მისი მიდამოები, დაბლაგომი და ჭოგნარი (ლორთქიფანიძე, 1966, 126-127; ინაძე, 1962, 96; თოდუა, 2008, 14; ახვლედიანი, 2005, 66). ძვ. წ. III ს-ის დასასრულიდან კოლხეთის ტერიტორიაზე ჰერაკლეის, თაზოსის და ქიოსის კერამიკული ტარის იმპორტი გარკვეული პერიოდით

[13] ტერმინ ელინიზმის გამოყენება მთელი ამიერკავკასიისთვის მართებულად არ არის მიჩნეული რიგი ავტორების მიერ, რადგან კოლხეთში განვითარებული მოვლენები საგრძნობლად განხვავდება ამიერკავკასიის დანარჩენ ნაწილში მიმდინარე ე. წ. პოსტ-აქმენიდური კულტურულ-ეკონომიკური პროცესებისაგან (ლიჩელი, 2005) .

წყდება (ინაძე, 1962, 95-96) და ახლდება ძვ. წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან მხოლოდ ვანში (ახვლედიანი, 2003, 74).

ამ პერიოდში ახალი ეკონომიკური კავშირები მყარდება მცირე აზიის წითელლაკიანი კერამიკის დამზადების მთავარ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებთან პერგამონსა და სამოსთან. ისახება ახალი ურთიერთობები ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქებთან რომელთა შორისაა როდოსი, კოსი, კნიდი და თასოსი (ინაძე, 1962, 96; ლორთქიფანიძე, 2002, 214; ლორთქიფანიძე, 1972, 59). დასახელებულ ცენტრებთან კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების არსებობას მოწმობს აღნიშნულ ცენტრებსა და ქალაქებში დამზადებული კერამიკისა (შავ და წითელლაკიანი, რელიეფური და მოხატული თიხის ჭურჭელი, ამფორები) და მონეტების აღმოჩენები თითქმის მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე, 1966, 131; ლორთქიფანიძე, 1972, 59; ახვლედიანი, 2005, 65, 68).

ძვ. წ. III საუკუნიდან განსაკუთრებით აქტიური სავაჭრო ურთიერთობა აქვს კოლხეთს როდოსთან, რომელიც ამ დროს გაბატონებულ მდგომარეობს იკავებს ეგეოსის ზღვაზე და საშუამავლო ვაჭრობის ფართო ქსელში აქცევს შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს. როდოსი და კოსი ძირითადად ღვინით ამარაგებდნენ კოლხეთს, რასაც მოწმობს ამ ხანის როდოსული და კოსური ამფორების ნატეხების აღმოჩენის ფაქტები სოხუმში, ეშერაში, ვანში, დაბლაგომში (ინაძე, 1962, 248; ლორთქიფანიძე, 1966, 130; ახვლედიანი, 2005, 65-67; ახვლედიანი და ფუთურიძე, 1999, 47, 52). ძვ. წ. III საუკუნიდან კოლხეთი როდოსის მეშვეობით აახლებს ეკონომიკურ ურთიერთობას ეგვიპტესა და სირიასთან, რომლებთანაც ჯერ კიდევ წინაელინისტურ ხანაში ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა, მცირე აზიის დასავლეთ და ჩრდილო სანაპიროების გასწვრივ გამავალი საზღვაო გზით. ელინისტურ ხანაში ეგვიპტესა და სირიის სახელოსნოები კოლხეთს კვლავ უხვად აწვდიან თავის ნაწარს, განსაკუთრებით კი სამკაულებს (ინაძე, 1962, 97-98; ლორთქიფანიძე, 1966, 131).

ელინისტურ ხანაში გრძელდება წინამორბედ ხანაში დაწყებული ეკონომიკური ურთიერთობები ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთთანაც, რასაც ადასტურებს ქერსონესისა და ბოსფორის ამფორების აღმოჩენები კოლხეთში (ლორთქიფანიძე, 2002, 215; ახვლედიანი, 2005, 67), ისევე როგორც ძვ. წ. IV-III სს-ის კოლხური პითოსების ნატეხები - მირმეკიონში. ამ ურთიერთობის შედეგად უნდა იყოს გავრცელებული კოლხეთში ჩრდილო შავიზღვისპირა ქალაქების მონეტებიც, პანტიკაპეონის ოქროს სტატერები (ძვ. წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედი), ოლვიური დრაქმა (ძვ. წ. II ს-ის) ქერსონესის სპილენძის მონეტა (ძვ.წ. II ს-ის) და სხვა (ინაძე, 1962; ახვლედიანი, 2005, 68).

ძვ. წ. III-I საუკუნეებში კოლხეთში ვრცელდება წითელლაკიანი ე. წ. მეგარული თასები (ინაძე, 1962) და სხვა ნაწარმი მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრებიდან, პერგამონიდან, სამოსიდან და ალექსანდრიიდან (ლორთქიფანიძე, 2002, 214). მცირე აზიური ნაწარმი აღმოჩენილია კოლხეთის ზღვისპირა და შიდა რაიონებში, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კი ვანში (ლორთქიფანიძე, 1966, 136). მდინარე ენგურის ხეობით იმპორტული ნაწარმი ვრცელდება კოლხეთის მაღალმთიან მხარეშიც, კერძოდ სვანეთში. რიონ-ყვირილის მაგისტრალით კი აღწევს აღმოსავლეთ საქართველოშიც (ლორთქიფანიძე, 2002, 214; ლორთქიფანიძე, 1966, 137).

ძვ. წ. III საუკუნის დასასრულისა და II-I სს-ის კოლხეთში მკაფიოდ ჩანს ბერძნულ-ელინისტური ცივილიზაციის გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და არამატერიალური კულტურის ასპექტებში (ლორთქიფანიძე, 2002, 214). ბერძნული კერამიკის (ამფორები, სუფრის ჭურჭელი) დიდი რაოდენობით იმპორტირებამ კოლხეთში გამოიწვია ადგილობრივი მინაბაძების წარმოების გაფართოება (ლიჩელი, 2001, 34). ძვ. წ. III-II სს-ში ვრცელდება ბერძნულ-ელინისტური კერამიკის გავლენით შექმნილი ჭურჭელი, ანტიკური ფორმის სათევზე ლანგრები, კანთაროსის ტიპის თასები, უნგვენტარიუმის მსგავსი სანელსაცხებლეები და წითელლაკიანი ჭურჭლის მინაბაძები (ლორთქიფანიძე, 1972, 59; ლორთქიფანიძე, 2002, 215). ელინისტური ტრადიციების იმპულსების ასახვადაა მიჩნეული კოლხეთში სინოპურის მიბაძვით, ანტიკური ტიპის სავაჭრო-სატრანზიტო ჭურჭლის ე.წ. ყავისფერკეციანი ამფორების ადგილობრივი

წარმოების გაფართოება, რომლის დამზადება ჯერ კიდევ IV საუკუნიდან დაიწყო და ფართოდ მოიხმარებოდა კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე ძვ. წ. III-I სს-ში (ლიჩელი, 2001, 33; ლორთქიფანიძე, 1966, 136-140). ამ პერიოდში შეინიშნება ელინისტური ტრადიციების დანერგვა საფეიქრო წარმოებაშიც, კოლხეთში ხმარებაში შემოდის ელინისტურ სამყაროში გავრცელებული ვერიკალური საქსოვი დაზგა, რასაც მიუთითებს კოლხეთში მრავალად აღმოჩენილი თიხის პირამიდული საწაფები (ლორთქიფანიძე, 1966, 141-142; ლორთქიფანიძე, 2002, 215).

ელინისტური ქალაქმშენებლობის პრინციპების, მათ შორის სამშენებლო მასალად ქვის გამოყენება, ამ ეტაპისთვის ფიქსირდება კოლხეთის ორ ნაქალაქარზე, ეშერასა და ვანში (ლიჩელი, 2001, 43; ლორთქიფანიძე, 1966, 142). აფხაზეთის ტერიტორიაზე, ზღვისპირას მდებარე ეშერაში მიკვლეულია საფორტიფიკაციო სისტემების, ადმინისტრაციული შენობისა და სანიტარული ნაგებობების ნაშთები (ლიჩელი, 2001, 43).

ვანის ძვ. წ. III-I სს-ის არქიტექტურა, ცენტრალური ტერასის დიდი სატაძრო კომპლექსი, მრგვალი ტაძრის ორი სამშენებლო პერიოდი, 12 საფეხურიანი მონუმენტური ტაძარი და საფეხურებიანი საკურთხეველი ზედა ტერასაზე აგებულია ელინისტური ხუროთმოძღვრების მიღწევათა გამოყენებით როგორებიცაა წინასწარ დამუშავებული სამშენებლო მოედანი, კედლის წყობის სისტემა, კვადრების რუსტირება, პირონების, არქიტექტურული დეკორის ელემენტების (კაპიტელები, ბაზები, აკროტერიუმი, სიმები) გამოყენება და სხვ. (ლიჩელი, 2001, 40; ლორთქიფანიძე, გ. 1972, 36-37; ლორთქიფანიძე, 1966, 142; ლორთქიფანიძე, 2002, 231; ყიფიანი, 1987, 34-48; ყიფიანი, 1993, 60-66).

ბერძნულ-ელინისტური წესი გათვალისწინებული ჩანს არა მხოლოდ საზოგადოებრივ და საკულტო არქიტექტურაში, არამედ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაშიც, აქ პირველ რიგში იგულისხმება კრამიტით გადახურვის წესი, რომელიც დასტურდება ვანისა და დაბლაგომის სახლების შემთხვევაში (ლიჩელი, 2001, 40; ლორთქიფანიძე, 1966, 143). ელინისტურ ტრადიციებთან, კერძოდ ჰეკატეს მისტერიებთან უნდა იყოს დაკავშირებული 21 მეტრის სიღმის მონუმენტური ჭა ვანში (ლიჩელი, 2001,

41-42) და მონუმენტური ორმო საირხეში (ნადირაძე, 1990, 85). კოლხეთის სამარხებში ჩნდება ელინისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, როგორიცაა მონეტების ე.წ. „ქარონოს ობოლის“, ამფორებისა და ბექთრის ჩატანება გარდაცვლილთათვის (კაჭარავა და ხარაბაძე, 2011, 34; მახარაძე და წერეთელი, 2007, 52).

ბერძნულ სამყაროსთან კოლხეთის აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს მოწმობს დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უცხოური მონეტების სიმრავლე. ამ პერიოდში ეკონომიკური წინსვლისა და საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობის უტყუარ მანიშნებლად მიაჩნია მათიაშვილს (1977, 5-6) კოლხეთში სამონეტო სისტემის შეცვლა (მიმოქცევაში შემოდის ლისიმაქეს ოქროს სტატერების ადგილობრივი მინაბაძები) და წინამორბედ ხანაში შიდა ბაზრისთვის განკუთვნილი კოლხური თეთრის ემისიის შეწყვეტა. მსგავსად მათიაშვილისა, ქართველ ნუმიზმატებს (დუნდუა და დუნდუა, 2006, 61-67) კოლხეთის გარე სამყაროსთან ეკონომიკური ურთიერთობების უპირველეს მტკიცებულებად დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე II მაკედონელის სტატერების გავრცელება მიაჩნიათ, რომელიც მათი ვარაუდით, სინოპედან უნდა იყოს შემოსული. ამ პერიოდში კოლხეთში ფიქსირდება ასევე ფილიპე II, ფილიპე III მაკედონელების ოქროს სტატერები და ტეტრადრაქმები, თრაკია-მაკედონიის მეფის ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282) და პანტიკაპეონის სტატერები, სირაკუზის ნახევარსტატერი, და პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის (ძვ.წ. 120 - 63) ოქროს მონეტა. ზოგრაფისა და კაპანაძის (1955, 28) დაკვირვებით ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძები ძირითადად იბერიის მოსაზღვრე მთიან ზოლშია გავრცელებული, ხოლო ლისიმაქეს სტატერის მინაბაძები კი დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

რიგ ავტორთა ვარაუდით (ინაძე, 1962, 113; მათიაშვილი, 1977, 9; თოდუა, 2008, 46-47), ეკონომიკური ურთიერთობები კოლხეთში ინტენსიური ხდება ადრე ელინისტურ ხანაში, ხოლო ძვ. წ. II საუკუნიდან კი ელინისტური სახელმწიფოების შესუსტების, ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოგიერთი სავაჭრო ცენტრის დაქვეითებისა და მცირე აზიაში, რომსა და პონტოს სამეფოს შორის ამტყდარი მითრიდატული ომების შედეგად

სავაჭრო კონტაქტების შემცირება შეინიშნება. ამ მოვლენებით ხსნის მათიაშვილი კოლხეთის ანტიკურ ქალაქში, ვანში წითელლაკიან კერამიკის მოულოდნელ წყვეტას ძვ. წ. I საუკუნის 80-იანი წლებიდან, რომლის იმპორტი სავარაუდოდ, ხორციელდებოდა ძვ. წ. II საუკუნის დასასრულიდან, ხმელთაშუაზღვის სავაჭრო ცენტრ როდოსიდან. იგი კერამიკული მასალის გაანალიზების საფუძველზე ელინისტური ხანის კოლხეთში ეკონომიკური განვითარების ორ ეტაპს გამოყოფს, 1) ძვ. წ. III-II სს, როდესაც ერთგვაროვანებით ხასიათდება ეკონომიური მდგომარეობა და 2) I საუკუნე, რომელიც ეკონომიკური დაქვეითების ნიშნებით ხასიათდება (მათიაშვილი, 1977).

ამ პერიოდში, I საუკუნის შუახანებამდე ინგრევა ცენტრალური კოლხეთის უმნიშნელოვანესი ქალაქი ვანიც, რომლის განადგურებას მკვლევრები სხვადასხვა ისტორიულ პირებს უკავშირებენ (ახვლედიანი..., 2017, 27)[14].

ძვ. წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე, პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის (111 - 63) მიერ კოლხეთის დაპყრობის შემდეგ კოლხეთი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების წყარო ხდება მითრიდატე VI ევპატორის იმპერიისათვის (Braund 1994, 4). ბერძენი ისტორიკოსის მემნონის თანახმად, კოლხეთის კავშირები სინოპესთან გრძელდება და დიდ მნიშვნელობას ატარებს კოლხეთის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში არსებობის დროს. როგორც ირკვევა, სინოპეში მდგარ მითრიდატეს სამხედრო ძალებს მომარაგებას მითრიდატეს ვაჟი მახარე უწევდა კოლხეთიდან. რომაელი გენერალი ლუკულოსი სინოპეს აღების მცდელობის დროს მოლაპარაკებას სწორედ მითრიდატეს ვაჟთან მახარესთან აწარმოებს, და მასთან მეგობრობისა და

[14] გ. ლორთქიფანიძე ვანის ნგრებას უკავშირებს პომპეუსის ლაშრობას, ოთ. ლორთქიფანიძის აზრით ძველი ვანი თავისი ისტორიის ბოლო პერიოდში ორჯერ ინგრევა: პირველად მას ანგრევს ბოსფორის მმართველი ფარნაკე, ხოლო მეორედ – ძვ.წ. 47 წელს მითრიდატე პერგამონელი. გ. დუნდუა და გ. ლორთქიფანიძე ერთობლივ ნაშრომში გამოთქვავენ მოსაზრებას, რომ ძველი ვანი ძვ.წ. I ს-ის 80-იან წლებში მითრიდატე პონტოელის მიერ ინგრევა, როდესაც მისი გამდგარი ვაჟი მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფი იგდო. თ. თოდუას აზრით, ძველი ვანი თავისი ისტორიის ბოლო პერიოდში სამჯერ ინგრევა: პირველად იგი მითრიდატე პონტოელმა დაანგრია ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნაზე, მეორედ – მისმა ვაჟმა ფარნაკემ ძვ.წ. 49 წელს, მესამედ – მითრიდატე პერგამონელმა ძვ.წ. 47 წელს გ. გამყრელიძე ქალაქის პირველ ნგრევას მითრიდატე პონტოელს უკავშირებს ძვ.წ. I ს-ის 60-იან წლებში, მეორეს – პომპეუსს (ახვლედიანი...2017:27).

მოკავშირეობის სანაცვლოდ სთხოვს შეუწყვიტოს მომარაგება სინოპეში გამაგრებულ მითრიდატეს ჯარებს (Braund 1994, 157).

პონტოს იმპერიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი კოლხეთში ხდება დიოსკურია (Bround 1994, 158), სადაც ინტენსიური სამონეტო ცირკულაცია იწყება მითრიდატე VI ევპატორის ხანიდან. დიოსკურიაში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტების პარალელურად მიმოქცევაშია ასევე პონტოს სამეფოს სპილენძის მონეტები (დუნდუა და დუნდუა, 2006, 79; Braund 1994, 159; ლიჩელი, 2018). საყოველთაოდ მიღებული ლოკალიზაციის მიხედვით, დიოსკურია გაშენებული იყო სოხუმის ყურის ნაპირზე, მდ. ბესლეთის მიდამოებში (ახვლედიანი...2017, 19). დიოსკურიაში მოჭრილი მონეტების აღმოჩენის ტოპოგრაფიის მიხედვით ბრაუნდი (1994, 159) ასკვნის, რომ დიოსკურიასა და ჩრდილოეთ შავი ზღვის სანაპიროს შორის წარმოებდა სავაჭრო ურთიერთობები, რასაც ასევე მოწმობს კოლხური ამფორების აღმოჩენის ფაქტები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.

მცირე აზიაში მიმდინარე მითრიდატულმა ომებმა კოლხეთი რომის პოლიტიკური ინტერესების სფეროშიც მოაქცა. ძვ.წ. 63 წელს პონტოს სამეფოს დამოუკიდებელი არსებობა დასრულდა რომის რესპუბლიკის მიერ მცირე აზიის დაპყრობით. მოგვიანებით კი კოლხეთი პოლემიდების პონტოს სამეფოს პროვინცია გახდა.

პოლემიდების ეპოქაში კოლხეთის სავაჭრო-ურთიერთობები გარე სამყაროსთან ძალიან შეზღუდული ჩანს. ამ დროს კოლხეთში თითქმის მოშლილია საქალაქო ცხოვრება და სავაჭრო ურთიერთობები; აღარ შემოდის კნიდოსის, ატიკის, დელოსის, ჰერაკლეას ნაწარმი. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სინოპეს ნაწარმი, რომელსაც ელინიზმის ეპოქაში კოლხეთის იმპორტულ პროდუქციათა შორის დომინირებული მდგომარეობა ეკავა (თოდუა, 2008, 46-49). ძვ. წ. I საუკუნის დასასრულიდან კი ძირითადად ვრცელდება რომაული, იტალიკური და იტალიკურის მიბაძვით დამზადებული ამფორები, მშვილდსაკინძები და ტორევტიკის ნიმუშები (თოდუა, 2008, 47).

კოლხეთის ჩართვით პოლემონიდების სამეფოს შემადგენლობაში მთავრდება ელინისტური ეპოქა კოლხეთში და იწყება ახალი, რომაული პერიოდი, რომელსაც თან ახლავს საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ახალი ეტაპი (თოდუა, 2008, 49-50). კოლხეთის ზღვისპირა ცენტრების ხელახალი აღორძინება რომაელების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ახ.წ. I საუკუნის დასასრულიდან იწყება (გამყრელიძე, 2014; თოდუა, 2008, 49).

5.2.2. რომაული პერიოდი

საერთაშორისო ვაჭრობის ხელახალი აღმავლობა მსოფლიო მასშტაბის მქონე რომის იმპერიის შექმნის დროიდან იწყება. რომაული ნაწარმი აღწევს სკანდინავიის ქვეყნებს, ბალტიისპირეთს, რომაელი ვაჭრები უკავშირდებიან დნეპრისპირეთს, გამოცოცხლება იგრძნობა შავი ზღვის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროების ქალაქებში, სავაჭრო ურთიერთობებში ერთვებიან სამხრეთ რუსეთის სტეპებში მოსახლე ტომები და ა.შ. განსაკუთრებით აქტიურდება ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რომს შორის, რაც კარგად შეიმჩნევა ოქტავიანე ავგუსტუსის ხანიდან (ლომოური, 1968, 52).

ინდოეთიდან და ჩინეთიდან რომის სახელმწიფოში შემოაქვთ ბრინჯი, ბამბა და მისი ქსოვილი, სანელებლები, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, სპილოს ძვალი, შავი ხე, აბრეშუმი და სხვა. აღმოსავლეთის ქვეყნებში კი რომის იმპერიის იმპორტს ტყვია, სპილენძი, თითბერი, ეგვიპტური და სირიული ოქროს ქსოვილების ნაწარმი შეადგენდა. უდიდეს სავაჭრო ცენტრად გადაიქცა ალექსანდრია, დამასკო, ქტეზიფონი, საიდანაც როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო სავაჭრო გზები მიემართებოდა ინდოეთისა და ჩინეთისაკენ. აღმოსავლეთის ბაზარზე ჩნდება საკუთრივ რომაული, იტალიური საქონელი, იტალიურ სახელოსნოთა ნაწარმი, ბრინჯაოს ჭურჭელი, წითელლაკიანი თიხის ჭურჭელი და ამფორები, სანათურები, მინის თასები და სხვა (ლომოური, 1968, 52).

ნ. ლომოური (1968, 53) ვარაუდობს, რომ ასეთ ვითარებაში რომსა და მის იმპერიაში შემავალ პროვინციებთან კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობები გაძლიერდა, რასაც

საფუძვლად ედო დასავლეთ საქართველოსა და ანტიკურ სამყაროს შორის ელინისტურ ხანაში არსებული მჭიდრო ურთიერთობების ტრადიციები.

კოლხეთის ზღვისპირეთი იყო ის სტრატეგიული მხარე, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა რომს თავისი გავლენის დასამყარებლად კავკასიაში, მცირე აზიასა და ბოსფორში (გამყრელიძე, 2014, 132).

ახ. წ. I საუკუნის ბოლოდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდა ე.წ. პონტო - კავკასიის თავისებური სასაზღვრო სისტემა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურიაში „პონტოს ლიმესის“ სახელწოდებითაა ცნობილი (Леквинадзе, 1969). მისი უმთავრესი ამოცანა კავკასიაში რომის გეოპოლიტიკური პოზიციების სამხრეთ კავკასიაში განმტკიცება და ჩრდილო კავკასიის კონტროლის ქვეშ მოქცევა იყო (თოდუა 2003, 69). წინამორბედი ხანის აფსაროსი (გონიო), ფაზისი, სებასტოპოლისი (დიოსკურია, სოხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა) ე.წ. პონტოს ლიმესის სისტემაში შემავალ სასაზღვრო სამხედრო ხასიათის ციხე-ქალაქებად გარდაიქმნენ (გამყრელიძე, 2014, 132), რომელთა ფუნქციაც კავკასიის რეგიონის გაკონტროლება და შავი ზღვის სანაპიროზე ვაჭრობის უსაფრთხოება გახდა.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აგებული სიმაგრეები რომის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის ერთიანი თავდაცვითი სისტემის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი უნდა ყოფილიყო (ფიფია, 2005, 87). როგორც ცნობილია, რომის იმპერიას გარს ერტყა სასაზღვრო ციხესიმაგრეების ქსელი. კარგად მოფიქრებული თავდაცვისა და თავდასხმის სისტემა. ასეთივე სასიმაგრო ხაზი იყო რეინის გაყოლებაზე, ე.წ. „ქვემოგერმანული ლიმესი“, დუნაიზე, ჩრდილოეთ აფრიკასა თუ ინგლისში, სადაც რომაელებს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები, ათასობით ლეგიონერი და დამხმარე ნაწილები ჰყავდა დისლოცირებული. რომის იმპერიის სასაზღვრო სისტემაში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის ჩართვით, გარკვეულწილად, უზრუნველყოფილ იქნა რომის აღმოსავლეთ პროვინციათა მისადგომების უსაფრთხოება

და რომაელთა გეოპოლიტიკური ინტერესების განმტკიცება კავკასიასა და აღმოსავლეთ მცირე აზიაში (გამყრელიძე, 2014, 133).

ახ. წ. II საუკუნის კოლხეთში არსებულ ვითარებაზე პირველხარისხოვან ცნობებს გვაწვდის კაპადოკიის პროვინციის მმართველი, ბერძენი ისტორიკოსი, ფლავიუს არიანე (დაახლ. 95-175 წწ.) თავის ნაშრომში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“. „პერიპლუსი” წარმოადგენს ფლავიუს არიანეს მიერ 131 წ. შავი ზღვის სანაპიროზე ჩატარებული სამსახურებრივი მოგზაურობის ოფიციალურ ანგარიშს, რომელიც თან დაურთო იმპერატორ ადრიანესადმი (117-138 წწ.) გაგზავნილ წერილს. არიანემ ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე მთელი სანაპირო ხაზი გაიარა და ამდენად, „პერიპლუსის“ ის ნაწილი, რომელიც ეხება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, წარმოადგენს თვითმხილველის ფასდაუდებელ ცნობებს, კოლხეთის სანაპიროზე რომაელთა მუდმივი გარნიზონისათვის გაშენებული ციხე-ქალაქებისა და იქ არსებული ყოფის შესახებ.

- **აფსაროსი - გონიო**

კოლხეთის სანაპიროზე განლაგებულ რომაელთა ციხე-ქალაქებს შორის ყველაზე სამხრეთით მდებარეობდა აფსაროსი. არიანეს აღწერილი აფსაროსი გაიგივებულია დღევანდელ გონიოს ციხესთან, რომელიც თანამედროვე სოფ. გონიოსთან ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალის პირას მდებარეობს. ციხე-სიმაგრე ზღვისპირას, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილასაა აგებული. სწორედ აქ გადიოდა ტრაპეზუნტიდან ფასის-სებასტოპოლისაკენ მიმავალი გზა. ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებით კი მესხებით დასახლებულ რეგიონებთან, მცირე არმენიასთან და აღმოსავლეთ საქართველოსთან შეიძლებოდა დაკავშირება (მუმლაძე, კახიძე... 2007, 5-6).

გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე გეგმით სწორკუთხედია. მისი სიგრძე 222 მ-ია. ხოლო სიგანე -195მ. მთელი ფართობი 4, 75 ჰექტარს შეადგენს. ციხის კედლების საერთო სიგრძე პერიმეტრზე - 900 მ-ია, კედლების სიმაღლე -5 მ; ხოლო კუთხეებთან, სადაც კოშკებია აღმართული -7 მ. საძირკველის სიღრმე 3, 5 მ აღემატება. კედელების ქვემო ნაწილი დიდი ზომის თლილი კვადრებით არის მოპირკეთებული, შიდა მხარეს

დასავლეთ კედელს სიმეტრიულად განლაგებული კონტრფორსებიც მიუყვება. რომაული ხანის ციხის კედლებზე მთელ სიგრძეზე დაშენებულია წვრილი ქვებით ნაგები ოსმალური პერიოდის ქონგურები. თავდაპირველად ციხეს 22 კოშკი ჰქონია, ამჟამად შემორჩენილია 18. გალავნის კუთხეებთან აღმართულია ოთხი მთავარი კოშკი, რომლებსაც ციხის შიგნით გააჩნიათ ქვის კიბე. ციხე-სიმაგრეს ადრე ოთხი შემოსასვლელი ჰქონია. დღესდღეობით დასავლეთ კარიბჭის გარდა ყველა ამოქოლოლია (მუმლაძე, კახიძე... 2007, 5-6). აქ გამოვლენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, მათ შორის პრეტორიუმები და აბანოები, საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემები (კახიძე, მამულაძე, 2004, 4-107).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც მრავლად შეიცავს რომაული ხანის წითელლაკიან კერამიკულ ჭურჭელს (ებრალიძე, 2005, 17-77; ხალვაში, 2002, 10-41) მონეტებს (ვარშალომიძე, 2009, 10-63) და გარკვეული რაოდენობით მინის ნაწარს (შალიკაძე, 2004, 15-54).

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკიდან დომინირებს მცირე აზიური, კერძოდ პერგამული ნაწარმი. პერგამონი, როგორც ერთ-ერთი მსხვილი კერამიკული წარმოების ცენტრი, ცნობილი იყო ელინისტური ხანიდან. ის ჯერ პონტოს სამეფოს, ხოლო მითრიდატე VI ევპატორის დამარცხების შემდეგ, რომის იმპერიის დაქვემდებარებაში ექცევა. ის ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან ცენტრთაგანი იყო, რომელიც რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე აზიის ჩრდილოეთ რაიონებსა და ამიერკავკასიაში განლაგებულ რომაულ ციხე-ქალაქებს წითელლაკიანი კერამიკით - სუფრის ჭურჭლის სხვადასხვა სახეობებით ამარაგებდა.

აფსაროსში პერგამული წარმომავლობის იმპორტული კერამიკის ყველაზე ადრეული ნიმუშები ახ. I ს მეორე და მესამე მეოთხედით თარიღდება. ესენი მცირერიცხოვანიაა, მაგრამ საინტერესოა იმ მხრივ, რომ საქალაქო ცხოვრების პერიოდს განეკუთვნებიან. აფსაროსში ამ პერიოდის ნუმიზმატიკური მასალებიც მოგვეპოვება. პერგამული იმპორტი ახ. წ. I ს მეორე ნახევრიდან თანდათანობით იზრდება, ხოლო II-III

სს კულტურულ ფენებში კიდევ უფრო ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი. ეს ის პერიოდია, როცა პერგამონი ეკონომიკურ აღმავლობას აღწევს. ახ.წ. III ს ბოლოსთვის ის, ისევე როგორც რომაული სამყაროს სხვა ბევრი ცენტრი, დაცემას განიცდის. აფსაროსში პერგამული ნაწარმის ასე ფართოდ გავრცელება გარკვეული ტერიტორიული სიახლოვით უნდა აიხსნას, რომის იმპერიისათვის უფრო იოლი იყო აფსაროსის გარნიზონის შედარებით ახლოს მდებარე საწარმოო ცენტრებიდან მომარაგება (ებრალიძე, 2009, 163).

აფსაროსში ასევე წარმოდგენილია სამოსის საწარმოო ცენტრის პროდუქცია, წითელლაკიანი კერამიკისა და ჭრაქების სახით. პერგმონთან შედარებით სამოსური ნაწარმი მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. აფსაროსის ტერიტორიაზე გამოვლენილია სინოპური ტარა, რომელთაგან წარმოების ცხრა ტიპის ამფორაა გამოყოფილი (ხალვაში, 2002).

გონიო აფსაროსში ფიქსირდება ასევე დასავლეთ ევროპის კერამიკული ტარა, კერძოდ, იტალიკური ამფორები და დასავლეთ ევროპული წარმოების მოზაიკური და ვერტიკალურწიბოიანი მინის ფიალები, რომლებიც ახ. წ. I ს მეორე და მესამე მეოთხედებში დასავლეთ ევროპაში მზადდებოდა. ფიქრობენ, რომ დასავლეთ ევროპული პროდუქცია აფსაროსში არა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების შედეგად, არამედ სამხედრო კონტიგენტის გადაადგილებების შედეგადაა შემოსული. მათი სიმცირე ტერიტორიული დაშორებითა და კიდევ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში არაერთი კერამიკული საწარმო მოქმედებდა, სადაც მსგავსი ნაწარმის დიდი რაოდენობით დამზადება და შესაბამისად, ახლო მდებარე რეგიონის მომარაგება ხდებოდა. თუმცა, აფსაროსის ფუნქციონირებისთვის ადრეული საფეხურისათვის არ შეიძლება გამოირიცხოს დასავლეთიდან გარკვეული ნაწარმის სისტემური მოწოდების შესაძლებლობაც (ებრალიძე 2009, 164).

ახ. წ. I საუკუნის მასალები კასტელიუმის ტერიტორიაზე მცირერიცხოვანია. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ აფსაროსის ფუნქციონირების ადრეული

საფეხურისთვის ახლად დაარსებული ფორტის მომარაგება სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული, არც ჯარისკაცთა რაოდენობა იქნებოდა დიდი. II-III საუკუნეებში კი ამ სახის ნაწარმი ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი. მათი ხვედრითი წონა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო ჯარისკაცთა თუ მეციხოვნეთა საერთო რაოდენობაზე. ანალოგიური მოცემულობაა კერამიკული ტარის, მინის ნაწარმის, ბრინჯაოს ნივთების, საამშენებლო კერამიკისა თუ სხვა მასალების მიხედვითაც (ებრალიძე, 2009, 165).

არიანეს მოგზაურობის დროისათვის აფსაროსი ძალზედ მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან აქ რომაელთა 5 კოჰორტა იდგა (არიანე, PPE, 6). სწორედ ამ პერიოდის ვითარებას უნდა ასახავდეს ახ.წ. IV ს-ის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის რუკა, სადაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სხვა თანადროული კასტელუმებისგან განსხვავებით, აფსაროსის არა მხოლოდ სახელი არამედ ციხის სქემატური გეგმარებაცაა დატანილი (X, 5). როგორც ჩანს, ახ.წ. II ს. პირველ ნახევარში აფსაროსი არამარტო ძლიერი სამხედრო ბაზა, არამედ მნიშვნელოვანი საქალაქო პუნქტიც იყო. ახ.წ. VI საუკუნის ავტორი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა, „ეს მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრით და ჰიპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია“(პროკოპი კესარიელი, 1965, 124). ყველა მონაცემის მიხედვით, აფსაროსი ასეთ მდგომარეობას სწორედ ახ. წ. II ს. პირველ ნახევარში მიაღწევდა (მუმლაძე, კახიძე... 2007, 14).

ახ. წ. III ს. ბოლოდან რომის იმპერიის ცენტრი თანდათანობით აღმოსავლეთისკენ ინაცვლებს. IV ს. მეორე ნახევრიდან გიონიო-აფსაროსში აღარ იდგა რომაული გარნიზონი. ამიანე მარცელინე შავი ზღვის სანაპიროს აღწერისას არაფერს ამბობს აფსაროსზე, ხოლო ფაზისსა და დიოსკურიას ქალაქებად მოიხსენიებს. აფსაროსს არც V ს დასაწყისის ძეგლი „Notatia dignititatum“ ასახელებს. აფსაროსის ციხე-სიმაგრე IV ს. მეორე ნახევრიდან VI პირველი ნახევრის ჩათვლით მიტოვებულია (მუმლაძე, კახიძე... 2007, 17).

- **ციხისძირი**

რომაელთა სამხედრო გარნიზონი იდგა აფსაროსის ჩრდილოეთითაც, დღევანდელი ციხისძირის ადგილას, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში პეტრას სახელითაა ცნობილი. ავტორთა უმრავლესობა (ჯანაშია, 1949, 29-44; ინაიშვილი, 1971, 74-88; მუსხელიშვილი, 1977, 102-104) ეთანხმება ლოკალიზაციის ამ ვერსიას. თუმცა, ვინაიდან ციხისძირში არაა ნავსადგურისთვის შესაფერისი რელიეფი, ს. ყაუხჩიშვილს პეტრა ბათუმის ადგილას ეგულებოდა (მინდორაშვილი, 2014, 86). გ. გრიგოლიას აზრით კი, პეტრა არის იგივე ნავსადგური ხოფა, სადაც გადიოდა ეგრის-ბიზანტიის სასაზღვრო ხაზი (გრიგოლია, 1994, 11-78).

ციხისძირი მდებარეობს ქალაქ ქობულეთიდან სამხრეთით, შვიდი კმ-ის დაშორებით, ზღვის სანაპიროზე, სადაც დაფიქსირებულია სხვადასხვა პერიოდის ძეგლები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით გვიანანტიკურ და ადრეულ შუასაუკუნეებში ციხისძირში ჩნდება საკმაოდ მოზრდილი დასახლება ქალაქისთვის დამახასიათებელი ნიშნებით ციტადელითა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებით, სასახლე, აბანოები, ეკლესიები, (ინაიშვილი, 1993). ციხესიმაგრის ნაშთები აღმართულია ორ ბორცვზე. შედარებით მაღალსა და მოზრდილ ბორცვზე განლაგებულია საფორტიფიკაციო სისტემა, რომელიც მის შიგნით არსებული ნაგებობებით მიჩნეულია ციტადელად. საკუთრივ ქალაქი მდებარეობდა იქვე, სოფ. ბობოყვათთან, ზღვისპირა ზოლზე (მინდორაშვილი, 2014, 86).

წერილობითი წყაროების მიხედვით, ციხისძირის მიდამოებში რომაული კასტელუმის არსებობა არ ივარაუდება. თუმცა, XX ს-ის 20-ან წლებში ციხისძირის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი II-III სს-ით დათარიღებული აგურის მიხედვით, რომელზეც დამღის საშუალებით გამოყვანილი იყო წარწერა, საფიქრებელია, რომ ამ ადგილას რომაული ციხესიმაგრე არსებობდა (ინაიშვილი, 1993, 15). თუმცა, ფიქრობენ, რომ თავისი მოცულობით ის შედარებით უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩვეულებრივი კასტელუმი. ვინაიდან რომაელები ციხესიმაგრეებს აგებდნენ ერთმანეთისგან გარკვეული მანძილის (60-70 კმ.) დაშორებით, ციხისძირში კასტელუმის არსებობა თითქოს გამოირიცხება. ამ ნიშნით, ციხისძირი ვერ თავსდება აღმოსავლეთ

შავიზღვისპირეთის კასტელუმების სისტემაში. მიუხედავად ამისა, ფიქრობენ, რომ რომაელებს ციხისირის სტრატეგიული მნიშვნელობა შეუფასებელი არ დარჩებოდათ და შესაძლოა, ამ ადგილას ყოფილიყო რაღაც სიმაგრე, რომელიც წარმოადგენდა აფსაროსის კასტელუმის ფორპოსტს (ინაიშვილი, 1993, 16; მინდორაშვილი, 2014, 86).

ციხისძირში, გონიო-აფსაროსისა და ბიჭვინთისაგან განსხვავებით, ტრაპეზუნტში მოჭრილი არც ერთი მონეტა არ არის ნაპოვნი (ვარშალომიძე, 2009, 54-55). ის ფაქტი, რომ 249 წელს ტრაპეზუნტი წყვეტს სამონეტო ემისიას და III ს-ის დასასრულისთვის მისი მონეტები აღარაა მიმოქცევაში ამყარებს მოსაზრებას რომ ციხისძირი, როგორც სიმაგრე III ს-ის დასასრულისთვის უნდა იყოს აგებული (ინაიშვილი, 1993, 100). ნუმიზმატებს დაუჯერებლად მიაჩნიათ, ამიერკავკასიის პუნქტებში მდგომი რომაული მხედრიონის მომარაგების საქმეში უდიდესი როლის მქონე ქალაქის, ტრაპეზუნტის მონეტების მოუხვედრელობა ციხისძირში, თუ ის ფუნქციონირებდა II-III ს-ის პირველ ნახევარში (ვარშალომიძე, 2009, 55; მინდორაშვილი, 2014, 89).

ამდენად, ასკვნიან, რომ III ს-ის ბოლოდან VI ს-ის დასასრულამდე ციხისძირში არსებობდა რომაულ-ბიზანტიური სტრატეგიული პუნქტი, სადაც გარკვეული წყვეტილებით დასტურდება სამხედრო შენაერთების დისლოკაცია. მის გვერდით ახ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში წარმოიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც V ს-ის ჩათვლით მნიშვნელოვნად ვითარდება. გათხრებისას გამოვლენილი ნუმიზმატიკური ძეგლები (კესარიული დრაქმები, ანტონინიანები, სპილენძის მონეტები, მოჭრილი ანტიოქიასა და კონსტანტინეპოლში) და არქეოლოგიური მასალა (იმპორტული კერამიკა, ამფორების ზოგიერთი სახეობა, წითელლაკიანი კერამიკა; სირიულ-პალესტინური მინის ნაწარმი, ოქროს სამკაულები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭლები ახ. წ. II-III სს-ების ე.წ ციხისძირის განძიდან) იმის მანიშნებელია, რომ ციხისძირს სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა რომის აღმოსავლეთ პროვინციებთან, სირია-პალესტინასთან (ინაიშვილი, 1993).

- **ფაზისი**

ქალაქი ფაზისი და იქ აგებული რომაული ციხე-სიმაგრე, რომელიც არიანეს აქვს აღწერილი თავის ნაშრომში ჯერ სამწუხაროდ, მიკვლეული არ არის. სწორედ ამის გამო, ძვ. წ. VI საუკუნეში ბერძნების მიერ დაარსებული ქალაქის ისტორიის შესახებ მსჯელობა ძირითადად წერილობითი წყაროების საფუძველზე მიმდინარეობს (ლორთქიფანიძე, 2002, 263).

არიანეს მონათხრობით ფაზისის „ციხე-სიმაგრეში თავსდება 400 რჩეული მეომარი. [...] ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. [...] ხოლო, რადგან ნავსაყუდელი უშიშარი უნდა ყოფილიყო ხომალდისათვის, საიმედო უნდა გამხდარიიყო აგრეთვე ციხის, გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც; რომლებიც დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილი გამეყვანა მდინარემდე" (კეჭაყმაძე, 1961, 39-40).

შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში ფაზისის ისტორიისა და იდენტიფიკაციის საკითხებს მრავალი აკადემიური ნაშრომი მიეძღვნა (ბერძენიშვილი, 1942; ბერძენიშვილი, 1969; გრიგოლია, 1973; კეკელია, 1981; გამყრელიძე, 1998; გამყრელიძე, 2003, 170-185; Gamkrelidze, 2012, 37-74 და სხვ.) უკანასკნელ ხანებამდე მისი ლოკალიზაციის 12 ვერსია არსებობდა, რომელსაც ვ. ლიჩელმა დაამატა კიდევ ერთი მოსაზრება (ფიგურა 16) უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ სტატიაში (Licheli, 2016, 122):

1. რომაული ფაზისი - სოფელ ჭალადიდსა და ქალაქ ფოთს შორის, კერძოდ კი ამ უკანასკნელის სამხრეთით (დღევანდელი აეროპორტი). დიუბუა დე მომპერემ აქ აღმოაჩინა ციხესიმაგრის ნანგრევები და ჩათვალა, რომ ეს არის არიანის ფაზისი;
2. ფ. ბრუნის აზრით, ფაზისი ლოკალიზდება პალიასტომის ტბის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში;

3. ნ. შაფრანოვის თანახმად, ფაზისი მდებარეობდა პალიასტომის ტბის სამხრეთით, მდინარე სუფსის შენაკადის მახლობლად;
4. ლ. ელნიცკი კი მიიჩნევდა, რომ ფაზისი იყო მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, დაახლოებით დღევანდელი საზღვაო ნავსადგურის მიდამოში;
5. მ. ბერძენიშვილის აზრით, ფაზისი მდებარეობდა მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, პატარას (პატარა) ფოთის მახლობლად. რაც შეეხება არიანის დროინდელ ფაზისის ლოკაციზაციას, იგი ეთანხმება დიუბუა დე მონპერეს მოსაზრებას;
6. ბ. კუფტინის მოსაზრებით არიანეს ფაზისი მდებარეობს მდინარე ფიჩორის ნაპირზე, პალიასტომის ტბის ნაპირებზე;
7. ნ. ხოშტარიას თანახმად, ბერძნული და რომაულ-ბიზანტიური პერიოდების ფაზისი მდებარეობდა დღევანდელი ფოთის მიდამოში;
8. ნ. ლომოური ერთი მხრივ ეთანხმება დიუბუა დე მონპერეს, მაგრამ თვლის, რომ ეს არ არის არიანეს მიერ მოხსენიებული ფაზისი, არამედ, აგათია სქოლაქტიკოსის ხანის - ახ.წ. VI საუკუნის ფაზისი;
9. გ. გრიგოლია ფაზისის მდებარეობას ვარაუდობს პალიასტომის ტბის აღმოსავლეთ მხარეს, სადაც მდინარე ფიჩორი ტბაში ჩაედინება;
10. ჩ.ჯანელიძის მოსაზრებით, ფაზისი საძიებელია მდინარე რიონის გასწვრივ, ზღვიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით, პატარას (მცირე), ფოთისა და სოფელ ჭალადიდის მიმდებარე ტერიტორიაზე.
11. ო. ლორთქიფანიძისა და თ. მიქელაძის თანახმად, ფაზისი შეესაბამება არქეოლოგიურ ადგილებს მდინარე რიონის შესართავთან, ქვემო, ჭალადიდის, და გრიგოლეთისა და ყულევის სანაპირო სოფლების გარშემო.
12. გ. გამყრელიძის მოსაზრებით, III-VII საუკუნის ფაზისი იგივეა, რაც ნატეხების დასახლება, რომელიც მდებარეობს ფოთის სამხრეთ ნაწილში, პალიასტომის ტბის დასავლეთ მხარეს. მისი მტკიცებით, პალეოლოგიურმა ცვლილებებმა მდინარეების ყულევის, რიონის, ფიჩორისა და სუფსის გასწვრივ რამდენჯერმე გამოიწვია ფაზისის გადატანა.

13. ვ. ლიჩელი თვლის, რომ ადრეული ფასისი საძიებელია მდ. რიონის სამხრეთით, საგვიჩიოს ნამოსახლარის ზონაში. კერძოდ, ვ. ლიჩელი ფაზისის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების, ასევე საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური და სეისმოლოგიური მონაცემების გაანალიზების შედეგად ასკვნის, რომ სამართლიანია ვარაუდი მდინარე ფაზისის დღევანდელი მდინარე ფიჩორის კალაპოტში დინების შესახებ. აღნიშნულ მოსაზრებას, გეომორფოლოგიური ვითარების გარდა, ამყარებს ძვ. წ. VI-V საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების საკუთრივ ფიჩორ-რიონის ორმდინარეთში კონცენტრაცია.

ვ. ლიჩელი ასევე იზიარებს ვარაუდს, რომ ქ. ფაზისი მდებარეობდა მდინარე ფაზისის მარჯვენა სანაპიროზე, ე.ი მდინარისგან ჩრდილოეთით, ხოლო აგათია სქოლაქტიკოსის პერიოდში (VI ს) მდინარის ჩრდილოეთისაკენ მიგრაციის გამო, ქალაქი მდინარის სამხრეთით აღმოჩნდა. ვ. ლიჩელი (2016, 126) უარყოფს ფაზისის დაარსებას მდინარე ტბის მახლობლად და აღნიშნავს, რომ ადრეული ფაზისის ლოკალიზაციისათვის ტბის არსებობას არ აქვს მნიშვნელობა. მისი აზრით, ბერძნული პოლისი ფაზისი საძიებელია დღევანდელი მდ. ფიჩორისა და მდ. რიონს შორის, პალიასტომის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ესტუარიის კიდეში, რომელიც შეიცავს იგივე არქეოლოგიურ კონტექსტს, როგორიც არის დაფიქსირებული ქ. ფაზისის სინქრონულ ძეგლზე ქობულეთ-ფიჭვნარში. კლასიკური ხანის (IV-VI) ქ. ფაზისი კი ლიჩელის აზრით, შესაძლოა შეესაბამებოდეს საგვინჩიოს ნამოსახლარს.

საგვინჩიოს ნამოსახლარი დაჭაობებულ გარემოში შედგება ხუთი ბორცვისაგან და მათ ირგვლივ არსებული შემაღლებული სამეურნეო მრავალმაშტაბიანი ფართობებისაგან. საგვინჩიოს ნამოსახლარის ცენტრალურ ბორცვზე (სიმაღლე 7-8 მ, დიამეტრი 60 მ) რამდენიმე სადაზვერვო შურფის მეშვეობით, ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმთან ერთად გამოვლენილია ძვ.წ. VI საუკუნის პირველი ნახევრის კილიკის ფრამენტები, ძვ.წ. VI-V საუკუნის ლესბოსური, ქიოსური და თასოსური ამფორები (ლიჩელი, 2018, 60-61).

- **სებასტოპოლისი იგივე დიოსკურია**

რომაული და ბიზანტიური წყაროების (Pliny 6, 19; არიანე, 1983, 26; პროკოპი კესარიელი, 1965; იუსტინიანეს ნოველები, 1965) თანახმად, სებასტოპოლისი, იგივე დიოსკურია დღევანდელ ქ. სოხუმთანაა გაიგივებული. სებასტოპოლისი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენდა ჯერ კიდევ ბერძნული ახალშენების დროს, როდესაც აქ ისტორიული დიოსკურია დაარსდა და ფაზისთან, გიენოსთან და სხვა ახალშენებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბერძნულ-კოლხურ კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ეს ფუნქცია შენარჩუნებული ჩანს მოგვიანებით, რომაულ ხანაშიც, როდესაც აქ რომაული გარნიზონი იდგა. ფლავიუს არიანეს პერიპლუსის დროს, სებასტოპოლისი რომაული ლიმესის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ პუნქტს წარმოადგენდა (არიანე, 1983, 158).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სოხუმის სანაპიროზე რომაული პერიოდის ორი ციხესიმაგრე გამოვლინდა. პირველი ციხე (1 ჰა) ნაგებია გრანიტის ლოდებით, კირხსნარითა და აგურის ორფენიანი სარტყლით (მინდორაშვილი, 2014, 90). ციხისგან მთლიანადაა შემორჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი (სიგრძე 80 მ, კედლების სისქე 2, 4 მ) ორი ოთხკუთხა გეგმის კოშკითა და ხუთი კონტრფორსით. ნაგებობა განეკუთვნება კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრეს და I-II სს-ით თარიღდება. შავი ზღვის სანაპიროზე არსებული რომაული კასტელუმებისგან (ბიჭვინთა, აფსაროსი) განსხვავებით, მას აქვს არა სწორკუთხა, არამედ პარალელოპიპედის გეგმა. სიმაგრის გათხრებისას არ დაფიქსირებულა შესასვლელები, ამდენად, ვარაუდობენ, რომ მას კარი ზღვის მხარეს ჰქონდა, რომელიც ამჟამად წყლის ქვეშ უნდა იყოს მოქცეული. ციხეში დაახლოებით 200 ლეგიონერი უნდა მდგარიყო (Воронов, 1980; მინდორაშვილი, 2014, 91).

მეორე ციხე რომაელებს აქ III-IV სს-ში აუშენებიათ. ციხე ნაგებია შერეული „ოპუს მიქსტუმ“-ის წესით, გრანიტის ქვებითა და აგურის სარტყლებით კირხსნარზე. ორ დანარჩენ სიმაგრესთან შედარებით, ის ყველაზე დიდია (2-2, 5 ჰა). მისგანაც მხოლოდ ერთი კედელია შემორჩენილი ორი სწორკუთხა კოშკით. ისიც კასტელუმის ტიპის სიმაგრეა. პირველი ციხისგან განსხვავებით, მეორე ციხე მიმართულია არა ზღვის მხარეს, არამედ მისი კედლები ხმელეთისკენ გრძელდება. აღნიშნული ციხიდან ორიოდე კმ-ის

დაშორებით იდგა სწორკუთხა კოშკი (5, 40X5, 47 მ), რომელიც აგებული უნდა იყოს II ს-ის დასასრულისთვის, ფუნქციონირებდა III-IV სს-ში და იცავდა ზემოხსენებულ სიმაგრეს (მინდორაშვილი, 2014, 91).

აღნიშნული ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილი იქნა რამდენიმე კულტურული ფენა. I ფენა თარიღდება ძვ. წ. III-II სს-ით; II ფენა - ძვ. წ. I - ახ. წ. I სს-ით; III ფენა - ახ. წ. I ს-ით; IV ფენა - ახ. წ. II-III სს-ით. კულტურულ ფენებში აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, აგურები, კრამიტები, წყალსადენის მილები, ამფორები, ქვევრები, წითელლაკიანი ჯამები, ლანგრები, ლუთერიები, ჭრაქები; ბრინჯაოს ოინოხოია, პატერები, რკინის შუბისპირები, დანები, მინის ჭურჭელი, ძვლის სტილოსები; ბრინჯაოსა და რკინის ფიბულები, სამაჯურები, მძივები და სხვა (Трапш, 1969, 285-317).

რომის იმპერიის, კერძოდ, მისი აღმოსავლური პროვინციების ეგრისის (ლაზიკის) სამეფოსთან სავაჭრო ეკონომიკური ინტერესების მანიშნებელია ის გარემოება, რომ ახ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ შედგენილ, რომაულ საგზაო რუკაზე ე.წ. Tabula Peutingerian-ზე, საგანგებოდაა აღნიშნული დასავლეთ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზებიც. ერთი ასეთი სახმელეთო და საკაბოტაჟო საზღვაო გზა მიჰყვბოდა შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს და აკავშირებდა რომის აღმოსავლეთ პროვინციებს, კერძოდ, ტრაპეზუნტს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიასთან. რუკაზე ეს გზა სებასტოპოლისთან (სოხუმთან) მთავრდება. როგორც ჩანს, ძირითადად ზღვის მეშვეობით და ამ სახმელეთო გზით უნდა გაეტანათ რომაელებს დასავლეთ საქართველოდან სხვადასხვა ნედლეული და შემოეტანათ თავისი სახელოსნოების ნაწარმი. რუკის მიხედვით, სებასტოპოლიდან გზა სამხრეთისაკენ ბრუნდებოდა და ქართლზე გავლით სომხეთის ქ. არტაშატში ჩადიოდა (ფიგურა 13). VII საუკუნის რავენელი ანონიმი თავის „კოსმოგრაფია“-ში სებასტოპოლისთან კი არ წყვეტს ამ სანაპირო მაგისტრალს არამედ აგრძელებს ტამანის ნახევარკუნძულზე მდებარე ქ. გერმონასამდე (კვიციანი, 1997, 49-50).

- **პიტიუნტი - ბიჭვინთა**

პიტიუნტი II-IV საუკუნეებში წარმოადგენდა რომის იმპერიის, კაპადოკიის პროვინციის შემადგენლობაში მყოფ უკიდურეს სასაზღვრო ციხე-ქალაქს. მისი ციხესიმაგრე საგრძნობლად აჭარბებდა ფაზისისა და სებასტოპოლისის მსგავსი დანიშნულების სამხედრო ბანაკებს (ლორთქიფანიძე, 1991, 91). გოთმა მეკობრეებმა 256-257 წლებში შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებთან ერთად ბიჭვინთაც ააოხრეს. მეკობრეთა თარეშის შემდეგ, III ს-ის ბოლოს ბიჭვინთა კვლავ აღმავლობის გზას დაადგა და სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტთან ერთად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრადაც იქცა (კვიციანი, 1997, 39-51).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის უდიდეს ნაწილს შეადგენს რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან, უპირატესად, მცირე აზიის სხვადასხვა ცენტრებიდან მომდინარე ამფორები, წითელლაკიანი ჭურჭელი (ჯამები, თეფშები, თასები, ცალყურა და ორყურა დოქები), ჭრაქები, ლუთერიები, ხელადები, კოჭობები, მინის ბალზამარიები (ასათიანი, 1977, 177-209; კიღურაძე, 1977, 211-221). გამოვლენილია ასევე ჩრდილო შავიზღვისპირული (ქერსონესი, ბოსფორი) ამფორები და მშვილდსაკინძები, ოქროსა და ვერცხლის საყურეები, მრავალრიცხოვანი ადგილობრივი (წელშეზნექილი) ამფორები, დიდი რაოდენობით ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტები; კრამიტები, თიხის ფილები, და აგურები (აფაქიძე, 1977, 223-246). იმპორტული ნაწარმის დიდი ნაწილი რომაული გარნიზონის საჭიროებისთვისაა შემოტანილი. თუმცა, ნაწილი იმპორტული ნივთებისა ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საგანი უნდა ყოფილიყო.

ბიჭვინთაში აღმოჩენილია 1500-მდე მონეტა, მათ შორის 191 ცალი ახ.წ. III საუკუნის ტრაპეზუნტის მონეტაა (აფაქიძე, 1975, 120; დუნდუა, 1975, 280-429). რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბიჭვინთა მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ტრაპეზუნტთან. ბიჭვინთის საჯარისო ნაწილების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება უპირატესად ტრაპეზუნტიდან ხდებოდა. ვინაიდან ტრაპეზუნტი წარმოადგენდა შავი ზღვის

სანაპიროზე დისლოცირებული რომაული სამხედრო ძალებისა და საზღვაო ფლოტის ძირითად ბაზას (მინდორაშვილი, 2014, 92-94).

გამოვლენილია თავდაცვითი, ადმინისტრაციული, საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობები. რომაული პერიოდის პიტიუნტი ორი მთავარი ნაწილისგან შედგებოდა, კასტელუმი ანუ ციხე და კანაბე, რომელიც თავდაცვითი კედლებითა და კოშკებით იყო გარშემორტყმული. სწორკუთხა მოყვანილობის კასტელუმი, რომელიც 500 ლეგიონერის დასაბანაკებლად იყო განკუთვნილი, ძვ. წ. II-III სს-შია აგებული და შემდეგ IV-V სს-ში რამდენჯერმეა გადაკეთებული (აფაქიძე, 1975, 13-126).

***

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კლასიკური ტიპის რომაული დასახლებები - კანაბეები, რომელიც ჩვეულებრივ ლეგიონის კასტელთან არსებობდა, არ წარმოქმნილა (გამყრელიძე, 2014, 132; თოდუა, 2008, 115). ეს ალბათ განპირობებული უნდა იყოს იმ ფაქტით, რომ კოლხეთში მხოლოდ დამხმარე სამხედრო შენაერთები იყო დისლოცირებული. დიოსკურია-სებასტოპოლისისა და აფსაროსში სამოქალაქო დასახლების ფუნქციას ასრულებდა ადგილობრივი საქალაქო ცენტრები, პიტიუნტისა და ფასისის რომაულ კასტელუმებთან კი არსებობდა რომაული მცირე სავაჭრო-სახელოსნო ტიპის „vicus“-ის სამოსახლოები, რომელთა მოქმედების არე შეზღუდული ჩანს და ქალაქის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს (გამყრელიძე, 2014, 132; თოდუა, 2008, 119). როგორც წესი, ასეთი დასახლებების მაცხოვრებელთა კონტიგენტს შეადგენდა ვაჭრები, რომლის მაგალითად თ. თოდუას (2008, 119) ფაზისი მოჰყავს. ამ სოციალური ფენის მეშვეობით არის მიჩნეული კოლხეთის ზღვისპირა, შიდა და მთიან რეგიონებში იმპორტული ნაწარმის მოხვედრა.

ზღვისპირა კოლხეთში რომის გარნიზონების დისლოკაციის შედეგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი რომაული სამყაროს სისტემაში ჩაერთო, რაც იმპორტული ნაწარმის გავრცელებაში აისახა. ერთ-ერთი დამახასიათებელი უცხოური პროდუქციაა იტალიკური წარმომავლობის ფიბულები ე.წ. ავცისები, რომელიც

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ნამოსახლარზე (წითლანაძე, 1973, 67-71; სულავა, 1996, 30). ე.წ. ერთწილადი ბუდეაბმული ბრინჯაოს ფიბულები აღმოჩენილია ბიჭვინთასა (თოდუა, 2003, 65) და წებელდაში (Воронов, 1982, 22). ვერცხლის ფიბულა დელფინის გამოსახულებით აღმოჩენილია ბიჭვინთის N414 სამარხში (ლორთქიფანიძე, 1991, 138).

ე.წ. იტალიკური წარმომავლობის ამფორები აღმოჩენილია გონიოში (ხალვაში, 2002, 24); სოხუმსა (აფაქიძე და ლორთქიფანიძე, 1965, 120-121) და ბიჭვინთაში (ბერძენიშვილი და ფუთურიძე, 1975, 254). გონიოში (ხალვაში, 2002, 21-23), სოხუმსა (Трапш, 1971, 323) და ბიჭვინთაში დადასტურებულია ასევე რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული ე.წ. ორმაგყურიანი კოსურკორპუსიანი ამფორები (ლორთქიფანიძე, 1991, 82).

სებასტოპოლისისა და პიტიუნტის გათხრებმა გამოავლინეს საკმაოდ მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, სადაც ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია კერამიკული ნაწარმი, განსაკუთრებით კი ამფორები. ახ.წ. II-III საუკუნეებში გავრცელებული წელშეზნექილ, წაგრძელებულ ადგილობრივ ამფორებთან ერთად გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ასევე, ქერსონესის, ბოსფორის, და სინოპის ამფორებიც. ახ. წ. II-III სს-ის წითელლაკიანი კერამიკა, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში, არ გვხვდება კოლხეთის შიდა რაიონებში. ამრიგად, ჩანს, რომ ახ. წ. პირველ საუკუნეებში ზღვისპირა საქალაქო ცენტრებმა დაკარგეს თავიანთი ეკონომიკური ფუნქცია, როგორც მთელი კოლხეთის სავაჭრო ცენტრებისა. ისინი, უმთავრესად, რომის იმპერიის პოლიტიკური ინტერესების განმახორციელებლები ხდებიან (ლორთქიფანიძე, 2002, 264).

კოლხეთში გავრცელებული რომაული ნაწარმის უმრავლესობა (კერამიკა, მინის და ლითონის ნაკეთობები, სამკაულები) მცირე აზიის ცენტრებშია დამზადებული (გამყრელიძე, 2014, 132). გამყრელიძის (2014, 132-133) აზრით, აღნიშნული პროდუქციის ტრანსპორტირება, უმეტესად, საზღვაო გზით ხორციელდებოდა და ის, ძირითადად,

რომაული სამხედრო შენაერთებისთვის იყო გამიზნული. რომაული გარნიზონების მომარაგება კი II-III საუკუნეებში ცენტრალიზებულად ტრაპეზუნტიდან, ხოლო IV ს-ში კი ანტიოქიიდან ხდებოდა (გამყრელიძე, 2014, 132-133; გამყრელიძე, 2021, 221).

კოლხეთის ზღვისპირეთის ტერიტორიაზე განლაგებული ზემოთ განხილული ცენტრები ადგილობრივ ქალაქებად ვერ ჩამოყალიბდნენ. ამის მთავარი მიზეზი მათი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება, რომის იმპერიის ურთიერთობაზე დამოკიდებულება და შესაბამისად, მდგარი ეკონომიკური ბაზის უქონლობა იყო. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უცხო ძალების პოზიციების შესუსტებისა და საგარეო კონტაქტების შეზღუდვასთან ერთად, IV-V სს-ში იქ ცხოვრება ქვეითდება, მაშინ, როცა შიდა ეგრისის ცალკეული ცენტრები აღმავლობის გზაზეა და შემდგომში, ქვეყნის შიდა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებზე დაყრდნობით, ისინი კიდევ უფრო ძლიერდებიან. ზღვისპირა ცენტრებიდან გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს ბიჭვინთა, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით კვლავ აგრძელებდა ცხოვრებას და შემდგომში ის გახდა არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი, საიდანაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში (აფაქიძე, 1957, 26-27; მინდორაშვილი, 2014, 97).

5.3. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ანტიკურ ხანის (ძვ. წ. III - ახ. წ. III სს.) იბერიის (ქართლის) სამეფოში არქეოლოგიური მასალის მიხედვით

როგორც ცნობილია, ძვ. წ. III საუკუნეში იბერიის ანუ ქართლის სამეფო მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სამცხეს, ჯავახეთს, კოლას, არტაანს, კლარჯეთს; დასავლეთ საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ოლქებს, აჭარას, არგვეთსა და ეგრისს (ფიგურა 14).

ქართლის სამეფოს და მის მოსახლეობას მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ელინისტური სამყაროს აღმოსავლეთ ქვეყნებთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ელინიზმის ხანაში ამიერკავკასიის ქვეყნებზე და მათ შორის ქართლის ტერიტორიაზე გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც

ამიერკავკასიის ქვეყნებს შუა აზიასა და ინდოეთთან აკავშირებდა. ქართლში სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაცხოველებას განაპირობებდა მისი უშუალო მეზობლობა ელინისტურ ქვეყნებთან (ჯერ სელევკიდების სირიასთან, ხოლო შემდეგ მის ნანგრევებზე აღმოცენებულ სამეფოებთან, სომხეთსა და პართიასთან) და მის ტერიტორიაზე გამავალ დიდ სავაჭრო მაგისტრალებთან (ლორთქიფანიძე, 1968, 55). სტრაბონისა და პლინიუსის მიერ აღწერილ სავაჭრო გზაზე იყო განლაგებული ქართლის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო საქალაქო ცენტრები, უფლისციხე, კასპი, ურბნისი, მცხეთა, რუსთავი და სხვა. ამ მაგისტრალით შემოდიოდა ქართლში მცირე აზიური წითელლაკიანი კერამიკა (უფლისციხე, მცხეთა), ელინისტური ხანის კოლხური ამფორა, რომელიც უფლისციხეშია დაფიქსირებული (ხახუტაიშილი, 1964, 70; ლორთქიფანიძე, 1968, 54-55).

- **უფლისციხე**

უფლისციხის კლდოვანი ისტორიულ-არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძეგლი ქ. გორის აღმოსავლეთით 20 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, კვერნაქის ქედის ერთ-ერთ სამხრეთ განშტოებაზე მდებარეობს (სანიკიძე, 2005, 5; ყიფიანი, 2002, 5; ლიჩელი, 2018, 116). უფლისციხე ელინისტურსა და გვიანანტიკურ ხანაში ქართლის სამეფოს წარმართული რელიგიური და ამასთანავე, მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრია (ხახუტაიშვილი, 1970; სანიკიძე, 2005). კლდეში ნაკვეთი ქალაქი სამი უბნისგან შედგებოდა და მოიცავდა ძველი აღმოსავლეთ ქვეყნებისა და ანტიკური ხანის შიდა ქალაქისათვის, ციტადელისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს, ზღუდეს, თხრილს, რამდენიმე შესასვლელს, ძვ.წ. IV-III სს -ის გვირაბს, წყალსადენს, წყალსაწრეტი არხების ქსელს (ხახუტაიშილი, 1964, 56-69). უფლისციხის კომპლექსში შედის, გრძელი ნაგებობა, დასავლეთის ეკლესია, დიდეზოიანი და ერდოიანი სახლები, ერთსვეტიანი და კესონებიანი დარბაზები, კოხტა სახლი, მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი, მთავარი ქუჩის თავში მდებარე ნაგებობა, მიუვალი ნაგებობა, სადა ოთახი, მოხატულოთახიანი სახლი, ორსვეტიანი და ოთხსვეტიანი დარბაზების კომპლექსი, უფლისწულის ეკლესია, ქარაფისპირა სახლი, ქუჩის პირა ბაქანი, შეწყვილებულკოჭებიანი დარბაზი და წითელი ოთახის კომპლექსი. ქალაქის

გეგმარება ადაპტირებულია კლდის რთულ რელიეფთან. ქალაქს კვეთს მთავარი ქუჩა, რომელიც შემდეგ ცალკეული ქუჩებით იშლება. ამ გზას იყენებდნენ ვაჭრებიც და მომლოცვლელებიც შიდა ქალაქში მისასვლელად. ქუჩების გასწვრის კლდეში ერთსართულიანი დარბაზებია ამოკვეთილი, რომელიც გაფორმებულია ანტიკური ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ფორმებით, კესონებით, კაპიტელებითა და პილასტრებით. კლდეში ნაკვეთი ოთახები უმეტესად ცალი მხრიდან ღიაა, ეზო-მოედნების მიმართულებით (ყიფიანი, 2002, 16-57; სანიკიძე, 2005, 6-31; ხახუტაიშვილი, 1964 56-68; ხახუტაიშვილი, 1970, 56-65). ქალაქში ოთხი კარიბჭე არსებობდა. ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული კარიბჭე ერთმანეთთან აკავშირებდა ქალაქის ცენტრალურ და გარე უბნებს. უფლისციხის დიდი კლდეკარის ზომები მიუთითებს, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდან ეს უკანასკნელი ბორბლიანი ტრასპორტის გადაადგილებისთვის იყო განკუთვნილი (ხახუტაიშვილი, 1989, 14). არქეოლოგიური მასალების მნიშვნელოვანი ნაწილიც სწორედ ძვ.წ. IV-III საუკუნეებს ეკუთვნის (ხახუტაიშვილი, 1970; სანიკიძე, 2005).

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის II უბანზე შემორჩენილია ელინისტური ხანის ქვათლილებით ნაგები ზღუდის კედელი და კოშკი (ხახუტაიშვილი, 1970, 58), რომლის ჩრდილოეთით ოცდაათიოდე მ-ის დაშორებით აღმოჩნდა ე.წ. სახელოსნო. მისი გათხრისას ჩლიქისებური მოყვანილობის ბრინჯაოს სადგარიანი ხის სკივრის ნაშთები, რომელსაც შემოკრული ჰქონდა ოქროს მძივებით, ვარდულებითა და ლოტოსის გამოსახულებით შემკული ოქროს მკვრივი ქსოვილი. სკივრში უნდა დებულიყო იქვე აღმოჩენილი ოქროს, ვერცხლის, ძვლისა და რკინის ნივთები, მათ შორის, კლდეზე ჩამომჯდარი ქალის ტერაკოტული ქანდაკება, ე.წ. „ტანაგრას“ სკოლის ქმნილება, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითა და III ს-ის თარიღდება და ბერძნულ ნიმუშადაა მიჩნეული (ხახუტაიშვილი, 1989, 25-28; ყიფიანი, 2002, 85; ლორთქიფანიძე, 2002, 259).

უფლისციხის მიდამოებში გათხრილია რამდენიმე საინტერესო არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის, ბამბების, ლაშეთხევის, ყალთანისხევის ნამოსახლარები და სხვა

(ხახუტაიშვილი, 1964, 22-55; ხახუტაიშვილი, 1970, 69, 92) ყათლანიხევის მარცხენა ნაპირზე გაითხარა ძვ.წ. III-I სს-ის ორმოსამარხები, სადაც აღმოჩნდა, ბრინჯაოს წელშეზნექილი სამაჯურები, ვერცხლის საყურეები, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები, ლეგაპრიალა თიხის ჭურჭელი და სხვ. ყათლანიხევის მარჯვენა ნაპირის მრავალფენიანი სამოსახლოს ზედა ფენაში, რომელიც ახ.წ. I ს. მიეკუთვნება, ნაპოვნია რკინის სახნისი. ორმოსამარხების ინვენტარიდან აღსანიშნავია, ვერცხლის ბალთები, ოქროს ღილაკები, სარდიონის გემები თევზის გამოსახულებით, იმპერატორ ტიტეს ოქროს აურეუსი, ავგუსტეს ცხრა ცალი ვერცხლის დენარი, გოტარზეს დრაქმები, თიხის დოქები, მძივები და სხვა (ხახუტაიშვილი, 1964, 86-91; გამყრელიძე, 2021, 95). ადგილ ბამბებში გაითხარა ძვ.წ. III-II სს-ის ნასახლარი, სადაც მრავლად აღმოჩნდა მოხატული, შეღებილი და სადა კერამიკული ნაწარმი (ხახუტაიშვილი, 1964, 70-82; 1970, 30-31).

ძვ. წ. III-I საუკუნეებში უფლისციხე ტიპიური ელინისტური ქალაქია, თავისი ციტადელით, ქალაქით და სასოფლო-სამეურნეო გარეუბნით, მეურნეობით, სოციალური იერი, აღებ-მიცემობით და ხელოსნური წარმოებით. ის საკმაოდ დიდი რეგიონის ცენტრია და ფართოდაა ჩაბმული საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში (ლიჩელი, 2018, 117). ელინისტური ხანის უფლისციხეს, როგორც არქეოლოგიური მონაპოვარი მიუთითებს (კოლხური და მცირეაზიული ამფორები, პერგამული პითელლაკიანი კერამიკა, კოლხური ხელადა, პართული მონეტები, პართული ბულა და ა.შ.) აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ამიერკავკასიის ქალაქებთან, საიდანაც ის საკმაოდ შორეული ქვეყნების ნაწარმსაც იღებდა. საფიქრებელია, რომ შორეული ქვეყნებიდან მომავალი სავაჭრო ქარავნები უფლისციხეშიც ჩერდებოდა. ფიქრობენ, რომ უფლისციხეში არსებულ ამიერკავკასიის ერთ-ერთი უდიდესი საგზაო ნაგებობის, ე.წ. „უფლისციხის დიდი კლდეკარი“-ს ამოკვეთას მხოლოდ ის საფუძველი შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ იბერიის მეფეებისათვის ამ ქალაქს განსაკუთრებული სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა (ხახუტაიშვილი, 1970, 48).

ახ.წ. I-III სს-ში უფლისციხე კვლავ მნიშვნელოვანი საქალაქო და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრია, ამავე დროს წარმართული საკულტო ადგილიც. ქალაქის უდიდეს გამოქვაბულ ნაგებობებს, ამირანაშვილი (1971, 100), მათი არქიტექტურული დამუშავების მხრივ, მიაკუთვნებს საქართველოში რომის პოლიტიკური გავლენის განმტკიცების ხანას, I-III საუკუნეებს. ნაქალაქარი შუა შემაღლებულ ნაწილში გამოკვეთილი დიდი დარბაზი, რომელსაც პირობითად კესონებიანი დარბაზს უწოდებენ, მის ზედაპირზე შემონახული კესონისებური დეკორატიული მორთულობის გამო, რომელიც ჩაღმავებული რვაკუთხედების სახითაა წარმოდგენილი მოგვაგონებს II-III საუკენეების რომაული არქიტექტურის ძეგლებს. რომაული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები როგორიცაა თაღისა და ფრონტონის შეთავსება გვხვდება ცენტრალური დარბაზის ფასადის ფრონტონით გაფორმების სახით (ამირანაშვილი, 1971, 100).

არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობს, რომ ანტიკურ ხანაში უფლისციხის ქალაქებიცა და დაბებიც აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში ბერძნული და მოგვიანებით რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებთან, ირანსა (პართია, სასანური სპარსეთი) და სომხეთთან.

ელინისტური და გვიანანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი სატაძრო ქალაქი, უფლისციხე 2007 წლიდან ქართული მხარის მიერ წარდგენილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში, კულტურული ძეგლის კატეგორიაში, გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების (ii) (iii) (iv) (v) კრიტერიუმების გათვალისწინებით (UNESCO, 2007).

- **მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები**

მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების (ლომთათიძე, 1944; აფაქიძე, 1999; აფაქიძე, 1978; აფაქიძე, 1963; აფაქიძე, 1959) შედეგად დადგენილია, რომ დიდი მცხეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებში თავსდება შემდეგი ტერიტორია, ღართისკარი, სავანეთის ქედი, სარკინე-გრძელი მინდორი, ციხედიდისხევი, არმაზისხევი, არმაზციხე

(ბაგინეთი), დევის ნამუხლი, ავჭალისკარი და წიწამური (ნიკოლაიშვილი, 2005, 93-108). თითოეულ უბანში მოსახლეობა ძირითადად მისდევდა მეურნეობის ერთ რომელიმე დარგს, მაგალითად ლითონის წარმოებას - სარკინეში, სოფლის მეურნეობას-წიწამურში და სხვა (აფაქიძე, 1963, 159-221). უბნების ციხე-სიმაგრეები ქმნიდნენ „დიდი მცხეთის“ ერთიან სათავდაცვო სისტემას. მცხეთას ჩრდილოეთიდან იცავდა ღართისკარ-ბებრისციხე-წიწამურის, დასავლეთიდან - სარკინე-სავანის, აღმოსავლეთიდან კი ნაქულბაქევ-ზემო ავჭალის სასიმაგრო ნაგებობები (დემეტრაძე, 2014, 114-116).

მცხეთასა და მის შემოგარენში სხვადასხვა პერიოდის (ძვ.წ. IV-III ათასწლეულის, ძვ.წ. V-IV სს., დედაქალაქობის დროინდელი, ძვ.წ. III-ახ.წ. IV-Vსს. და შემდგომი პერიოდის, ახ.წ. V-XVIII სს) არქეოლოგიური ძეგლებია აღმოჩენილი. დედაქალაქობის პერიოდის ძველი მცხეთა მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ახლანდელ ქ. მცხეთასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მცხეთის შიდა ციხის, არმაზციხის ტერიტორიაზე, რომელიც დღევანდელი ქალაქ მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მდ. მტკვრის გადაღმა, ბაგინეთის მთაზე მდებარეობს, გამოვლენილია საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პერიოდის (ძვ.წ. IV-III სს-დან ახ. წ. V-VI სს-ის ჩათვლით) თავდაცვით კედლებს. არმაზციხეში აღმოჩენილია გალავნის ნაწილები, კოშკები, ბურჯები და სხვადასხვა ნაგებობები ე.წ სვეტებიანი დარბაზი (ფიგურა 18), რომაული ტიპის აბანო, ღია და დახურული წყალსადენი). მნიშვნელოვანი ნაგებობები გადახურული ყოფილა მცხეთური ბრტყელი (ფიგურა 19-20) და ღარისებრი კრამიტით (აფაქიძე, 1963, 21-34; 162-182; აფაქიძე 1959, 25-38).

მცხეთის საერისთავო უბანი, არმაზისხევი განლაგებული იყო მტკვრისა და არაგვის შესართავს შორის. აქ გამოვლენილია ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნივთები. ოქროთი მოჭედილი ქარქაში, რკინის სატევრები, სამაჯურები, მძივები, საყურეები, დიადემები, სამოსლის სამშვენისები, ვერცხლის სარკე, ვერცხლის ჭურჭელი, მაღალი საიუველირო ოსტატობითა და დახვეწილი გემოვნებით შესრულებული ნივთები ახ.წ. I-II საუკუნეებს მიეკუთვნება. არქეოლოგიური არტეფაქტების გარდა, აქ აღმოჩენილია

არქიტექტურული ნაგებობებიც, ე.წ „ზღუბლიანი, „ერთსენაკიანი“ და „ორსენაკიანი“, მარანი, პიტიახშთა სასახლე, ანფილადური აბანო (ფიგურა 21), რომელიც ახ. წ. II საუკუნით თარიღდება (აფაქიძე, 1963, 34-38, 199, 205; ნარიმანიშვილი, 2018, 61-65).

დედაქალაქობის ხანის მცხეთა ხელოსნობა-ვაჭრობის ცენტრი იყო. არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ ხელოსნური წარმოების უმთავრესი დარგები იყო მეთუნეობა, მელითონეობა, ქვითხუროობა, ხითხუროობა, და მინის წარმოება. ფართო საგარეო სავაჭრო ურთიერთობების მაჩვენებელია მცხეთაში აღმოჩენილი რომაული, პართიული, სასანური მონეტები და უცხოური ძვირფასი ნივთები (აფაქიძე, 1963, 222-246; აფაქიძე, 1959, 81-118).

ქართლის დედაქალაქი მცხეთა სტრატეგიული გზებისა და სხვადასხვა მხრიდან მომავალი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. აქ იყრიდა თავს სომხეთიდან, ალბანეთიდან, კოლხეთიდან და ჩრდილოეთ კალთებიდან მომავალი გზები. მცხეთის ტერიტორიაზე სტრაბონის მიერ აღწერილი ეს გზები ასახულია IV საუკუნეში რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის შედგენილ საგზაო რუკაზეც, „პევტინგერის ტაბულაზე“ (ფიგურა 13), რომელიც უმეტესად I-II საუკუნეების მასალას ემყარება.

ერთი ასეთი გზა სომხეთის დედაქალაქ არტაშატიდან სებასტოპოლში (სოხუმი) მიდიოდა. გადადიოდა ის ჯავახეთსა და სამცხეზე, ამ მხარეების ცენტრების, ანტიკური ხანის ქართლის ციხე-ქალაქების - წუნდასა და ოძრხეს მახლობლად. წუნდაში ამ გზის ერთი ტოტი ქართლის შიდა რაიონებისკენ უხვევდა, მეორე - დასავლეთ საქართველოში გადადიოდა. როდოპოლისთან ეს გზა ორად იყოფოდა, ერთი უხვევდა დასავლეთისკენ (რიონის გაყოლებით ფაზისისაკენ) ხოლო მეორე - აღმოსავლეთისაკენ (ისევ რიონით და შემდეგ ყვირილით სვირის, შორაპნის გავლით აღმოსავლეთ საქართველოში).

მეორე გზა არტაშატიდან ქართლში მოდიოდა, ემთხვეოდა დღევანდელი ერევან-აქსტაფის გზის ტრასას (სევანის ტბის და დილიჯანის გადასასვლელის გამოვლით), გაივლიდა დღევანდელი რუსთავის გვერდით და აღწევდა თბილის-მცხეთა რაიონს. ამ გზის ერთი განტოტება ალბანეთისაკენ მოდიოდა, იქიდან უხვევდა და საგარეჯო-

უჯარმის გამოვლით მცხეთა-თბილისის რაიონში შემოდიოდა. ამასთან, ქართლი საგარეო ვაჭრობაში ჩართული იყო სამცხე-ჯავახეთიდან, ასევე ტაოსა და კლარჯეთზე გამავალი მცირე აზიისკენ მიმართული გზებითაც (მელიქიშვილი, 2012გ, 199-200; ნარიმანიშვილი, და მგელაძე, 2007).

ამრიგად, ქართლის სამეფოზე და მის დედაქალაქ მცხეთაზე გადიოდა ოთხი მხრიდან მომავალი სავაჭრო გზები (ფიგურა 17), სომხეთიდან, ალბანეთიდან, კოლხეთიდან და ჩრდილოეთ კალთებიდან (ლომოური, 1953, 115-117).

საფიქრებელია, რომ მნიშვნელოვანწილად იბერიის გზით მყარდებოდა სამხრეთის ცენტრების სავაჭრო ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის ტომებთან. მათთან იბერიის მმართველთა მეგობრობა ამისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ I-II სს. სომხეთის ასპარეზზე რომისა და პართიის მეტოქეობას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იბერიის და კოლხეთში გამავალი გზები შორეულ აღმოსავლეთთან დასავლეთის ვაჭრობის მაგისტრალად დროდადრო მაინც გამოიყენებოდა. ამ მიზნით რომაელები მაშინვე დაინტერესდნენ როგორც კი ამიერკავკასიაში გამოჩნდნენ (მელიქიშვილი, 2012ბ, 199-200).

მცხეთის ისტორიული ძეგლები, მათ შორის, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სამთავროს დედათა მონასტერი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდროების ნუსხაშია შეტანილი 1994 წლიდან კულტურული ძეგლის კატეგორიაში გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების (iii) (iv) კრიტერიუმების საფუძველზე (UNESCO, 1995, 53).

- **ურბნისი**

კიდევ ერთი საქალაქო ცენტრი, რომელიც სავაჭრო გზაზე მდებარეობდა ურბნისია. ურბნისის ათვისება ადრებრინჯაოს ხანიდან იწყება და აქტიური ცხოვრება აქ VIII საუკუნის 30-იან წლებამდე გრძელდება. ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე ამჟამად სოფელია გაშენებული. ურბნისში შემორჩენილი ერთადერთი მიწისზედა ძეგლი V-VI საუკუნეებს ეკუთვნის და ბაზილიკურ ეკლესიას წარმოადგენს (ჭილაშვილი, 1964).

არქეოლოგიური გათხრებით დაფიქსირებულია ელინისტური ხანის ნაგებობათა და საწარმოთა ნაშთები, ნახანძრალი ფენები და სამარხები. ურბნისის სამაროვანის გვიანანტიკური მინის ჭურჭლის შესწავლით ნათელი გახდა, რომ ანტიკურ ხანაში ურბნისს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ სირიასთან (საგინაშვილი, 1970, 47). ნაქალაქარზე აღმოჩენილი მინის ზოდები მიუთითებს, რომ ქალაქს საკუთარი მინის წარმოებაც ჰქონია. ჭილაშვილი (1964, 142) ვარაუდობს, რომ ქალაქში ასევე ფუნქციონირებდა თიხის ჭურჭლის საამქრო და ლითონის ნივთების სახელოსნოც. მნიშნელოვან სატრანზიტო გზაზე მდებარეობამ ჩანს რომ ხელი შეუწყო ურბნისის სწრაფ დაწინაურებას. აქტიურ სავაჭრო ურთიერთობებზე მიუთითებს აქ აღმოჩენილი უცხოური წარმოების საქონელი და მონეტები.

ქალაქი ურბნისი, რომელიც მდებარეობს ეგვიპტე → სირია → პალესტინა → იბერია → ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულების უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაზე, დასახლებული იყო სავაჭრო ცენტრებისათვის დამახასიათებელი კოსმოპოლიტური მოსახლეობით. ქართლში მცხოვრები ებრაელები და არამეელები სირია-პალესტინიდან, საერთაშორისო ვაჭრობით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებული მათ ყოფილ და ახალ საცხოვრებლებს შორის (Gagoshidze, 2008, 24; ჭილაშვილი, 1964, 141–147).

ანტიკური ურბნისი რომ სახმელეთო სავაჭრო-სამიმოსვლო გზასთან იყო დაკავშირებული ამას ძველი ქართული წყარო „ნინოს ცხოვრება“ მოწმობს, რომლის მიხედვითაც ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო ქართლში სომხეთიდან წამოსულა და ჯავახეთიდან მტკვრის დინებით ჩავიდა ურბნისში (ბერძენიშვილი, 1990, 323).

- **დედოფლის გორა**

ქართლის სამეფოს ჩაბმას ახ.წ. I საუკუნეში ჩინეთიდან მომავალ საერთაშორისო სავაჭრო ქსელში მოწმობს ქართლის დედაქალაქიდან 100 კმ-ის დაშორებით, ურბნისის მახლობლად, სოფ. არადეთის სამხრეთით, 4 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის, მდ. დასავლეთ ფრონეს შესართავთან მდებარე დედოფლის გორაზე ძვ. წ. II საუკუნის დასასრულს აშენებული და ახ.წ. 80 წელს მიწისძვრის შედეგად დანგრეული სასახლის

(ფიგურა 22-23) ერთ-ერთ ოთახში (N18) 2005 წელს აღმოჩენილი აბრეშუმი. მიკროსკოპულმა ანალიზებმა აღნიშნულ ოთახში აბრეშუმთან ერთად ბამბის აღმოჩენაც დაადასტურეს (Kvavadze და Gagoshidze, 2008). გაგოშიძე (2012, 158-160) ვარაუდობს, რომ დედოფლის სასახლეში გამოვლენილი აბრეშუმის ძაფები ჩინეთიდან შემოტანილი ქსოვილის ფრაგმენტებს წარმოადგენს. მისი აზრით, საეჭვოა, რომ ჩინელები, რომლებიც ამ პერიოდში ერთადერთნი იყვნენ აბრეშუმის ქსოვილის წარმოებაში, აბრეშუმის ნართის ექსპორტს ახორციელებდნენ. სავარაუდოდ, გასაყიდად ჩინელებს მზა პროდუქტი - აბრეშუმის ქსოვილი გაჰქონდათ. დედოფლის გორის სასახლეში აბრეშუმის ძაფებთან ერთად აღმოჩენილი საქსოვი დაზგა და ბამბის ქსოვილი იძლევა მყარ საფუძველს იმისათვის, რომ დამაჯერებლად მივიჩნიოთ გაგოშიძის მოსაზრება აქ აბრეშუმის ქსოვილის დაშლისა და მისი ბამბასთან ერთად ხელმეორედ მოქსოვის შესახებ. ამასთან, ცნობილია, რომ ამ პერიოდში ქსოვილის ამგვარი წარმოების პრაქტიკა რომის იმპერიაში იყო გავრცელებული (Kvavadze და Gagoshidze, 2008, 215).

დედოფლის გორაზე ანტიკური ხანა წარმოდგნილია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის ნანგრევებით. გათხრების შედეგად გამოვლინდა პილონებით შემოსაზღვრული შიდა ეზოს ნაწილი. ეზოს გარშემო განლაგებულია 6 ოთახი. ნაგებობების კედლების ქვედა ნაწილი 1,5 მ. სიმაღლეზე აგებულია რიყის ქვითა და თიხის ხსნარით, ხოლო შემდეგ კედლები ამოყვანილია ალიზის აგურით (52 X 52 X 12 მ). ალიზის წყობა გამაგრებულია კედლების გასწვრივ და გარდიგარდმო დალაგებული ხის ძელებით. გარედან კედლები მოპირკეთებული ყოფილა თლილი ქვიშაქვით, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმული იყო ისრისებური ფორმის გამირებით. სასახლის ეზოში მოწყობილია სახაბაზო ოთხი თონითა და ხელსაფქვავებით. ეზოს ირგვლივ განლაგებულ ოთახებში ინახებოდა ჭირნახული (ხორბალი, ქერი და სხვ.), რკინის სახნისები. დედოფლის გორის კომპლექსი თარიღდება ძვ.წ. I – ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით (გაგოშიძე, 2015, 119-139; Gagoshidze, 2008, 41- 44).

სოფ. არადეთის დასავლეთით 3 კმ-ის დაშორებით, დედოფლის მინდორზე, გაითხარა სატაძრო კომპლექსი, რომელშიც შედის, მთავარი ტაძარი, მცირე ტაძარი, ორი

კარიბჭე, მცირე ტაძრის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. სატაძრო კომპლექსს, რომელიც ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება დაახლოებით ექვსი ჰა ფართობი უკავია. (გაგოშიძე, 1974, 70-78; Гагошидзе, 1978; Gagoshidze, 2008, 42).

- **დარიალის ციხე**

ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა დარიალის გადასასვლელს (Sauer, at el., 2020). დაბა სტეფანწმინდიდან ჩრდილოეთით, ათიოდე კმ-ის დაშორებით, მდ. თერგის მარცხენა ნაპირის შემაღლებულ კლდეზე დარიალის ხეობაში მდებარეობს ბუნებრივ ბორცვზე აშენებული დარიალის ციხე (ფიგურა 24-25) რომელიც ტერასის ჩრდილო ნაწილში ამაღლებულია (წითლანაძე, 1971, 62 საისტორიო წყაროებში ციხის ქართული სახელწოდებებია „არაგვის კარი“ (ლეონტი მროველი), „ოვსთა კარი“ (ჯუანშერი), უცხოურ წყაროებში გვხვდება „კასპიის კარი“, „სარმატიის კარი“, „ივერიის კარი“, „კავკასიის კარი“, „ბაბ ალ-ლანი“ (არაბ) და სხვა. „დარიალანი“ ირანულად „ალანთა კარს“ ნიშნავს. ხალხური გადმოცემით, მას თამარის ციხეს უწოდებენ. პლინიუსთან (ახ. წ. I ს.) მოხსენიებულ სიმაგრე (Pliny, 6.30) კუმანიას მკვლევართა ნაწილი (ე. ვაიდენბაუმი, ვ. დოლიძე, რ.შმერლინგი) დარიალის ციხესთან აიგივებს (წითლანაძე, 1971, 62-63; მინდორაშვილი, 2014, 148-150; , 2006, 191).

ციხეზე დაზვერვითი სამუშაოები 1878 წელს უწარმოებია ფ. ბაიერნს. 1934-35 წლებში ნ. მარის სახ. მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ა. კრუგლოვი) ციხეზე ჩაატარა მცირე მასშტაბის გათხრები. 1962-63 წლებში ციხის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენის ტრასის მშენებლობასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ლ. წითლანაძე) შეისწავლა ციხის სხვადასხვა უბანი აღნიშნული ინტრასტუქტურული სამუშაობის გამო აუფეთქებიათ ციხი დასავლეთი ნაწილი (წითლანაძე, 1971, 62-63). 1988-89 წლებში გაზსადენის ახალი ტრასის მშენებლობასთან დაკავშირებით, გაგრძელდა გათხრები (დ. მინდორაშვილი) დარიალის ციხის ტერიტორიაზე (მინდორაშვილი 2014, 149). უკანასკნელ წლებში დარიალის

არქეოლოგიური შესწავლა განხორციელდა 2013-2016 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ედინბურგისა და დარამის უნივერსიტეტების ერთობლივი არქეოლოგიური კვლევის ფარგლებში (Sauer et al., 2020).

დარიალის ციხე აგებულია აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან სრულიად მიუდგომელი მაღალი კლდოვანი მთის ზედა ნაწილზე, მთის დასავლეთ ფერდობსა და ფერდობის ძირზე. ზედა ციხეზე (ფართობი დაახ. 1 ჰა) შემორჩენილია ზღუდის კედლები, კოშკისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები. ციხის დასავლეთ ფერდობს ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდან დაუყვება მძლავრი სასიმაგრო კედლები. ციხის სამხრეთ კედელში დატანებული თაღიანი კარით ბოლოვდებოდა გვირაბი, რომელიც მდ. თერგზე ჩადიოდა (წითლანაძე, 1971, 62; მინდორაშვილი, 2014, 149-150). ციხეზე რამდენიმე სამშენებლო ფენა დასტურდება. მათ შორის უძველესია ჩრდილოეთ კარიბჭესთან ადრეული შუასაუკუნეების ზღუდის კედლის ქვეშ აღმოჩენილი სასიმაგრო კედელი, რომელიც მშრალი წყობითაა ნაგები. კედლის სისქე 6 მ-ია. პერანგებად გამოყენებულია დიდრონი ლოდები. პერანგებს შორის სივრცე წვრილი ქვითაა ამოვსებული. კედელი სავარაუდოდ ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება ლეონტი მროველის ცნობით, ხეობის ვიწრო გასასვლელში ძვ. წ. II ს-ში ციხე (კარი) აუშენებია ქართლის მეფე მირვანს. ახ. წ. I ს-ში ხეობა ჩაკეტილი ყოფილა მტკიცე კედლით (მინდორაშვილი, 2014, 149-150).

დარიალის ციხეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. დარიალის გზით სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში პერიოდულად შემოიჭრებოდნენ კავკასიონის გადაღმა მომთაბარე სხვადასხვა ნომადური ტომები, სკვით-სარმატები, ალან-ოვსები, ჰუნ-ხაზარ-ყივჩაღები. ამდენად, დარიალის გადმოსასვლელის ჩაკეტვით დაინტერესებული იყვნენ როგორც საქართველოს მმართველები, ისე სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში გაბატონებული რომაელები, ბიზანტიელები, ირანელები და მოგვიანებით არაბები (ლორთქიფანიძე, 2006, 191). დარიალის ციხე იცავდა აღმოსავლეთ საქართველოსა და საერთოდ მთელ სამხრეთ კავკასიას ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ტომების შემოსევებისგან. ციხის ტერიტორიაზე გადიოდა ჩრდილოეთ და

სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი (მინდორაშვილი, 2014, 150).

- **მონეტების ცირკულაცია, სავაჭრო გზები და იმპორტი**

ელინისტურ სამყაროსთან ქართლის სამეფოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს მოწმობს ძვ.წ. IV-II საუკუნეების უცხო მონეტების აღმოჩენები (ლორთქიფანიძე, 1968), ალექსანდრე მაკედონელის ერთი სტრატერი (მცხეთაში), პტოლემაიოს III-ის (სავარაუდოდ) ეგვიპტური სპილენძის მონეტა; ძვ. წ. III-II საუკუნეების პართიული დრაქმების განძი; კაპადოკიის მეფის არიარათ IV-ის (ძვ.წ. 220-163) დრაქმა; პართიის მეფის მითრიდატე I-ის (ძვ.წ.171-138) დრაქმა გორსა და ნასტაკისში; სირიის მეფის დემეტრე I სოტერის (ძვ.წ. 150-145) სპილენძის მონეტა; სელევკიდური ვერცხლის მონეტა ანტიოქე ევერგეტისა (ძვ.წ. 138-129); პართიის მეფის მითრიდატე II-ის (ძვ.წ. 123-88) ექვსი დრაქმა; ძვ.წ. 118 წელს მოჭრილი რომის რესპუბლიკის დენარი; ვერცხლის ექვსი ბაქტრიული მონეტა სავარაუდოდ ძვ. წ. II საუკუნის, ძვ. წ. II-I საუკუნეების ქალაქ სოლის (კილიკიის, მცირე-აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) მონეტა. სირიული მონეტების აღმოჩენის ფაქტები მიანიშნებს, რომ იბერიის ეკონომიკა აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული ძვ. წ. III-II საუკუნეებში (დუნდუა და დუნდუა, 2006, 87-89).

ძვ. წ. II საუკუნის დასასრულიდან და განსაკუთრებით, ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისიდან იბერიაში უკვე ჩამოყალიბდა უაღრესად ჭრელი სამონეტო ბაზარი. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდის 72 მონეტაა აღმოჩენილი. აქედან 45 პართიული დრაქმაა, 12 რესპუბლიკური რომის დენარები, 11 ეკუთვნის არტაბან II-ს (ძვ.წ. 88-77), ცხრა - სინათურქს (ძვ.წ. 77-70 წწ), 13 - ფრაატ III-ს (ძვ.წ. 57-54 წწ).

იბერიაში კერძოდ, აღაიანში მიკვლეული მონეტები (მირიანაშვილი, 1980, 74-86) მეზობელ ქვეყნებთან შედარების შედეგად ყველაზე მეტ მსგავსებას ავლენენ თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე მიკვლეულ მონეტებთან. თ. დუნდუა და

დუნდუა (2006, 93) ვარაუდობენ, რომ იბერიაში ელინისტური აღმოსავლეთისა და რესპუბლიკური ხანის რომაული დენარების გარკვეული ნაწილი ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად, სომხეთის დედაქალაქ არტაშატიდან უნდა იყოს შემოსული, სავაჭრო გზის იმ მონაკვეთით, რომელიც IV საუკუნის გეოგრაფის კასტორიუსის რუკის ე.წ „პევტინგერის ტაბულას“ მიხედვით გაივლიდა შემდეგ პუნქტებს, დილიჟანი → აღსტაფა → ყაზახი → რუსთავი → თბილისი → მცხეთა (ფიგურა 13). მონეტების გარკვეული ნაწილის შემოსვლას კი თ. დუნდუა და დუნდუა (2006) უკავშირებენ გნეუს პომპეუსის ლაშქრობას ძვ.წ. 65 წელს, რომელიც იბერიაში, სტრაბონის ცნობით სწორედ სომხეთიდან შემოვიდა (ფიგურა 26).

ძვ.წ. I საუკუნეში საქართველოში რომაელთა პირველი ლაშქრობის შედეგად იბერია (ძვ.წ. 66) უკვე რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა (ლორთქიფანიძე, 1968, 65). თუმცა, იბერიის სამეფო რომსა და პართიას შორის არსებული ურთიერთდაპირისპირებით სარგებლობს და რომის გავლენისგან თავისუფლდება (ლორთქიფანიძე, 1968; გამყრელიძე, 2014). ძვ.წ. I საუკუნის მიწურულიდან იბერიის სამეფოს აღმავლობის ხანა იწყება. I საუკუნის პირველ ნახევარში იბერიის სამეფო აფართოვებს საზღვრებს და ბრძოლით იღებს მდ. არაქსთან მდებარე ციხე-ქალაქს არტაქსატას. ასევე, ის იბრუნებს სამხრეთ-დასავლეთით მდ. ჭოროხის, მდ. მტკვრის და მდ. არაქსის სათავეების ტერიტორიებს (გამყრელიძე, 2014, 129). იბერიის სამონეტო ბაზრის ძირითადი კომპონენტები ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში კვლავ პართიული დრაქმები და რომაული დენარებია. ეკონომიკური ცენტრები კი აღაიანი და მცხეთა (დუნდუა და დუნდუა, 2006).

ახ. წ. I-II საუკუნეებში იბერიის და რომის ურთიერთობა კეთილმეზობლურია და მშვიდობიანი, რასაც საფიქრებელია, რომ ორმხრივი ეკონომიკური ინტერესი უნდა ჰქონოდა (ლორთქიფანიძე, 1968). როგორც უკვე აღინიშნა, რომის დაინტერესება ამიერკავკასიის ქვეყნებით და მათ შორის იბერიის სამეფოთი რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული. ერთი მხრივ, ეს ინტერესი განპირობებული უნდა ყოფილიყო სტრატეგიული მდებარეობით, რომელიც ქმნიდა მნიშვნელოვან წინააღმდეგობას

ჩრდილოკავკასიელი ტომების ტრანსკავკასიასა და მცირე აზიაში შეჭრისათვის. კავკასიის ქედის მამისონის, დარიალისა და დერბენდის გადასასვლელების ფლობა ნიშნავდა ჩრდილოკავკასიელი ტომების მეომრების მოძრაობის კონტროლის შესაძლებლობის ქონას (გამყრელიძე, 2014, 131). მეორე მხრივ, რომს იზიდავდა ეკონომიკური ინტერესი. რომაელები ამიერკავკასიის ქვეყნებში ხედავდნენ დამაკავშირებელ გზას ჩრდ. შავიზღვისპირეთთან, რომელიც მონათა უშრეტ წყაროს წარმოადგენდა. ასევე, რომაელთა დიდი ინტერესის სფეროში ექცეოდა ის დიდი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს, ამიერკავკასიაზე გავლით დასავლურ სამყაროსთან აკავშირებდა (ლორთქიფანიძე, 1968, 66). პლინიუსის თანახმად, პომპეუსი საგანგებოდ იყო დაინტერესებული ამ გზაზე სავაჭრო ურთიერთობათა განხორციელების შესაძლებლობით (Pliny, 6, 19).

როგორც უკვე აღინიშნა, ახ.წ. პირველ საუკუნეებში საერთაშორისო ვაჭრობა კიდევ უფრო ფართო მაშტაბებს იძენს. ლორთქიფანიძის (1968, 68-112) აზრით, იბერიის სამეფოს აქტიურ ჩაბმას ახ.წ. I საუკუნეების საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესში ხელს უწყობდა მისი სიახლოვე დიდ სავაჭრო მაგისტრალებთან და ჯერ კიდევ ელინიზმის ხანაში დაწყებული ურთიერთიერთობები მახლობელი აღმოსავლეთის (სომხეთის, სირიის, პალესტინის) დაწინაურებულ კულტურულ ცენტრებთან. ამ პერიოდში რომის იმპერიას აქტიური სავაჭრო ურთიერთობა აქვს აღმოსავლეთთან. პლინიუსის ცნობით, ვესპასიანეს დროს აღმოსავლური საქონელი არაბეთიდან, ჩინეთიდან და ინდოეთიდან იმპერიას ყოველწლიურად 100 მილიონი სესტერციუსი უღირდა (ლორთქიფანიძე, 1968, 67).

ქართლის მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას რომაული სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა პროცესში მოწმობს ნუმიზმატიკური მასალა. ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება რომაული აურეუსების შემოსვლა იბერიაში. რომაული აურესები მთელი II საუკუნის მანძილზე იბერიის სამონეტო მიმოქცევაშია

ავგუსტუსის დენარებსა[15] და გოტარზეს დრაქმებთან ერთად (დუნდუა და დუნდუა, 2006, 127). ლორთქიფანიძის (1968, 70) აზრით, ავგუსტუსის დენარები, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული რომაული სამყაროს ფარგლებს გარეთაც (სამხრეთ ინდოეთი მათ შორის), იბერიაში შემოდიოდა არა უშუალოდ იმპერიიდან, არამედ იმპერიის აღმოსავლური პროვინციებიდან, სამხრეთით არსებული, სომხეთზე გამავალი სავაჭრო გზის მაგისტრალით, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის ცენტრებს აკავშირებდა იბერიასთან და მის დედაქალაქ მცხეთასთან.

საინტერესო სურათია სამონეტო თვალსაზრისით არგვეთში, რომელიც მართალია გეოგრაფიულად კოლხეთის ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით იბერიის შემადგენლობაში შედიოდა. აქ ერთდროულად მიმოქცევაში იყო ოთხი კატეგორიის მონეტები, საერთო საიმპერატორო დენარები, პართიული დრაქმები, ალექსანდრე მაკედონელის სტრატერის ქართული მინაბაძები და კესარიული ვერცხლი (დუნდუა და დუნდუა, 2006, 131). როგორც ცნობილია, არგვეთზე გადიოდა სავაჭრო გზის მთავარი მაგისტრალი, რომელიც კოლხეთს იბერიასთან აკავშირებდა. სწორედ ამას უნდა გამოეწვია არგვეთის ეკონომიკური სპეციფიკა. ჩანს, რომ აღნიშნულ რეგიონში მონეტები ვრცელდება როგორც კოლხეთის ზღვისპირეთიდან ისე იბერიიდან. კერძოდ, ავგუსტუსის დენარები არგვეთში იბერიიდან უნდა იყოს შესული, ვინაიდან ისინი ამ დროს და შემდგომაც იბერიის სამონეტო მიმოქცევის ძირითად ერთეულს წარმოადგენდნენ, ხოლო პოლემონ II-ის დრაქმა შავიზღვისპრეთის გზითაა აქ მოხვედრილი (თოდუა, 2008, 48).

სტრაბონისა და პლინიუსის მიერ აღწერილი სამხრეთ კავკასიაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც გვიანელინისტურ ხანაში კარგავს ფუნქციას, ამოქმედებული ჩანს რომაულ ხანაში, რადგან დასავლეთის რომაული

[15] ავგუსტეს მონეტები 206 ცალის ოდენობით აღმოჩენილია მცხეთა-აღაიან-ნასტაკისში, ზღუდერში, ერწოში, მაგრანეთში, ქუშანაათ გორაზე და ჟინვალში.

სამყაროსთვის პართიასა და სომხეთზე გამავალი გზა გადაკეტილი აღმოჩნდა რომსა და პართიას შორის მტრული ურთიერთობის გამო (მელიქიშვილი, 2006, 56).

გვიანანტიკური ხანა საქართველოში აღინიშნა დასავლურ, კერძოდ, რომაულ კულტურაზე ორიენტაციით. რომის იმპერიის ჰეგემონობის პერიოდში მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტები მყარდება რომაულ-აღმოსავლურ პროვინციებთან, სირიასთან და კაპადოკიასთან, სადაც ძლიერი იყო ელინისტური კულტურის ტრადიციები. დიდი რაოდენობით შემოდის მხატვრული ხელოსნობის ნაწარმი, მინის ჭურჭელი, სანელსაცხებლეები, ძვირფასი სუფრის ჭურჭელი, ვერცხლის მოზრდილი ლანგრები. აღმოსავლურ სიუჟეტიან გემებს, ბეჭედ-საბეჭდავებს ცვლის ბერძნულ-რომაული გლიპტიკის ნიმუშები. თავდაპირველად, მათი დიდი ნაწილი შემოტანილია, შემდგომ კი იწყება მათი ადგილობრივი წარმოება.

ახ. წ. I-III საუკუნეებში ქართლის სამეფოს მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას მაშინდელი მსოფლიოს საქონელგაცვლის პროცესში მოწმობენ არქეოლოგიური მასალები, რომელიც მრავლადაა აღმოჩენილი სამარხებსა და კულტურულ ფენებში. იმპორტულ ნივთებს შორის განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია სხვადასხვა სახის სამკაულები, მათ შორის ეგვიპტური ცისფერი პასტისგან დამზადებული მძივები და საკიდები, რომელთა აღმოჩენის ყველაზე ხშირი შემთხვევები დაფიქსირებულია მცხეთასა და ურბნისში. რომაული ეგვიპტის სახელოსნოების ეს ნაწარმი ვრცელ ტერიტორიაზეა გავრცელებული და მოიცავს ხმელთაშუაზღვისპირეთს, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს, ჩრდილოეთ კავკასიას, ამიერკავკასიას, შუა აზიას, მახლობელ აღმოსავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს (ლორთქიფანიძე, 1968, 71-75).

იმპორტული საქონლის უდიდესს ნაწილს შეადგენდა ფუფუნების საგნები (ვერცხლისა და მინის ჭურჭელი, სამკაულები და სხვა.), რომელთა მომხმარებელი ძირითადად არისტოკრატია იყო. ეგვიპტიდან ქართლში შემოჰქონდათ ცისფერი პასტის, სერდოლიკის ე. წ მილაკით დახვრეტილი მძივები და სხვა სამკაული, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (შუა აზია, ინდოეთი, არაბეთი) - ძვირფასი ქვები, ლალი, ძოწი, ფირუზი და

სხვა. რომის აღმოსავლური ბერძნული პროვინციებიდან - რომაული გლიპტიკური ძეგლები, გემები და კამეები, რომელსაც საბეჭდავებად და ავგაროზებად იყენებდნენ. მათ შორისაა ძვ.წ. II-I სს. იტალიკური გემები (მცხეთა-სამთავრო, ბორი) ახ.წ. I-III სს. „რომაული“ (მცხეთა-სამთავრო, ბაგინეთი, არმაზხევი, კლდეეთი, ბორი, როქი, ბოლნისი, წილკანი, საძეგური, ავჭალა, ზაჰესი, თბილისი), მცირეაზიული (დიდი ლილო) და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის (მცხეთა-სამთავრო, ზემო ავჭალა) გემები (ლორთქიფანიძე, მ., 1961).

ამ პერიოდში ქართლში ვრცელდება ასევე იტალიკური ვერცხლის თასები და ბრინჯაოს ჭურჭელი (სურები, სატერები - მცირე ზომის სახელურიანი ჯამები, ჩამჩები და სხვა), რომელთაგან აღსანიშნავია სოფ. ნიჩბისში აღმოჩენილი სამხრეთ იტალიკური წარმოშობის ახ. წ. I ს-ის მაღალყელიანი მუცელგამობერილი ბრინჯაოს სურები, ყურზე მედუზა გორგონას თავის გამოსახულებით (ლორთქიფანიძე, 1968, 78); მცხეთასა და სოფ. ბორში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამი სურა, ე.წ. კვერცხისებურკორპუსიანი, ვიწროყელიანი და ე.წ. ნისკარტისებური ტუჩით კლდეეთში აღმოჩენილი ე.წ. იტალიკური წარმომავლობის ბრინჯაოს პატერები და სხვ (ლორთქიფანიძე, 1968, 86).

ამრიგად, იმპორტული ნივთები გავრცელებული იყო არა მხოლოდ ქართლის დიდ ქალაქებში და ადმინისტრაციულ ცენტრებში: მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, ზღუდერი (ფიგურა 28-34) (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009), ბორი, კლდეეთი, არამედ სოფლებშიც: ნიჩბისი, ზემო ხანდიკი, ატოცი და სხვა (ლორთქიფანიძე, 1968, 72-75).

მცხეთასა და მის მიდამოებში, ასევე ურბნისში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი (თასები, ჯამები, სანელსაცხებლეები, ღვინის, წყლის და სხვა სითხისთვის განკუთვნილი დიდი ზომის ჭურჭლები) უმეტესად სირიული წარმოშობისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლორთქიფანიძე (1968, 76) ასკვნის, რომ ახ. წ. I-II სს-ში რომაულ სირიას აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ქართლის სამეფოს მოსახლეობასთან. სირიული სახელოსნოების იმპორტი ქართლში, როგორც ჩანს, გზას იკვლევდა იმ სამხრეთი სავაჭრო მაგისტრალით, რომელიც პევტინგერის ტაბულაზეა

აღნიშნული. ამ გზის ერთი მონაკვეთი, როგორც აღინიშნა, სომხეთზე გადიოდა ქალაქ არტაშატთან, ხოლო აქედან ამ გზის ერთი მონაკვეთი (ტიგრანოკერტი → არტაშატი → მცხეთა) აღწევდა მცხეთამდე (ფიგურა 13). იმპორტის ამგვარი გავრცელების შესახებ მოსაზრებას ამყარებს სირიული მინის ნაწარმის მრავლად აღმოჩენა სომხეთში (ლორთქიფანიძე, 1986, 76). ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ზღუდერის განძი (ფიგურა 35-36) (ბრაუნდი, ჯავახიშვილი, ნემსაძე, 2009).

რედგეითის (1998) თანახმად, არტაქსატა მნიშვნელოვანი კომერციული ცენტრი იყო. აქ, ერთ-ერთ შენობაში აღმოჩენილია I-II საუკუნით დათარიღებული 2000 თიხის საბეჭდავი, სავაჭრო საქონელთან ერთად. სავაჭრო გზები არტაქსატას აკავშირებდა შავ ზღვის სანაპიროსთან, კოლხეთთან, მედია ატროპატენესთან, ნიზიბიმთან სირიაში, სატალასთან მცირე არმენიასთან, ტიგრანოკეტთან და სომხეთის სხვა ადგილებთან.

სხვაგვარი მოსაზრება აქვს გამოთქმული გაგოშიძეს (Gagoshidze, 2008, 24), რომელიც ერთი მხრივ არ უარყოფს, რომ ზოგიერთი სირიული იმპორტი შეიძლება მოხვდა უძველესი გზის გავლით არტაქსატადან, არმენიის დედაქალაქიდან → გოგარენემდე (ქვემო ქართლი) და აქედან → იბერიის დედაქალაქ მცხეთაში, თუმცა იბერიასა და სომხეთში მონეტების მიმოქცევის განსხვავებულობის მხედველობაში მიღების შედეგად, და ასევე ახ.წ. I საუკუნეში არსებული სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით ქართლში სირიული საქონლის იმპორტის (ყოველ შემთხვევაში, ამ საუკუნეში) შემოსვლა უფრო დამაჯერებად მიაჩნია დასავლეთით არსებული მარშრუტის მეშვეობით, რომელიც მხოლოდ რომაულ პროვინციებს გაივლიდა და აცდებოდა არტაქსატას.

გაგოშიძის (Gagoshidze, 2008, 23-24) ვარაუდით, დასავლეთის აღნიშნული მარშრუტი მიუყვებოდა მდ. ევფრატის ხეობას → მდ. მტკვრის ხეობისაკენ და → აღწევდა ქართლს. ეგვიპტური საქონელიც გაგოშიძის ვარაუდით, ამავე მარშრუტით შემოდიოდა. მას ახ.წ. I საუკუნეში ზემოხსნებული მარშრუტის ინტენსიური გამოყენების მოწმობად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ურბნისში, რომელიც მდებარეობით ამ გზაზე იბერიის პირველ

ქალაქს წარმოადგენდა, I საუკუნის სირიული მინის ჭურჭლის გაცილებით დიდი და ფართო ასორტიმენტია აღმოჩენილი არქეოლოგიურ გათხრების შედეგად, ვიდრე მცხეთაში, იბერიის დედაქალაქში. ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული გაგოშიძეს (Gagoshidze, 2008, 24) ახ.წ. I საუკუნის ძვირფასი ქვების იმპორტის გზის შესახებ, პალესტინის კესარიიდან → ქართლში. ვვარაუდობენ, რომ ახ. წ. I საუკუნიდან ტორევტიკული პროდუქტები და ძვირფასი ჭურჭელი ეგვიპტური, სირიული და ახლო აღმოსავლეთის სხვა ცენტრებიდან იმპორტირებული იქნა აღნიშნული სავაჭრო გზის მეშვეობით.

გაგოშიძის (Gagoshidze, 2008, 25) მოსაზრებით, დასავლური იმპორტი, კერძოდ იტალიკური ბრინჯაოს ჭურჭელი, საქართველოში შესაძლოა ამავე მარშრუტით შემოვიდა. დედოფლის გორაზე არაერთი ასეთი ნაწარმია გამოვლენილი. ვარაუდობენ, რომ ისინი სირიაში საზღვაო გზით არის მოხვედრილი, საიდანაც შემდეგ გავრცელდა მთელს აღმოსავლეთში. თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ ზოგიერთი იტალიკური ნაწარმი შეიძლება იმპორტირებული იყოს სხვა მარშრუტებით, მაგალითად, ჩრდილოეთ იტალიური მინის ჭურჭელი უნგვენტარიუმი (ფიგურა 37), რომლებიც საქართველოში პირველად დედოფლის გორაზე აღმოაჩინეს. უნგვენტარიუმის ექსპორტი ისეთ მნიშვნელოვან მინის წარმოების ცენტრში, როგორც სირია იყო, თუნდაც რეექსპორტისთვის ნაკლებად სავარაუდოდ არის მიჩნეული. საფიქრებელია, რომ მინის ჭურჭელით იტალიაში გაგზავნილი სუნამო ჩაიტანეს ზღვით ტრაპეზუნტში და შემდეგ გადაიტანეს იბერიაში ტავრის უჯელტეხილისა და ჭოროხის (აფსაროსის) ხეობის გავლით, სადაც ეს გზა უერთდებოდა სირიასა და იბერია შორის არსებულ გზას (Gagoshidze, 2008, 24-25).

იტალიკური იმპორტი, ლორთქიფანიძის (1968, 100) აზრით, სამხრეთის სავაჭრო მაგისტრალით ვრცელდებოდა, ვინაიდან მათი აღმოჩენის ფაქტები კოლხეთში არ არის დადასტურებული, იტალიკური იმპორტის იბერიაში შავი ზღვის სანაპიროს რომაული სადგომებიდან და შემდეგ რიონ-ყვირილა-მტკვრის მაგისტრალით გავრცელება ლორთქიფანიძეს (1968, 100) შესაძლებლად არ აქვს მიჩნეული.

არმენია-მიდიასა და იბერიიდან ჩრდილოეთ კავკასიისკენ მიმავალი სავაჭრო გზის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული სტრაბონის „გეოგრაფიაში“, სადაც ის აღნიშნავს, რომ „აორსებსა და სირაკებს.. ეპყრათ ქვეყნის მეტი ნაწილი და ფლობდნენ თითქმის მეტ წილს კასპიის სანაპიროსას, ისე, რომ შემოჰქონდათ აქლემებით ინდური და ბაბილონური საქონელი, რომელთაც ისინი არმენიელთა და მიდიელთაგან იღებენდნენ...“ (Strabo, XI, 5, 8).

ი. მანანდიანი თვლის, რომ სარმატული ტომების, აორსებისა და სირაკების სავაჭრო ურთიერთობა ხორციელდებოდა მეოტიდა-კოლხეთის მაგისტრალით და ქალაქ არტაშატის გზით, ხოლო ლორთქიფანიძის (2010, 102) აზრით, კი სავაჭრო საქონელი კასპიის ზღვის სანაპიროსთან შემოქონდათ. ლორთქიფანიძე ეყრდნობა სტრაბონის (XI, 5, 8) ცნობას, რომლის მიხედვითაც აორსები და სირაკები აკონტროლებდნენ მეოტისსა და კასპიას შორის მდებარე ტერიტორიას და ვვარაუდობს, რომ ზემო მოყვანილ აბზაცში საუბარია ჩრდილოეთ კავკასიასა და არმენია-მიდიას შორის დამაკავშირებელ გზაზე, სადაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს როლს არმენიის ქალაქი არტაშატი ასრულებდა. ამ ქალაქიდან, გზის ერთი მონაკვეთი, როგორც ცნობილია Tabula Peutingeriana-სა და რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიასთან“ შედარებითი ანალიზით, ჩანს, რომ ამოდიოდა ქალაქ მცხეთასთან. აქედან კი, ვარაუდობენ, რომ გზა აორსებისა და სირაკებისკენ მიემართებოდა მდინარე არაგვის ხეობით, და დარიალის ხეობით გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. გზის ამ მარშრუტის არსებობის არაპირდაპირ მოწმობად მიჩნეულია იბერიაში ფართო მიმოქცევაში მყოფი, გოტარზეს დრაქმების ჩრდილოეთ კავკასიაში ხოლო ბოსფორული სტრატერების იბერიაში გავრცელება, რომელიც დარიალის გზით ხდებოდა (ლორთქიფანიძე, 2010, 103). დარიალის ხეობის არქოლოგიური კვლევა ამ თვალსაზრისით საყურადღებო აღმოჩნდა (Sauer, et al., 2020).

თავი 6. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ადრეული შუა საუკუნეების (IV- VIII სს.) საქართველოში

6.1. ეგრისის (ლაზთა) სამეფო

IV საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე ორი ქართული სახელმწიფო არსებობდა: დასავლეთში - ეგრისის (ლაზიკის) სამეფო, დედაქალაქით ციხეგოჯში (არქეოპოლისი, ნოქალაქევი) და აღმოსავლეთში - ქართლის (იბერიის) სამეფო, დედაქალაქით მცხეთაში (ფიგურა 38).

IV ს-დან ეგრისში უკვე აღარ იდგნენ რომაელთა გარნიზონები და ეგრისელები აღარ იხდიან ხარკს რომაელთა სასარგებლოდ. ეგრისის მეფეთა დამოკიდებულება რომზე მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. IV ს-ის ბოლოს ლაზთა სამეფომ თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო და იქ არსებული სხვა სამეფოები - აფშილეთი, აბაზგია და სანიგეთი. გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სვანეთიც, რომელსაც საკუთარი მთავარი ჰყავდა (მუსხელიშვილი, 2012, 34-36; ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014).

ეგრისის სამეფოს წარმოქმნასთან ერთად დასავლეთ საქართველოს ქალაქების ისტორიაში ახალი ეპოქა იწყება. კოლხეთის ძველი ქალაქების დიდმა ნაწილმა, მათ შორის ცხუმმა (დიოსკურია), ოჩამჩირემ (გიენოსი), ბიჭვინთამ, ნიკოფსიამ, ბათუმმა, ქუთაისმა და ციხეგოჯმა (არქეოპოლისი) განაგრძო არსებობა (IV-VII). ამასთან, წარმოიქმნა ახალი ქალაქები, როდოპოლისი (VI- XI სს), მუხურისი/მოხირისი (რიონისა და ცხენისწყალს შორის, ზუსტი მდებარეობა უცნობია; ადრეფეოდალური ხანა), ვაშნარი (ადრეფეოდალური ხანა), ხუფათი (დღევანდელი ხოფა, თურქეთში, ადრეფეოდალური ხანის დასაწყისი) და შორაპანი (გვიანანტიკური - ადრეფეოდალური ხანა) (ლორთქიფანიძე და შოშიაშვილი, 2006, 286). სამეფოს პოლიტიკური გაერთიანება, როგორც ჩანს, მის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახა, რაც პირველ რიგში სავაჭრო ურთიერთობების განვითარებით და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებით აღინიშნა (მუსხელიშვილი, 2012, 45).

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ერთგან პირდაპირ მიუთითებს, რომ ლაზები "მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას", ხოლო მეორეგან აღნიშნავს, რომ "ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. ყველაფერი შემოაქვთ მათთან ნავებით რომაელთა სანაპიროებიდან, და ამაში ისინი ფულს კი არ აძლევენ მომწოდებლებს, არამედ ტყავებს, მონებს და თუ სხვა რამ სიჭარბით აღმოაჩნდებათ". ეგრისის სამეფოში განვითარებულ საზღვაო ვაჭრობაზე მეზობელ ქვეყნებთან აგათია სქოლასტიკოსიც საუბრობს, ლაზიკის "ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას" (მუსხელიშვილი, 2012, 46).

პროკოპი კესარიელის ამ ცნობიდან ჩანს, რომ თითქოს ეგრისში ამ დროს ფულის მიმოქცევა სუსტად იყო განვითარებული და საგარეო ვაჭრობა ნატურალურ სასაქონლო ურთიერთგაცვლაზე იყო დამყარებული. ფაქტობრივი მასალა კი საწინააღმდეგო ვითარებაზე მიუთითებს. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია უცხოური მონეტების დიდი რაოდენობა, რომელიც საგარეო ვაჭრობაში ფულად ურთიერთობაზე მიუთითებს უკვე III ს-დან, ხოლო IV – V საუკუნეებში აქ დასტურდება ბიზანტიური ოქროს მონეტების, ე. წ. სოლიდების მიმოქცევა.

ამასვე მიუთითებს ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ქალაქების არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. კერძოდ, ბიჭვინთასა და სოხუმში (სებასტოპოლისში) ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მრავლად დაადასტურა სირიიდან და ეგვიპტიდან შემოტანილი მინის ჭურჭლის სხვადასხვა სახეობები. მინის ჭურჭლის გარკვეული რაოდენობა შემოდიოდა ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან, დასავლეთი ევროპიდან (მუსხელიშვილი, 2012, 46).

ნუმიზმატიკური და არქეოლოგიური მასალით დასტურდება ასევე ისიც, რომ საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში ეგრისის შიდა რაიონებიც იყო ჩართული, რასაც ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების აღმავლობა (მუსხელიშვილი, 2012, 46). ეგრისის სამეფოს

ქალაქები მოსახლეობის, დოვლათისა და სიმდიდრის კონცეტრაციის მთავარი პუნქტები იყო. ქვეყნის მნიშვნელოვანი ქალაქები და ამავე დროს ეკონომიკურად აქტიური ცენტრები, როგორიც იყო ვარდციხე (ჯაფარიძე, ვ. 2006), ქუთაისი (ლანჩავა, 2015) და ნოქალაქევი-არქეოპოლისი (ლომიტაშვილი, 2014), საიმედოდ იყო გამაგრებული (მურღულია და ლომიტაშვილი, 2016, 263).

- **ნოქალაქევი**

კოლხეთის მთისა და ბარის საზღვარზე, დღევანდელი სოფ. ნოქალაქევის ადგილას მდებარეობდა ქართულ წყაროებშის ციხე-გოჯის სახელით, ბიზანტიურ წყაროებში კი არქეოპოლისად მოხსენიებული ეგრისის დედაქალაქი. იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) ე.წ. "ნოველებში" არქეოპოლისი აღწერილია, როგორც "უდიდესი და ძველი" სიმაგრე (იუსტინიანე, 1965, 33-36). პროკოპი კესარიელი კი აღნიშნავს, რომ არქეოპოლისი "არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში" (პროკოპი კესარიელი, 1965, 182). აქედან შეიძლებოდა კონტროლის განხორციელება როგორც მთიან რეგიონებზე, ისე ბარის მხარეებზე. ნოქალაქევზე გადიოდა უძველესი სავაჭრო-სამხედრო გზა, რომელიც ეგრისის ზღვისპირა ოლქებს აკავშირებდა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებთან და აღმოსავლეთ საქართველოსთან (ლომიტაშვილი, 2014).

ტეხურის პლატოზე განლაგებული ქალაქის ძირითად ნაწილს, რომელიც აღმოსავლეთი მხრიდან ადვილი მისადგომია და აქედანვე აქვს მთავარი შესასვლელი, იცავს სამმაგი კედლითა და კოშკებით შედგენილი მძლავრი სისტემა (ფიგურა 39). პირველი გალავანი აშენებულია ახ. წ. IV ს-ის დასაწყისში; მეორე - V ს-ის პირველ ნახევარში; მესამე კი V-VI სს-ის მიჯნაზე (ლომიტაშვილი, 2014, 24-28). გალავანი გამაგრებულია სწორკუთხა გეგმის კოშკებით, რომლებიც ნაგებია რიყის ქვითა და ქვათლილებით. გალავნები მიჰყვება საკმაოდ ციცაბო კალთებს და ზედა პლატოზე ქმნის ზედაციხეს, აკროპოლისს. ამ ადგილს ჯიხას უწოდებენ. ამ სასიმაგრო სისტემის ცალკეული ელემენტები უკვე IV ს-ში ჩანს გაჩენილი. ციტადელში ორი დიდი და ერთი მცირე ზომის კოშკის, ციხისთავის სასახლისა და დარბაზული ეკლესიის მისარონის

ფრაგმენტებია შემორჩენილი. ციტადელს ორი მცირე ზომის კარი სამხრეთიდან ჰქონია (ზაქარია და კაპანაძე, 1991, 16-67).

ნაქალაქარში აღმოჩენილია სამი სასახლის ნანგრევი, რომელთაგან ყველაზე ადრეული IV ს-ით თარიღდება. ის მდგარა ნაქალაქარის სამხრეთით, კოშკის სიახლოვეს. მისგან შემორჩენილია მხოლოდ თაღების საყრდენები. მისი მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ მეორე სასახლე აუგიათ უფრო აღმოსავლეთით, ვაკე ადგილზე. სასახლე მოუქცევიათ ცალკე გალავანში, რომლის ერთ კუთხეში საყარაულოა. სასახლის ეზოში მოხვედრა მხოლოდ საყარაულოს გავლით შეიძლებოდა. სასახლე ორსართულიანია. შუაში დიდი ფართობის მქონე დარბაზია. გრძივ კედლებზე გრძელი აივნები ყოფილა. დარბაზის ბოლოებში სამ-სამი სათავსია. მეორე სასახლე დათარიღებულია V ს-ით. სასახლე ბრძოლების შედეგად ჩანს განადგურებული. მისი კედლები დამწვარი და დანგრეულია (ზაქარია და კაპანაძე, 1991, 87-97).

მესამე სასახლე სამსართულიანია. პირველი სართული დამხმარე დანიშნულების იყო და ცალკე კარი ჰქონდა დასავლეთიდან. მეორე სართულზე მისაღები დარბაზია, მესამეზე - საცხოვრებელი. სასახლე ნაგებია ქვათლილებით. თარიღდება VI ს-ის დასაწყისით. ნაქალაქარზე სასახლის აღმოჩენის ფაქტი მოწმობს, რომ IV ს-დან ნოქალაქევი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრს და უკვე იმ დროიდან ეგრისის დედაქალაქსაც.

ნაქალაქარზე „ორმოცმოწამეთა“ ეკლესიის გარშემო, რომელიც მრავალჯერაა გადაკეთებული და ამჟამად გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს, გამოვლენილია სხვადასხვა დროის სამი ეკლესია (ზაქარია და კაპანაძე, 1991, 165-214). პირველი ეკლესიის მხოლოდ საკურთხეველია შემორჩენილი. ის ნახევარწრეა. ეკლესია დარბაზული ტიპის უნდა ყოფილიყო. თარიღდება IV ს-ის შუა ხანებით. მეორე ეკლესია პირველის ნანგრევებზე V ს-ის შუა ხანებში აუშენებიათ. ის სამნავიანი ბაზილიკაა (22, 35X26, 6 მ). მისი აბსიდა წარმოადგენს ხუთგვერდა შვერილს. ცენტრალური ნავი გვერდითი ვიწრო ნავებისგან გამოყოფილია სვეტებზე დაყრდნობილი სამ-სამი თაღით. გვერდით ნავებს

დასავლეთით განიერი ნავი აერთებს. ეკლესიას ოთხი კარი ჰქონდა. მთავარი კარი არის დასავლეთიდან. ეკლესია ნაგებია ყორე და ნახევრად დამუშავებული ქვით. ბაზილიკის მტრისგან დანგრევის შემდეგ მეორე ეკლესიაზე მესამეს აშენებენ. მესამე ეკლესიაც ბაზილიკაა. მრავალჯერაა გადაკეთებული. თავდაპირველი ეკლესია სამნავიანი ყოფილა, სადაც გვერდითი ნავები დასავლეთით ისევ ნავით ერთდებიან. კარი დასავლეთით და სამხრეთით აქვს. მესამე ეკლესია თარიღდება VI ს-ის დასაწყისით. როგორც ჩანს, ის 735-37 წლებში მურვან ყრუს ლაშქრობისას განადგურდა. შემდგომ ეკლესია მნიშვნელოვნად გადააკეთეს. ის გუმბათიან ეკლესიად აქციეს. გვიანდელ შუასაუკუნეებში დადიანებს ეკლესია კვლავ გადაუკეთებიათ და XVI-XVII სს-ში მოუხატავთ კიდეც (ზაქარია და კაპანაძე, 1991, 170-214).

ბაზილიკების გარდა, ნაქალაქარზე გაითხარა დარბაზული ტიპის ეკლესიებიც (ზაქარია და კაპანაძე, 1991, 215). ერთ-ერთი ასეთია ქვედა ტერასის ეკლესია. ის საძირკვლის დონეზეა შემორჩენილი. აბსიდა ნახევარწრიულია. თავდაპირველი შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. მოგვიანებით, ეკლესიისთვის დასავლეთიდან მინაშენი და კარი გაუკეთებიათ, ხოლო მინაშენისთვის კარი სამხრეთით დაუტანებიათ. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით. თლილი ქვა ნახმარია კარის ზღურბლზე და წირთხლებზე. ეკლესიის შიგნით მოწყობილი ყოფილა სანათლავი. მისგან დარჩენილია კედელში დატანებული თიხის მილები, რომლებიც გარეთკენაა დახრილი. მილების წყება ეკლესიის გართ 3-4 მ-ზეა შემორჩენილი. ჩანს, ეკლესიის შიგნით მდგარი ემბაზიდან წყალი ამ მილებით გარეთ გადიოდა. ამგვარად მოწყობილი სანათლავის ნიმუში ნოქალაქევში ზემოთ უკვე მოხსენიებულ სამნავიან ბაზილიკაშიცაა შემორჩენილი. ეკლესია V ს-ში უნდა იყოს აგებული.

მეორე დარბაზული ეკლესია ქალაქის პირველ გალავანშია ჩართული და ჩანს, მასთან ერთადაა აგებული. ეკლესიას აქვს ხუთწახნაგა შვერილი აბსიდა, რომელიც შიდა მხრიდან ნახევარწრიულია. დასავლეთიდან ჰქონია კარი. ნაგებია ყორექვით. კედლებს ინტერვალებით მიუყვება აგურის შრეები ე. წ. ოპუს მიქსტუმ. ერთგან შეიმჩნევა აგური წყობის ცხრა ფენა. მისარონის ეკლესია ნოქალაქევის შიდა ციხის, აკროპოლისის

ცენტრალურ ნაწილშია. ის საშუალო ზომის დარბაზული ნაგებობაა. იატაკიდან ორი საფეხურით აწეული ნახევარწრიული აბსიდა მოქცეულია სწორკუთხედში. საკურთხეველში სარკმელი და აქეთ-იქით ორი პატარა ნიშია. თავის დროზე ეკლესიას ჰქონია კანკელი, რომლიდანაც მხოლოდ ცუდად შემორჩენილი ფრაგმენტები დაფიქსირდა. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. როგორც წესი, კარი ეკლესიას ჩრდილოეთიდან არ უკეთდებოდა, მაგრამ რადგან სამხრეთით კლდოვანი ფერდობია, კარის გაკეთება მშენებლებმა ჩრდილოეთიდან არჩიეს. ერთი სარკმელი სამხრეთ კედელშია დატანილი. ეკლესია ნაგებია ადგილობრივი კირქვით, ხოლო კამარაზე გამოყენებულია შირიმის ქვა. თარიღდება V ს-ის ბოლოთი და VI ს-ის დასაწყისით (ზაქარია და კაპანაძე, 215-228).

ნოქალაქევის ტერიტორიაზე ამდენი ეკლესიის არსებობა ქალაქის ინტენსიურ ცხოვრებაზე მიუთითებს. მართალია, ჩამოთვლილი ექვსი ეკლესიიდან ყველა ერთდროულად არ მოქმედებდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი თანადროული ჩანს (ზაქარია და კაპანაძე, 228).

ქალაქის მოსახლეობის მაღალ საყოფაცხოვრებო დონეზე მეტყველებს იქ აღმოჩენილი ორი აბანო. ე.წ. სამეფო აბანო ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში მდებარეობს. აბანო შედგებოდა, გასახდელის, ვესტიბიულის, საცეცხლის, ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებისგან. აბანოს შიდა კედლები და აუზები შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. სათავსები გადახურული ყოფილა კამარებით. განათება ჰქონია გვერდით კედლებში დატანებული სარკმლებიდან, რომლებიც შემინული ყოფილა. ფასადები შემოსილია საშუალო ზომის თლილი ქვებით. აბანო თარიღდება IV-V სს-ით. ვარაუდობენ, რომ სამეფო აბანო გოგირდის წყლით საზრდოობდა, რომლებიც ტეხურის ხეობაში, დღესაც ამოდის მიწის წიაღიდან. მეორე აბანო (სამოქალაქო აბანო) მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, სამეფო აბანოდან 100-ოდე მ-ზე. აქაც გვხვდება გასახდელი, საცეცხლე, თბილი, ცივი და ცხელი აბანოები. ნოქალაქევში ორი განსხვავებული აბანოს არსებობა მოწმობს ეგრისის მოქალაქეთა მაღალი სანიტარულ-ჰიგიენურ კულტურას. ადრეული შუასაუკუნეების აბანოები აღმოჩენილია

ეგრისის სამეფოს სხვა ადგილებშიც, კერძოდ, მარტვილში, ნოჯიხევში, ნოსირში, შუხუთში, პატრიკეთში, ბიჭვინთაში და სხვა (ზაქარია და კაპანაძე, 97-113).

საინტერესო და მნიშვნელოვანია ნაქალაქარიდან მდ. ტეხურაზე ჩამავალი საკმაოდ ფართო და კეთილმოწყობილი გვირაბის არსებობა. ქვათლილებით ნაგები 40 მ სიგრძის გვირაბის კამარა ნახევარწრიულია. გვირაბს აქვს ქვის კიბე. ის არ იყო განკუთვნილი მარტო წყლის ამოსატანად. გვირაბი წარმოადგენდა ქალაქის სამდინარო ჭიშკარსაც, რაც ფაზისზე და ტეხურაზე ნაოსნობის დამადასტურებელი ფაქტიც უნდა იყოს (ზაქარია და კაპანაძე, 37-19).

IV-VI სს-ში ნოქალაქევში (და რეგიონში) ასეთი ფართო მასშატაბის სამშენებლო საქმიანობის წარმოება რომელიც მოიცავდა საერო, საფორტიფიკაციო, საზოგადოებრივ და რელიგიურ შენობებს, რეგიონის ეკონომიკური სიძლიერით არის ახსნილი, რისთვისაც ასევე ხელი უნდა შეეწყო მის ტერიტორიაზე არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავნო გზებს. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ეგრისის სამეფო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირში იყო ბოსფორისა და ხმელთაშუაზღვის აუზის დიდ საწარმოო ცენტრებთან (ლომიტაშვილი, 2014, 76).

დ. ლომიტაშვილი (2014) იზიარებს ვ. ჯაფარიძის მოსაზრებას (2006), ფაზის-რიონის არტერიის საშუალებით ეგრისის შიდა რაიონებში და თვით აღმოსავლეთ საქართველოშიც იმპორტული ნივთების (წითელლაკიანი კერამიკა, წელშეზნექილი და სხვა) გავრცელების შესახებ. რაც შეეხება მეორე მაგისტრალს, კერძოდ, პევტინგერის ტაბულით ცნობილ გზას არტაშატიდან სებასტოპოლისამდე, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ეგრისის სამეფოს დედაქალაქი ციხეგოჯი-არქეოპოლისი დადასტურებული არ არის და ძველი როდოპოლისის შემდეგ დასახელებული პუნქტი სებასტოპოლისია, ამ ხარვეზს ერთგვარად ასწორებს მურვან-ყრუს ლაშქრობის მიმართულების აღწერილობასთან დაკავშირებით ჯუანშერთან დაცული ცნობა (ჯუანშერი, 2012, 191). ეს გზა ჯუანშერის მიერ აღწერილი, ე.წ. აფხაზეთის გზაა. ის თავის დროზე გაუვლია მურვან ყრუს (ფიგურა 40), რომელსაც გადაულახავს „საზღვარი კლისურისა“ (ჯუანშერი, 2012,

191), გაუნადგურებია აფხაზეთის ციხეები, ისევ კელასურზე გავლით ციხეგოჯამდე მიუღწევია და რიონის მახლობლად დაბანაკებულა. ცნობიდან ირკვევა, რომ რიონის აუზიდან შესაძლებელი იყო სოხუმთან მისვლა, მაგრამ გზის ზუსტი მიმართულება ძნელი დასადგენია. თუმცა ვარაუდობენ, (ლომიტაშვილი, ჯაფარიძე) რომ ერთ-ერთი ასეთი გზა, დამოწმებული სწორედ პევტინგერის ტაბულაზე, კერძოდ, რიონის ჩრდილოეთით არსებული, სებასტოპოლისისკენ მიმავალი გზა, ქუთაისის გავლით მუხურის-ონოგურისის გზით ნოქალაქევისკენ მიემართებოდა, არქეოპოლისიდან კი სებასტოპოლისისკენ (ლომიტაშვილი, 2014, 77).

გარდა სახმელეთო ვაჭრობისა, კონკრეტულ ვითარებაში ეგრისის სამეფოსთვის გარკვეული ხვედრითი წილი ჰქონდა საზღვაო ვაჭრობასაც. ეს უკანასკნელი ძირითადად ზღვის საშუალებით ვაჭრობდა რომთან, აგრეთვე ყირიმთან, საიდანაც უპირატესად მარილი შემოჰქონდათ. ყირიმის ქალაქებსა და ციხეგოჯში გამოვლენილი ანალოგიური ამფორები აღნიშნული სავაჭრო კავშირების შედეგია. სწორედ ამ სავაჭრო გზებით უნდა მოხვედრილიყო ციხეგოჯში წითელლაკიანი, ფაქიზი კერამიკული ნაკეთობები, მინის ნაწარმი და სხვა (ლომიტაშვილი, 2014, 77).

ნაქალაქარის არქეოლოგიურ მასალაში უმრავლესობა კერამიკაა. მათგან აღსანიშნავია IV-VII სს-ით დათარიღებული წითელლაკიანი ლამბაქები და თეფშები, რომლებიც იმპორტული ნაწარმია. იქვე გვხვდება მათი ადგილობრივი მინაბაძები, რომლებიც იმპორტულ ნიმუშებთან შედარებით უფრო მდარე ხარისხისაა. ადრეშუასაუკუნეების კერამიკაში გამოირჩევა სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში დამზადებული და ნოქალაქევში მოხვედრილი ამფორები. ნოქალაქევში გამოვლენილი მოთეთრო ანგობით დაფარული ბრტყელ ყურებიანი ამფორები აღმოჩენილია ბოსფორში, ოლბიაში, ქერსონესში, ისტრიაში (დასავლეთ შავიზღვისპირეთი). ნაქალაქარზე აღმოჩენილ ამფორათა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს, სამოსურ ამფორისკს და სინოპური წარმოშობის ამფორას (ლომიტაშვილი 2014, 35-37). მრავლადაა გვიანანტიკური-ადრეფეოდალური ხანის (IV-VI სს.) ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი, ე.წ. კოლხური ამფორები (ზამთარაძე, 1993, 158-174). ადგილობრივი კერამიკის

გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სხვადასხვა ზომის ქვევრები. მრავლადაა აღმოჩენილი ლუთერიები, რომელიც ხელსაბანად გამოიყენებოდა (ლომიტაშვილი, 2014, 39). ნოქალაქევის მოქალაქეთა საქმიანობაზე მიუთითებს თიხის კვირისთავები და პირამიდული საქაჩები, რომელთაც რთვისა და ქსოვის დროს იყენებდნენ. აქვეა ნაპოვნი თევზსაჭერი ბადეების თიხის საწაფები (ლომიტაშვილი, 2014, 40-41).

ლითონის ნივთებიდან საინტერესოა ცულები, დანისპირები, წალდი, თოხები და სადურგლო იარაღები, რომლებიც მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას (ლომიტაშვილი, 2014, 58-62). გათხრებისას აღმოჩენილია ბრინჯაოს ჭაღი, რომელიც თავის დროზე რომელიმე ეკლესიას ან სასახლეს ამშვენებდა. ჭაღის ფრაგმენტზე შემორჩენილია ბერძნული სახელი ევსტრატი. ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან გვხვდება აბზინდები, სარტყლის დეტალები, მშვილდსაკინძები. მოქალაქეთა საომარ აღჭურვილობაზე მეტყველებს გათხრებისას აღმოჩენილი ისრისპირები, შუბისპირები, ჯაჭვის პერანგის ნაგლეჯები, ქვის ჭურვები, ჩაფხუტის ფრაგმენტები (ლომიტაშვილი, 2014, 61-64).

გათხრებისას გამოვლენილი ჩვენთვის საინტერესო ხანის მონეტებიდან აღსანიშნავია, კონსტანტინე I-ის (306-337), ანასტასი I-ის (491-518), იუსტინე I-ის (518-527), იუსტინიანე I-ის (527-565), იუსტინე II-ის (565-578) და სხვათა მონეტები (აბრამიშვილი 1993, 270-172). აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი კოშკის გათხრებისას 1930 წელს ნაპოვნი იქნა ტიბერიუსის (582-602) 23 ოქროს მონეტისგან შემდგარი განძი (ლომიტაშვილი, 2014, 83).

ნოქალაქევში აღმოჩენილი მონეტები მეტყველებს იმ სავაჭრო ურთიერთობებზე, ეგრისის დედაქალაქის მცხოვრებლებს რომ ჰქონდათ ბიზანტიელებთან. 735-37 წლებში სამხრეთ კავკასია დალაშქრა მურვან ყრუმ. სომხეთისა და ქართლის აოხრების შემდეგ ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მისი ნოქალაქევში ლაშქრობის შემდეგ იწყება არქეოპოლისის თანდათან დაცემა-დაქვეითების პროცესი და დედაქალაქის საბოლოოდ დაკნინება. ცოტა ხნის შემდეგ დასავლეთ საქართველოს ცენტრად ქუთაისი ხდება (მინდორაშვილი, 2014, 113-119).

დედაქალაქის ისტორია პირობითად ორ დიდ პერიოდად არის დაყოფილი, 1. მისი სიძლიერისა და აღმავლობის ხანა - IV-VI-VII სს-თა მიჯნა და 2. VII ს-ის I ნახ. – VIII ს-ის 30-იანი წლები, როდესაც დედაქალაქისათვის რთული პოლიტიკური კატაკლიზმები მიმდინარეობდა, რომელთა შედეგად ეკონომიკა დაეცა, თუმცა კი პოლიტიკური მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ დაუკაგავს (ლომიტაშვილი, 2014, 83).

- **ქუთაისი**

ქუთაისი მნიშვნელოვნად დაწინაურდა III-IV სს-დან. იმ დროს ფორმირდება ქალაქის ძირითადი ბირთვი არქიელის გორაზე, კლდოვან ბორცვზე, რომელიც სამი მხრიდან ციცაბო ფერდობითაა დაცული. არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით IV საუკუნის ქუთაისის განვითარების ისტორიაში ორი ეტაპი გამოიყოფა, პირველ ეტაპზე (ე.ი. IV საუკუნის დასაწყისიდან) მთლიანად იცვლება არქიელის გორაზე გაჩენილი ახალი სამოსახლოს ტოპოგრაფია, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, ე. წ. ხორხის მთის კლდოვან ბორცვზე შენდება შიდაციხე (აკროპოლისი) და ამით ფაქტობრივად იწყება გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ქუთაისის „ახალქალაქობის" ხანა (ლანჩავა, 2015, 170).

შიდაციხის თავდაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხედის ფორმისაა. მისი ფართობი 0, 6 ჰ-ია. შიდა ციხის კომპონენტებია, ზღუდე-გალავნის ძირითადი კედელი, ორი სწორკუთხა კოშკი, ორმაგი კედელი (პროტეიხიზმი) მთავარი კარიბჭით, „ცოტა კარი" და წყალმომარაგების რთული საინჟინრო სისტემა. ზღუდის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით. გალავნის კედლის სისქე 1, 4 მ-ია. შემორჩენილი სიმაღლე 4 მ-დეა. შიდა ციხეს ჰქონდა ორი კარიბჭე, 1. მთავარი „ბჭისკარი" და „ცოტა კარი". მთავარი კარიბჭე აგებული იყო დასავლეთ ნაწილში. ის ორივე მხრიდან მძლავრი სწორკუთხა კოშკებით იყო დაცული. ცოტა კარს ორმაგი დანიშნულება ჰქონდა. ის წარმოადგენდა სიმაგრის საიდუმლო გასასვლელს და ამასთან კლდეში ნაკვეთი საცალფეხო ბილიკით უკავშირდებოდა გვირაბს, რომელიც წყაროზე ჩადიოდა (ლანჩავა, 2015, 172).

IV საუკუნეების შუა ხანებში ციხე ქალაქი ორნაწილიანი ხდება. გალავანში, რომლის პერიმეტრი 1200 მეტრია, ექცევა 4 ჰექტარი ფართობი. ქალაქის განვრცობა და განვითარება მოხდა ციტადელიდან ჩრდილო-დასავლეთით. საფორტიფიკაციო არქიტექტურის მაღალი დონის უტყუარი მოწმობაა შიდა ქალაქის კედლების გამაგრება ე. წ. გოდლედების (კონტრფორსების) სისტემით (ლანჩავა, 2015, 173-174).

ადრეული შუასაუკუნეების ნაგებობებს შორის თავისი გრანდიოზულობით გამოირჩევა ადგილ „კონწოლთან“, ციტადელში ყველაზე მაღალ ადგილას აგებული „სამეფო სასახლე“. ის 700 კვ.მ ფართობზე განლაგებული, მართკუთხა გეგმის, მრავალსათავსიანი, მძლავრკედლებიანი ნაგებობაა (35 X 20 მ). შენობა ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. სასახლის იატაკი მოგებული ყოფილა აგურით (ლანჩავა, 2015, 181).

ქალაქის IV ს-ის კულტურულ ფენებში გამოვლინდა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. დანიშნულების მიხედვით კერამიკული ნაწარმი დაყოფილია:

1. სამეურნეო (ქვევრები, ამფორები, დერგები, ქოცოები);

2. საოჯახო (დოქები, ხელადები, ჭრაქები, ქოთნები, თონეები);

3. სუფრის (ჯამები, ბადიები, ლუთერიები, თეფშები, ფიალები);

4. სამშენებლო (აგურები, კრამიტები, თიხის მილები).

აღნიშნული პერიოდის ქუთაისის გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მანიშნებელია წითელლაკიანი კერამიკის, ხალიანი მინის, ამფორების, მწვანედ მოჭიქული პართული ჭურჭლის აღმოჩენის ფაქტები (ლანჩავა, 2015, 192). განათხარ მასალაში წარმოდგენილია წითელლაკიანი კერამიკა, როგორც იმპორტული ნაწარმი, ისე მათი ადგილობრივი მინაბაძები (ლანჩავა, 2015, 182-183). ქუთაისში გამოვლენილი წითელლაკიანი კერამიკის მასალები (ფიგურა 41) ძირითადად შეესაბამება ვარდციხეში, ნოქალაქევში, სოხუმსა და ბიჭვინტაში მოპოვებულ ნიმუშებს (ლანჩავა, 2015, 188).

V-VI სს-ში ქალაქი სამ ნაწილიანი გახდა. შიდა ციხესა და შიდა ქალაქს დაემატა ქვედა ქალაქი, რომელიც მთის ფერდზე ეშვება, მდინარის პირამდე ჩადის და რიონის მარცხენა ნაპირზეც გადადის. ქალაქის აღმავლობის ხანა დროებით შეფერხდა V ს-ის ბოლოს. იმ დროს ქუთაისში სამეფო სასახლე, „სამლოცველო სახლი“ და ზღუდე-გალავნის ნაწილი სავარაუდოდ, V საუკუნის 60-ან წლებში ბიზანტიელთა დამსჯელი ექსპედიციების შედეგად, ნადგურდება. თუმცა, მალევე იწყება აღმშენებლობის პროცესი და ციტადელის დანგრეული კედლების აღდგენა. აშენდა ახალი კონტრფორსები, კოშკები, კარიბჭეები. აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაგებობას წარმოადგენს დედაბურჯი, რომლიც 12 მ-დეა შემორჩენილი (ლანჩავა, 2015, 198-199).

გათხრებისას ციტადელში მდგარი XIII ს-ის დარბაზული ეკლესიის ქვეშ აღმოჩნდა V-VI სს-ის სამნავიანი ბაზილიკა (12, 5 X 8, 1 მ) ნახევარწრიული შვერილი აბსიდებით.

ახალი საკულტო ნაგებობებიდან ყურადღებას იქცევს შვერილაბსიდიანი ორნავიანი ბაზილიკა. თავდაპირველად, ის ყოფილა ერთნავიანი ნაგებობა, მხრებით გამოყოფილი შვერილი აბსიდით. მასზე შემდგომ მეორე ნავი მიუშენებიათ. ეკლესია დახურული ყოფილა ღარიანი და ბრტყელი კრამიტებით. ეკლესია ფუნქციონირებდა VI-VII სს-ში. აღნიშნული ეკლესიის გვერდით გაითხარა V-VI სს-ით დათარიღებული აბანო (12, 4 X 6, 7 მ), რომელიც ნაგებია კირქვის კვადრებით (ლანჩავა, 2015, 201- 207).

V-VII სს-ის კერამიკული ნაწარმი ანალოგიურია წინა საუკუნეში გამოვლენილი მასალის, ქვევრები, დერგები, ამფორები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, დოქები, წითელლაკიანი კერამიკა და მისი მინაბაძები (ლანჩავა, 2015, 211).

V-VII საუკუნეების კულტურულმა ფენებმა ქუთაისის ციხეზე სულ ცხრა ტიპის ამფორა დაადასტურა. მათი ძირითადი ნაწილი იმპორტულია (დას. შავიზღვისპირეთი, კუნძული სამოსი, მცირე აზია და სხვ.). ამასთანავე, ისინი ფართოდ არიან გავრცელებული მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში. რაც იმაზე მეტყველებს, რომ V საუკუნის მეორე ნახევრიდან ეგრისის შიდა რაიონები მჭიდრო ეკონომიკურ კავშირშია ხმელთაშუა ზღვის კულტურულ ცენტრებთან, რასაც, როგორც ჩანს, ბიზანტიის იმპერიის

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა უწყობდა ხელს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონეტების აღმოჩენები (ლანჩავა, 2015, 215).

ნუმიზმატიკურ მასალაში გვხვდება 532-33 წლებში მოჭრილი ხოსრო I-ისა და ჰორმიზდ IV-ის მონეტები. ადრებიზანტიური ხანის 14 მონეტიდან ანასტას I-ის (491-518) მონეტა 2 ცალია; იუსტინე I-ის (518-527) 2 ცალი; იუსტინიანე I-ის (527-565) 5 ცალი; იუსტინე II-ის (565-578) 1 ცალი; ტიბერიუს II-ის (578-582) 1 ცალი; მავრიკის (582-602) 3 ცალი; ფოკასი (602-610) 1 ცალი. ფიქრობენ, რომ ისინი უპირატესად ეგრისის ტერიტორიაზე მებრძოლი ბიზანტიელი ჯარისკაცების მონეტებია. თუმცა, მათი ნაწილი ეგრისსა და ბიზანტიას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზეც უნდა მიუთითებდეს (ლანჩავა, 2015, 221).

მაშასადამე, ბიზანტიის იმპერიასთან კულტურულ-ეკონომიკური კავშირები IV საუკუნიდან შეინიშნება. ის განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს V საუკუნის მეორე ნახევრიდან, VII საუკუნის ჩათვლით. VII-VIII სს-ში ქუთაისის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. VII ს-ის რავენელი ანონიმი „კოსმოგრაფიაში" მოიხსენიებს Cotaisin-სს, როგორც მოქმედ სავაჭრო-სატრანზიტო და ეკონომიკურ პუნქტს. ამასვე უნდა ადასტურებდეს VII ს-ის სომხური გეოგრაფის ცნობა „აშხარაცუიცი", რომელიც ეგრისის ხუთ დიდ ქალაქთა შორის ასახელებს ქუთაისს (კოტას). მაშასადამე, ამ ცნობების საფუძველზე ქუთაისი VII საუკუნეში მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო ეკონომიკური და რელიგიურ - პოლიტიკური ცენტრი ჩანს (მუსხელიშვილი, 2012ა, 139-140; ლანჩავა, 2015, 240).

ბაგრატის ტაძრის გათხრებისას, ამავე ტაძრის ქვეშ არსებული IV ს-ის ეკლესიის თავზე გამოვლინდა კიდევ ერთი ეკლესია, რომელსაც წერილობით წყაროში მოხსენიებულ „ქუთაისის საყდართან" აიგივებენ და VII ს-ით ათარიღებენ. ესაა დიდი ნაგებობა, რომელიც მასშტაბებით მცირედით თუ ჩამოუვარდება ბაგრატის ტაძარს. ნაგებობას მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონია. სამხრეთი კარიდან შეიძლებოდა მინაშენში გასვლა. ნაგებობის სიგრძე 30 მ-მდეა, სიგანე 15 მ. დასავლეთიდან

ნაგებობას რამდენიმე სხვადასხვა მინაშენი ჰქონდა. მათი ფუნქციები გაურკვეველია. ტაძრის პერანგი ნაგებია უხეშად დამუშავებული კვადრებით. კედლების სისქე 1, 4 მ-ია. იატაკი კირხსნარისა და სხვადასხვა ფერის ხრეშისაა, რაც ფერადი მოზაიკის შთაბეჭდილებას ტოვებს. VIII ს-ის 30-ან წლებში მურვან ყრუს შემოსევას ვერც ქუთაისი გადაურჩა, რა დროსაც უნდა დანგრეულიყო ქუთაისის საყდარიც (ლანჩავა, 2015, 243-245).

VIII ს-ის 30-ან წლებში არაბებისგან დანგრეული ეკლესია, ათიოდე წლის შემდეგ არის განახლებული. ახლდება სამეფო სასახლის კომპლექსი, რომელშიც შედიოდა, აგურის სასახლე, აბანო, სასახლის კარის ეკლესია, ახალი წყალგაყვანილობა.

VIII ს-ის ბოლოს, აფხაზთა მთავრის ლეონ II-ის ძალისხმევით ქუთაისი ხდება აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი (ლანჩავა, 2015, 246; მინდორაშვილი, 2014, 124-128).

- **ვარდციხე**

კასტორიუისის რუკაზე სებასტოპოლ-არტაშატის დამაკავშირებელ გზაზე აღნიშნული ერთ-ერთ სადგურში, რომელიც აღნიშნულია სახელწოდებით „Ad fontem felicem“, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იგულისხმება ბიზანტიური წყაროების როდოპოლისი და მას მდინარეების რიონ-ყვირილასა და ხანისწყლის შესართავთან მდებარე დღევანდელ სოფ. ვარციხესთან აიგივებენ (ლომოური, 1968, 99; ჯაფარიძე, 1989, 140). ვახუშტი ბატონიშვილის (1973, 751) მიხედვით, „ეს ყოფილ არს ციხე დიდი და დიდშენობა“. ბიზანტიურ წყაროებში ვარდციხე მოხსენიებულია იუსტინიანეს (VI ს.) „ნოველებში“, პროკოპი კესარიელის (VI ს.) „ბრძოლა სპარსელებთან“. მათი ცნობებით, როდოპოლისი დიდი, ძლიერი და შესანიშნავი ქალაქი ყოფილა (პროკოპი კესარიელი, 1965, 101).

ახ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან VI ს-მდე ვარდციხე საკმაოდ ძლიერი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ციხე-ქალაქია. VI ს-ში იქ საქალაქო ცხოვრება შეწყვეტილა ეგრისის ტერიტორიაზე მიმდინარე ბიზანტია-ირანის ომებთან დაკავშირებით. ციხე-ქალაქი (ფიგურა 42) შედგებოდა სამი ნაწილისგან, ციტადელისა და ორ ნაწილად გაყოფილი ქვედა ქალაქისგან. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია ძლიერ

დაზიანებული თავდაცვითი ნაგებობები. საფორტიფიკაციო სისტემაში გამოიყოფა ზღუდის სამი სხვადასხვა პერიოდის კედლები, I პერიოდის ზღუდის კედელი (სისქე 1 მ) ნაგებია რიყის ქვითა და კირქვით. კედლები შელესილი ყოფილა კირხსნარით. ზღუდე გეგმაში მომრგვალებულია. კედლებში ჩართულია მართკუთხა გეგმის კოშკები, რომლებიც ნაგებია წყობაში რიყის ქვითა და ფასადში უპირატესად კირქვით. პირველი ზღუდე დათარიღებულია IV-V სს-ით. II პერიოდის ზღუდის კედლები (სისქე 2, 3 მ) პირველის გარეთაა აღმართული. ნაშენია კირქვით. წყობა იზოდომურია. კედლის წყობაში ზოგან შეიმჩნევა აგურ-კრამიტის სამფენიანი სარტყელი. ზღუდე დათარიღებულია V-VI სს-ის მიჯნით. III პერიოდის ზღუდე მდებარეობს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და აშენებულია მეორე ზღუდის ნანგრევებზე. ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე. ზღუდე XVIII ს-ის უნდა იყოს. ვარდციხის ნაგებობები საფორტიფიკაციო ხასიათს ატარებს. ის საკმაოდ მასშტაბურია და ნოქალაქევის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი (ჯაფარიძე, 1989, 112-130). ამდენად, სავსებით რეალური ჩანს იუსტინიანეს ცნობა, რომ არქეოპოლისი და როდოპოლისი უდიდესი და ძველი სიმაგრეებია (პროკოპი კესარიელი, 1965, 101) ლაზიკაში. ბიზანტიური წყაროები მას ქალაქადაც იხსენიებენ, მაგრამ ყოველთვის ხაზგასმულია როდოპოლისის სტრატეგიული მნიშვნელობა. ზღუდის შიგნით ადრეული შუასაუკუნეების საცხოვრებელი ან სამეურნეო ნაგებობები ნაკლებადაა გამოვლენილი. შესაძლოა ეს იმით აიხსნას, რომ აქ საცხოვრებელ ნაგებობათა დიდი ნაწილი ხისა იყო. ვარდციხეში აგურებისა და ჰიდრავლიკური მასის აღმოჩენის ფაქტი ციხე-ქალაქში აბანოების არსებობაზე მიუთითებს (ჯაფარიძე, 1989, 93).

ვარდციხის გათხრებისას აღმოჩენილი IV-VI სს-ის არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი თიხის ჭურჭელია, რომლებიც წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ადგილობრივი და შედარებით მცირერიცხოვანი იმპორტული ნაწარმით. იმპორტულ კერამიკას შორის აღსანიშნავია ე.წ. წითელლაკიანი ჯამები, რომლებიც ეგრისის ზღვისპირა სიმაგრეებში ფართოდაა გავრცელებული I-III სს-ში. ქვეყნის შიდა რაიონებში მათი გავრცელება ძირითადად IV ს-დან იწყება (ჯაფარიძე, 1989, 19-20).

ვარდციხის არქეოლოგიური მასალა გარკვეულ ინფორმაციას იძლევა მეურნეობის რიგი დარგების შესახებ. განათხარ კერამიკაში მრავლად მოიპოვება ადგილობრივი ნაწარმი, მათ შორის იმპორტული ჭურჭლის მინაბაძები, რაც ვარდციხეში საკმაოდ განვითარებულ ადგილობრივ სამეთუნეო წარმოებაზე მიუთითებს. გარდა ამისა, იქ აღმოჩენილი თიხის ნაწარმი ძირითადად მევენახეობა-მეღვინეობასთანაა დაკავშირებული. ჩანს, ვარდციხისა და მისი ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს მევენახეობა-მეღვინეობა შეადგენდა. მესაქონლეობის განვითარებაზე მეტყველებს გათხრებისას გამოვლენილი მრავალრიცხოვანი ოსტეოლოგიური მასალა. ბადის საწაფებისა და თევზის ძვლების აღმოჩენა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში მეთევზეობის გარკვეულ ხვედრით წონაზე მიუთითებს (ჯაფარიძე, 1989, 139). საკმაოდ დაწინაურებული ჩანს ვაჭრობა, რისი დასტურიცაა გათხრებისას აღმოჩენილი იმპორტული ჭურჭელი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კერამიკული ტარის, ამფორების აღმოჩენის ფაქტები (მინდორაშვილი, 2014, 122-124).

ხაზგასასმელია, რომ რამოდენიმე წლის წინ ჩატარებული კვლევა ძიებისა და მონაცემთა შეჯერების საფუძველზე, გ. ყიფიანის (2012, 24) მოსაზრებით ქალაქი როდოპოლისი მდებარეობდა დღევანდელი სოფ როდიანულის ადგილზე. ამ სოფლის ტერიტორია ნაქალაქარია.

- **შორაპანი**

შორაპანი მდებარეობს მდ. ყვირილასა და ძირულას ხეობებში, მათ ხერთვისთან, დღევანდელი დაბა შორაპნის ტერიტორიაზე. ვახუშტი ბატონიშვილი შორაპნის შესახებ წერდა, „ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაპანი, რომელი აღაშენა მეფემან ფარნაოზ ქალაქი და ციხე, და ჰყო საერისთოდ, და არს დიდშენობა ფრიადი... აქუს გვირაბი დიდი, ჩასული წყლამდე“ (ბატონიშვილი, 1973, 757).

შორაპანი ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულია როგორც სარაპანისი. ანტიკური ხანის ციხე-ქალაქი კოლხეთისა და იბერიის საზღვარზე

მდებარეობდა და უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა (ჯაოშვილი, 1979, 31-33) სტრაბონი შორაპანს იხსენიებდა იბერიაში შემავალ გზებთან დაკავშირებით. იბერიაში შესასვლელი ოთხი გზიდან „ერთი არის კოლხური ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც ფაზისი მიმდინარეობს“ (ყაუხჩიშვილი, 1957, 128). პროკოპი კესარიელის ცნობით, „ლაზთა ორი ციხეა ზედ იბერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპანისი: ისინი მდებარეობენ მკაცრსა და მეტად ძნელ სავალ ადგილებში და ძნელად თუ მიუდგება იმათ კაცი“ (პროკოპი კესარიელი, 1965, 185). ლეონტი მროველის (2012, 29) მიხედვით „ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“.

წერილობით წყაროები და არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუასაუკუნეებში შორაპანზე მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები გადიოდა. მათ შორის იყო ეგრისიდან ქართლის სამეფოსკენ მიმავალი ერთ-ერთი ძირითადი გზა, რამაც დიდად შეუწყო ხელი იმ პერიოდში ციხის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებას (ჯაფარიძე, 2006).

შორაპნის ციხეს (ფიგურა 43) რამდენიმე ფუნქცია უნდა ჰქონოდა, ის მდ. ყვირილას ხეობაზე გამომავალ გზასაც კეტავდა და სავარაუდოდ, იქვე ხდებოდა ამ გზაზე მოძრავი სავაჭრო ქარავნების მიღება და სავაჭრო ურთიერთობების ადმინისტრირება, კერძოდ, ბაჟის აღება, საქონელის დაბინავება და სხვა (ჯაოშვილი, 1979, 32).

ადრეფეოდალური ხანისათვის ციხე ორი ნაწილისგან შედგებოდა, ზედა ციხის და ქვედა ციხისგან. ზედა ციხე მაღალ კლდოვან ბორცვზეა აგებული, ქვედა ციხის დასავლეთი ნაწილი არ ჩანს (ჯაოშვილი, 1979, 31). IV-VII სს-ის ფენები ნაქალაქარზე წარმოდგენილია ძეგლის თითქმის ყველა უბანზე. ყველაზე ძველია გათხრებისას გამოვლენილი გვიანელინისტური და I-II სს-ით დათარიღებული მასალები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შორაპნის ქალაქობამდე IV ს-მდე იქ უკვე საკმაოდ ძლიერი დასახლება ყოფილა (ჯაფარიძე, ვ., 2006, 33-34).

ნაქალაქარის ციხის ტერიტორია, რომელსაც გალავანი ზღუდავდა, 25 ჰა შეადგენს. ციხეს აქვს თავისი ციტადელი, რომელიც კლდოვანი კონცხის ყველაზე შემაღლებული და გამოყოფილი მცირე ფართობის მქონე შუასაუკუნეების ციხის მონაკვეთია. ზღუდის კედლებში ჩაშენებულია ოთხკუთხა კოშკები. ზღუდის კედლებს ეტყობა არაერთგზის გადაკეთების კვალი. ნაქალაქარის ციხის კედლებში დადასტურებულია რამდენიმე სამშენებლო ფენა, 1) IV-V სს-ით დათარიღებული კირქვის ქვათლილებით კირხსნარზე ნაგები კედლები, რომელიც თვით ეგრისელებს უნდა დაენგრიათ ბიზანტია-სპარსეთის საომარი მოქმედებებისას, რათა სპარსელებს იქ გამაგრების სურვილი არ გასჩენოდათ; 2) VI ს-ის უნდა იყოს უხეშად გათლილი ქვათლილების წყობა კირხსნარზე, ოთხი რიგის შემდეგ ხუთრიგიანი აგურის წყობის შენაცვლებით; ასეთი ნაგებობა დამახასიათებელია რომაული პერიოდის და შემდეგ IV-VI საუკუნეებში ბიზანტიური არქიტექტურისათვის. 3) გვიანდელ შუასაუკუნეების ზღუდის სამშნებლო ფენა რიყის ქვის წყობით კირხსნარზე (ჯაოშვილი, 1979; ჯაფარიძე, ვ., 2006, 21).

ციხე-სამიგრის წყლით მომარაგება 60 მეტრიანი უხეში ქვათლილებით ნაშენი მდ. ყვირილაზე ჩამავალი გვირაბით ხდებოდა. გვირაბის კედელს სინათლისთვის გარკვეული ინტერვალით მომცრო სარკმლები აქვს დატანებული. გვირაბის იატაკი კლდეში გამოკვეთილი, ზოგან კი რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები კიბეებია. გვირაბი ბოლო ერთვის სანაპიროზე რიყისა და კირქვისგან აშენებულ ორსართულიან კოშკს, რომლის ქვედა სართული ჭის ფუნქციას ასრულებდა (ჯაოშვილი, 1979, 32; ჯაფარიძე, ვ., 2006, 16-17, 27-28).

ციხის ტერიტორიაზე გაითხარა ერთიმეორის გვერდით განლაგებული შენობები, რომლებიც, შესაძლოა, თავის დროზე ყაზარმა იყო. ამ ნაგებობებს უკავშირდება ჰიდრავლიკური ხსნარის სქელი ფენით შელესილი ნაგებობა, ავზი - წყლის რეზერვუარი. ციტადელში გამოვლინდა მარცვლეულის შესანახი 5 დიდი ხარო და 10-მდე ქვევრი. ნაგებობები IV-VI სს-ით თარიღდება (ჯაფარიძე, 2006, 29).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია IV-VI სს-ის მასალა, უმეტესად კერამიკული ნაწარმი, წერნაქიანი, ნაპრიალები ჯამები, რომლებიც რომაული წითელლაკიანი ჯამების გვიანდელ მინაბაძებს წარმოადგენენ; ქვევრები, დერგები, ლუთერიები, დოქები და მრავალფეროვანი იმპორტული ამფორები. სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია აგურებითა და კრამიტებით. მინის ნაწარმიდან აღსანიშნავია ფეხიანი სასმისები და ამოხეხილგვერდიანი ჭურჭელი (ჯაფარიძე, 2006, 42-45). გამოვლენილია ხმელთაშუაზღვისპირეთში ფართოდ გავრცელებული ტიპის იმპორტული ამფორები, რომელსაც ღია ფერი, ზედაპირდაღარულობა და ძაბრისებურად გამოყვანილი პირის ახასიათებს (ჯაფარიძე, 2006, 44). შიდა ეგრისში, ამ ტიპის ამფორები გვხვდება ქუთაისსა და ვარდციხეში.

როგორც ჩანს, ადრე შუა საუკუნეებშიც შორაპანი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს. მას სკანდესა და საზანოსთან (ფიგურა 44) ერთად აქვს სასაზღვრო ციხესიმაგრის სტატუსი. აქედან ხორციელდება ძირითადი კონტროლი შიდა ეგრისის (მოხირისის) მხარეზეც.

ცნობილია, რომ VI ს-ში ეგრისისათვის ერთმანეთს ებრძოდა ბიზანტია და ირანი. შორაპანი ხან ბიზანტიელების ხელში იყო, ხან ირანელების. ლაზებმა, როგორც უკვე აღინიშნა, შორაპნისა და სკანდეს ციხეები დაანგრიეს, რომ ისინი სპარსელებს არ ჩაეგდოთ ხელში (ჯაფარიძე, 2006, 27). ჩანს, შორაპანი იმდენად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე ყოფილა, რომ სპარსელებმა ის კვლავ განაახლეს. შორაპნის ციხე ფუნქციონირებას განაგრძობდა განვითარებულ და გვიანდელ შუასაუკუნეებშიც (მინდორაშვილი, 2014, 120-122; ლორთქიფანიძე, 2010, 205-208).

- **ციხესიმაგრეები და სვანეთის გზა**

ლაზიკაში ქალაქებთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა დიდი ციხესიმაგრეების გამაგრებასაც. ეგრისის სამეფოში ერთიანი თავდაცვითი სისტემა არსებობდა (მურღულია და ლომიტაშვილი, 2016). დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია 50-ზე მეტი სიმაგრე (ციხე-ქალაქები, დიდი და მცირე

ზომის ციხეები, კოშკები). ეგრისის სამეფოში არსებული გამაგრების სისტემის ერთ-ერთი დანიშნულება გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დასავლეთ საქართველოზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის გზებისა და გადასასვლელების კონტროლი და დაცვა იყო (მურღულია და ლომიტაშვილი, 2016, 262).

ამ პერიოდში ქართლისა და ეგრისის სამეფოების მეზობლად ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი, აბრეშუმის გზის ორი დიდი იმპერია, სამხრეთ-დასავლეთით ბიზანტიის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით სასანური ირანის იმპერია არის გაბატონებული. ამიერკავკასია კი ორივე იმპერიის ინტერესია მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე. ეგრისისა და ქართლის ფლობა ნიშნავდა კონტროლს მთელს კავკასიის რეგიონზე, შავ ზღვაზე და კავკასიის უღელტეხილებზე, საიდანაც მათ მუდმივი საფრთხე ემუქრებოდათ ჩრდილო კავკასიის სტეპებში მომთაბარე ველური ტომების თავდასხმების სახით.

ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი სექტორის თავდაცვითი სისტემა და მასში შემავალი ციხესიმაგრეები: ნაფიჩხოვო, კურზუ, ოსინდალე, სკური, სათანჯო, წარჩე, რეკა და წებელდა (ფიგურა 45) ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალ გზებს კეტავდა, რითაც უპირველეს ყოვლისა, ეგრისის, ხოლო გლობალურ მასშტაბში კი, რომისა და ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა (მურღულია და ლომიტაშვილი, 2016, 266-267; მურღულია, 2012, 250).

ეგრისის სამეფოში გამავალი გზების სიახლოვეს აგებული სიმაგრეები (შორაპანი, შხეფი და სხვ.) იცავდა გზებზე მოძრავ სავაჭრო ქარავნებსა და სხვა მგზავრებს მარბიელი რაზმებისაგან. ამასთანავე, ასეთ სიმაგრეებს სამეფოს მთავარ სავაჭრო ქალაქებთან ერთად უნდა შეემოწმებინა აღნიშნული სავაჭრო ქარავნებისა და მგზავრების სანდოობა და აეკრიფა ბაჟი. სავარაუდოდ, მათ სიახლოვეს გამართული იქნებოდა მგზავრების მოსასვენებელი ადგილებიც (მურღულია და ლომიტაშვილი, 2016, 263).

კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სამი ძირითადი სავაჭრო გზა გადიოდა:

1. ახლო აღმოსავლეთში - კაბადოკიისა და სომხეთის გავლით;
2. ამიერკავკასიაში - ეგრისისა და ქართლის გავლით;
3. ჩრდილოეთ კავკასიაში - ყირიმიდან კასპიის ზღვამდე.

ამათგან პირველი გზა იყო ყველაზე მოსახერხებელი, მოკლე და კარგად მოწყობილი სავაჭრო ქარავნებისათვის. ყველაზე სახიფათო ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალი გზა იყო, იქ მომთაბარე ტომების მიერ ქარავნების გაძარცვის მაღალი რისკის გამო. ყველაზე დატვირთული ამიერკავკასიაში ეგრისისა და ქართლის გავლით მიმავალ მაგისტრალი უნდა ყოფილიყო, რომელიც ანტიკური ხანიდან არსებობდა. ცხადია, ეს გზა მოქმედებდა ეგრისის სამეფოს არსებობის პერიოდშიც და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელი ერთ-ერთი მთავარი არტერია იყო (მურღულია და ლომიტაშვილი, 2016, 269).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ეგრისზე გადიოდა, სომხეთის ქ. არტაშატსა და ქ. სებასტოპოლისს (ახლანდელი სოხუმი) აკავშირებდა ერთმანეთთან. IV ს-ის ანონიმი ავტორის რუკაზე დატანილი გზა ეგრისს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთამდე სერავდა. რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიის“ მიხედვით კი ვვარაუდობენ, რომ ის სებასტოპოლისიდან უფრო ჩრდილოეთითაც, „აფხაზეთის გზის“ გავლით სავაჭრო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან რეგიონამდე - ყირიმამდეც ვრცელდებოდა (ლომოური, 1968, 89).

ეგრისის, ანუ როგორც მას ბიზანტიელები უწოდებდნენ ლაზიკის (მინდორაშვილი, 2014, 113), დაუფლებისათვის VI საუკუნის დასაწყისიდან იწყება აქტიური ბრძოლა ზემოთ დასახელებულ იმპერიებს შორის (დუნდუა და დუნდუა, 2006, 159-160).

VI ს-ის მეორე ნახევრიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან სვანეთზე გადმომავალი გზა ახალ მნიშვნელოვან სავაჭრო ფუნქციას იძენს და სვანეთი ბიზანტია-ირანის საზავო მოლაპარაკების დროს ხანგრძლივად გადაუჭრელი საკითხი რჩება (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014; ავდალიანი, 2019, 38-64).

V საუკუნის ბოლოდან, ვიდრე VIII ს-ის I ნახევრამდე, მახლობელ და შუა აღმოსავლეთში სოგდიელი ვაჭრების მეშვეობით აბრეშუმით ვაჭრობა ინტენსივობის განსაკუთრებულ ზენიტს აღწევს (De la Vaissière, 2014, 104). VI საუკუნეში ბიზანტიის ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი საგანი სწორედ აბრეშუმი ხდება. ბიზანტია ნედლ აბრეშუმს ირანის მეშვეობით იძენდა აღმოსავლეთში (ჩინეთ-ინდოეთში) და აქედან ამზადებდა საკუთარ საწარმოებში აბრეშუმის ქსოვილებს, რომელიც საღდებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე (მენანდრე პროტიქტორი, 1936, 206).

ბიზანტია რადგან ირანისგან იღებდა ამ საქონელს, იძულებული იყო აბრეშუმი ირანელებისგან დაწესებულ ფასებში შეეძინა. გარდა ამისა, ეს ბიზანტიას ირანზე დამოკიდებულს ხდიდა. ამის გამო, ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო გზები ადრიდანვე გახდა სამხედრო კონფლიქტებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების უშუალო მიზეზი (გოილაძე, 1997, 23).

თეოფანე ბიზანტიელის (1936, 253-256) ცნობების თანახმად, ბიზანტიის ხელისუფლებამ რამდენჯერმე სცადა თავი დაეღწია ნედლი აბრეშუმის შესყიდვის საქმეში ირანის შუამდგომლობისაგან, მაგრამ ამ მხრივ გატარებულ ღონისძიებებს მაინც და მაინც დიდი წარმატება არ მოჰყოლია (გოილაძე, 1997, 24).

ერთ-ერთ ასეთ მცდელობას წარმოადგენდა ბიზანტიელების სავაჭრო ურთიერთობების დამყარების სურვილი თურქთა კაგანატთან VI საუკუნის შუა ხანებიდან. თურქებს, იმ დროისათვის, შუა აზიის ოლქების დაპყრობის შედეგად, ამ რეგიონებზე უძველესი დროიდან გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზა, მათ შორის სოგდიანა ეპყრათ ხელთ. ეფტალიტეტებისა და ჩრდილოეთ ჩინეთის იმპერიების დამარცხების შემდეგ, თურქთა კაგანატი პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურადაც გაძლიერდა. ვინაიდან თურქთა მფლობელობაში აღმოჩნდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი დიდი საქარავნო გზა, მათ ხელში ხვდებოდა ჩინური აბრეშუმის დიდი რაოდენობა. ამ პერიოდში, ჩინური აბრეშუმის ძირითადი მომხმარებლი ჩრდილოეთის მომთაბარე სამყარო იყო. თურქი კაგანები ჩინეთიდან

აბრეშუმს ხარკისა და საჩუქრების სახით ღებულობდნენ. ჩინეთიდან მიღებული აბრეშუმი იმდენად ბევრი იყო, რომ თურქთა ზედაფენა მას მთლიანად ვერ იყენებდა. ზედმეტი აბრეშუმის გასაღებისა და ვაჭრობის საქმე მათ ქვეშევრდომ სოგდიელ ვაჭრებს ჰქონდათ დელეგირებული (გოილაძე, 1997, 24-25). სოგდიელთა დიასპორა წარმოადგენდა მთავარ კონტინენტურ მედიუმს ჩინეთიდან ძვირფასი ნივთების ექსპორტისა და იმპორტის, მათ შორის, აბრეშუმის ექსპორტის კუთხით (De la Vaissière, 2014, 104).

მენანდრე პროტიქტორის ცნობით, ირანის შაჰმა ხოსრომ სოგდიელებს არ მისცა უფლება ირანის ბაზარზე გაეტანათ აბრეშუმი და ამით მეტოქე გაეჩინა საკუთარ ბაზარზე აბრეშუმის ვაჭრობის საქმეში. ირანი ფაქტობრივად ფლობდა მონოპოლიას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ აბრეშუმის პროდუქტებზე, რაც საშუალებას აძლევდა ეკონომიკური გავლენა მოეხდინა ბიზანტიასა და სოგდიანაზე (კვიციანი 2008). ამიტომაც, სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით, სოგდიელების რჩევით თურქებმა 568 წელს ბიზანტიელებთან გაგზავნეს ელჩობა, რომელებმაც თან აბრეშუმიც წაიღეს. ბიზანტიის იმპერატორისათვის რა საკვირველია მისასალმებელი აღმოჩნდა სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესახებ შემოთავაზება. მენანადრე პროტექტორის გადმოცემით, იმავე წელს უკან დაბრუნებულ თურქ ელჩებს და სოგდიელების მთავარს, მანიაქს იმპერატორ იუსტინემ თან გააყოლა თავისი ელჩი, კილიკიელი ზემარქე, ხოლო როცა ზემარქე უკან ბრუნდებოდა კონსტანტინეპოლში, თურქებმა მას გააყოლეს თავიანთი წარმომადგენლები (მენანდრე პროტიქტორი, 1936, 206-234).

წერილობითი წყაროების საფუძველზე, ჩვენთვის ცნობილი ხდება სამივე მოგზაურობის მარშრუტი:

1) მენანდრე პროტიქტორის თანახმად, ბიზანტიისაკენ თურქთა პირველი მგზავრობის დროს მათმა ელჩმა მანიაქმა „მეტად დიდი გზა განვლო, გაიარა ბევრი ქვეყანა, მთები, მაღლა აწვდილი ღრუბლებამდე, დაბლობები და ჭაობები და

მდინარეები, შემდეგ გადმოლახა თვით კავკასიის მთა და ბოლოს მოვიდა ბიზანტიონში“ (მენანდრე პროტიქტორი, 1936, 206-234).

2) მენანადრეს ცნობებში არ არის შემონახული რა გზით დაბრუნდნენ უკან თურქი ელჩები და მათთან ერთად ბიზანტიის ელჩი ზემარქე, თუმცა, მითითება მათ მიერ გავლილ მარშრუტზე იოანე ეპიფანელთან მოიპოვება, რომელიც წერს, „…როდესაც თურქთა ელჩები მოვიდნენ რომაელებთან და იუსტინე მეფემ ელჩები მიიღო და მათ გაბრუნებისას თან გააყოლა ზემარქე, საბჭოს კრებული წევრი, სპარსელებმა მოისურვეს ფულით მოესყიდათ ალანები, რომელთა ქვეყანაზე უნდა გაევლოთ იმათ“ (იოანე ეპიფანიელი, 1936, 199).

3) მესამე მგზავრობა, ზემარქესი და თურქებისა თურქთა ქვეყნიდან კონსტანტინეპოლისაკენ დაწვრილებით აქვს აღწერილი მენანდრეს, სირ-დარიას, ვოლგის, უგურთა ქვეყნის, მდინარე კოფენის გავლით (გზაზე, სხვათა შორის ირანელები ჩაუსაფრდნენ) მგზავრები „დიდი შიშით მოვიდნენ ალანიაში..საროდიმ (ალანთა წინამძღოლმა) ურჩია ზემარქეს და მის მხლებლებს არ წასულიყვნენ მისიმიანელთა ქვეყანაზე მიმავალი გზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებულიო; შინ დაბრუნება უმჯობესია ეგრეთწოდებული დარინის გზითო. ეს რომ გაიგო ზემარქემ მისიმიანელთა ქვეყნის გზით გაგზავნა აბრეშუმით დატვირთული 10 მებარგე სპარსელების შეცდომაში შესაყვანად, თვითონ კი დარინის გზით მივიდა აფშილიაში. მისიამინელთა ქვეყანაზე გამავალი გზა „მარცხნივ დასტოვა და მოვიდა როგატორიონში, შემდეგ ევქსინის პონტომდე და მერე ნავებით მდინარე ფაზისამდე, შემდეგ ტრაპეზუნტში. აქედან სახელმწიფო ცხენებით ბიზანტიონში მოვიდა მეფესთან“.. (მენანდრე პროტიქტორი, 1936, 237).

ამრიგად, ბიზანტიელებმა და სოგდიელებმა, ირანის დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის მიზნით, აბრეშუმის გასაღებისათვის ახალი მარშრუტი იპოვეს. ეს გზა ირანის გვერდის ავლით, ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ, სვანეთის გავლით კონსტანტინეპოლისაკენ მიემართებოდა, კერძოდ კავკასიონზე, ყაბარდოდან დასავლეთ

საქართველოში - მისიმიანეთზე (კოდორის-დალის ხეობა) გადიოდა (კვიციანი, 2008, 451-452).

მისიმიელთა მიწა-წყალი ანუ მისიმიანეთი ეგრისის სამეფოში შემოდიოდა (ფიგურა 46). ის აფშილეთს (ახლანდელი ოჩამიჩირის მუნიციპალიტეტი მდინარე ღალიძგის ჩრდილოეთით მდ. კოდორამდე) ესაზღვრებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და მდ. კოდორის ზემო წელის აუზს მოიცავდა კავკასიონის მთავარ ქედამდე, რომელიც მას და შესაბამისად, ეგრისის სამეფოსაც ალანებისაგან მიჯნავდა. მისიმიანეთის ტერიტორიაზე ხვდებოდა ჩრდილო კავკასიაში გამავალი ისეთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილები, როგორიცაა მარუხის, კლუხორის და ნახარის გადასასვლელები. ამათგან, კლუხორზე გადმომავალ გზას ეწოდებოდა "მისიმიანეთის გზა". (მუსხელიშვილი, 2012, 41). მისიმიანეთის მთავარ ციხესიმაგრეს აგათია სქოლასტიკოსი ძახარის (ან ჩახარის) ციხეს (ფიგურა 46) უწოდებს, რომელსაც "მეტსახელად "რკინისას" ეძახიან მისი სიმტკიცის და დაუძლევლობის გამო". მუსხელიშვილის (2012, 41) აზრით, ეს უნდა იყოს კოდორის ზემო წელზე, ჩხალთის წყლისა და კოდორის შესართავში მდებარე დღესაც არსებული ჩხალთის ციხის ნანგრევები.

კლუხორისა და ნახარის გადასასვლელების შესახებ დიუბუა დე მომპერე წერდა „აღნიშნული გადასასვლელები კავკასიის უძველესი გზებია. ამ გზებით ხდებოდა ძირითადი ვაჭრობა და ცივილიზაციის გაცვლა-გამოცვლა კავკასიასა და გადაღმა მხარეს შორის". XIX საუკუნის ბოლოს რუსეთმა სწორედ ამ მიმართულებით გაიყვანა პირველი შედარებით კეთილმოწყობილი გზა, რომელსაც სტრატეგიული და კულტურულ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა (კვიციანი, 2008, 452).

ყაუხჩიშვილის (1936) ვარაუდით, ის გზა, რომლითაც ბიზანტია გეგმავდა აბრეშუმის შემოტანას თურქთა ქვეყნიდან და ამით აბრეშუმის ვაჭრობის საკითხში ირანის მეშვეობისაგან თავის დაღწევას სვანეთზე ან მის მეზობლად გადიოდა. ირანი, თავის მხრივ ყველა ღონეს იხმარდა რათა ეს არ დაეშვა.

როგორც ჩანს, სწორედ სვანეთზე გამავალი ეს გზა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა თუ რატომ იყო სვანეთი ბიზანტია-სპარსეთს შორის საზავო მოლაპარაკების დროს ხანგრძლივად გადაუჭრელი საკითხი (მენანდრე პროტიქტორი, 1936, 203-204).

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე ამბობს თითქოს სვანეთი უმნიშვნელო მხარეა თითოეული მათგანისთვის, ფაქტია, რომ ვერცერთი ვერ თმობს მას, მაშინ როდესაც მათ იოლად მიაღწიეს ისეთ შეთანხმებებს, როგორიც იყო ლაზეთის დაცლა ირანელების მიერ, ბიზანტიის მთავარსარდლის გასვლა დარადან და ა.შ (ყაუხჩიშვილი, 1936, 205).

ყაუხჩიშვილი (1936, 207-208) ასკვნის, რომ ჩრდილოეთიდან ლაზეთში ანუ ეგრისში გადმოსასვლელი ერთ-ერთი გზა გადიოდა სვანეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე, იმ ნაწილში, რომელიც მისიმიანთა მიწა-წყალს აკრავდა. ეს ყაუხჩიშვილის აზრით, სვანეთის ის ნაწილი უნდა იყოს, რომელსაც ამჟამად ჭვიბერი ეწოდება.

როგორც მენანდრე პროტიქტორის ცნობებიდან ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიიდან ლაზეთსა და შემდეგ ბიზანტიაში მიმავალი გზის ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტი სვანეთზე გადიოდა. მისი ცნობებიდან ირკვევა, რომ შუა აზიიდან მომავალ აბრეშუმით დატვირთულ თურქ ვაჭრებს იმ გზაზე უნდა გაევლოთ, რომლის უსაფრთხოება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვის დაქვემდებარებაში იყო სვანეთი. ამ დროს სვანეთი სპარსელების ხელში იყო და ისინი უსაფრდებოდნენ ვაჭრებს, რათა არ დაეშვათ აბრეშუმის ჯერ ლაზიკაში, შემდეგ კი ბიზანტიაში მოხვედრა. საფუძვლიანად ვარაუდობენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ლაზიკაში შემომავალი უღელტეხილები კარგად იქნებოდა დაცული ციხესიმაგრეებით (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 107).

კვიციანის (2008) თანახმად, სვანეთის ტერიტორიაზე გამავალი მნიშვნელოვანი გზა სვანეთის ნაწილს ჩუბეხევსა და მისმიანეთს შავ ზღვასთან და ჩრდილოეთ

კავკასიასთან აკავშირებდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს გზა მდ. კოდორის ხეობიდან მდ. ყუბანის და მისი შენაკადების აუზებში გადიოდა კლუხორის უღელტეხილით. ეს დღეისათვის კარგად ცნობილი სოხუმის გზაა. კლუხორის უღელტეხილი კოდორის ხეობიდან თებერდის ხეობაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადვილად მისადგომი და უმოკლესი გზაა დასავლეთ საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ გადასასვლელის ძველი სახელწოდება ისტორიულ წყაროებში ჯერ არ ჩანს. ბერნადაცის ცნობით, 1367 წელს გამოცემულ ვენეციურ რუქაზე ნაჩვენებია უსახელო გზა ამ გადასასვლელით. კლუხორ-თებედის ეს გზა ცნობილია ძველთაგანვე, რომლითაც სარგებლობდნენ ბერძნები და რომაელები, ბიზანტიელები და თურქები, გენუელები და ვენეციელები, და რათქმაუნდა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. გადასასვლელის სამხრეთ ნაწილში აგებული იყო ციხე სობღისი და მნიშვნელოვანი სიმაგრე - ბუქლოოსი. ბუქლოოსის სიახლოვე ოსებთან დასტურდება იმით, რომ აგატია სქოლაქტიკოსის თანახმად, მისიმიანელებს ეშინოდათ, რომ ბიზანტიელებს ოსებისათვის არ გადაეცათ ის (კვიციანი, 2008, 454-455). იგივე ციხე, ოღონდ ბუკოლუსის სახელით, იხსენიება თეოდოსი განგრელთან დაცულ ანასტასი აპოკრისიარის ჩანაწერებსა და თავად თეოდოსის მოგონებებში. ვარაუდობენ, რომ ეს იყო სასაზღვრო ციხე, რომელიც ზოგჯერ ალანების, ზოგჯერ კი მისიმიელთა ხელში გადადიოდა, რადგან თხზულების ბერძნულ ვარიანტში ეს ციხე ალანთა ქვეყნის საზღვრებშია მოქცეული, ხოლო ლათინურ ვერსიაში - მისიმიელთა ქვეყანაში (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014).

თეოდოსისა და ანასტასი აპოკრისიარის თხზულებებში ასევე მოხსენიებულია ალანიის მახლობლად, ლაზიკაში მდებარე სქიომარის, სავარაუდოდ სქურის ციხე, აბაზგიის მახლობლად მდებარე სკორტორის, ასევე სვანდის (სვანეთის), აფსილეთისა და მისიმიელთა მხარეში მდებარე ფუსტას ციხეები (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 208).

IV-VI სს-ის განმავლობაში სვანეთი ხან ემორჩილებოდა ეგრისის მმართველებს, ხანაც მათგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. ასეთი არამდგრადი პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, V-VI სს-ში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა

სვანეთიდან ეგრისში/ლაზიკაში გადმომავალი გზების კონტროლსა და მათს დაცვას. მაშინ, როდესაც სვანეთი ეგრისს ემორჩილებოდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან სვანეთში, შემდგომ კი სვანეთიდან ეგრისის ცენტრალურ ნაწილებში მომავალი გზის სრულ კონტროლს, ცხადია, ეგრისის მმართველები ახორციელებდნენ. ამ გზების ფლობა ეგრისისათვის უმნიშნელოვანესი სტრატეგიული ამოცანა იყო, ვინაიდან სწორედ ამ მიმართულებიდან იყო მოსალოდნელი ჩრდილოეთ კავკასიელი მომთაბარე ტომების თავდასხმები. შესაბამისად, ამ გზების სათანადოდ ჩაკეტვა და გაკონტროლება არსებითად მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ეგრისის არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთისათვისა და რომის/ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციების უსაფრთხოებისათვის.

ამ გზების უსაფრთხოება და კონტროლის დაწესება ეგრისისათვის ასევე ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარე იყო მომგებიანი, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, მისი ერთი მონაკვეთი (ჩრდილოეთ კავკასია - შავი ზღვა) წარმოადგენდა იმ მარშრუტის ნაწილს, რომლითაც ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვაჭრობა (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 109).

სვანეთიდან ეგრისში რამდენიმე გადმოსასვლელი არსებობდა:

ერთ-ერთი დღევანდელი ლენტეხი-ცაგერი-წყალტუბო-ქუთაისის პარალელურად სვანეთიდან რაჭა-ლეჩხუმისა და მდ. ცხენისწყლის გავლით მოხირისის ქვეყანაში მიემართებოდა. ეს გზა ორად იყოფოდა სოფ. გელავერში (ხონის მუნიციპალიტეტი GPS კოორდინატები N42 26 13.05”, E42 34 11.26”). ერთი ხონის გავლით მიემართებოდა ქუთაისისკენ, ხოლო მეორე სამხრეთ-დასავლეთით მდ. ცხენისწყლის ხეობას მიჰყვება. ამ გზაზე, სოფ. დიდღვაბუნაში, გამოვლენილია სიმაგრე, რომელიც IV-VI სს-ით თარიღდება და ფიქრობენ (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 110), რომ მისი დანიშნულება ხეობაზე გადმომავალი გზის კონტროლი იყო (GPS კოორდინატები, N42 25 34 51“, E42 30 35.14). მასთან ახლოს კი, სოფ. ხიდში შემორჩენილია ბამბუას ხიდის ნაშთები (N4225 7 20,

E42 29 31 44), რომელსაც ნ. ბერძენიშვილი (1975, 461) დასავლეთ საქართველოში პომპეუსის ლაშქრობასთან აკავშირებს (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 110).

ლენტეხიდან ცაგერის გავლით კიდევ ერთი გზა მიემართება ქუთაისისკენ, ცაგერიდან ერთი გზა სამხრეთ-დასავლეთით-წყალტუბისკენ, ხოლო მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთით გრძელდება და სოფ. ორბელასთან უერთდება მდ. ლაჯანურის ხეობას, რომელიც, თავისმხრივ, 9 კმ-ის გავლის შემდეგ მდ. რიონს ერთვის. ამის შემდეგ გზა მდ. რიონის ხეობით მიემართება ქუთაისამდე. ამ ხაზზე IV-VI საუკუნეების სიმაგრეები დღემდე გამოვლენილი არაა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ თავად ქუთაისის ციხე აშენებულია იმ ადგილას, სადაც მდ. რიონი ვიწრო ხეობიდან გაშლილ ადგილებზე გამოდის. ამ ციხის ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ ჩრდილოეთიდან მომავალი გზის გაკონტროლება და დაცვა უნდა ყოფილიყო (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 110). ამავე გზაზე უნდა ყოფილიყო უქიმერიონის ძლიერი სიმაგრე, რომელიც ლოკალიზდება მოწამეთაში (ლანჩავა, 2015, 228).

სვანეთ-ეგრისის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზები დღევანდელი სამეგრელოს მთიან რეგიონებზე (წალენჯიხა, ჩხოროწყუ) გადიოდა. დღეს მესტიასთან სამანქანო გზით დაკავშირება ხდება ქალაქ ჯვრიდან, რომელიც სამეგრელო-აფხაზეთი-სვანეთის ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთაზე მდებარეობს. ეს გზა მდ. ენგურის ხეობის პარალელურად მიემართებოდა მესტიისკენ. ჯვარში აღმოჩენილია შუა საუკუნეების სიმაგრის ნაშთები. თუმცა, მისი ზუსტი ქრონოლოგია გარკვეული არაა. სამაგიეროდ, არაერთი სიმაგრეა გამოვლენილი ენგურის ხეობის პარალელურ ხეობებში (ფიგურა 45), მდ. ტეხურის ხეობიდან გამოსასვლელს კურზუსა და ნაფიჩხოვოს სიმაგრეები იცავდნენ, მდ. ხობისწყლის ხეობიდან გამოსასავლელები ოსინდალეს ციხიდან კონტროლდებოდა, ხოლო მდ. ჭანისჭყლის ხეობაში გამოვლენილი სქურის ციხე ამ მდინარეზე გადმომავალ გზას აკონტროლებდა. შესაბამისად, ასკვნიან (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 110) რომ, ეგრისის ქედზე არსებული გადმოსასვლელებით სვანეთიდან ეგრისის ცენტრალურ ნაწილებში მოხვედრა ამ

ხეობებისა და იქ მდებარე სიმაგრეების გავლის გარეშე შეუძლებელი თუ არა, რთული ნამდვილად იქნებოდა.

ასევე, გამართული სასიმაგრო ხაზი არსებობდა კოდორის ქედზე (ფიგურა 45), სადაც სვანეთიდან ეგრისის ჩრდილო-დასავლეთით რეგიონებში არსებულ გადმოსასვლელებს სათანაჯოს, წარჩესა და რეკას ხეობები ამაგრებდნენ. ცალკე გამაგრების ხაზი არსებობდა მდ. კოდორის ხეობაზე, რომელიც როგორც ჩანს, უმთავრესი სავაჭრო არტერია იყო ჩრდილოეთ კავკასია-სვანეთ-შავ ზღვას შორის. ამ ხეობაზე გადმომავალი გზის დამცავი მთავარი სიმაგრე ბიზანტიური წერილობითი წყაროების წიბილე/წიბილიუმი, დღევანდელი წებელდა (ფიგურა 45) იყო (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 111).

ციხის გეგმარებას განაპირობებდა რელიეფის სირთულე, რომელიც კლდოვანია და ძნელად მისადგომი. თავდაცვის ხაზი ნახევარწრიულად ზღუდავს ციტადელს, რომელიც შიგნიდან რამდენიმე ნაწილად იყოფა. კედლებისა და კოშკების წყობა ძირითადად ორგვარია, იზოდომური და დიდკვადროვანი. კედლების სისქე 2, 5 მ-ია, ზოგან კი 3, 5 მ. სიმაგრის სიმტკიცისათვის გამოყენებულია ე. წ. პროტოხეიზმა ორმაგი კედლებით გამაგრება. საინტერესოა, ორმაგი კარიბჭე, სადაც გარე და შიდა შესასვლელები ერთმანეთთან კორიდორითაა დაკავშირებული. ციტადელში აღმოჩნდა აბანო ჰიპოკაუსტის სისტემით, VI ს-ის სატაძრო კომპლექსი, ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა, მარანი, და წყლის ორი რეზერვუარი, რომელსაც კვებავდა ნახევარკილომეტრიანი წყალსადენის მაგისტრალი. წებელდის სასიმაგრო სისტემა უნდა აღმოცენებულიყო IV ს-ის ბოლოს ან V ს-ის დასაწყისში (Воронов, 1985; მინდორაშვილი, 2014, 150-151).

ციხესიმაგრის გათხრებისას აღმოჩენილია მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რომელიც მიუთითებს ამ პუნქტის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების მაღალ დონეზე. სხვადასხვა დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად წებელდას მიდამოებში (გულრიფშის რაიონი)

აღმოჩენილია VI საუკუნის ბიზანტიური მონეტები, კერძოდ, იუსტინიანე I – ის (527- 565 წწ.) ექვსი მონეტა, ორი - სპილენძის, სამი - ვერცხლის და ერთი - ოქროს (დუნდუა და დუნდუა, 2006, 160-161). მრავალრიცხოვანია ციხესიმაგრის ტერიტორიაზე გამოვლნილი კერამიკული ნაწარმი, ქვევრები, დერგები, ამფორები, ქოთნები, თეფშები, ჯამები, სასმისები. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი რკინისა და მინის ნაწარმი. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი განისაზღვრება IV-VII სს-ით. არქეოლოგიური მასალებით (მინა, წითელლაკიანი კერამიკა, მონეტები) დგინდება, რომ ეს მხარე მჭიდროდ იყო დასახლებული და რომ აქტიური კავშირები ჰქონდა კოლხეთის ცენტრალურ რაიონებთან, აგრეთვე რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიურია V-VI სს-ში. წებელდაზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც სებასტოპოლისს ქლუხორის უღელტეხილით აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან. მეტიც, V-VI სს-ში კოდორის ხეობაზე გამავალი გზით ბიზანტია დაკავშირებული იყო შუა აზიასთან კასპიის ზღვის გვერდის ავლით (Воронов, 1985; მინდორაშვილი, 2014, 151).

წებელდასთან ერთად კოდორის ხეობაზე გადმომავალ გზას ერთდროულად რამდენიმე-გერზეულის, შაპკის, ზედა იურევკის, ახისტის, ბატისა და ფსკალის ძლიერი სიმაგრეები იცავდა. ზემოთ ჩამოთვლილი სიმაგრეები (ნაფოცხოვო და კურზუდან წებელდამდე) ქმნიდნენ ერთიან თადაცვით სისტემას, რომელიც ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთით სექტორის გამაგრებას ემსახურებოდა და სწორედ ჩრდილოეთიდან (ჩრდილო კავკასია, სვანეთი) მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, იმავდროულად, მშვიდობიანობის დროს ამ გადმოსასვლელებზე მოძრავი ვაჭრებისა და საქონლის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით იყო შექმნილი (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 111).

შუა აზიიდან კავკასიის ზეკარების გავლით ბიზანტიისკენ გაკვალული აბრეშუმის გზის დიდი სავაჭრო განშტოება, ირანზე გამავალ გზასთან შედარებით, ძნელი სავალი იყო. ამიტომ, არსებობდა მოსაზრება, რომ ეს გზა ინტენსიური მიმოსვლის მაგისტრალი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა, ჩრდილოეთ კავკასიის არქეოლოგიურმა შესწავლამ, გოილაძის თანახმად, სულ სხვა სურათი გვიჩვენა (გოილაძე, 1997, 33).

მენანდრეს ცნობები იმის შესახებ, რომ თურქები და ბიზანტიელები ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი ზეკარებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, ჩრდილოეთ კავკასიაში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულმა მასალამ დაადასტურა. ა. იერუსალიმსკაიას დასკვნებით, მართალია მენანდრე შუა აზიიდან კავკასიის ზეკარებით ბიზანტიისკენ მიმავალ გზას „დიპლომატიურს“ უწოდებს, მაგრამ არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ნათელი გახადა, რომ ამ გზაზე აბრეშუმით გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა (გოილაძე, 1997, 34).

ჩრდილოეთ კავკასიაში მოხვედრილი აბრეშუმი, რა თქმა უნდა, ყველა ბიზანტიის აბრეშუმის მწარმოებელ ცენტრებში გასატანად არ უნდა ყოფილიყო გამიზნული, ისევე როგორც ყველა ბიზანტიური ნაწარმი შუა აზიაში გასატანად. აბრეშუმს, რა საკვირველია, ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენლებიც მოიხმარდნენ. ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში უცხოეთიდან შეტანილი ისეთი აბრეშუმის ნაწარმის აღმოჩენა, რომლის მსგავსაც ევროპაში მეფეები, უმაღლესი საერო და სასულიერო არისტოკრატია ხმარობდა, ბევრის მეტყველია (გოილაძე, 1997, 34).

VI-VII საუკუნეების აბრეშუმის ნივთებიანი სამარხები უფრო ხშირად ჩნდება ყაბარდოდან დასავლეთ საქართველოში გადამავალი სანჭანის, მარუხისა და კლუხორის ზეკარების დასაწყისის მიდამოებში. რაც გოილაძეს (1997) მიაჩნია, იმის მანიშნებლად, რომ ამ მიდამოებში მცხოვრები ხალხი სავაჭრო ქარავნებს ემსახურებოდა, ვაჭრებს ღამეს ათევინებდა, სურსათ-სანოვაგეს აძლევდა, უცვლიდა ცხენებს, ემსახურებოდა გამყოლად ძნელად სავალ გზებზე. ყოველივე ამის სანაცვლოდ სათანადო გასამრჯელოს ღებულობდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ამ გზით ჩინეთიდან წამოსული ვაჭრებიც დადიოდნენ. მდ. ყუბანის შენაკადის ბოლშაია ლაბას ნაპირას მდებარე ერთ სამარხში ტანის ეპოქის ჩინური ნივთების მთელი კომპლექსი, ჩინური ამოქარგული აბრეშუმისა და ამ ვაჭრის პირადი სავაჭრო ჩანაწერის ფრაგმენტი აღმოჩნდა. უცნობია თუ როგორ დაიღუპა ჩინეთიდან წამოსული ვაჭარი ჩრდილოეთ კავკასიის

მიყრუებულ ხეობაში, თუმცა ვარაუდობენ, რომ იგი ერთადერთი არ იქნებოდა იმათგან, ვინც სამშობლოში ვერ დაბრუნდა. ეს შორეული, ხანგრძლივი და ხიფათით სავსე გზა იმ დროს წლობით გრძელდებოდა (გოილაძე, 1997, 34).

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ VII საუკუნის I ნახევარში ბიზანტიის იმპერიის აბრეშუმის მწარმოებელ ცენტრებში დამზადებული აბრეშუმი სწორედ კავკასიის ზეკარებით შუა აზიაშიც გაჰქონდათ. კისლავოდსკის ახლოს აღმოჩენილ აბრეშუმის ნაწარმის ფრაგმენტებზე ქრისტიანული ემბლემებია გამოსახული. დასავლური აბრეშუმის ფრაგმენტი მიკვლეულია თვით სოგდიანაში (მუგის მთაზე არსებულ ციხესიმაგრის გათხრებისას). ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ დროს უნდა იყოს ჩინეთში შესული სარჟის დამამზადებელი ტექნიკა (გოილაძე, 1997, 35). აბრეშუმის ჩინური ნაწარმიდან ამ დროს განსაკუთრებით ფართო ხმარებაში ყოფილა წმინდა თავთა, რეფსი, დოლბანდი.

კვიციანის (2008, 455) აზრით, მთიელთა ეკონომიკური ურთიერთობების აქტიურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კავკასიონის მთიანეთში (სვანეთში, ბალყარეთში, ყაბარდოში, დიგორსა და სხვა) აღმოჩენილია აბრეშუმის ფარჩის და სელის ქსოვილების 200-მდე ფრაგმენტი, ბიზანტიური წარმოშობის მინა, მატყლის მძიმე ხალიჩები, მინის ჭურჭელი, ძვირფასი ლითონები (ირანული), ფერადი ქვები - სარდარი, მოხატული სარდიონი და სხვა.

კავკასიონის ჩრდილოეთ მისადგომებთან და სვანეთში ბიზანტიური, კოპტური, სოგდიური და ჩინური აბრეშუმის ქსოვილების ფრაგმენტების აღმოჩენა კვიციანს უცხოელი ვაჭრების მიერ ამ გზების გამოყენებისა და რეგურალური ფუნქციონირების ნათელ დადასტურებად მიაჩნია (კვიციანი, 2008, 456).

მართალია საქართველოში გათხრილ ადრეფეოდალური ხანის სამარხებში, განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების გამო, აბრეშუმის ფრაგმენტები არ შემოინახა, მაგრამ საეჭვო არ უნდა იყოს, ჩინური, შუა აზიური და ბიზანტიური აბრეშუმი ჩვენთანაც ფართო ხმარებაში რომ უნდა ყოფილიყო (გოილაძე, 1997, 36).

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ V-VI სს-ში სვანეთი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ბიზანტია-სპარსეთის როგორც პოლიტიკურ, ასევე იმ ეკონომიკური ურთიერთობებების ფარგლებში, რომელსაც საუკუნეების შემდეგ „აბრეშუმის გზა“ ეწოდა. VII ს-ის 20-იანი წლებიდან ჩრდილოეთიდან მომავალმა სავაჭრო გზამ და შესაბამისად, სვანეთმა ნაწილობრივ დაკარგა ის მნიშვნელობა, რაც VI საუკუნის 60-იანი წლებიდან ჰქონდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხაზარებმა ბიზანტიელების დახმარებით შეძლეს სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის - დარუბანდისა და დარიალის უფრო მოხერხებული უღელტეხილებით სარგებლობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, უფრო გვიანდელი წყაროების ანალიზის საფუძველზე, სვანეთს ბოლომდე არ დაუკარგავს ის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რაც მას ადრეულ შუა საუკუნეებში ჰქონდა (ლორთქიფანიძე და მურღულია, 2014, 111).

6.2. ქართლის სამეფო

ქართლში IV ს-ში ძლიერდება ფეოდალიზაციის ჯერ კიდევ ადრე დაწყებული პროცესი და ქვეყანა დგება თავისი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნებისა და განვითარების ახალ გზაზე (მინდორაშვილი 2014, 24). ფეოდალური ურთიერთობების ზრდასა და სოფლის მეურნეობის აღმავლობას არ გამოუწვევია საქართველოში ვაჭრობა-ხელოსნობის და საქალაქო მეურნეობის დაკნინება. ადრეშუასაუკუნეების ხანის საწყის ეტაპზე ანტიკური ქალაქები, სადაც ძლიერდება სოფლის მეურნეობის და ფეოდალური არისტოკრატიის მანამდე არსებული ელემენტი ქალაქის მოსახლეობაში, კვლავ რჩებიან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად (ლორთქიფანიძე და შოშიაშვილი, 2006, 277-278).

ძველი ქალაქები: მცხეთა, ურბნისი, რუისი და სხვა კვლავ რჩებიან აყვავებულ, ძლიერ ქალაქებად. IV-VI სს-ში ჩნდებიან და წინაურდებიან ახალი ქალაქები: თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი (ფიგურა 46). განახლდა ძველი ქალაქების ერთი ნაწილი: რუსთავი, სამშვილდე და სხვა (მინდორაშვილი, 2014, 58).

ქალაქების წარმოშობა და განვითარება მჭიდროდ უკავშირდება გზების საკითხს, ხელსაყრელ გეოგრაფიულ თუ სტრატეგიულ მდებარეობას, ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, პოლიტიკურ სიტუაციებს, ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების წინსვლას და სხვა. თბილისის, უჯარმის, ჭერემისა და არტანუჯის წარმოშობა განპირობებული იყო პოლიტიკური პროცესებით, რასაც ხელს უწყობდა სავაჭრო-ეკონომიკური და სტრატეგიული ფაქტორები (მინდორაშვილი, 2014, 58-59).

ადრე შუა საუკუნეებში დაეცა იმ სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალის მნიშვნელობა, რომელიც გადიოდა მტკვარზე და რიონზე და აკავშირებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ამ ხანაში გამოთიშულია საერთაშორისო ვაჭრობისგან, შექმნილია ახალი სავაჭრო მაგისტრალები, რომლითაც საქართველო ინტენსიურად ჩაბმულია საგარეო ვაჭრობის ორბიტაში, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სამყაროსთან. ეს კარგად ჩანს IV საუკუნის საგზაო რუკაზე, ე. წ. პევტინგერის ტაბულაზე (ფიგურა 13), რომლის მიხედვითაც ქართლის ქალაქებზე (მცხეთა, თბილისი, რუსთავი, უჯარმა) გადიოდა სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც აკავშირებდა მათ საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთ ცენტრთან სომხეთის დედაქალაქ არტაშატთან. როდესაც არტაშატის ადგილი დაიკავა ქ. დვინმა, როგორც პოლიტიკურმა და სავაჭრო ცენტრმა (428 წ.), ქართლის სამეფო იმავე გზით დვინს დაუკავშირდა. პროკოპი კესარიელი (VI ს.) გვამცნობს, რომ დვინში „საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელთა ქვეშევრდომ ხალხების ქვეყნებიდან და ერთმანეთში აღებ-მიცემობას აწარმოებენ“(მუსხელიშვილი, 2012ბ, 82).

ამ დროს არქეოლოგიურ მასალაში უხვად მოიპოვება ირანიდან და ბიზანტიიდან შემოტანილი მარჯნის, მარგალიტის და სხვა ნახევრად ძვირფას თვალთა ნიმუშები. შუშანიკის წამება გვამცნობს, რომ შუშანიკს ემოსა „ანტიოქიისა პალეკარტი“ (ძვირფასი სამოსელი). ამ პერიოდში, ანტიოქია განთქმული იყო საუკეთესო ქსოვილებისა და ტანსაცმლის წარმოებით (ლორთქიფანიძე და შოშიაშვილი, 2006, 277).

- **უჯარმა**

გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეებში კახეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო უჯარმა (ფიგურა 47). ის მდებარეობდა ივრის ხეობაში მთისა და ბარის დამაკავშირებელ გზაზე და ასევე იმ მთავარ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალებზე, რომელიც ალვანიდან (დღევანდელი აზერბაიჯანიდან) მოემართებოდა ჰერეთითა და კამბეჩოვანით, პირველი გომბორის უღელტეხილზე, მეორე - ქალაქ ხორნაბუჯზე. უჯარმაში ეს გზები ერთდებოდა და აქედან თბილისის გავლით მცხეთისკენ მიემართებოდა. დღეს შემორჩენილი ციხის ნაშთი ვახტანგ გორგასლის დროსაა აგებული, მანამდე არსებული ქალაქ უჯარმის მდებარეობას კი მკვლევარები დღევანდელი სოფ. უჯარმის ადგილას ვარაუდობენ. უჯარმის კახეთის პოლიტიკურ ცენტრად გადაქცევის ძირითად ფაქტორად დ. მუსხელიშვილს (1966, 51) მიაჩნია პევტინგერის ტაბულაზე აღნიშნული ის მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ს. ერემიანის ვარაუდით, კახეთ-ჰერეთზე, ალაზნის ველზე გადიოდა, ხოლო იქიდან გომბორის უღელტეხილით ან თიანეთის გზით, ივრის ხეობაში გადადიოდა (ლორთქიფანიძე და შოშიაშვილი, 2006, 285-286).

- **ჭერემი**

გვიან ანტიკურ ხანაში წარმოიქმნა ასევე ჭერემი, რომელიც V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ქართლის აღმოსავლეთი პროვინციების კონტროლისათვის ააგო და აქვე დაარსა საქორეპისკოპოსო (მუსხელიშვილი, 2012გ, 62). ჭერემის დაწინაურებას ხელი შეუწყო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. შიდა კახეთისაკენ გასასვლელი ერთ-ერთი ხეობის გულში, ის წარმოადგენდა ალაზნის ველის გასაღებს, მასზე გადიოდა უმოკლესი გზა მცხეთიდან და თბილისიდან შიდა კახეთში.

ჭერემთან ერთად აღმოსავლეთიდან ქართლში მომავალ უმნიშვნელოვანეს მაგისტრალზე ცალკეულ პუნქტებს ასევე შეადგენდა, ხორნაბუჯი, ველისციხე, უჯარმა და შემდგომ მცხეთა-თბილისი (მინდორაშვილი, 2014, 48).

ჭერემში, დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე და წვეროდაბლის ბორცვზე (რომლებზეც ვახტანგისეული ქალაქ ჭერემის უბნების არსებობაა დადასტურებული), გამოვლინდა და შესწავლილ იქნა III – IV საუკუნეების მნიშვნელოვანი დასახლება და სამაროვანი. ამ უკანასკნელში წარმოდგენილი იმპორტული მასალა - მინის ჭურჭელი, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მძივები, სხვადასხვა სამკაული და მონეტები (ავგუსტუსისა და გოტარზეს) აქ გამავალი მნიშვნელოვანი გზის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს, რომელმაც, როგორც ჩანს, ხელი შეუჭყო ჭერემისა და მასზე განლაგებული სხვა პუნქტების წინ წამოწევასა და გაქალაქებას (მამაიაშვილი, 2004, 7).

ჭერემის ხევის მარცხენა ნაპირზე, ალაზნის ველზე, მნიშვნელოვანი მაგისტრალების გზაჯვარედინზე მდებარეობს ველისციხე. ის ჭერემის ხევის კარია ალაზნის ველზე გამოსასავლელად. ველისციხე არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის, ხოლო ჩვენამდე მოღწეული არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც გ. ჩუბინაშვილის მიერ არის გამოკვლეული (სამეკლესიანი ბაზილიკა VI ს, ციხე და სასახლე VIII- IX სს) უფრო მოგვიანო ხანას განეკუთვნება და მიგვანიშნებს, რომ ველისციხე ადრეულ შუასაუკუნეებში და უფრო ადრეც, საკმაოდ მძლავრ და მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა (მამაიაშვილი, 2004, 151-152).

- **თბილისი**

წერილობითი წყაროების მიხედვით IV საუკუნიდან განსაკუთრებით ვითარდება და ძლიერდება თბილისი (ჭილაშვილი, 1970, 48). თუმცა, არაბთა ბატონობამ VII ს-ის მეორე ნახევრიდან ეს პროცესი შეაფერხა (მუსხელიშვილი 2012დ, 116-122).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, VI ს-ის მეორე ნახევრიდან ბიზანტია აქტიურად ცდილობს შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაბმას ირანის გარეშე, მისი ტერიტორიის გვერდის ავლით, კერძოდ, ჩრდილო კავკასიიდან კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროს შემოვლით. თუკი VI ს-ში ასეთ ერთადერთი რეგიონი კავკასიონზე, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი კონტაქტების დაყარება, სვანეთ-აფხაზეთი იყო, VII ს-ის 20-იან წლებში ასეთ შესაძლებლობად, თბილისიდან ბიზანტიელთა და თურქთა

ერთობლივი ლაშქრის (627-628 წწ.) მიერ ირანელების განდევნაში იკვეთებოდა. რა შემთხვევაშიც, შესაძლებელი ხდებოდა აბრეშუმის გზის სისტემაში დარუბანდ-დარიალის გასასვლელებისა ჩართვა და თბილისის გადაქცევა უმნიშვნელოვანეს პუნქტად აღნიშნულ საერთაშორისო მაგისტრალზე (მუსხელიშვილი 2012დ, 118-19; გოილაძე, 1999, 93) VII ს-ის პირველ ნახევარში თბილისი, როგორც ამიერკავკასიის ერთ-ერთი დიდი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი, მეტოქეობას უწევს დვინს, რაც დიდწილად განპირობებული იყო დარიალანის კარით ჩრდილო კავკასიასთან აქტიური სავაჭრო ურთიერთობებით (მუსხელიშვილი, 2012დ, 122).

ამ პერიოდის თბილისის სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის იმპერიას, ირანისა და თურქთა კაგანატს შორის მიღწეული პოლიტიკური შეთახმებების ფონზე ვითარდებოდა, მცირე ხანში დაირღვა ახალი საერთაშორისო ძალის ისლამის დროშის ქვეშ გაერთიანებული არაბთა ტომების გლობალურ ასპარეზზე გამოჩენით. დარუბანდსა და დარიალზე გამავალი ჩრდილოეთის გზები, ნაცვლად სავაჭრო მარშრუტებისა, სამხედრო გზებად გადაიქცა. თბილისსაც, არაბებისათვის ხაზართა კაგანატისა და ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო დაპირისპირებაში ფორპოსტის ფუნქცია უნდა მისცემოდა (მუსხელიშვილი 2012ა, 136)

VIII საუკუნიდან თბილისში დამპყრებელი არაბები საკუთარ მონეტას ჭრიან, რაც ფულზე მოთხოვნილებისა და თბილისის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების მანიშნებელია. იმ დროს, როდესაც არაბთა სახალიფოში გატარდა სამონეტო რეფორმა, თბილისში ზარაფხანა დაარსდა (მუსხელიშვილი, 2012ა, 132).

თავი 7. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები „ახალქალაქობის“ პერიოდსა (IX-XI სს.) და განვითარებულ შუა საუკუნეებში (XI-XIV სს.)

არაბთა ბატონობის შესუსტებისა და ახალი ქართული სახელმწიფოების წარმოქმნა-გაძლიერების შემდეგ საქართველოში კვლავ დაიწყო საქალაქო ცხოვრების აღმავლობა და ახალქალაქების წარმოქმნა (ლორთქიფანიძე და შოშიაშვილი, 2006, 278).

IX-X სს-ში წარმოიშვა ახალი ქალაქები (ფიგურა 48-50) ახალქალაქი, ატენი, დმანისი, თელავი, ახალციხე (მინდორაშვილი, 2014, 58).

IX-X საუკუნეებში თბილისი უკვე დიდი და მდიდარი ქალაქი იყო. არაბი ავტორების ცნობით, სიდიდით ის მხოლოდ ბაბ ულ-აბუაბს (დერბენდს) ჩამოუვარდებოდა. თბილისს ირგვლივ ალაზნის ორმაგი კედელი ჰქონდა შემოვლებული, რომელშიც ხუთი კარი იყო დატანებული. არაბთა სახალიფო დიდი სავაჭრო იმპერია იყო, რომლის ხელშიც თავს იყრიდა აღმოსავლეთის ქვეყნების მთელი ვაჭრობა. მის ვაჭრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დასავლურ სამყაროსთან და ფაქტობრივად, არაბები ფლობდნენ იმდროინდელ მსოფლიო ვაჭრობის სადავეებს. თბილისი აქტიურად იყო ჩაბმული ამ ვაჭრობაში (ლორთქიფანიძე და შოშიაშვილი, 2006, 290).

თბილისის გზები დაკავშირებული იყო საქართველოს ყველა რეგიონთან, ჩრდილო-კავკასიასთან, ბიზანტიასთან, სახალიფოსთან. საგანგებო მაგისტრალებით უკავშირდებოდნენ ის იმდროინდელ მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს - ანისს, დერბენდს, დვინს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ თბილისი საგანგებო მაგისტრალით იყო დაკავშირებული ქ. ბარდავთან, არაბი უზენაესი ხელისუფალის რეზიდენციასთან სამხრეთ კავკასიაში. ის სატრანსპორტო ვაჭრობის დიდი ცენტრი იყო. თბილისზე გამავალი საქარავნო გზებით თბილისი უკავშირდებოდა მთელ იმ სამყაროს, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა სახალიფოს. ამ გზებით მოდიოდნენ სავაჭრო ქარავანები, არაბი მოხელეები და სახალიფოს სამხედრო ექსპედიციები.

თბილისის მნიშვნელობასა და ადგილზე იმდროინდელი მუსლიმური სამყაროს ცხოვრებაში კარგად მიუთითებს ის ფაქტი, რომ თბილისი აღნიშნულია X საუკუნის არაბულ სავაჭრო რუკაზე, და აგრეთვე, არაბი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ცნობები მათი თანამედროვე თბილისის სავაჭრო-საგზაო კავშირების შესახებ. 825 წლიდან, არაბთა ხელისუფლების თანდათანობით დამყარების შემდეგ, იზრდება თბილისში მოჭრილი არაბული მონეტების რიცხვი და ეს მონეტები ფართოდ ვრცელდება სხვადასხვა

ქვეყანაში. თბილისში მოჭრილი არაბული მონეტები აღმოჩენილია რუსეთის ჩრდილო პროვინციებში, აღმოსავლეთ ევროპაში, რაც ფართო სავაჭრო კავშირების არსებობაზე მიუთითებს (ლორთქიფანიძე და შოშიაშვილი, 2006, 290-291) .

IX-XI საუკუნეების უმთავრესი მარშრუტები, რომლითაც თბილისი უკავშირდებოდა სხვა სამხრეთის ქალაქებს ბარდავს, დვინს, არდებილს და ანისს შემდეგია:

- თბილისი-ბარდავის სავაჭრო გზა (ფიგურა 48)

მიჰყვებოდა მდინარე მტკვრის ხეობას და გაივლიდა ისეთ ცნობილ ქალაქებს, როგორიც იყო რუსთავი → გარდაბანი → ხუნანი → შამქორი → და განჯა. ბარდავიდან გზა რამდენიმე მიმართულებით მიდიოდა, მათ შორის, დარუბანდისა და დვინის მიმართულებებით.

- თბილისი → კართაკარი (დარუბანდი)

ცენტრალური გზა გაივლიდა ბარდავს, შემდეგ კი პუნქტებს - ბერზენჯი → შემახია → შარვანი → აბხაზი → ჯასარი → სამური და აღწევდა დარუბანდს. უფრო მოკლე გზა კი, რომელიც გადიოდა თელავზე და გრემი-ნეკრესის მონაკვეთიდან კავკასიის მთების გადაკვეთით მიდიოდა დარუბანდისკენ, მხოლოდ ზაფხულის თვეებში მოქმედებდა.

- თბილისი → დვინი

თბილისიდან დვინში ორი მარშრუტი მიდიოდა: 1) დმანისის გზით, ლორე→ ბამბაკით; 2) ბარდავის გზით, ბარდავი → კალკატუსი → მეტრის → დავმასი →კილ-კუი → სისაჯანი → დვინი.

- თბილისი → არდებილი

თბილისი → ბარდავი→ იუნანი→ ბაილაქანი→ ვარსანი→ ბალხაბი→ ბერზენდი→ არდებილი (ჭილაშვილი, 1970, 80).

- **არტანუჯი**

ამ პერიოდის საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო არტანუჯი. მის აშენებას ვახტანგ გორგასალს უკავშირებენ. არტანუჯი განსაკუთრებით დაწინაურდა ტაო-კლარჯეთის სამთავროს შექმნის დროს, რომლის პოლიტიკურ ეკონომიკურ

ცენტრსაც ის წარმოადგენდა. ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებით „ადარნუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს რაბატიც და დაბა-ქალაქიც, და იქ მოდის საქონელი ყველა ქვეყნიდან, და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის. ადარნუჯის ციხის მიწა-წყალი, ესე იგი არზენი, დიდად ნაყოფიერია და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“ (ჭილაშვილი, 1968, 106). არტანუჯზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზა, რომლითაც საქართველო ბიზანტიის ქალაქებს უკავშირდებოდა. ეს გზა თბილისიდან გაივლიდა სამშვილდეს → ფარავანს → ახალქალაქს → არტაანს → და არტანუჯს (ჭილაშვილი, 1968, 83-84). აღნიშნულმა გზამ ფეოდალურ ხანაში შეცვალა სახელგანთქმული მტკვრის ხეობაზე ანტიკური ხანის სავაჭრო გზა.

არტანუჯზე გავლით უკავშირდებოდნენ სომხეთის ქალაქები შავ ზღვას (ლორთქიფანიძე და შოშიაშვილი, 2006, 288). არტანუჯი → არტაანი → ახალქალაქი → ხერთვისი → ასპინძა → ახალციხე → ოძრხე → და ერთი განშტოება ზეკარის გადასასვლელით → კოლხეთის დაბლობისკენ, ხოლო მეორე → გოდერძის გადასასვლელით აჭარისკენ მიემართებოდა (ჭილაშვილი 1968, 89).

რაც შეეხება ბიზანტია-საქართველოს მაკავშირებელ გზას (არტანუჯი → არტაანი → ახალქალაქი → ფარვანი → სამშვილდე → თბილისი) და მასზე მდებარე პუნქტებს, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, გზის დიდი ნაწილი და შესაბამისად, მასზე მდებარე პუნქტები თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული. მათ შორისაა, თავად, ციხე-ქალაქი არტანუჯიც. დღეისათვის შემორჩენილია უზარმაზარ კლდეზე დაშენებული ციხის გალავნის ნაწილები, ციხის ტერიტორიაზე - ეკლესიისა და სასახლის ნაშთები. ციხის ქვემოთ ნაქალაქარია, რომლის ადგილზეც თანამედროვე ქალაქ არტანუჯის ერთი უბანია. ნაქალაქარის ტერიტორიაზე არის ეკლესიის ნანგრევები, ძველი სავაჭრო დუქნები, გალავნის ნაშთები და სხვ.

აღნიშნული გზის ერთი მონაკვეთი, რომელიც გაივლიდა ჯავახეთის ზეგანზე კერძოდ, ახალქალაქიდან ფარავნის ტბამდე, სწორედ X-XIII საუკუნეში ჩანს რომ იყო

დასახლებული. არტანუჯის შესახებ გამოქვეყნებულია მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი და კარგად ილუსტრირებული გამოკვლევა (გივიაშვილი და კოპლატაძე, 2004, 41-45).

- **ახალქალაქი**

ახალქალაქი მდებარეობს ჯავახეთის ზეგანზე, ჯავახეთის მტკვრის ანუ თავფარავნის წყლისა და ახალქალაქის წყალს შორის (ფიგურა 50) თანამედროვე ქალაქი გაშენებულია ნაქალაქარის გვერდით. ძველი ქალაქის წარმოქმნის ზუსტი დრო უცნობია, თუმცა "მატიანე ქართლისა"-ში ბაგრატ III -ის (980-1014 წწ.) დროს ქალაქი ჯერ კიდევ „უზღუდო" ჩანს, ხოლო მისი შვილიშვილის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.)მეფობის ხანას განეკუთვნება „...ახალქალაქისა ზღუდეთა შენება" (ჯანდიერი, 1969, 48). ჩანს, რომ არაბთა ბატონობის დასრულების შემდეგ, სომხეთისა და ბიზანტიისაკენ მიმავალ გზებზე მდებარე ჯავახეთის ახალქალაქი IX-X სს-ში, „ახალქალაქობის" პერიოდში სწრაფად წინაურდება (მინდორაშვილი, 2015, 23).

ახალქალაქი გამაგრებული სამოსახლოა შუაფეოდალური ხანის მთელ მანძილზე და მომდევნო ხანაშიც, რომელიც მოიცავდა 18 ჰექტარზე გაშენებულ საბრძოლო-თავდაცვით სისტემას, ქალაქური ცხოვრების მანიშნებელ საწარმოო სამოსახლოებს, სამეურნეო და საცხოვრებელ უბნებს. ერთ-ერთი მთავარი უბანია სავაჭრო კვარტალი, კამაროვანი ნაგებობა ე.წ. ქარვასლა, რომელიც შიდა ციხეზე უშუალოდაა მიშენებული. მისი არსებული ნაშთები თურქული და უფრო რუსული ნაშენობითაა წარმოდგენილი. აქვე ნავარაუდებია ფუნდუკის არსებობა (ჭილაშვილი, 1968, 98; ჯანდიერი, 1969, 60).

ჯავახეთის ახალქალაქის გათხრისას დადგინდა, რომ ქალაქის მშენებლობის პერიოდი მოიცავდა შემდეგ საუკუნეებს, 1) IX-X სს, 2) XI-XIII სს, 3) XVI- XVIII სს, 4) XIX ს. IX-X სს-ის ნაგებობები და არქეოლოგიური მასალა ძალზე ცოტაა შემორჩენილი და ამ პერიოდის დასახლების ტიპების დადგენა საკმაოდ ჭირს. ადგილ-ადგილ XI-XIII სს-ის ნაგებობები დაშენებულია უფრო ძველ, როგორც ჩანს IX-X სს-ის ნაგებობათა კედლებზე (მინდორაშვილი, 2015, 24).

ახალქალაქში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მრავალგვარ არქეოლოგიურ მასალაში გამოირჩევა კერამიკული, მინისა და ლითონის

ნაწარმი, რომელთაგან უმეტეს ნაწილს თიხის ჭურჭელი შეადგენს (ჯანდიერი, 1969, 63). ახალქალაქი დაკავშირებული იყო თბილისთან და არტანუჯთან, ხოლო არტანუჯის საშუალებით კი ტრაპიზონის გზასთან (გაბაშვილი, 1981, 28).

* * *

ლ. ჭილაშვილს (1968, 90) დასახელებული აქვს ყველა ის მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელსაც გზა გაივლიდა ახალქალაქიდან, ხოსპია → ხორენია → კარნეთი → ყაურმა → სათხე → საღამო → განძანი → ფოკა → ფარავნა. თითოეულ პუნქტს შორის მანძილი დაახლობით 30 კმ-ია.

აღსანიშნავია, რომ სოფ. ყარუმაში აღმოჩენილია ხუთი თაღისაგან შემდგარი სამი მეტრი სიგანის ხიდი ჯავახეთის მტკვარზე. ის XIX საუკუნის ბოლოს გაუფართოებიათ და შეუკეთებიათ.

სავაჭრო ზონაში მდებარეობდა სოფ. სათხეც, რომელიც „ახალქალაქობის“ პერიოდში გამაგრებული ყოფილა მკვიდრად ნაგები ბურჯებდატანილი ციხით. სამწუხაროდ, ციხე XIX საუკუნის ბოლოსთვის უკვე საძირკვლამდე დანგრეულ მდგომარეობაში ყოფილა (ჭილაშვილი, 1968, 94).

ფოკაში შემორჩენილია შუასაუკუნეების ციხის ნანგრევები, რომელშიც წინა და ადრე შუა ფეოდალური ხანის სამშენებლო ფენები გამოირჩევა. ჭილაშვილი (1968, 92) ვარაუდობს, რომ ეს ციხე მოიაზრება „მატიანე ქართლისა“-ში როდესაც ნახსენებია, „ლიპარიტ შეკრიბა კახნი და მოადგა ფოკათაო“. პევტინგერის ტაბულაზე ფოკა აღნიშნულია როგორც „Pagas“.

ფოკას შემდეგ გზა ფარვანს მიადგებოდა, სადაც მთავრდებოდა „არტანუჯის გზის“ ერთი, ახალქალაქ-ფარავნის მონაკვეთი. ფარავანში გზაზე ფუნდუკი იყო მოწყობილი, სადაც ქარავნებს შეეძლოთ გაჩერება. ფარავნიდან ჯავახეთის ქედის ჩრდილოეთ მონაკვეთზე გადადიოდა და ჯავახეთის ზეგნიდან დაშვებას იწყებდა. ამ ადგილზეც ქარვასლა იყო აგებული.

- **ფარავნის ქარვასლა**

ფარავნის ქარვასლა არქეოლოგიურიად შესწავლილია. 1959 წელს აქ გათხრების აწარმოებდა ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია. ქარვასლის შიდა არე სამნავვიან სათავსოს წარმოადგენს. შუა ნავი დერეფანია, დანარჩენი ორი კი ხუთ-ხუთ სათავსოს მოიცავს, რომლებიც კორიდორში ნახევრადწრიული თაღებით გამოდის (ფიგურა 51) სათავსოებში ბუხრებია დატანებული. ქარვასლა დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთ მიმართულებით. სიგრძე 26 მეტრი. ქარვალსა ი. ციციშვილი XII საუკუნით ათარიღებს (ჭილაშვილი, 1968, 94-95).

სოფ. ფარავანი (თაფარავანი) გაშენებულია ამავე სახელწოდების ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე (XIX საუკუნის დასაწყისში იქ ჩასახლებულ დუხაბორებს სოფლისთვის რიოდიონოვკა დაურქმევიათ). შუა სოფელში ქარვასლის ნანაგრევებია. ზოგიერთი მონაცემით არაა გამორიცხული, რომ ამ ადგილას განვითარებულ შუა საუკუნეებშიც მდგარიყო ქარვასლა. დღემდე მოღწეული ძეგლი XVI-XVII სს-ისაა. დღეს შენობის არცერთი ნაწილი თავდაპირველი სახით აღარაა შემორჩენილი. ძეგლის დასათარიღებლად გათხრებს არქეოლოგიური მასალა არ მოუცია. ქარვასლის ირგვლივ სხვა ძველი ნაგებობის კვალი არ ჩანს. ქარვასლა გარედან გრძელი სწორკუთხედია (17, 95 X 28, 25 მ), შიგნით კი სამნავიანი შენობაა. გვერდითი ნავები განიერი და ტოლებია. შუა კი მათზე მცირედ ნაკლებია. ფრაგმენტულობის მიუხედავად, მაინც ირკვევა, რომ სამივე ნავი შეისრული კამარით ყოფილა გადახური. ასევე ისრული მოხაზულობა აქვს ნავებს შორის ორ ხაზად გამავალ ხუთ-ხუთ თაღს. სვეტები, თაღები და კაპიტელები კარგად გათლილი ქვით ყოფილა შემოსილი. შენობაში შესასვლელი მხოლოდ განიერი (3, 5) კარია სამხეთით კედლის ცენტრში. არაა გამორიცხული, რომ აქედან შენობაში ბორბლიანი ტრანსპორტი შედიოდა. გვერდითი ნავები ყოველ მონაკვეთში თითო ბუხარია. ასეთი თითო ბუხარია კარის მოპირდაპირედ, ნავების ცენტრში. ბუხრებსაც ისრული თაღები ასრულებს. ინტერიერის კედლებში ჩაყოლებულია რომელიღაც შენობის ჩუქურთმიანი ქვები. თუმცა, ის შენობაც გვიანდელი შუა საუკუნეეებისაა (მინდორაშვილი, 2016, 259).

ფარავნის ქარვალას (XII-XIII სს.) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული (03.10.07).

ფარავნიდან გზა ხრამის ხეობას მიუყვებოდა. შემდგომი მიმართულება სამშვილდე იყო, ლომთა-გორიდან (მარნეული) ჩრდილოეთით გაუყვებოდა თბილისის მიმართულებით.

ვახუშტის გეოგრაფიაში ხრამის ხეობის აღწერისას ხშირად ვხვდებით გზასთან დაკავშირებულ ცნობებს. ზურტაკეთის დახასიათებისას, იმ ადგილას, სადაც გზა ხრამთან გამოდის, "არს ფუნდუკი, თამარ მეფისგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვის". აქვე მოგზაურთათვის არის „ქარვასლის ხევი", მსგავსივე დანიშნულების სადგომიდან მიღებული სახელით. ხრამის ქვედა წელშიც ყოფილა სასტუმრო შენობები „აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი"(ჭილაშვილი, 1968, 95).

- **ზურტაკეტის ქარვასლა**

ქარვასლა მთების კალთებზეა გაშენებული ხრამის ხეობის გამოსასვლელში. დღეს ადგილის სახელები აღარ არის შემორჩენილი, ამდენად მისი აღნიშვნა, როგორც ზურტაკეტის, პირობითია. შემორჩენილია ქარვასლის მხოლოდ ძირითადი კედლები და შიდა გეგმა ვერ იკითხება (ჭილაშვილი, 1968, 95).

ფარავნიდან გზა გადადის ზურტაკეტში. ამ მიმართულებით 20-25 კმ-ზე ე.წ. „ქარვასლისხევში" კიდევ ერთი ქარვასლის ნაშთია. ახლა ამ სოფელს სალამ-ალეიქს ეძახიან. ხევი მდებარეობს დმანისის რაიონის ისეთი დიდი სოფლების სიახლოვეს, როგორიცაა გომარეთი, ახა და სხვა. ეს ქარვასლა უფრო მეტადაა დანგრეული (მინდორაშვილი, 2015, 259).

გასული საუკუნის 90-იან წლებში ზურტაკეტის ქარვასლის მხოლოდ გარე კედლები იყო შემორჩენილი დაახლოებით ორ მეტრ სიმაღლეზე. გადარჩენილი კედლები შიგნიდან და გარედან თლილი ქვითაა ნაგები. ქარვასლა შიგნით სამ ტოლ ნავად ყოფილა გაყოფილი. განიერი კარი აღმოსავლეთ მხარეს ცენტრშია. ქარვასლის საერთო იერისა და

მისი ფასადების შემოსვით პ. ზაქარაია (1996, 9) მისი აგების პერიოდად შუაფეოდალურ ხანას მიიჩნევს.

ზურტაკეტის/სალამ-ალეიქის ქარვალას (XII-XIIIსს.) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული (03.10.07).

- **სამშვილდე**

სამშვილდე განსაკუთრებულ აღმავლობას IX-X სს. განიცდის. სამხრეთის ანუ „არტანუჯის გზის“ გამოცოცხლებამ თავისი კვალი დაამჩნია ამ ქალაქის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას. XII-XIII სს. სამშვილდე საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქია. მას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა (ფიგურა 50) ქალაქი კარგად იყო გამაგრებული გაშენებული იყო კლდოვნ ნაპირზე, წარმოადგენდა ტიპიურ ხერთვისს და ძალზე წააგავდა დმანისს და ახალქალაქს (გაბაშვილი, 1981, 30).

IX-XI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის შედეგად გაძლიერდა ახალი მნიშვნელოვანი მარშრუტი, რომელიც შავიზღვისპირეთსა და თბილისს ერთმანეთთან აკავშირებდა, ამ პერიოდში დაწინაურებული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიის გავლით. უკანასკნელ წლებში, ფართო მასშტაბით განახლდა სამშვილდის არქეოლოგიური შესწავლა (ბერიკაშვილი, 2018, 15-40; ბერიკაშვილი, 2017).

მტკვრის ხეობაზე გამავალმა ანტიკური ხანის სავაჭრო-სატრანზიტო გზამ სამხრეთით გადაინაცვლა. გზის მიმართულების ასეთმა შეცვლამ ქალაქების ერთი რიგის (წუნდა, ურბნისი, კასპი, სარკინე, მცხეთა) დაცემა და მეორე რიგის (არტაანი, ახალქალაქი, სამშვილდე) წამოწევა გამოიწვია. ჭილაშვილის (1968, 84) თანახმად, გზის ცვლილება ორი მთავარი მიზეზით აიხსება: 1) ზღვისპირეთის კულტურული ცენტრების მოსპობით, რომლებიც ვეღარ კვებავენ გზას: 2) ტაო-კლარჯეთის გაძლიერებით, რომელიც თავისკენ ეწეოდა გზას. აღსანიშნავია, რომ ახალქალაქობის პერიოდში მდინარე მტკვრის ხეობაში წარმოქმნილი პუნქტების (ატენი, გორი) დაწინაურებაც კი არტანუჯისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობით არის განპირობებული.

* * *

XII საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა საქართველოს ლიდერობით გაერთიანდა თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია, გაერთიანებული საქართველოს სამეფოში მოექცა სომხეთის, რანის, შირვანის სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები. XII საუკუნეებისთვის ქალაქები წარმოადგენდნენ არა მარტო ქვეყნის ან მხარის პოლიტიკურ ცენტრს, არამედ სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებსაც. XI-XII საუკუნეების საქართველოში ძველ ციხე-ქალაქს თანდათან გამოეყო საკუთრივ ქალაქი, რომელიც ხელოსნობა-ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების ცენტრად იქცა. ძველი ციხე-ქალაქი ამ ცენტრის დანამატი იყო. ამ ხანის საქართველოს ქალაქების განსაკუთრებული აღმავლობა განაპირობა განვითარებულმა ხელოსნობა-ვაჭრობამ, სატრანზიტო გზებთან სიახლოვემ და სავაჭრო კავშირ-ურთიერთობებმა, ექსპორტ-იმპორტმა (მეტრეველი და შოშიაშვილი, 2006, 458-459).

XII საუკუნის საქართველოში საქალაქო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ცენტრებს თბილისი და ქუთაისი წარმოადგენდა. რუსთავი, ატენი, გორი, ჟინვალი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, არტაანი, თუხარისი, ხორნაბუჯი, თელავი, ვარდციხე, შორაპანი, პეტრა, ბათუმი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა, ნიკოფსი დაწინაურებული ქალაქები იყო. ასევე იყო ქალაქური ტიპის დასახლებები – დაბები: მცხეთა, უჯარმა, ჭერემი, მანგლისი, აწყური (ლიჩელი და რჩეულიშვილი, 2010, 506-546), ლორე, ნაჭარმაგევი, გეგუთი, ბოლნისი, ჟალეთი, გაგი, ბოჭორმა და სხვ. ეს დასახლებები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში (მეტრეველი, 2012, 438).

XII საუკუნეში საქართველოში სხვადასხვა კუთხეში აქტიურად ეწეოდნენ აბრეშუმის წარმოებოდა და მის ექსპორტსაც. მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარებაზე მიუთითებს აბრეშუმზე გადასახადის – "საყაჭობოს" დაწესება (მეტრეველი, 2012, 438).

აღნიშნული პერიოდის საქართველოში დაწინაურებული ჩანს ხელოსნობის სხვადასხვა დარგი: მეთუნეობა-მეკეცეობა, მეჭურჭლეობა, მჭედლობა, კალატოზობა,

დურგლობა, მეხამლეობა, ოქრომჭედლობა, მეპურეობა, მენელსაცხებლობა, წიგნების გადაწერა, აკინძვა და სხვ. ხელოსნობის სხვადასხვა დარგის ფართოდ გავრცელებასა და განვითარებას მოწმობს არა მარტო ისტორიული წერილობითი წყაროები, არამედ ამ პერიოდის ხელოსნობისა და მატერიალური კულტურის ძეგლები (მეტრეველი, 2012, 438).

საქართველოს ქალაქებში, რომლებიც ხელოსნურ წარმოებასთან ერთად, სავაჭრო ცენტრებიც იყვნენ, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ვაჭრებს. ისინი ხელოსნობის ნაწარმს ასაღებდნენ. ვაჭრები საქალაქო ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში მონაწილეობდნენ და ზოგჯერ მათ სახელმწიფო საქმეებსაც ანდობდნენ. საქართველოს ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ საგარეო ვაჭრობაშიც. ნიშანდობლივია, რომ XI-XIII სს. დოკუმენტების მიხედვით მოხმარების თითქმის ყველა საგანი იყიდებოდა.

შუა საუკუნეების საქართველოს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა არაბებთან, ირანთან, ბიზანტიასთან, სომხეთთან, ეგვიპტესთან, ჩინეთთან და რუსეთთან. მუსლიმური ქვეყნებიდან იმპორტს შეადგენდა სხვადასხვა სახის ქსოვილები, ნელსაცხებლები, შაქარი, ძვირფასი თვლები, ცხენის მოკაზმულობა, სხვადასხვა ძვირფასი ლითონები და სხვ. ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ქსოვილები ("ბერძნული"), ოქროქსოვილები, სამღვდელთმსახურო ნივთები და სხვა.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ექსპორტსაც. აქედან გაჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილები: მატყლის, აბრეშუმისა და ბამბის ნაწარმი, და კერამიკის ნივთები. ჩვენ მრავლად გვხვდება უცხოური მონეტები საქართველოში და პირიქით, ქართული ფული სხვა ქვეყნებში, რაც თავის მხრივ აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს (მეტრეველი, 2012, 439).

XI-XII საუკუნეებში საქართველოს ქალაქები, ისევე როგორც ფეოდალური ქალაქების უმრავლესობა, ძირითადად ორი ნაწილისგან შედგებოდა, საკუთრივ ქალაქი და ციხე-ციტადელი. ქალაქის მთავარ საფორთიფიკაციო ნაგებობაში - ციხეში იყო მოთავსებული ქალაქის მფლობელის, საფეოდალო ქალაქში, ფეოდალის რეზიდენცია, ხოლო სამეფო ქალაქებში - მეფის სასახლე. ციხის ტერიტორიაზე აუცილებლად იყო კარის

ეკლესიები და ა.შ. ქალაქში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ციხის კედლებს გარეთ ცხოვრობდა. ქალაქს, თავის მხრივ, კედელი ჰქონდა დასაცავად შემოვლებული, რომელიც კოშკებითა და ბურჯებით იყო გამაგრებული. ქალაქის კედელს დატანებული ჰქონდა კარები. ქალაქის კართა რაოდენობა განპირობებული იყო ქალაქის ზომითა და მნიშვნელობით და აგრეთვე დამოკიდებული იყო იმ ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე, რომლებიც შემოდიოდა ქალაქში. ქალაქის ტერიტორიის დიდი ნაწილი ეკავა მოედნებს, ბაზრებს, სავაჭრო-სახელოსნო რიგებს დუქნებითურთ. რადგან ამდროინდელი ქალაქების უმრავლესობა უმთავრესად სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდა, ამდენად, ქალაქში იყო საბაჟოები, სასტუმროები ჩამოსულ ვაჭართათვის, საწყობები და ქარვასლები ჩამოტანილი საქონლისათვის. ქალაქის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ ვაჭრები და ხელოსნები (მეტრეველი და შოშიაშვილი, 2006, 462-463).

ამდროინდელი საქართველოს უდიდესი და უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო თბილისი. მოჭიქული ჭურჭლის წარმოების მსხვილი ცენტრები იყო თბილისი, დმანისი, რუსთავი და სხვა ქალაქებში. სხვადასხვა ფერის ჭიქურით დაფარული თიხის ჭურჭელი დიდი რაოდენობით მზადდებოდა როგორც ადგილობრივი ბაზრებისათვის, ასევე საექსპოტოდ, თბილისი სახელოსნოებში ამზადებდნენ საიუველირო ნაწარმს, აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს, მინის ნაწარმს (ჩხატარაშვილი, 1978).

თბილისური საქონლის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს XIII საუკუნის ერთი სპარსელი ავტორის ცნობა, რომელიც თბილისურ საქონლად ასახელებს უნაგირებს, სპილოს ძვლით გაწყობილ ლაგმებს და კაპარჭებს, ტკბილეულობას, ბროწეულს, თახვისა და წავის ბეწვს, მინას, ბროლის ნაწარმს (გაბაშვილი, 1981, 101-102), აგრეთვე, მონებსა და მონა ქალებს, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, თბილისურ ნაწარმად კერამიკის შუშის, იარაღის წარმოებასთან ერთად ითვლებოდა საიუველირო ნაწარმი, ძვირადღირებული ბროლი, ძვირფასი ბეწვეული და სხვა ხელოსნური ნაწარმი (მეტრეველი და შოშიაშვილი, 2006, 465).

საქართველოდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ხელოსნური ნაწარმიცა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებიც, გაჰქონდათ ღვინო, კაკალი, კერამიკული ნაწარმი, ადგილობრივი აბრეშუმი, ბამბის, შალის ქსოვილები, ტანსაცმელი, ნართი, ხალიჩები, ბეწვეული, იარაღი, ცხენები. ისთახრის ცნობიდან ირკვევა, რომ თბილისიდან გაჰქონდათ თაფლიც. ალ-იდრისის ცნობის თანახმად, კი თბილისი საღებავი მცენარეულობითაც ვაჭრობდა, რომელსაც ფართო გამოყენება ქონდა მცირე აზიაში ქსოვილების შესაღებად (გაბაშვილი, 1981, 102).

საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე მიუთითებს ქართული ფულის მოპოვება დიდი რაოდენობით საქართველოს ფარგლებს გარეთ, აგრეთვე, საქართველოში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი უცხოური ფულები, ბიზანტიური, ეიუბიდების, ილდიგიზიდების, ორთუკიდების, აზერბაიჯანის სელჩუკიანების, მოსულის და ალეპოს საათაბაგოების, რუმის სასულთნოს მონეტები. ამ ქვეყანათა მონეტების ფართო გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე მათთან წარმოებული ინტენსიური ვაჭრობის აშკარა დადასტურებაა. ასეთი ფართო სავაჭრო ურთიერთობანი საკუთარი მონეტის მოჭრის აუცილებლობას მოითხოვდა და საქართველოს მრავალ ქალაქში იყო კიდეც ზარაფხანები - თბილისში, ქუთაისში, დმანისში, ახალციხეში და სხვა, სადაც დიდი რაოდენობით იჭრებოდა ფული (გაბაშვილი, 1981, 103).

საქართველოს ცენტრალური პროვინცია - ქართლი და მისი ქალაქები, პირველ რიგში კი თბილისი სავაჭრო გზებით იყო დაკავშირებული საქართველოს ყველა კუთხესთან. საქართველო გარე სამყაროს კეთილმოწყობილი საქარავნო გზებით უკავშირდებოდა. ცენტრალური ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა გზების კეთილმოწყობას, გზებზე აგებდნენ ქარვასლებს, სასტუმრო-ასპინძებს, ხიდებს, ზრუნავდნენ გზების უშიშროებაზე. იყო საზვერე საბაჟოები, თბილისში, ქუთაისში, სკანდეში, სვერში, ალში, ზოვრეთში და სხვაგან. იმდროინდელი საქართველო საქარავნო გზებით იყო დაკავშირებული ბიზანტიასთან, ირანთან, რუსეთთან და სხვა ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიზანტიათან ურთიერთობა უმთავრესად, არტანუჯის გზით ხორციელდებოდა, ტრაპეზუნტის მეშვეობით.

ირანთან კონტაქტი მყარდებოდა ორი მიმართულებით:

1. თბილისი → ბარდავი → ზენჯანი;
2. თბილისი → დვინი → მარაღა.

თბილისი უკავშირდებოდა სპარსეთის ქალაქებს, აქედან კი გზები იყრებოდა ინდოეთის, არაბეთისა და ეგვიპტის მიმართულებით (გაბაშვილი, 1981, 105). ჩრდილოეთის ქვეყნებთან კონტაქტები არსებობდა დარიალით, კავკასიონის სხვა გადასასვლელებითა და დარუბანდის გზით (მეტყეველი და შოშიაშვილი, 2006, 465).

❖ **დმანისი**

თბილისის შემდეგ განვითარებულ შუასაუკუნეების საქართველოში ყველაზე დაწინაურებული ქალაქი დმანისი იყო. დმანისის ნაქალაქარი ქვემო ქართლში, მაღალ ზეგან-კონცხზე მდინარე მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან მდებარეობს (ფიგურა 50). ამ კონცხის ძირას გადიოდა თბილისიდან სომხეთში მომავალი საქარავნო გზა (მიქელაძე, 2015, 100). ამ გზას აქლემის გზა ეწოდებოდა (გაბაშვილი, 1981, 30).

ნაქალაქარი სამი ნაწილისგან შედგება:

1. თვით ქალაქი (აქ იყო მოქალაქეთა საცხოვრებლები) სამეურნეო, სავაჭრო, სახელოსნო და სხვა ნაგებობები (სულ 13 ჰექტარი);
2. მის სამხრეთით ფინეზაურის ორივე მხარეზე მდებარე გარეუბანი - 12 ჰექტარი;
3. ციხე, ეს არის მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი და მის ფარგლებში მოქცეული სიონი (მიქელაძე, 2015, 100-101).

XII საუკუნის I ნახევრიდან მთელი XIII საუკუნის მანძილზე დმანისი მდიდარი სავაჭრო ქალაქია, რომელიც ინარჩუნებს აქტიურ როლს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში XIV საუკუნის ბოლომდე. დმანისის დაწინაურება-განვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ქალაქის მდებარეობას იმ დიდ სავაჭრო გზაზე, რომელიც საქართველოს აკავშირებდა სომხეთთან და ახლო აღმოსავლეთთან (მიქელაძე, 2015, 100-158).

დმანისის სავაჭრო გზა სამი მიმართულებით გადიოდა, რომელიც შემდგომ უღელტეხილებით და სხვადასხვა გადასასვლელებით იყოფოდა და ცენტრალური გზების განშტოებებს ქმნიდა. ცენტრალური გზები მიდიოდა ერთი სამხრეთისკენ, მეორე აღმოსავლეთისკენ და მესამე დასავლეთისკენ (რეზესიძე, 2021, 233-236).

პირველი, სამხრეთისკენ მიმავალი გზა მაშვერას ხეობის ზემო წელის გავლით შედიოდა ფინეზაურის ხეობაში, ქ. დმანისში, აქედან კი ლოქის ციხის (ფიგურა 50) გავლით ლორე- ტაშირში, შემდეგ კი სომხეთში და წინა აზიის ქვეყნებისკენ მიემართებოდა (მიქელაძე, 2015, 159).

ქვემო ქართლში მდინარე ფინეზაური მდინარე მაშავერას ყველაზე დიდი შენაკადია. ლოქის მთიდან გამოსული სამხრეთიდან შეერთვის მაშავერას, დაახლოებით შუა წელზე, სწორედ ამ შესართავშია გაშენებული დმანისის ციხე-ქალაქი. აქ იყრება ორი დიდი მნიშვნელობის მაგისტრალი, ერთი დასავლეთით, ჯავახეთ არტაანზე (ცენტრალური გზა) ტაო-ბიზანტიისკენ მიმავალი. მეორე კი ფინეზაურის ხეობით და ლოქის უღელტეხილით ლორე ტაშირზე გამავალი სომხეთისაკენ - ესეც სამხრეთის ცენტრალური გზაა. აღსანიშნავია, რომ დღევანდელი სამანქანო გზაც ასე მიდის (მიქელაძე, 2015, 159).

მაშავერას ხეობაში გადასავლელი გზა, აქ როგორც ჩანს, ციხის დასავლეთით სპეციალურად გაუჭრიათ (ის დღემდე მოქმედია) და სწორედ აქ იყო გაკეთებული გადასასვლელი ყელი, შემდეგ კი გზის გაგრძელება მდინარემდე მასიურ კლდეში გამოუჭრიათ, უშუალოდ ციხესთან, მის ძირში ამ მთავარი გზის გაყვანა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან ციხეს ქალაქი თავისი კონტორლის ქვეშ ეყოლებოდა.

ქოლაგირის ხიდისკენ, თათრის სოფლის ყიზირ-აჯლოდან, მთით მიემართება ძველი გზა, რომელსაც ქოლაგირის გზა ჰქვია. ეს გზის ერთი ნაწილია. როცა ეს გზა უღელტეხილს გამოივლიდა, მომავალი ქარავანი თუ ჩვეულებრივი მგზავრები იქვე, ქ. დმანისის ახლოს, დღევანდელ შემორჩენილ მაჰმადიანურ მავზოლიუმებში და ციხის გალავნის კედლებს შორის მდებარე ტერიტორიაზე ჩერდებოდნენ, რისთვისაც სათანადო

ადგილი და შენობები იყო. ქარავნისა და საერთოდ მგზავრებისათვის, მათი გაჩერება-დასვენებისათვის იყენებდნენ ქალაქთან ახლოს მდ. ფინეზაურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე, ამჟამად სოფელ პატარა დმანისის ტერიტორიას, ამ ტერიტორიის გამოყენება ძირითადად უხდებოდათ აღმოსავლეთით ბოლნის-ქვეშიდან, სამხრეთით კი ლორე ტაშირიდან და ლოქ პანტიანიდან მომავალ მგზავრებს (მიქელაძე, 2015, 160)

ამ გზის მეორე ნაწილი, სოფ. მაშავერადან პატარა დმანისში მომავალი გზა, რომელიც ახლანდელი დმანისის რაიონში ყოფილა, და მას „აქლემის გზა“ უწოდებდნენ. მოწმობს აღნიშნული გზის ყოფილ მნიშვნელობას უნდა მოწმობდეს ქვის ხიდების არაერთი ნარჩენი. ზოგიერთ ადგილას ისინი დღესაც კარგად გამოიყურება (მიქელაძე, 2015, 161).

რაც შეეხება ჩრდილოეთიდან წამოსულ გზას (თრიალეთიდან), რომელიც ასევე უერთდებოდა სამხრეთის გზას, ის როგორც ჩანს, კეჩუთის მთის ძირზე გაივლიდა ბაშკიჩეთთან (დღ. რაიონული ცენტრი დმანისი) ვარძაგარას გავლით შეუერთდებოდა ძირითად მაგისტალს (ე.ი ლორე-ტაშირის გზას) და ტაშირში გადავიდოდა (ამ გზის ერთი განშტოება იყო თრიალეთ-ყარაბულახის ეს გზა), შემდეგ ეს გზავე შედიოდა ქვეშისა და ბერიქალას ციხის გავლით სამშვილდეში (ე.ი აღმოსავლეთის გზა) (კოპალიანი, 1999; მიქელაძე, 2015, 161).

ცხადია, სამხრეთის ძირითადი მაგისტრალი საკმაოდ მნიშვნელოვანი ყოფილა იმ ორ დანარჩენ გზასთან შედარებით, რადგან, სწორედ სამხრეთის გზა იყო დამაკავშირებელი ერთმანეთთან ამ სამი ძირითადი მაგისტრალის. დმანისის ციხე აერთიანებდა, სამხრეთის და დასავლეთის გზებს, რადგან, ორივე აქედან გადიოდა, ქვეში აკავშირებდა ასევე სამხრეთის და აღმოსავლეთის გზებს, ტაშირი კი სამხრეთის და აღმოსავლეთის გზებს. რაც შეეხება დასავლეთის გზას, ის დმანისის ციხიდან ჯავახეთზე, არტაანზე გადიოდა, შემდეგ მოვიდოდა ფარავნის ტბასთან და აქედან იყოფოდა ტაო-ბიზანტიაში. ჯავახეთიდან წამოსული გზა დმანისში, ზურტაკეთს გავლით აღწევდა (მიქელაძე, 2015, 163).

რაც შეეხება აღმოსავლეთისკენ მიმავალ ცენტრალურ გზას, ეს არის თბილისი-სამშვილდის გზატკეცილი. თბილისიდან გზები მიემართებოდა შიდა და ზემო ქართლის, კახეთის მიმართულებით. ერთ-ერთი მთავარი გზა კი მიდიოდა ქვემო ქართლისკენ, კოჟრისა და კარის კარით, მეორე კი მარნეულისკენ, სწორედ ქვემო ქართლის გზაზე მდეობარეობდა სამი მნიშვნელოვანი გზა საყარი, ფარცხისი, სამშვილდე და კვლავ ქვეში. მარნეულიდან გზები იყოფოდა -ბერდუჯის და მაშავერის ხეობისკენ და კვლავ ქვეშისკენ. ქვეში სამხრეთისა და აღმოსავლეთის გზების დამაკავშირებელი იყო (მიქელაძე, 2015, 164).

ქალაქის სავაჭრო კონტაქტებზე მიუთითებს აქ აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალა, 2000 ცალზე მეტი მონეტა (მიქელაძე, 2015, 157). დმანისში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი მონეტები ორ კატეგორიად იყოფა, ქართული და არა ქართული. შუასაუკუნეების დმანისში ნაპოვნ არაქართული ფული (საქართველოში მოჭრილი და მის გარეთ) ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და კუთვნილების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (ჯალაღანია, 1987, 16-29):

- ილდიგიზიდების (აზერბაიჯანის ათაბაგები) მონეტები - XII ს. ბოლოსა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედი;
- ხორეზმშაჰ ჯალალ ად-დინი მანგუბერტის მონეტები - XIII საუკუნე;
- რუმის (მცირე აზიის) სელჩუკების მონეტები -XII-XIII სს.;
- ჩინგიზიდების - XIII საუკუნე;
- ჰულაგუიდების მონეტები - XIII-XIVსს.;

მონღოლთა შემოსევის დროს და საქართველოს მათი გავლენის ქვეშ მოქცევის შედეგაც დმანისი განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მეფე რუსუდანი (1223-1245 წწ.) აქედან მართავდა ქვეყანას და ამ ექსტრემალურ პოლიტიკურ ვითარებაში დმანისში ზარაფხანაც გაუხსნიათ, რომელშიც დავით ნარინის სახელით სპილენძის ფული იჭრება (ჯალაღანია, 1987, 31-32).

დმანისის სავაჭრო-ურთიერთობების შესახებ არანაკლებ მეტყველია ნაქალაქარზე მრავლად აღმოჩენილი კერამიკული თუ სხვა სახის იმპორტული პროდუქცია. აღსანიშნავია განათხარი იმპორტული კერამიკის, ფაიანსის მრავალი ნიმუში, განსაკუთრებით კი სპარსული ფაიანსი (ფიგურა 52), აგრეთვე ჩინური სელადონების ფრაგმენტები და უფრო მოგვიანებით თურქული კერამიკის ნიმუშები. დმანისში ჩინური კერამიკის („სელადონების“) არაერთი ფრაგმენტია აღმოჩენილი (ფიგურა 53), რაც იმაზე მიუთითებს, რომ იმპორტული საქონელი ჩინეთიდანაც შემოდიოდა. სელადონები მზადდებოდა ჩუე-ძზიანის პროვინციაში.

შუა საუკუნეებში ჩინურ სელადონებს ევროპაში დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი ევროპელებს ხიბლავდა არა მათი შემკულობითა და მაღალი მხატვრული ღირებულებებით, არამედ მათთან დაკავშირებული მაგიური თვისებებით.

საქართველოში შუა საუკუნეების ნაქალაქართა შორის ფაიანსის აღმოჩენის სიუხვითა და მრავალფეროვნებით ყველა დანარჩენისგან გამოირჩევა დმანისის ნაქალაქარი. განათხარი მასალიდან აღსანიშნავია ლუსტრიანი ფაიანსის ჭურჭელი. ამ ტიპის ფაიანსის ჭურჭელი დაფარულია გაუმჭირვალე, რძისფერი ჭიქურით და მოხატულია ოქროსფერი ლუსტრით. გვხვდება კობალტის ლურჯი ჭიქურით და ლუსტრით მოხატული ფაიანსის ნიმუშები (კოპალიანი, 2018, 120).

დადგენილია, რომ დმანისში მოპოვებული იმპორტული ფაიანსის არამარტო ზოგად ირანული წარმოშობა, არამედ ისიც, რომ ისინი წარმოადგენენ ირანის ისეთი ცნობილი კერამიკული ცენტრების ნაწარმს, როგორიც იყო რეი და ქაშანი (ფიგურა 54) (კოპალიანი, 2018, 121).

დმანისის ნაქალაქარზე მნიშვნელოვანი რაოდენობითაა გამოვლენილი ასევე სპარსული პოლიქრომული ფაიანსის ფრაგმენტები. აღნიშნული ტიპის ფაიანსიც სპარსულია და სულთანაბადის კერამიკულ ნაწარმს წარმოადგენს. თუმცა, ამგვარი კერამიკა სულთანაბადში კი არ მზადდებოდა, არამედ მის ირგვლივ განლაგებულ

კერამიკული წარმოების ცენტრებში, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქალაქები სესიუკი, ზულფაზადი და ფაიუმი (კოპალიანი, 2018, 121).

შუა საუკუნეების დმანისის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ წარმოდგენას იძლევა დმანისში აღმოჩენილი მძივების მრავალრიცხოვანი კოლექციაც (ფიგურა 55). ნაქალაქარის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში გათხრების დროს აღმოჩენილია სხვადასხვა მასალისგან, ვერცხლის, მინის, ფაიანსის, ძვლისა და სხვადასხვა ნახევრადძვირფასი ქვებისგან (სარდიონი, ქალცედონი, ლაჟვარდი, ქარვა, გიშერი, კირქვა, მარჯანი, სადაფი) დამზადებული მძივები და საკიდები. ვარაუდობენ, რომ სარდიონის მძივები იემენიდან უნდა იყოს შემოტანილი, ხოლო ქალცედონის ირანიდან. დმანისში აღმოჩენილი ქარვის მძივებიც, რომელიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება და ბალტიისპირეთიდან უნდა იყოს შემოტანილი. დმანისში გვხდება სადაფის მძივებიც, რომლებიც სპეციალისტების აზრით, შემოტანილი უნდა იყოს სპარსეთის ყურისა და მეწამული ზღვის სანაპიროების ქვეყნებიდან (კოპალიანი, 2018, 123-124).

სპეციალისტების ვარაუდით, დმანისში აუცილებელად იქნებოდა აშენებული მოსასვენებელი, ან ფუნდუკი, ქარვასლები, ასეთ ადგილად კი მიჩნეულია ქალაქთან ახლოს, მდ. ფინეზაურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე, ამჟამად სოფ. პატარა დმანისის ტერიტორია.

ამდენად, დმანისს ჰქონდა საუკეთესო მდებარეობა, სამიმოსვლო გზები (ფიგურა 56), რომელიც ხელს უწყობდა ვაჭრობის წარმოებას, ჰქონდა ციხეები და მათთან არსებული საბაჟოები, ხიდები, რომლებიც მიმოსვლას უწყობდა ხელს, სავარაუდოდ ქარვასლებიც, რომელიც დიდ შემოსავალს იძლეოდნენ, როგორც თვით დმანისისათვის, ისე ქვეყნისთვის. ყოველივე ეს ზრდიდა იმპორტს და ადგილობრივი ნაწარმის ექსპორტს (მიქელაძე, 2015, 174).

XII-XIII საუკუნეების არაბი ავტორი იაკუთი თავის ცნობებში, საქართველოსა და კავკასიის შესახებ, დმანისს იხსენიებს როგორც სავაჭრო ქალაქს.

❖ **რუსთავი**

თავისი მნიშვნელობით და ეკონომიკური განვითარების დონით რუსთავი არაფრით ჩამოუვარდებოდა დმანისს. ხუნანისა[16] და სამშვილდის მსგავსად, ანტიკური ხანის რუსთავი ახალქალაქობის პერიოდში განახლებულ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება. ქალაქის განახლებისა და დაწინაურების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მისი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობა (თბილისი → ბარდავის გზა, „ტრაპიზონის გზის“ მონაკვეთი) იყო (ჭილაშვილი, 1958, 184-206).

ცნობილი საქარავნო გზა ბარდავი → თბილისი, უშუალოდ რუსთავზე არ გადიოდა, მაგრამ მის მახლობლად გაივლიდა და ის რუსთავისათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. უშუალოდ რუსთავზე გადიოდა მეორე საკმაოდ მნიშვნელოვანი გზა, რომელიც სამხრეთ საქართველოს (ჯავახეთი, ტაო - კლარჯეთი) კახეთ-ჰერეთთან აკავშირებდა. ეს გზა რუსთავთან კვეთდა მდ. მტკვარს. სამხრეთიდან მომავალ მგზავრს ლომთა გორას მოსვლის შემდეგ შეეძლო წასვლა როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით. აღმოსავლეთიდან (კახეთი, ჰერეთი, ბელაქანი) სამხრეთ საქართველოს რაიონებში მომავალი რუსთავიდან მდ. მტკვარზე გადასვლის შემდეგ მიადგებოდა ლომთა გორას, შემდეგ ნახიდურს და ასე წავიდოდა დასავლეთისაკენ (ჭილაშვილი, 1958, 205).

განვითარებული შუა საუკუნეების ნაქალაქარი ძირითადად განფენილი იყო მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე შესწავლილი შენობები ნაგებია რიყის ქვებით. შემაკავებელ მასალად გამოიყენებოდა თიხა და გაჯი. შენობები ორსართულიანია. ოთახებში არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია კერები, თონეები, ქვევრები, თონეები, სამეურნეო ორმოები და სხვა (მინდორაშვილი, 2015, 9). განვითარებული შუა საუკუნეების ნაგებობებში გამოიყო ორი სამშენებლო ფენა. ქვედა ფენა, რომელიც გადამწვარია და თარიღდება XI ს-ით განადგურებული ჩანს 1068 წელს ალფარსლანის შემოსევის დროს. გათხრების დროს ვერსად დაფიქსირდა გალავანი, რის

[16] ხუნანი ლოკალიზებული არ არის. მის შესახებ ცნობას მხოლოდ ვახუშტი ბატონისშვილთან ვხვდებით. მონღოლთა შემოსევის შედეგად ისე განადგურდა რომ აღარ განახლებულა (ჭილაშვილი 1958, 186, 204)

გამოც, გამოითქვა ვარაუდი, რომ ქალაქი ძირითად დასახლებას ზღუდე არ ჰქონდა და საშიშროების დროს მოსახლეობა ციხეს აფარებდა თავს (მინდორაშვილი, 2015, 9-10).

რუსთავის ციხე ქალაქისაგან მოშორებითაა აგებული, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე შემაღლებულ ბორცვზე. ნაციხარის გათხრებით დადგინდა, რომ ციხის ზღუდე სამჯერაა აშენებული. პირველად IV-V სს-ში (გალავანი ოთხკუთხა კოშკებით), მეორედ IX-X სს-ში (ნახევრადწრიული ყრუ კოშკებით) ხოლო, მესამედ XII ს-ში (მინდორაშვილი, 2015, 10).

ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კუთხის დიდ ალიზიან ბურჯზე მიდგმულია ორსართულიანი სასახლე, რომელიც შედგებოდა შვიდი ოთახისა და კორიდორისაგან. სასახლეში დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი სამეურნეო, სამზარეულო, სუფრისა და სხვადასხვა დანიშნულების კერამიკა, ასევე, მინის ჭურჭელი და სამკაული, ლითონის ნივთები და სხვა (მინდორაშვილი, 2015, 11).

რუსთავის ნაქალაქარისა და ნაციხარის განათხარი მასალის გაანალიზების შედეგად, ჩანს, რომ ქალაქის მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად სამეურნეო საქმიანობას სოფლის მეურნეობა, მემინდვროება და მევენახეობა-მეღვინეობა წარმოადგენდა. რუსთავში ასევე მაღალ დონეზე ყოფილა ხელოსნობა და ვაჭრობა. ხელოსნობის განვითარებას მოწმობს საფეიქრო წარმოების მიმანიშნებელი ძვლის საქსოვი ფირფიტები და კვირისტავები. ვაჭრობის დასტურია ნაქალაქარზე აღმოჩენილი ასობით მონეტა, რომელთა შორისაა უცხო ქვეყნის მეფეთა მონეტებიც (მინდორაშვილი, 2015, 13).

- **თელავი**

ინტესიურ საგარეო ვაჭრობაში ჩართულია ასევე ქალაქი თელავი. თელავის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1962 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიამ. ამის შემდეგ, მცირე მაშტაბით, მაგრამ თითქმის სისტემატიურად მუშაობდა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თელავის რაზმი (ჩიკოიძე, 1979, 9). თელავის ტერიტორიაზე უძველესი ნამოსახლარი გვიანბრინჯაოს ხანაში გაჩნდა. უძველესი ცნობა თელავის შესახებ დაცულია ახ. წ. ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“, სადაც ის ალბანეთის

ქალაქების აღწერისას ასახელებს ქალაქ თელავია-თელედას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით პტოლემაიოსის თელადა გაიგივებულია თელავთან. თელავთანაა ასევე გაიგივებული, პევტინგერის ტაბულაზე (ფიგურა 13) ქარავათა გასაჩერებელი დიდი სადგურის ნიშნით აღნიშნული ქალაქი თელედა (ჩიკოიძე, 1979, 10).

თელავის განვითარების კვალი ელინისტურ და გვიანანტიკურ ხანაში ჩანს. ძველი სამოსახლოები, რომლის საკმაო დაწინაურება არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შეიჩნევა, სავარაუდოა, რომ VI-VIII საუკუნეებში ქალაქური ტიპის დასახლებად განვითარდა (ჩიკოიძე, 1979). თელავი როგორც ქალაქი კი უკვე IX-X საუკუნეებში აღმოცენებულა. X ს. არაბი გეოგრაფი მუკადასი თავის თხზულებაში ქ. თელავს ამიერკავკასიის ქალაქებს შორის იხსენიებს და მნიშვნელოვან სავაჭრო გზებთან აკავშირებს (გაბაშვილი, 1981, 35).

XI საუკუნის თელავი კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სამთავროს დედაქალაქია და გამოირჩევა საქალაქო ცხოვრების მაღალი დონით, ვაჭრობითა და ხელოსნობით. არქეოლოგიური მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ ქალაქი აქტიურად არის ჩართული როგორც სამეფოს შიდა სავაჭრო ურთიერთობებში, ისე ეკონომიკური კონტაქტები აქვს ირანისა და ბიზანტიის იმპერიის ქვეყნებთანაც.

თელავის საგარეო კონტაქტების, კერძოდ, შავიზღვისპირეთის ცენტრებთან კავშირის მკაფიო მაგალითია თელავში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ჯამი, რომელსაც ანალოგია ქერსონესის მასალაში მოეპოვება. აქვეა აღმოჩენილი აღმოსავლურ-სპარსული ყაიდის ჯამი, რომელსაც ანალოგიები დმანისსა და ორენყალაში მოეპოვება. დასტურდება თელავის სავაჭრო ურთიერთობები ამიერკავკასიის ქვეყნებთან და ყირიმის ქალაქებთან (გაბაშვილი, 1981, 108).

თელავის ისტორიული უნბებისა და შემოგარენის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ ძველი ქალაქი მდებარეობდა თანამედროვე ქალაქის ადგილას (ჩიკოიძე, 1979, 85). მას შემდეგ რაც დავით აღმაშენებელმა საქართელო გააერთიანა, თელავმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრმა, და ვეღარ თამაშობდა

მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ცხოვრებაში. თუმცა, იქ ინტენსიური ცხოვრება არ შეწყვეტილა განვითარებულ შუა საუკუნეებშიც კი (მინდორაშვილი, 2015, 209).

- **ჟინვალი**

ქალაქი ჟინვალი გაშენებული იყო მდ. არაგვის ორივე ნაპირზე. ჟინვალის ფართომასშტაბიანი შესწავლა რ. რამინიშვილის ხელმძღვანელობით 1971 წლიდან 1981 წლამდე მიმდინარეობდა. ამჟამად ნაქალაქარი ჟინვალის წყალსაცავის ქვეშ არის მოქცეული. ჟინვალის დედა ციხე ე.წ. ზურგიანი კოშკი, სხვა შენობები და მძლავრი გალავანი მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე იყო გაშენებული. ხოლო, საკუთრივ ქალაქი, მისი გარეუბანი და სამაროვანი მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ხიდის ყურიდან ხერთვისის კოშკამდე მდებარეობდა. გათხრების შედეგად ნაქალაქარზე მრავალდაა გამოვლენილი კერამიკული მასალა, მათ შორის მრავალფრად მოხატული-მოჭიქული ჯამები, მინის ნაწარმი, და 1500 ზე-მეტი მონეტა. ჟინვალი აქტიურად იყო ჩართული სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის გარეთ (მინდორაშვილი, 2015, 20-22; რამიშვილი, 2008, 11-70).

XII საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთის დიდი სავაჭრო-საქარავნო გზების ამოქმედებამ, რითაც საქართველო და მთელი სამხრეთ კავკასია მჭიდროდ დაუკავშირა ჩრდილოეთის ქვეყნებს, ბიძგი მისცა მთისა და ბარის საზღვრზე და გზათა გასაყარზე მდებარე ჟინვალის სწრაფ აღმავლობას. XII ს-ის მეორე ნახევარში უკვე ქალაქად ქცეული ჟინვალი წარმოადგენდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს, რომლის ძირითად ფუნქციას შეადგენდა ერთი მხრივ ჩრდილოეთის დიდ საქარავნო გზის - დარიალის გზის კონტროლი, დაცვა, კეთილმოწყობა, საბაჟოთა თვალყურის დევნება, და მეორე მხრივ მთისა და ბარის ურთიერთობების რეგულირება, ბარის ანუ სახელმწიფოს ინტერესების გატარება და დაცვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მინდორაშვილი, 2015, 23).

* * *

ყველა ახალი ქალაქის წარმოშობა XI-XII საუკუნეებში დაკავშირებულია სავაჭრო მაგისტრალებთან. ატენი ქალაქად იქცა XI საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, ჯავახიშვილის თქმით, მას შემდეგ რაც აქ ქულბაქები ააგეს. სავაჭრო გზას უკავშირებს ლ. ჭილაშვილი (1980) ქალაქ გორის მნიშვნელობის ზრდას და გამოცოცხლებას. XII ს ქ. ჟინვალი დააწინაურა იმიერ-კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ქალაქებთან სავაჭრო ურთიერთობებში შუამავლობამ. XI ს-ში სავაჭრო გზებთან კავშირის ნიადაგზეა წარმოშობილი სურამი, ალი, ბარალეთი, ზოვრეთი (მეტრეველი და შოშიაშვილი 2006, 461).

XI-XII საუკუნეებში აღმავალობის გზაზეა სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებიც. ამ პერიოდში მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ამიერკავკასიის ქალაქებს აქვთ ერთმანეთთან აგრეთვე სამხრეთ რუსეთისა და წინა აზიის ქალაქებთან.

აღსანიშნავია, რომ წინა აზიაში თურქ-სელჩუკების შემოსევებისა და ბატონობის შემდეგად შეფერხებული ეკონომიკური ცხოვრება კვლავ განახლდა XII ს-ის შუა ხანებში. ამ დროიდანვე იწყება აღმოსავლური ქალაქების ხელახალი დაწინაურება. ამ პერიოდში საქართველო, როგორც წინა აზიის უძლიერესი სახლმწიფო, ცდილობდა გაბატონებულიყო კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მთავარ სავაჭრო მაგისტრალებზე. XIII საუკუნის 20-იან წლებში საქართველო ექსპლუატაციას უწევდა დვინ-არზუმისა და დარუბანდ-შამახიის სავაჭრო გზებს.

* * *

ადრეფეოდალური ხანის დასასრულს დასავლეთ საქართველოში ადგილი აქვს ე.წ. „ახალქალაქობის“ პერიოდს, რაც ასე დამახასიათებელი იყო ამავე პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისათვის. დასავლეთ საქართველოში ზოგიერთი ქალაქი მათ შორის ციხე-გოჯი (არქეოპოლისი), კლისურა, ვანი, ფიჭვნარი ქრება, ზოგიერთი მათგანი, (აფსაროსი, პიტიუნტი, ბათომი) კი ქალაქის ტიპის დასახლებად იქცა. ქუთაისი და სოხუმი კი კვლავ განაგრძობდა არსებობას.

ნათელია, რომ XI-XII სს-ში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ერთაინი ვითარება არ იყო სავაჭრო-ეკონომიკური და საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით.

VIII საუკუნიდან მოყოლებული, არაბები განუყოფლად ბატონობდნენ ხმეთაშუაზღვის დასავლეთ ნაწილში, X საუკუნეში მათ მოახერხეს სიცილიის და კრეტის ხელში ჩაგდება, რითაც დასაყრდენი გაიჩინეს ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. VIII-XI სს. შავ ზღვაზე — ბიზანტია, ხმელთაშუაზღვაზე კი მუსლიმები ბატონობდნენ. იმის გამო, რომ არაბები გაბატონდნენ ხმელთაშუა ზღვაზე, შავი ზღვა ჩაკეტილი აღმოჩნდა. შავი ზღვის ქალაქები გამოეთიშნენ იმდროინდელი მსოფლიო ვაჭრობის მთავარ ცენტრებს, რომელთა ურთიერთკავშირი ხმელთაშუა ზღვის და ინდოეთის ოკეანის მეშვეობით მყარდებოდა. აღსანიშვნავია ისიც, რომ მსოფლიო ვაჭრობაში გაბატონებული მუსლიმანი ვაჭრები დაიტერესებული არ იყვნენ შავი ზღვისპირეთის სავაჭრო ახალშენების დაარსებით. ამან შავი ზღვის სანაპიროთა ქალაქები ისევე მოწყვიტა მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებს, როგორც შავი ზღვაზე თურქეთის გაბატონებამ (XV ს.) გამოიწვია აქაური ქალაქების იზოლაცია და შავი ზღვის „თურქეთის ტბად“ გადაქცევა. 1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ თურქეთი გაბატონდა შავ ზღვაზე. 1475 წლიდან ყირიმის ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა შავი ზღვა გადააქციეს „თურქეთის ტბად“.

შავი ზღვის ბლოკირებამ VIII-XI სს-სა და XV-XVIII სს-ებში გამოიწვია ანტიკურ და ელინისტურ ხანაში საზღვაო გზით მეშვეობით საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად ჩართული დასავლეთ საქართველოს ქალაქების იზოლირება გარესამყაროსგან. მხოლოდ XII-XIII სს-ში ასრულებს შავი ზღვა თავის ძველ ფუნქციას და იწყება ქალაქების გამოცოცხლებაც. შავი ზღვის სანაპიროებზე ვენეციელებისა და გენუელების ახალშენების გაჩენამ განაპირობა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროთა ვაჭრობის გააქტიურება. XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIV საუკუნის ჩათვლით დასავლეთ საქართველოს ქალაქები აქტიურად მონაწილეობდნენ ყირიმისა და შავიზღვისპირეთის ქალაქების საერთაშორისო ვაჭრობაში (გაბაშვილი, 1981).

- **ქუთაისი**

ქუთაისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოს ქალაქებს შორის. აქ საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა X-XIII საუკუნეებში. აღნიშნულ ქორონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება ქუთაისის დედაქალაქობის პერიოდი (980-1122). ქუთაისი კარგად იყო გამაგრებული (ციხე და გალავანი). აქ გადიდოდა დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. ქუთაისის საშუალებით დასავლეთ საქართველოს კუთხეები რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი-შავი ზღვის ქალაქებთან იყვნენ დაკავშირებული (გაბაშვილი, 1981, 43, ლანჩავა, 2015, 285-289). ქუთაისზე გამავალი საერთაშორისო-სავაჭრო გზები მისი ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების ერთ-ერთი ფაქტორი იყო. ქუთაისზე გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიისკენ მიმავალი გზა, აღმოსავლეთ საქართველოსთან და მცირე აზიასთან დამაკავშირებელი გზები. ქუთაისიდან თბილისისკენ (ლიხის მთით) მიემართებოდა მნიშვნელოვანი მაგისტრალი.

ლიხთ-იმერეთს იმერეთთან აკავშირებდა პერანგას, კორტოხი, დედაბერას, რიკოთის, სურამის და „ციხის ძირის“ გადასასვლელები.

ამ გზებისა და გადასასვლელების საშუალებით ქუთაისი დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებთან (თბილისი, რუსთავი, დმანისი, ხუნანი, სამშვილდე და სხვა) ხოლო აღმოსავლეთ საქართველო მას აკავშირებდა ირანის მთავარ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებთან, არდებილ-ზენჯანის და დვინ-თავრიზის მაგისტრალებით.

მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებს ქუთაისი უკავშირდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგისტრალებითაც, არტანუჯისა და არტაანის გზები და ტრაპიზონის გზის განტოტებანი (გაბაშვილი, 1981, 45).

- **სოხუმი**

XI-XII ს. სოხუმი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი ჩანს. არქეოლოგების აზრით აქ უნდა ყოფილიყო კერამიკის საწარმოო ცენტრი.

სოხუმის საგარეო კონტაქტებზე მეტყველებს აქ ნაპოვნი უცხოური მონეტები. სოხუმის მახლობლად მდ. ბესლეთზე აგებული ხიდი, ქართული ასომთავრული წარწერით, მიმანიშნებელია კეთილიმოწყობილი გზებისა და მშენებლობის მაღალი დონის, აგრეთვე, სოხუმის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტებისა. სოხუმი კარგად იყო დაცული. აღნიშნული ქალაქის თავდაცვით ნაგებობებს მიეკუთვნება ე.წ. „ბაგრატის ციხე“ (გაბაშვილი, 1981, 49-50).

თავი 8. საქართველოს ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გვიან შუა საუკუნეებში (XV-XVI სს.)

XV ს. II ნახევარიდან, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ერთიანი სახელმწიფოებრივი საგარეო პოლიტიკის არ არსებობის პირობებში, ცალკეულმა ქართულმა სამეფოებმა თავისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური ხაზი გამოიმუშავა. 1555 წელს, ამასიაში დადებული ზავის მიხედვით ოსმალეთმა ამიერკავკასია, მათ შორის, ქართლი და კახეთი, ყიზილბაშური ირანის საკუთრებად სცნო. კახეთი, განსხვავებით სხვა ქართული სამეფოებისაგან, XV საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი სამეფოს წარმოადგენდა (ასათიანი, 2012, 175-179). ეკონომიკური ცხოვრების პოლიტიკური პირობები აქ განსაკუთრებით ხელსაყრელი აღმოჩნდა XVI საუკუნის დასაწყისიდანვე. კახეთის მეფე ალექსანდრე I უომრად მოურიგდა სეფიანების ახლად შექმნილ სახელმწიფოს და მისი ვასალი გახდა. მშვიდობიანი პირობების ფონზე, კახეთის სამეფოს ეკონომიკურ დაწინაურებას არანაკლებ შეუწყო ხელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო გზებთან სიახლოვემ. გილან-შემახა-ასტრახანის აბრეშუმის გზა ძველი დროიდანვე კახეთის ფეოდალური მეურნეობისთვის საგარეო ვაჭრობის ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობის, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად, XV-XVI სს. კახეთში წარმოიშვა ახალი ქალაქები, რომლებიც

ვაჭრობა-ხელოსნობის აქტიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ასეთი იყო ქალაქები: გრემი და ზაგემი (ზაქარაია, 1975, 12).

კახეთი გეოგრაფიულად ახლო მდებარეობდა იმ გზასთან, რომელიც აბრეშუმის წარმოების დიდ მნიშვნელოვან ცენტრებს - გილანს, მაზანდერანს, აგრეთვე შაქი-შირვანის ქვეყნებს, კასპიის ზღვითა და ვოლგის სანაოსნო გზით მოსკოვთან და შემდეგ, დასავლეთ ევროპასთან აკავშირებდა. ეს გზა ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო ათვისებული აქ მომთაბარე თათართა ურდოებისა და სხვა იმიერკავკასიელი მძარცველების თავდასხმების გამო, მაგრამ ვაჭრები სულ უფრო მეტად ახერხებდნენ ამ მარშრუტით სარგებლობას და სავაჭრო ქარავანების მიმოსვლა კავკასიასა და რუსეთს შორის XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენდა (ასათიანი, 2012, 135-137). XVII საუკუნეში ირანის შაჰის შემოტევების შედეგად კახეთში ყველა ქალაქი ნადგურდება და ვაჭრობაც ქრება (ზაქარაია, 1975, 13-14).

XVI-XVII საუკუნის კახეთის სამეფოს შესახებ ცნობები მოცემული აქვთ მოსკოვის მეფის ელჩებს კახეთში, ბირკინს, ზვენიგოროდსკისა და სოვინს (XVI ს. 80-90 იანი წლები) ტატიშჩევს (XVII ს. დასაწყისი), ვოლკონსკის (1637-1639), მიშეცკისა და კლიუჩაროვს (1641-1643) (დუმბაძე... 1973, 27).

- **გრემი**

გრემის ნაქალაქარი ყვარელის რაიონში, მდინარე ინწობას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, იქ სადაც, მას ერთვის პატარა მდინარე ბოლია (ჭილაშვილი, 1980, 39). გრემის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა 1939-1940 წლებში დაიწყო (ალ. მამულაშვილის ხელმძღვანელობით), და ფართომასშტაბიანი ხასიათი 1963-1967 წლებში მიიღო (პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით). უკანასკნელად, არქეოლოგიური კვლევები ნაქალაქარზე 2011 წელს დ. მინდორაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა, ახალი მუზეუმის მშენებლობისთვის შერჩეული ადგილის შესწავლის მიზნით (ჯამბურია, 2021).

გრემის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ამ ადგილის კახეთის სამეფოს ცენტრად არჩევისათვის. ქალაქი

ჩამოყალიბდა კავკასიონის მთებისა და ალაზნის ხეობის შეერთების ადგილას. გრემი ამ ორი განსხვავებული გეოგრაფიული ზონის გზაჯვარედინზე მდებარეობდა, როგორც დამაკავშირებელი ხიდი ორი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აქტივობისათვის (ჭილაშვილი, 1980, 12-13). აღნიშნულმა ადგილობრივმა ეკონომიკურმა კავშირებმა, საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებთან ერთად, გრემის აღმავლობა განაპირობა, მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა თანადროული ქალაქები დაკნინებას განიცდა (Suny, 1994, 46).

კახეთის სატახტო ქალაქ გრემის არქიტექტურა დეტალურად აქვს აღწერილი პარმენ ზაქარაიას. მისი აღწერილობის მიხედვით, ქალაქს 50 ჰექტარზე მეტი ფართობი ეკავა და რამდენიმე უბნისგან შედგებოდა (ფიგურა 57), მათ შორისაა მეფე-დიდებულთა უბანი, რომელიც ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. მას 20 ჰექტარზე მეტი ტერიტორია ჰქონია დაკავებული. ამ კვარტალში განლაგებული იყო მეფეთა სასახლეები, პავილიონები, საცხოვრებელი სახლები, აბანოები და მრავალი სხვა ნაგებობა. ყველა ეს ნაგებობა დანგრეულია. თუმცა ხაზგასასმელია, რომ გრემის სამეფო უბანი ინახავს არქეოლოგიურ და ისტორიულ ფასეულობებს, როგორც ახლანდელი ისე მომავალი თაობებისთვის, განურჩევლად შემორჩენილი ნაგებობების სტრუქტურული მდგომარეობისა (ჯამბურია, 2021).

გრემის ნაქალაქარზე ყველაზე დომინანტურ ნაგებობას მთავარანგელოზის კომპლექსი წარმოადგენდა. მიუხედავად მრავალი გადაკეთებისა, აღნიშნულმა ანსამბლმა ჩვენამდე მოაღწია. კომპლექსი რამდენიმე ნაგებობისგან შედგება, საეკლესიო ცენტრი და სამეფო რეზიდენცია, ქალაქის თავდაცვითი სისტემა და სამეურნეო ნაგებობები. მთავარანგელოზთა დღეს არსებული ტაძარი ლეონ კახთა მეფემ 1565 წელს ააგო, რასაც მიუითებს ტაძრის დასავლეთ კარის თავზე არსებული ბერძნული წარწერა (ზაქარაია, 1975, 21-23). კახეთის მეფეთა პალატ-სამრეკლო სამეფოს დამოუკიდებლობის პირველივე, 1466-1565 წწ- ში არის აგებული.

გრემის მთავარანგელოზის ტაძარი და სამეფო კოშკი, სახელმწიფოს მიერ UNESCO-ს წინასწარულ ნუსხაშია წარდგენილი (UNESCO, 2007). თუმცა, ხაზგასასმელია, რომ გრემის ძირითად კულტურულ მემკვიდრეობასა და მის ისტორიულ ღირებულებებს წარმოადგენს არა მხოლოდ მთავარანგელოზის ეკლესიისა და სამეფო კოშკის არქიტექტურული გადაწყვეტა, არამედ თავად ადგილის ისტორია და ამ ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებული კულტურული ატრიბუტები, რომლებიც ჩამოყალიბდა იმ დროის სხვადასხვა სავაჭრო ქალაქებთან ურთიერთკავშირის შედეგად (ჯამბურია, 2021).

ქალაქის მესამე, საკვლევი საკითხისათვის ყველაზე საინტერესო, სავაჭრო უბანი, მდებარეობს მთავარანგელოზის ანსამბლის სამხრეთ-დასავლეთით. მას ერთი მხრიდან ქედი ესაზღვრება, სამხრეთით მდ. ინწობას ნაპირი, ხოლო ჩრდილოეთით-მაღალი მთა. დასავლეთ მხარე კი - გაშლილია.

სავაჭრო უბნის გარკვეული ნაწილი შესწავლილია არქეოლოგიურად, დანარჩენი ტერიტორია კი დაზვერილია შურფებით. სავაჭრო უბნის ერთი ნაწილი, კერძოდ, მთავარანგელოზთა ტაძრის ძირში მდებარე ეკლესიის ეზო, შეუსწავლელია (ჭილაშვილი, 1980, 47).

სავაჭრო უბანს 30 ჰექტარამდე ფართობი ეკავა. ამ უბნის ცენტრალურ ნაწილში ბაზარი, ქულბაქები და ქარვასლა იყო. აბანო განაპირას იდგა, ხოლო დანარჩენ ფართობზე სახელოსნოები, საცხოვრებელი სახლები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები იყო განლაგებული. თავის დროზე, გრემში 30-მდე ქულბაქი მდგარა. ქულბაქები აღმოსავლეთ-დასავლეთით დამხრობილი მოგრძო ოთხკუთხედის გეგმარების სავაჭრო ნაგებობების კომპლექსია, სადაც შიდა ეზოში გამავალი ქულბაქები მიჯრითაა ჩალაგებული ოთხივე რიგში. ქულბაქებს ეზოს (500 კვ.მ) ჩათვლით 1400-მდე კვ.მ უჭირავს (ჭილაშვილი, 1980, 49). ეზოს ირგვლივ განლაგებული სათავსოები ერთი სისტემითაა გადაწყვეტილი. შექმნილია ერთი უჯრედი, რომელიც მცირე ვარიაციით მეორდება ოთხივე მხარეს. ეს უჯრედი წარმოადგენს მოგრძო კამაროვან სათავსოს, ხოლო მის წინ იქნება იმავე სიგანის და 1.5 მ სიღრმის აივანი. ვარაუდობენ, რომ პირველი მათგანი

გამოყენებული იქნებოდა გასაყიდი ნივთების საწყობად და შესაძლოა, იქვე ეძინა მეპატრონეს, ხოლო მეორე - სავაჭროდ. ამ აივანზე გააწყობდნენ საქონელს და იქვე იმართებოდა ვაჭრობა. საღამოთი კი ყველაფერი უკანვე შელაგდებოდა. ქულბაქების ამ დახურულ სათავსოებს საცხოვრებლადაც რომ იყნებდნენ ამაზე ნაწილობრივ ისიც მიუთითებს, რომ ყველა სათავსოს საკუთარი ბუხარი ჰქონია (ზაქარაია, 1975, 97). გრემის ქულბაქებზე ისტორიულ წყაროებში არაფერია შემორჩენილი, გარდა XVII საუკუნის ორმოციან წლებში ჩამოსული რუსი ელჩების, მიშენცკისა და კლუჩარევის ანგარიშში არსებული ცნობისა, რომლითაც ირკვევა, რომ ქულბაქებიც შაჰ-აბასის მიერაა დანგრეული და მას შემდეგ ისინი არავის აღუდგენია (ზაქარაია, 1975, 94).

ზაქარაია საფუძვლიანად ფიქრობს, რომ ქულბაქებს აუცილებლად ესაჭიროებოდა დაცვა. ჭიშკარს მცველთან ერთად მებაჟეც უნდა ჰყოლოდა. მებაჟისათვის სათავსო მდებარეობდა ჭიშკართან, ჩრდილოეთის შესასვლელთან, მისი კარი მიმართულია გასასველისკენ და განსხვავდება სხვა სათავსოებისაგან. სწორედ აქ მჯდომი გააკონტროლებდა ბაზარში შემსვლელ-გამომსველეს. ქულბაქები მთლიანად ერთდროულადაა ნაგები, მის კედლებს, ზაქარაის თქმით, გადაკეთება არ ეტყობათ კედლები და კამარები ნაგებია ფლეთილი ქვით. კამარისა და კარის ფორმები შეისრულია (ზაქარაია, 1975, 97-98).

რაც შეეხება ქარვასლას, ის მდებარეობს ქულბაქების აღმოსავლეთით. ქარვასლის გეგმა ზუსტად არ იკითხება, მაგრამ საძირკველების ნაშთების მიხედვით დაგეგმარების სისტემის აღდგენა შესაძლებელი გამხდარა. გრძელი შენობის ორივე მხარეს განლაგებულია სათავსოები ერთ რიგად. შუაზე კი განიერი ტალანი ყოფილა. ქარვასლაში შესასვლელი აღმოსავლეთიდან ცენტრში ყოფილა. მისი სიგანე 2, 5 მეტრია. ზაქარაიას (1975, 100) აზრით, ასეთი სიგანე შეიძლება ტრანსპორტისთვის იყო გათვალისწინებული.

ქარვასლის აღდგენილი გეგმის მიხედვით, დერეფნის ორივე მხარეს 32 ოთახია გამართული, 16-16 თითოეულ რიგში. ქარვასლა უშუალოდ უკავშირდება ქულბაქებს საგანგებოდ შესასვლელით (ჭილაშვილი, 1980, 53).

გრემის ქარვასლა და სავაჭრო ნაგებობათა კომპლექსი ჩართული იყო დიდ სავაჭრო ორბიტაში, რომელშიც გაერთიანებული იყო ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრები. გრემის ქარვასლა-ფუნდუკები ქარავანების გასაჩერებელ ადგილს წარმოადგენდა, სადაც მგზავრს შეეძლო თავშესაფარის მიღება და საჭირო სურსათით მომარაგება (ჭილაშვილი, 1980, 56).

აღსანიშნავია, რომ გრემის სავაჭრო უბანი დასახლებული იყო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებით, მათ შორის სომხებითა და ებრაელებით. მაცხოვრებლების ასეთი სიჭრელე დამახასიათებელია ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმული დასახლებებისათვის (ჭილაშვილი, 1980, 152)

გრემის ნაქალაქარის მეოთხე უბნად შეგვიაძლია ე.წ. სამების ანსამბლი მივიჩნიოთ, რომელსაც უთუოდ ქალაქის დაცვის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ამას მისი მდებარეობა ადვილად ამტკიცებს. ანსამბლი განლაგებულია სავაჭრო უბნის ჩრდილოეთ მხარეს, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმული კლდოვანი ქედის ერთი, ყველაზე მაღალი ნაწილი, რომლის დაბოლოებაზე მთავარანგელოზის ტაძარია განლაგებული და რომელიც ზემოდან დაჰყურებს ქულბაქებს. თავდაცვითი ანსამბლის კომპონენტებია, ეკლესია, დარბაზი, კოშკი და წყალსადენი (ჭილაშვილი, 1980, 108-111; ზაქარაია, 1975: 132-138).

აღსანიშნავია, გრემში აღმოჩენილი ინტენსიური წყალმომარაგების სისტემა და რამდენიმე წყლის არხი, რომლებიც საჭირო იყო ამ მჭიდროდ დასახლებული ქალაქის, მისი აბანოებისა და აუზების მომარაგებისათვის. ლოპოტას ხეობიდან გრემში ჩამოსული კერამიკული წყლის არხების კვალი მიუთითებს, რომ წყალმომარაგების თვალსაზრისით ქალაქი მხოლოდ ინწობასა და ბოლიას მდინარეებზე არ იყო დამოკიდებული. ვარაუდობენ, რომ მცირე არხები გამოიყენებოდა სასმელად, დიდი არხები კი სასოფლო სავარგულების მოსარწყავად. 1938-1939 წლებში ჰიდროტექნიკოსთა ჯგუფის მიერ ჩატარებული წყალმომარაგების სისტემის კვლევის თანახმად, არხს შეეძლო 4000 ჰექტარი

მიწის მორწყვა, აქედან 2900 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო იყო (ჭილაშვილი, 1980: 152-153).

არქეოლოგიური მონაპოვარი გრემის ნაქალაქარიდან თუმც მცირერიცხოვანია, მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ნაქალაქარზე აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის შავად მოხატული და ფირუზისფრად შემკული, მოშავო, მონაცრისფროდ მოხატული და გამჭვირვალე ჭიქურით შემკული, კობალტით მოხატული და სხვადასხვა ტიპის კერამიკა, ფაიანსი, ე.წ. „ჰომბრუნის ჭურჭელი“ და ა.შ. ისინი ეკუთვნის ირანის თიხის წარმოების სხვადასხვა ცენტრების ქაშანის, ქირმანის, მეშჰედისა და იეზიდის პროდუქციას (ჭილაშვილი, 1980, 133-136).

აქ დადასტურებული ჩინური ნაწარმისა და ჩინური ნაწარმის მინაბაძებიდან ერთ-ერთი გამორჩეული მონაპოვარია ფაიფურის მომცრო ფიალის, ქუსლმოღარული ძირის ნაწილი. ძირზე ორ კონცეტრულ წრეში ჩასმული ჩინური იეროგლიფებია გამოსახული. წრეები და იეროგლიფები კობალტითაა გამოყვანილი. იეროგლიფის თარგმანია „მარადიული გაზაფხული“ (იუნ ჩუნ). ჩინურ ნაწარმს მიაკუთვნებებენ, ასევე, აქ აღმოჩენილ ფაიფურის პირგადაშლილ ჯამის ფრაგმენტს. მისი ფსკერიც მოხატულია კობალტით და გამოსახულია ჩინური ორნამენტისთვის დამახასიათებელი მცენარეული მოტივი - ატმის ყვავილები და ტიპიური ჩინური მრავალსართულიანი სახლი (ფიგურა 58). ჩინური ნაწარმის სპარსულ მინაბაძადაა მიჩნეული გრემში აღმოჩენილი სქელკედლიანი, პირგადაშლილი ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, რომელიც მოხატული ყოფილა კობალტის საღებავებით (ჭილაშვილი, 1980, 136).

გრემში სხვა იმპორტულ ნაწარმს შორის გვხვდება სელადონის ჭურჭლის ნატეხებიც, როგორც ჩინური ნაწარმი, ასევე მინაბაძებიც. ჩინურ ნაწარმს მიეკუთვნება მოზრდილი ჯამის პირ-გვერდის ნატეხი, რომელიც დაბალი რელიეფით არის შემკული და მოჭიქულია მომწვანო-მონაცრისფრო მაღალხარისხოვანი ჭიქურით. სპარსულ მინაბაძებს კი მიეკუთვნება ორი ჭურჭლის ნატეხი. ერთი ჯამის გვერდი ნაწილია, ვარდისფერი კეცითა და ორივე მხარეს მწვანე ჭიქურით. მეორე უკეთესი წიქურით

ხასიათდება, ჭურჭლის ზედაპირიც უფრო გლუვია. ასეთი ხარისხი მინაბაძებს სპარსეთის ქალაქბში, მათ შორის ქირმანში ამზადებდნენ (ჭილაშვილი, 1980, 137-138).

- **ზაგემი**

ზაგემი იგივე ბაზარი მდებარეობდა დღევანდელი ქ. ბელაქნიდან 16 კმ-ის დაშორებით, რომელიც ახლა აზერბაიჯანისა სახელმწიფო საღვრებშია. ბაზრის ეკონომიკურ დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა სიახლოვემ აბრეშუმის სავაჭრო გზასთან. სავაჭრო ქალაქს გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა შაქსა და შემახასთან. რუსი დიპლომატების ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ისე როგორც გრემში აქაც უნდა ყოფილიყო ქარვასლა და ქულბაქები. ზაგემში დასტურდება ზარაფხანის არსებობაც, სადაც მონეტები იჭრებოდა, ძირითადად ილხანი მმართველების სახელებით (ჭილაშვილი, 1980, 157-181).

სადაზვერვეო ჭრილებით გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის შემადგენლობა გრემის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მასალის მსგავსია, აქაც აღმოჩენილია ფაიანსი ჭურჭელი, ძირითადად კობალტით მოხატული ჯამები, წითელლაკიანი მოჭიქული ჭურჭლები და სხვა. ფაქტია, რომ კახეთის სამეფოს ორივე ქალაქის კულტურულ ცხოვრებას ერთიანი ტრადიციები ედო საფუძვლად.

- **სავაჭრო მიმართულებები**

საქართველოს სპარსეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან დამაკავშირებელი ორი მარშრუტი არსებობდა. პირველი განჯის გზით მიემართებოდა, რომელმაც ძველი ბარდავის გზა შეცვალა. მეორე, რომელსაც ჭილაშვილი (1980) პირობითად გრემის გზას უწოდებს, კახეთის ქალაქებს გაივლიდა (ფიგურა 59). ამ საქარავნო გზის მთავარი მონაკვეთი იყო გრემი-შემახა (ფიგურა 60), რომლითაც ხორციელდებოდა კავშირურთიერთობა სპარსეთთან, დაღესტანთან, და რუსეთთანაც (ასტრახანით).

გრემიდან შემახამდე მოგზაურობას ათი დღე, ხოლო შემახიდან დერბენდამდე მანძილის დაფარვას ექვსი დღე სჭირდებოდა. ამრიგად, გრემიდან წამოსული ქარავანი დერბენდამდე მოგზაურობას 16 დღეს მოანდომებდა.

არქეოლოგიური დაზვერვების, ტოპოგრაფიული მონაცემების, ტოპონიმიკისა და ასევე, უცხოელი ელჩების ჩანაწერების მეშვეობით, ჭილაშვილმა (1980, 232-248) დეტალურად აღადგინა მარშრუტი გრემიდან შემახამდე:

I **დღე: გრემი → გავაზის მონაკვეთი**

ჭილაშვილის გამოკვლევის თანახმად, გრემის შემდეგ პირველი სადგური რომელიც მგზავრს შეხვდებოდა იყო გავაზი, სადაც შუა საუკუნეებში მეურნეობის წამყვანი დარგი და სავარაუდოდ, ძირითადი სავაჭრო პროდუქციის სახეც მევანახეობა-მეღვინეობა იყო. აღსანიშნავია, რომ გავაზის ერთ-ერთ უბანში გათხრილი ვრცელი ღია სადგომი, რომელსაც სქელი კედლები ჰქონდა, ქარვასლადაა მიჩნეული და გრემის გზასთანაა დაკავშირებული. ქარვასლის შემორჩენილი ნაშთების მიხედვით დადგინდა, რომ შიდა ფართობი 576მ იყო (ჭილაშვილი, 1980, 235). სოფ. გავაზში გამოვლენილია სამაროვანი, რომელიც შეიცავს როგორც განვითარებული, ისე მოგვიანო ხანის მასალებსაც (მინდორაშვილი, 2015, 111).

გრემსა და გავაზს შუა მდებარეობდა ყვარელი, სადაც ზოგჯერ ჩერდებოდნენ მგზავრები. მაგალითად, 1639 წელს რუსი ელჩები გავაზში გამგზავრებამდე გრემიდან წამოსულები, ყვარელში დაბინავებულან ერთი ღამით.

II **დღე: გავაზი → თოღას მონაკვეთი**

გავაზიდან გზა მიემართებოდა ალაზნის ველით, ჩაუვლიდა არეშის ბოლოს, შემოუვლიდა მთისძირს დღევანდელი ბაისუბნის ბოლოზე, გადაჰკვეთდა არეშის წყალს, კაბლას წყალს, ნეინის წყალს, ლაგოდეხის წყალს და მდ. მაჭის წყალთან გამოვიდოდა. ეს იყო გრემიდან წამოსული მგზავრის მეორე დღის მონაკვეთი. რაც შეეხება სადგურს, ის ჭილაშვილს მაჭისწყლის მიდამოებებში აქვს საგულვებელი, რასაც ორი მიზეზით ხნის,

1) ეს ადგილი გავაზიდან ზუსტად ერთი დღის სავალით, 30 კმ-ით არის დაცილებული.
2) ნასოფლარის არსებობა. მდინარის მაჭის წყლის მარჯვენა მხარეს, თანამედროვე სოფ. ცოდნის ბოლოში ჭილაშვილის ექსპედიციის რაზმა ცენტრალური გზიდან 2 კმ-ზე მიაკვლიეს რიყის ქვით ნაგებ ოთხკუთხა ნაგებობას, რომელსაც გავაზის ნაქარვასლარის მსგავსი გეგმარება ჰქონდა. ნაქარვასლარიდან 1 კმ-ზე აღმოჩნდა მცირე ზომის აბანოსა და ასევე დასახლების ნაშთები.

ჭილაშვილი აღნიშნულ საგზაო სადგურსა და დასახლებას აკავშირებს მისგან ჩრდილოეთით 6-7 კმ-ზე მდებარე თოღას სამეფო რეზიდენციასთან. ცნობილია, რომ ალექსანდრე კახთა მეფე ყოველწლიურად ჯარების წრთვნას აწარმოებდა თოღასა და ნაქალაქარს შორის არსებულ ტერიტორიაზე, მაწეხის წყლის გასწვრივ. ნაქარვასლარსა და ნააბანოვარს, ასევე აქ არსებულ დასახლებას, ჭილაშვილი სოფ. თოღას ნაწილად მიიჩნევს.

ნიშანდობლივია, რომ გავაზი → თოღას მონაკვეთზე ნაგზაური და აგურის საფარის ნაშთები არის დაფიქსირებული არეშის ბოლოს, და ასევე ხოშატიანთან. ამ უკანასკნელში გზის დამცველი კოშკიც აღმოუჩენიათ.

III დღე: მაჭისწყალი/თოღა → ზაგემი

გრემი შემახის გზაზე, თოღა-ზაგემის მონაკვეთი ჭილაშვილის აზრით, ყველაზე რთულად გასავლელი უნდა ყოფილიყო, რადგან მგზავრს მოუხდებოდა არაერთი ნაკადულისა თუ მდინარის გადალახვა. მაწეხის წყლიდან გზა იცვლის გეზს და ის ვაკეზე გადადის, გაივლის სამეფო რეზიდენციას - ბოეთანს, გადაკვეთს ბელაქნის წყალს, შემდეგ კატეხის წყალს, გაივლის ძველ რუსთავს და მიადგება ზაგემს. გზის ამ მონაკვეთზე არაერთი ხეობა ჩამოდის მთიდან, მათ შორის, ბელაქნის, კატეხის, ფიფინეთის (ჭარი-ზაქათალის), მუხახის, მამრუხის და სხვა წყლებს. მუხახის ხევის განშტოებები უშუალოდ ზაგემზე მოდიოდა.

IV დღე: ზაგემი → კაკი

ზაგემის შემდეგ ქარავნების გასაჩერებელი ადგილი იყო, მისგან ერთი დღის სავალით დაშორებული კაკი. კაკი, ისე როგორც, ამ გზაზე მდებარე სხვა პუნქტები ორგვარ

როლს ასრულებდა. ერთი მხრივ, ის გრემის გზის აქტიური ლოკაცია იყო, მეორე მხრივ კი შუალედურ რგოლს წარმოადგენდა მთავარ მაგისტრალსა და კავკასიონის მთიანეთს შორის. იმ გზის მეშვეობით, რომელიც მოემართებოდა წახურიდან სირუბაშის და ელუსის გავლით.

აღსანიშნავია, კაკის ზევით, ელისუს გზაზე, ქურმუხის წყალზე გადებული ე.წ. თამარის ხიდი. კაკი უკვე XX საუკუნის 80-იან წლებში მჭიდროდ დასახლებული ყოფილა და სავაჭრო გზასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლების ნაშთები აღარ იძებნებოდა. ზაგემსა და კაკს შორის ზუსტი მარშრუტის დადგენა სირთულეებთანაა დაკავშირებული. ჭილაშვილის ვარაუდით, თუ მარშრუტი ძველ გზას ნაწილობრივ მაინც ემთხვეოდა, მგზავრი ლეკით (ლექთარი) → ყუმი → სოსიკაანთ მონაკვეთს გაივლიდა.

V დღე: კაკი → შექი

კაკიდან გზა კავკასიონის კალთებს მიუყვებოდა ვიდრე შემახამდე მიაღწევდა. კაკიდან ერთი დღის სავალზე, ოხუთისა და გიშის შემდეგ გზა მოადგებოდა შექს, რომელიც ცნობილი ქალაქი და ადმინისტრაციული პუნქტი იყო. შექში აბრეშუმის წარმოება და ვაჭრობა XIX საუკუნემდე გაგრძელდა. 2019 წლიდან „შექის ისტორიული ცენტრი ხანის სასახლით“ UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების (ii) და (v) კრიტერიუმების საფუძველზე (UNESCO, 2019, 287)

VI დღე: შექი → ხალხალა ან ხაჩმაზი

გზის შემდეგი მონაკვეთი შაქიდან მთისძირებით მიემართებოდა და ერთი დღის სავალი მანძილი სრულდებოდა ხალხალაში ან ხაჩმაზში. რუსეთის ელჩებს 1639 წელს, ხალხალაში გაუთევიათ ღამე, ხოლო 1641 წელს - ხაჩმაზში. ორივე სოფელი მდებარეობს დღევანდელი ოღუზის (ყოფილი ვართაშენი) რაიონში. ისინი ერთმანეთისგან 6-7 კმ-ით არიან დაშორებული. სამწუხაროდ, სასტუმრო სახლის ნაშთები არცერთ სოფელში არ შემორჩენილა, XX საუკუნის მეორე ნახევარში მსგავს ნიშნებს ვერ მიაკვლიეს.

VII დღე: ხალხალა ან ხაჩმაზი → სალამ-საბურთი/კაბალა/ კუტკაშენი

მეშვიდე დღის სავალი მონაკვეთის გასაჩერებელი ადგილი რამდენიმეა, სალამ საბურთი, ალბანეთის დედაქალაქი კაბალა, და კუტკაშენი.

VIII დღე: სალამ-საბურთი/კაბალა/კუტკაშენი → ხანეგა (ისმაილის რეგიონი)

თუ მგზავრი გასაჩერებელ მიმართულებად კაბალას აირჩევდა, გზის სამხრეთით დარჩებოდა საბური, რომელიც ასევე ასრულებდა სადგურის ფუნქციას.

IX დღე: ხანეგა → აღ-სუ

ხანეგას შემდეგ გზა გადაჰკვეთდა გარდამ ჩაის, იგივე გარდაბნის წყალს, რომელიც მნიშნელოვან ხეობას მოიცავდა და ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში მძლავრ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. აღნიშნული საქარვნო გზის გამოკვლევის დროს, ჭილაშვილი ყურადღებას ამახვილებს, გარდმანისა და აღ-სუს (თეთრი წყლის) წყალსგამყოფ ზეგანზე, სადაც მდ. აღ-სუს მარჯვნივ, მაღალ მთაზე ქართველთა ნასახლარების ლოკალიზებას ახდენს, ტოპონიმით გიურჯივარი.

X დღე: აღ-სუ → შემახა

გზის ბოლო მონაკვეთია აღ-სუ (თეთრი წყალი) - შემახა. შემახა აზერბაიჯანის უძველესი ქალაქია, რომელიც IX-XVI საუკუნეებში შირვანის სატახტო ქალაქი და მნიშვნელოვანი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი იყო.

გერმანელი მოგზაურისა და დიპლომატის, ადამ ოლეარიუსის (1599-1671) თანახმად, რომელიც შირვანს ეწვია 1630-იან წლებში, შამახა სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილებისგან შედგებოდა. ორივე მხარე გარშემორტყმული იყო კედლებით. შემახის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ თურქები, სომხები და ქართველი, მაგრამ ყველა მოსახლე თურქულ ენაზე ლაპარაკობდა, რაც საერთო უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ შირვანის არამედ მთელი სპარსეთისთვის. ქალაქის ამ ნაწილის მკვიდრთა ძირითადი საქმიანობა იყო რთვა, ქარგვა და ქსოვა აბრეშუმისა და ქაღალდის გამოყენებით (Mustafayev, 2018).

შემახის მთავარი ბაზარი სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა, სადაც რამდენიმე რიგად იყო გაწყობილი დუქნები და სავაჭრო კარვები. აქ ძირითადად აბრეშუმისა და

ბამბის ქსოვილი, ვერცხლის და ოქროს ფარჩები, მშვილდი, ისრები და სხვა ხელნაკეთობები იყიდებოდა. ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა ასევე ორი დიდ დუქნებიანი ქარვასლა, სადაც უცხო ქვეყნის ვაჭრები ჰყიდდნენ თავიანთ პროდუქციას. პირველის სახელია შაჰ-ქარვასლა. აქ ძირითადად ჩერდებოდნენ რუსები და ცვლიდნენ ტყვიას, ტყავს, შევარდენებს და სხვა. მეორეს ერქვა „ლეკების ქარვასლა“ ან „თათრების სახლი“, სადაც ჩრდილო კავკასიელები (დაღესტნელები, ჩერქეზები, თათრები) ვაჭრობდნენ ცხენებით, მოტაცებული ბავშვებითა და ტყვეებით (Mustafayev, 2018, 39-40).

ჰოლანდიელი მოგზაურის, იან სტრეისის ცნობების თანახმად, შემახის ეკონომიკურ ცხოვრებაში ქართველებიც დიდ როლს ასრულებდნენ. ქალაქის ერთ-ერთ ნაწილში უნდა ყოფილიყო გიურჯი-ბაზარი ე.ი ქართველთა ბაზარი, რომელიც ამ სახელწოდებით საგანგებოდაა აღნიშნული 1902 წლის 31 იანვარს მიწისძვრით დანგრეული შემეხის, დ. ერმაკოვის კუთვნილ ფოტო-დოკუმენტაციაში (ჭილაშვილი 1980, 249).

ცხადია, შემახი არ იყო გრემიდან და სხვა ადგილებიდან მოსული ვაჭრების საბოლოო დანიშნულების ადგილი. შემახში სხვადასხვა მიმართულებით იყრებოდა გზები → დარუბანდისკენ → სპარსეთისკენ და → ბაქოსკენ.

- **შემახა → დარუბანდი**

გზა შემახიდან დარუბანდისკენ ერთ-ერთი უძველესია ამიერკავკასიაში და წარმატებით მოქმედებდა გვიან შუა საუკუნეებშიც. მისი ცალკეული მონაკვეთების მიმართულებაც თითქმის ყოველთვის მყარი იყო, მცირეოდენი ცვლილებების გარეშე. უმოკლესი გზა შემახიდან დარუბანდამდე გადიოდა აღ-სუზე (თეთრი წყალი), შემდეგ გარდაბნის ხეობით და ლაიჯის მთების გადასასვლელით. აღნიშნული გზით დარუბანდს შეიძლებოდა მისვლა 4-5 დღეში. მაგრამ ეს გზა ძნელად სავალი იყო ზამთრის თვეებში და თანაც გვიან შუა საუკუნეებში ამ გზას ნაკლებად ირჩევდნენ დიდი გადასახადების გამო (ჭილაშვილი, 1980, 249).

ნიშანდობლივია, რომ შემახა დარუბანდის ტრასა წარმატებით მოქმედებდა ადრეც. რომ არაფერი ვთქვათ სულ უძველეს ფენებზე IX-X სს. არაბი გეოგრაფები ამ გზას უკვე სრულიად ჩამოყალიბებულსა და კარგად გაკვალულს წარმოგვიდგენდნენ. ეს იყო კარგად ცნობილი ბარდავ-დარუბანდის მარშრუტის ერთი მონაკვეთი. XVI-XVII სს-ში, ადრეული შუა საუკუნეების ამიერკავკასიის მთავარ ქალაქს ბარდავს ცვლის შემახა, და ამიერკავკასიიდან უკვე აქედან ხდებოდა სავაჭრო-საქარავნო მარშრუტების ათვლა.

მეორე შედარებით გრძელი გზა, შემახიდან დარუბანდისკენ ორი დღის სავალ გზაზე მთებით მიდიოდა. აქ ქარავანს უნდა გაევლო კოტანი (ერთი დღის სავალი), შემდეგ იახარ-ბახარის გადასასვლელით (ი. სტრეისის მიხედვით ბახალი) და ხანაგეს გავლით გადიოდა კასპიის ზღვაზე. ამ ადგილის ზუსტი განსაზღვრა ვერ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ა. ოლეარი და ი. სტრეისი ნიშნულად მიუთითებენ მთის სახელს - პარმახს (თუ ბარმახს). მთა ზღვიდან ახლოსაა და აქვე ქარვასლაც ყოფილა (ჭილაშვილი, 1980).

ამის შემდეგ გზა კასპიის ნაპირებს მიჰყვებოდა. ზღვაზე პირველი სადგური იყო შაბირანი, შემდეგ ნიაზაბადი. მისი მდებარეობა ა. ოლეარისა და ი. სტრეისის მონაცემებზე დაყრდნობით ჭილაშვილმა დივიჩის მიდამოებში განსაზღვრა. შამახიდან ნაზიბადში მოგზაურობას 5 დღე სჭირდებოდა, ნაზიბადდან ასტრახანამდე კი - მანძილი ნავით ხუთიდან ცხრა დღეში იფარებოსა, სეზონის და გარემოების გათვალისწინებით (Matthee, 1999, 55).

შაბირანიდან ტრასა კვლავ ზღვისპირეთს მიყვებოდა და ის თითქმის უცვლელი იყო, თუმცა გზაზე მდებარე პუნქტების განსაზღვრა ჭირს სახელთა ხშირი ცვალებადობის გამო. ბოლო დღის სავალი სამი მდინარის გადაკვეთას მოითხოვდა, ესენია სამური, კოსტარი და კურგანი. ჯერ კიდევ არაბი გეოგრაფების ცნობით, მდ. სამურზე გზასთან დაკავშირებით საგანგებო პუნქტი აღმოცენებულა და მას ჯისრ-სამურს (სამურის ხიდს) უწოდებდნენ.

ა. ოლეარი და ი. სტრეისის გადმოცემით შემახასა და დარუბანდს შორის მანძილის დაფარვას ექვსი დღე სჭირდებოდა, რადგან დიდი დრო მიჰქონდა შემახამდე ორ

მონაკვეთზე მთების გადალახვას, თუმცა გზა კეთილმოყობილი იყო და ყოველდღიურად გზის მონაკვეთი ბოლოს, როგორც ეს სპარსეთში იყო მიღებული, ქარვასლები ყოფილა მოწყობილი (ჭილაშვილი, 1980).

ამრიგად, გრემიდან 16 დღიანი მგზავრობის შემდეგ, ქარავანი დარუბანდს-კავკასიის კარს მოადგებოდა. აქედან მგზავრობა შესაძლებელი იყო ზღვით, ასევე ხმელეთით, მარშრუტის მიხედვით. მაგ. ევროპელი ვაჭრები, რომლებიც მოსკოვის გავლით მოდიოდნენ დარუბანდში, ძირითადად წყლის გზით სარგებლობდნენ (მდ. მოსკოვი, ვოლგა, კასპიის ზღვა) კავკასიის ეკონომიკური და პოლიტიკური ათვისებისთვის ბრძოლაში დარუბანდის კარი კვლავ უმთავრესია და XVI-XVII საუკუნეებში ის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს, ერთი მხრივ, ირან-ოსმალეთის, და მეორე მხრივ, რუსეთის მესვეურებთან. ძველი ქალაქი დარუბანდი (დერბენდი), მისი ციტადელი, ციხესიმაგრე და ნაგებობები შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების (iii)(iv) კრიტერიუმების საფუძველზე (UNESCO, 2003, 113).

- **შემახა → სპარსეთის ქალაქები**

შემახიდან მეორე მნიშვნელოვანი გზა სამხრეთისკენ არდებილში (დღევანდელი ირანი) მიემართებოდა და მისი გავლით სპარსეთის არაერთ ქალაქს უკავშირდებოდა (Mustafayev, 2018, 39-40). ამ გზით უკავშირდებოდნენ კახეთის ქალაქები სპასეთის სავაჭრო ცენტრებს. ამავე ტრასას იყენებდნენ ჩრდილოეთიდან, ასტრახანის გზით მომავალი ქარავნებიც, რომლებიც სპარსეთს მიადგებოდნენ. ეს გზა გამოუყენებიათ მაგალითად, 1636 წ. ჰოლშტინის საელჩოს წევრებს, 1661-63 წლებში ინგლისელ ვაჭარს ჯენკინსონს, და 1670 წელს ჰოლანდიელ მოგზაურ იან სტრეისს (ჭილაშვილი, 1980). შემახიდან არდებილში მისვლას რვა დღე სჭირდებოდა (Matthee, 1999, 55), ამრიგად, გრემიდან არდებილში გამგზავრებას ქარავანი 18 დღეს მოანდომებდა (ჭილაშვილი, 1980, 252).

არდებილი შუა საუკუნეების ცნობილი ქალაქი და სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრია, რომლის დაწინაურებაში მის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი წვლილი მიუძღვის. ი. სტრეისის გადმოცემით, არდებილი სავსე იყო მომსვლელ-წამსვლელი ვაჭრებით გილანიდან, ქურდისტანიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან (ჭილაშვილი, 1980, 252).

2010 წლიდან არდებილის ისტორიულ-არქიტექტურულ კომპლექსი (XVI-XVII სს.), შეიხ სეფი-ად-დინის მავზოლეუმი შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების (i) (ii) (iv) კრიტერიუმების საფუძველზე (UNESCO, 2010, 202).

არდებილიდან ორი გზა მიდიოდა, დასავლეთით თავრიზისკენ და სამხრეთ-აღმოსავლეთით ყაზვინისა და კ/ქაშანისკენ (ფიგურა 60). გილანის პროვნიციიდან აბრეშუმი კასპიის ზღვითაც გადაჰქონდათ ასტრახანში (Matthee, 1999, 54). გრემიდან თავრიზამდე 22 დღის სავალი იყო (ჭილაშვილი, 1980, 252). თავრიზის ბაზარიც UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი, გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების (i)(ii)(iv) კრიტერიუმების საფუძველზე (UNESCO, 2010, 204).

ტრასა შემახიდან არდებილამდე, მცირეოდენი განსხვავების გარდა, თითქმის სტაბილური იყო. შემახის მთების შემდეგ მგზავრი გადიოდა მტკვრისპირეთისა და მუღანის ველებს, შემდეგ კი ლენქორანის მთებით უკვე არდებილში ჩადიოდა (ჭილაშვილი, 1980).

9. დასკვნა

სულ უფრო მზარდად გლობალიზებულ მსოფლიოში კულტურული მემკვიდრეობა აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ – პოტენციურად საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ფასეულობად. თითოეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ღირებულებით, რომელსაც მას მიაეკუთვნებენ. გრემის ისტორიული წარსულის დეკონსტრუქციამ სხვაგვარად წარმოაჩინა მისი პერსპექტიული საერთაშორისო პოტენციალი, გასხვავებით UNESCO-ს

წინასწარულ ნუსხაში წარდგენილისაგან. კულტურის მატერიალურ და ხელშესახებ მანიფესტაციებზე კონცენტრაცია კვლავ ზღუდავს ლანდშაფტის წარმოსახვასა და მის ინტერპრეტაციას (Baird, 2017, 5-6). გრემის ლანდშაფტის ისტორიული წარსულის გააზრებაზე ორიენტირებული მიდგომა ცხადყოფს, რომ უპირატესად ქალაქის საუკეთესოდ შემონახულ ნაწილებზე, მაგალითად, მთავარანგელოზთა ეკლესიასა და მის მომიჯნავე სამეფო კოშკზე, ფოკუსირება მნიშვნელოვანწილად ავიწროებს ამ ადგილის არსის წარმოდგენასა და გადმოცემას. მეორე მხრივ კი, გრემის წარმოჩენა როგორც აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული პუნქტისა, მის შესახებ უფრო სრულყოფილი და მდიდარი ამბის გადმოცემის საშუალებას იძლევა და წინ წევს ყველა იმ ღირებულებას, რომელიც მას შეიძლება მიენიჭოს, მათ შორის, სიმბოლური, ასოციაციური, ისტორიული, არქეოლოგიური და სხვა. ამასთან, აშკარაა, რომ გრემის ისტორიული ლანდშაფტი განმხოლოებულად ვერ ჩაითვლება როგორც აბრეშუმის გზის განსაკუთრებული კულტურული მანიფესტაცია. ამ შემთხვევაში, შეიძლება განხილულ იქნას სერიული ნომინაციის შემუშავების იდეა, რომელიც ასახავს კონკრეტულ გეოკულტურულ სისტემას (ჯამბურია, 2021).

აბრეშუმის გზების სერიული ნომინაციებისთვის ღირსშესანიშნავი ძეგლებისა და ლანდშაფტების შერჩევის მიზნით, აბრეშუმის გზების თაობაზე ICOMOS-ის თემატური გამოკვლევა რეკომენდაციას უწევს დერეფანზე დაფუძნებულ მიდგომას (თავი 3.3.2), რომელიც საშუალებას იძლევა ერთი ნომინაციის ფარგლებში შეკრიბოს სავაჭრო ქალაქები მათი ყველა კომპლექსური ატრიბუტებით, მცირე მასშტაბის ძეგლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომლებიც ხელს უწყობდა ვაჭრობასა და ტრანსპორტირებას, და ასევე აბრეშუმის გზების მრავალფეროვანი მანიფესტაციები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ სფეროებთან (Williams, 2014, 58). კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითა და ეკოგეოგრაფიული საფუძვლების გათვალისწინებით, გრემს შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს ორი სერიული ნომინაციის პროექტს აზერბაიჯანის, ირანისა და თეორიულად რუსეთის ზოგიერთ ძეგლთან ერთად (ჯამბურია, 2021).

პირველი ვარიანტი პროექტის შემუშავებისათვის შეიძლება იყოს გრემი-შემახა-არდაბილის მარშრუტი, შესაბამისი ძეგლების ჩართვით, აზერბაიჯანიდან და ირანიდან. მეორე ვარიანტი იქნება გრემი-შემახა-დერბენდის მარშრუტი აზერბაიჯანისა და რუსეთის წევრ-სახელმწიფოებთან თანამშრომლობით. თუმცა ეს უკანასკნელი არ ჩანს რეალისტური რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობისა და გაყინული კონფლიქტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, აქ მთავარი საკითხი, რომელიც ორივე მარშრუტისთვის მნიშვნელოვანია, არის ფიზიკურ მტკიცებულებათა და არქეოლოგიურ მასშტაბთა დემონსტრირება (ჯამბურია, 2021).

გრემი-შემახა-არდაბილის აბრეშუმის გზის დერეფნის საცდელ სიაში წარდგენის პერსპექტივა დამოკიდებულია მემკვიდრეობის რესურსების სათანადო ცოდნასა და ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობაზე. აშკარაა, რომ საჭიროა, შემდგომი კვლევებისა და დაზვერვების ჩატარება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და ადგილობრივ ექსპერტთა მონაწილეობით, მემკვიდრეობის რესურსების დასადგენად გრემი-შექის მონაკვეთზე, განსაკუთრებით გავაზში, არეშში, თოღაში, ზაგემში, კახში, შემახასა და არდაბილს შორის არსებულ მონაკვეთზე და მის მიღმა ირანში. აღნიშნული მარშრუტის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არაერთი პოტენციური ძეგლი ნაკლებად არის შესწავლილი, ხოლო ზოგი კი ცუდად არის შემონახული. კარგად შესწავლილი და კარგად დაცული ძეგლები, როგორებიცაა, შექი (UNESCO 2019, 287), არდაბილი და თავრიზი (UNESCO, 2010, 202-204), უკვე ინდივიდუალურად არის შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (Jamburia 2022a).

გრემის ნომინაცია აბრეშუმის გზების ტრანსსასაზღვრო პროექტის ფარგლებში რთული ამოცანაა და ის ბევრ გამოწვევას ქმნის, რომელთა გადალახვას შესაძლოა დიდი ძალისხმევა დასჭირდეს, აბრეშუმის გზების კონცეფციის ფიზიკური მანიფესტაციების დაზიანების ან განადგურების გამო. თუმცა, გრემის ისტორიული ლანდშაფტის, როგორც აბრეშუმის გზების ერთ-ერთ განშტოებაზე მდებარე სავაჭრო ცენტრის, კომპლექსური ღირებულებები უნდა იქნეს არა უგულვებელყოფილი, არამედ – ხაზგასმული და წინწამოწეული, მისი ნომინირების შემთხვევაში. ამ კუთხით სასარგებლო იქნება, რომ

საქართველომ მჭიდროდ ითანამშრომლოს აზერბაიჯანთან, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ნაკლებად წარმოდგენილ ქვეყანასთან, შემოთავაზებული დერეფნის (გრემი-შემახა) გასწვრივ მდებარე ძეგლების პოტენციალის იდენტიფიცირებისა და შეფასების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას „გამორჩეული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების“ დასაბუთება და სამომავლო კულტურათშორისი თანამშრომლობის განვითარებისათვის შესაძლო გზების ერთობლივად დასახვა (ჯამბურია, 2021).

გრემის მაგალითი შეიძლება განზოგადდეს სხვა ძეგლებსა და მარშრუტებზე. აბრეშუმის გზების სერიულ ნომინაციაში კავკასიის რეგიონის ჩართულობა განსაკუთრებულ მრავალფეროვნებასა და განზომილებას შესძენს მსოფლიო მემკვიდრეობის ტრანსნაციონალურ პროექტს, რითაც თვალსაჩინო გახდება, რომ ისტორიული აბრეშუმის გზები ბევრად უფრო ფართო მასშტაბებსა და გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა, ვიდრე ეს აკადემიური წრეებისა და საზოგადოების აღქმასა და წარმოსახვაშია ასახული (ჯამბურია, 2021).

ამ მიმართულებით მსჯელობა და იდეის განხორციელებისკენ მიმავალი გზაც კი პირველივე ეტაპიდან ქმნის საერთაშორისო კვლევითი პარტნიორობის, კოლაბორაციისა და კულტურული დიპლომატიისათვის სივრცეს. დღეს, თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ერთი მხრივ მასობრივი ტურიზმი, მეორე მხრივ ომი, აგრესია და პოლარიზაცია ფართოდ იკიდებს ფეხს, მნიშვნელოვანია, რომ ისტორია, არქეოლოგია და საბოლოო ჯამში, კულტურული მემკვიდრეობა წარმოჩენილი და გამოყენებული იქნას მდგრადი კულტურული ტურიზმის, ნიშური ტურიზმისა და კულტურათა შორის ურთიერთგაგების წყაროდ. ამ კუთხით კი, UNESCO-ს აბრეშუმის გზების ტრანსნაციონალური და სერიული მსოფლიო მემკვიდრეობის პროექტი, ისევე როგორც ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტები წარმოადგენს შესაძლებლობებს, რომელთა გონივრული გამოყენება სასიკეთო პერსპექტივებს ქმნის და ამასთან, ბიძგს გვაძლევს ჩვენი იდენტობის ხელახალი გააზრების, ისტორიული როლისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უკეთ წარმოჩენისაკენ.

ფიგურა 1





ფიგურა 2

ფიგურა 3

ფიგურა 4



ფიგურა 5

ფიგურა 6

ფიგურა 7

ფიგურა 8

ფიგურა 9

ფიგურა 10

ფიგურა 11

ფიგურა 12

ფიგურა 13


Mons. Parvarus.
Colchi.
Campi vesenti et in habitabiles.
propter aquę imp tam.
Mesopotamia
Arcę fines romanorum.
Vesera.
Vesatum.
Babilonia.
fines exercitus syriatęq
et commertium barbarog.

ფიგურა 14

ფიგურა 15

ფიგურა 16


ყულევი
11
სენაკი
1. დიუბუა დე მონპერე
2. ფ. ბრუნი
3. ნ. შაფრანოვი
4. ფ. იელნიცკი
5. მ. ბერძენიშვილი
6. ბ. კუფტინი
7. ნ. ხოშტარია
8. ნ. ლომოური
9. გ. გრიგოლია
10. ჯ. ჯანელიძე
11. ო. ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე
12. გ. გამყრელიძე
13. ვ. ლიჩელი
მდ. რიონი
(ფაზისი)
11
სიმაგრე
საგვიჩიო
1
8
5
5
10
13
4
ფოთი
7
ნამარანუ
9
6
ფიჩორი
პალიასტომის ტბა
12
2
11
გრიგოლეთი
სუფსა
3
შავი ზღვა
N
0
5 km
ქობულეთი
აზოვის ზღვა
შავი ზღვა
0
100 km

ფიგურა 17



ფიგურა 18

ფიგურა 19



ფიგურა 20

ფიგურა 21

ფიგურა 22



ფიგურა 23



ფიგურა 24

ფიგურა 25

ფიგურა 26


ქართლის (იბერიის) სამეფო
ეგრისის (კოლხეთის) სამეფო
სახელმწიფო საზღვარი
პომპეუსის ლაშქრობა ძვ.წ. 65 წ.
მთავარი გზები
მასშტაბი 1 : 2,850,000
პონტოს ზღვა
(შავი ზღვა)
ქუთაისი
(ციხისძირი)
ფასისი
(ფოთი)
ბორჯომი
ბერი
(ბელენისი)
ნეაპოლისი
(ციხისძირი)
ფეოდოსიოპოლი
(ციხისძირი)
ფანაგორია
ფეოდოსია
(ციხისძირი)
ბოსპორუსი
(ციხისძირი)
ტანაისი
(ციხისძირი)
ბალანეთი
(ციხისძირი)
ბალანეთი
(ციხისძირი)
ბალანეთ

ფიგურა 28

ფიგურა 29

ფიგურა 30

ფიგურა 31

ფიგურა 32

ფიგურა 33

ფიგურა 34

ფიგურა 35

ფიგურა 36

ფიგურა 37

ფიგურა 38



ფიგურა 39



ფიგურა 40

ფიგურა 41



ფიგურა 42



ფიგურა 43



ფიგურა 44



ფიგურა 45



ფიგურა 46

ფიგურა 47



ფიგურა 48

ფიგურა 49

ფიგურა 50

ფიგურა 51

ფიგურა 52

ფიგურა 53

ფიგურა 54



ფიგურა 55

ფიგურა 56


ანაკოფია
ცხუმი (სოხუმი)
ფოთი
ქუთაისი
შავი ზღვა
ზოიკა
ტრაპიზონი
არტაანი
ახალქალაქი
ფმანისი
თბილისი
ბორჯომი
ბაკური
ბაქო
ბიოლაკანი
ბერდიკელი
ბარდავი
ბუნბანი
ბუნბანია
ბარანდა
ბარანდი
ბარეგანდი
ბარეგანი
ბარეგანი
ბარეგან

ფიგურა 57



ნაქალაქარი გრემი. გენგეგმა.
Gremi Settlement. General Plan.

ფიგურა 58

ფიგურა 59

I
II
III
IV
ᲥᲘᲡᲘᲧᲘ
ᲨᲐᲥᲘ
(ᲜᲣᲮᲐ)
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ
ᲐᲜᲯᲐᲠᲘᲡᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲘ
ᲐᲠᲐᲒᲕ

ფიგურა 60

Black Sea
GREMI
Gavazi
Bazar
Sheki
Qakh
Derbent
Caspian Sea
Georgia
Tbilisi
Shamakhi
Azerbaijan
Armenia
Turkey
Ardabil
Qazvin
Tabriz
Tehran
Kashan
Syria
Google Earth
400 mi
N

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე, ც. (1969). *ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში.* თბილისი: მეცნიერება.

2. აბრამიშვილი, მ. (2016). სამხრეთ კავკასია და ეგეოსური სამყარო არგონავტებამდე. *ეგეოსური სამყარო და სამხრეთ კავკასია, კულტურული ურთიერთობები ბრინჯაოს ხანაში. კონფერენციის მასალები.* საერთაშორისო სემინარი, 23-25 სექტემბერი, 2016, საქართველო. 178-179. თბილისი: მწიგნობარი.

3. აბრამიშვილი, თ. (1993). ნოქალქევის არქეოლოგიური ექსპედიიის მიერ ბოლო წლებში გამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალა. პ. ზაქარაია (რედ.), *ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1983-1989* (ტ. 3). (გვ. 270-172). თბილისი: მეცნიერება.

4. ავდალიანი, ე. (2019). *საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII სს.)* თბილისი: მერიდიანი.

5. ამირანაშვილი, შ. (1971). *ქართული ხელოვნების ისტორია.* თბილისი: ხელოვნება.

6. ასათიანი, ნ. (2012). კახეთის სამეფო ლევანის მეფობის დროს. მ. ლორთქიფანიძე. (რედ.), *საქართველოს ისტორია XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე* (ტ. 2). გვ. 175-180. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

7. ასათიანი, ლ. (1977). ბიჭვინთის წითელლაკიანი კერამიკა. *დიდი პიტიუნტი* (ტ. 2). (გვ. 177-210). თბილისი: მეცნიერება.

8. აფაქიძე, ა. (1959). *მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

9. აფაქიძე, ა. (1963). *ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში* (ტ. I). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

10. აფაქიძე, ა. (1975). *დიდი პიტიუნტი* - არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში (ტ. 1). თბილისი: მეცნიერება.

11. აფაქიძე, ა. (1978). *მცხეთა* (არქეოლოგიური-კვლევა ძიების შედეგები) (ტ. 2). თბილისი: მეცნიერება.

12. აფაქიძე, ა. (1999). *მცხეთა - ნარეკვავი* (ტ. 1). თბილისი: ტრიადა.

13. აფაქიძე, ჯ. (2003). თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობის ერთი ნიმუშის შესწავლისათვის. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 11*, 23-27.

14. აფაქიძე, ა., ლორთქიფანიძე, ოთ. (1965). მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. *მაცნე, 3*, 104-131.

15. ახვლედიანი, ა. (2003). ძვ. წ. IV-III სს-ის კოლხეთის ისტორია კერამიკული დამღების მიხედვით. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 11*, 72-79.

16. ახვლედიანი, დ. (2005). უცხოური ნაწარმის გავრცელება კოლხეთის ტერიტორიაზე. *იბერია-კოლხეთი*, *2*, 65-71.

17. ახვლედიანი, ა., ფუთურიძე, რ. (1999). კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი როდოსულ ამფორათა დამღები. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, *4*, 47-51.

18. ახვლედიანი, დ., ელაშვილი, მ., კირკიტაძე, გ., ხარაბაძე, ს., ასათიანი, გ. (2017). *მასალები ძვ.წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის ნამოსახლარები სამაროვნები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

19. ბერიკაშვილი, დ. (2018). არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში 2017 წელს. *არქეოლოგია* (ტ. 2). თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

20. ბერიკაშვილი, დ. (2017). *არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში* (2015-2016 წლის მასალები). თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

21. ბერძენიშვილი, მ. (1942). ქ. ფაზისის ლოკალიზაციისთვის. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 23*, 3-21.

22. ბერძნიშვილი, მ. (1969). *ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის.* თბილისი: მეცნიერება.

23. ბერძენიშვილი, ნ. (1990). *საქართველოს ისტორიის გეოგრაფიის საკითხები.* თბილისი: მეცნიერება.

24. ბერძენიშვილი, ნ. (1975). *საქართველოს ისტორიის საკითხები (*ტ. 8). თბილისი: მეცნიერება.

25. ბერძენიშვილი, ქ., ფუთურიძე, რ. (1975). ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები. *დიდი პიტიუნტი* (ტ. 1).(გვ.127-161) თბილისი: მეცნიერება.

26. ბრაგვაძე, ზ. (1993). *აღმოსავლეთ კოლხეთი ძვ.წ. V-I საუკუნეებში.* თბილისი: ლამპარი.

27. ბრაგვაძე, ზ. (2003). ძევრის გვიანანტიკური ხანის სამარხები. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 12*, 89 - 91.

28. ბრაგვაძე, ზ. (2009). აქემინიდური ირანი და ძველი კოლხეთი. *ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი / ივ. ჯავახიშვილის სახ. თბ. სახ-ფო უნ-ტი; კორნელის უნ-ტი.* თბილისი, *7,* 22-27.

29. ბრაგვაძე, ზ. (2015). კოლხეთის სამეფო და ირანი ძვ. წ. V-IV საუკუნეებში. *იბერია-კოლხეთი, 11,* 37-48.

30. ბრაგვაძე, ზ. (2016). კოლხურ-ეგეოსური ურთიერთობები შუა ბრინჯაოს ხანაში. *ეგეოსური სამყარო და სამხრეთ კავკასია, კულტურული ურთიერთობები ბრინჯაოს ხანაში. კონფერენციის მასალები.* საერთაშორისო სემინარი, 23-25 სექტემბერი, 2016, საქართველო. 122-127 თბილისი: მწიგნობარი.

31. ბრაგვაძე, ზ. (2017). საქართველოსა და ირანის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების სათავეებთან (კოლხეთის სამეფო და აქემენიდური ირანი).

საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენციის შრომები. 151-155. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

32. ბრაგვაძე, ზ., და წერეთელი, მ. (1999). კოლხურ დიადემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, 5,* 38-46.

33. ბრაუნდი, დ., ჯავახიშვილი, ქ., ნემსაძე, გ. (2009). *საგანძური ზღუდერიდან* (საქართველო): ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში (ახ. წ. 200-250) თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

34. გაბაშვილი, მ. (1981). *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

35. გაგოშიძე, ი. (1981). *ქართველი ქალის თავსამკაული.* თბილისი: ხელოვნება.

36. გამყრელიძე, გ. (1982). *ცენტრალური კოლხეთის ნამოსახლარები*, თბილისი: მეცნიერება.

37. გაგოშიძე, ი. (1982). *თრიალეთის სამაროვნები* (ტ. 3). თბილისი: მეცნიერება.

38. გაგოშიძე, ი. (1984). *საქართველო ქრისტეშობამდე ძვ.V-I საუკუნეებში.* რეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

39. გაგოშიძე, ი. (1974). წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე. *ძეგლის მეგობარი, 35*, 70-78.

40. გაგოშიძე, ი. (1997). არქეოლოგიური გათხრები ტახტიძირში (ქარელის რაიონი), (რედ.), ოთარ ლორთქიფანიძე, ბესარიონ ჯორბენაძე, *კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები:* საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლევის ცენტრი, 16-17.

41. გაგოშიძე, ი. (2020). *ტახტიძირის სამაროვნები.* თბილისი: შპს სეზანი.

42. გაგოშიძე, ი. (2015). 2013-2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე. *იბერია-კოლხეთი*, *11*, 119-139.

43. გაგოშიძე, ი. (2012). უძველესი აბრეშუმი საქართველოში, *Online არქეოლოგია, 2,* 156-161 https://www.heritagesites.ge/uploads/files/59ef47a0f2c65.pdf

44. გაგოშიძე, ი., გოგიბერიძე, ნ., მახარაძე, ზ. (2006). ითხვისის სამაროვანი. *არქეოლოგიური ჟურნალი*, *4*, 36-59.

45. გამყრელიძე, გ. (1983). მთისძირი. ო. ლორთქიფანიძე (რედ.), *ვანი VII არქეოლოგიური გათხრები (გვ. 127–128).* თბილისი: მეცნიერება.

46. გამყრელიძე, გ. (1998). *ფოთი-ფაზისის ტოპოარქეოლოგიისათვის.* თბილისი: საქ. მეცნ. აკად., არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

47. გამყრელიძე, გ. (2003). ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის. *იბერია-კოლხეთი, 1*, 170-185.

48. გამსახურდია, თ. (1973). *ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.* შ. მესხია (რედ.), საქართველოს ისტორიის ნარკვევები (ტ. 2). თბილისი: გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.

49. გამყრელიძე, გ. (2014). საქართველოს რომაული პერიოდის არქეოლოგია. *იბერია-კოლხეთი*, 10 (1).

50. გივიაშვილი, ი., კოპლატაძე, ი. (2004). *ტაო-კლარჯეთი.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

51. გოილაძე, ვ. (1997). *აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის სტამბა.

52. გოგაძე, ე. (1972). *თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია; აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

53. გრიგოლია, გ. (1973). ფასისის ლოკალიზაციისთვის, *სამეცნიერო სესიის მოხსენებები, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი* თბ., მეცნიერება, გვ. 36-55.

54. გრიგოლია, გ. (1994). ეგრის – ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბილისი: მეცნიერება.

55. დავლიანიძე, ც. (1983). *ქვემო ქართლის კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში.* თბილისი: მეცნიერება.

56. დემეტრაძე, ი. (2009). ბერძნული იმპორტული კერამიკა აწყურიდან. *იბერია-კოლხეთი, 5*, 25-30.

57. დემეტრაძე, ი. (2014). იბერიის კულტურული ლანდშაფტები: ნამოსახლართა მოდელები „მცხეთის ქვეყანაში" ძვ.წ. პირველ - ახ.წ. მესამე საუკუნეებში. (სადოქტორო დისერტაცია) თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

http://eprints.iliauni.edu.ge/2895/

58. დუმბაძე, მ., გუჩუა, ვ., გიორგაძე, ბ. (1973). წყაროები და ლიტერატურა ქართულ და ევროპულ ენებზე. მ. დუმბაძე (რედ.), *საქართველოს ისტორიის ნარკვევები (ტ. 4). (გვ. 21-61).* თბილისი: „საბჭოთა საქართველო".

59. დუნდუა, გ., დუნდუა, თ. (2006). ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი: არტანუჯი.

60. დუნდუა, თ., დუნდუა, გ. (2013). *ფული ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა კოლხეთსა და იბერიაში, ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი* (ნაწ. 1). თბილისი: მერიდიანი.

61. დუნდუა, გ. (1975). სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II - ახ. წ. IV სს. ა.აფაქიძე (რედ.), *დიდი პიტიუნტი* (ტ. 1). (გვ. 280-429). თბილისი: მეცნიერება.

62. დუნდუა, თ., (2019). "ტრანსკავკასიური" გზის შესახებ. *ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 15*, გვ. 9-20.

63. ებრალიძე, ტ. (2005). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანანტიკურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით) *გონიო-აფსაროსი* (ტ. 6). (გვ. 4-127). ბათუმი: გამომცემლობა „აწმყო".

64. ებრალიძე, ტ. (2009) აფსაროსი ახ. წ. I საუკუნეში. *გონიო-აფსაროსი* (ტ. 8). (გვ. 147-166). ბათუმი: შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი.

65. ვაჩაძე, გ. (2019). *ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკა კოლხეთში და ინტერკულტურული ურთიერთობები ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში.* თბილისი: თსუ გამომცემლობა.

66. ვარშალომიძე, ი. (2009). მონეტები გონიო-აფსაროსიდან. *გონიო-აფსაროსი (ტ. 7).* ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი.

67. ზამთარაძე, მ. (1993). ნოქალაქევში აღმოჩენილი ამფორები. პ. ზაქარაია (რედ.), ნოქალაქევი-არქეოპოლისი, *არქეოლოგიური გათხრები 1983-1989 (ტ. 3) (გვ.* 158-174). თბილისი: მეცნიერება.

68. ზაქარაია, პ. (1975). *ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა.* თბილისი: მეცნიერება.

69. ზაქარაია, პ., კაპანაძე თ. (1991). *ციხეგოჯი - არქეოპოლისი - ნოქალაქევი ხუროთმოძღვრება.* თბილისი: მეცნიერება.

70. ზაქარაია, პ. (1996). ძველი საქართველოს ქარვასლები და ქულბაქები. *ძეგლის მეგობარი, 3*, 5-11.

71. თოდუა, თ. (2003). *რომაული სამყარო და კოლხეთი.* თბილისი: უნივერსალი.

72. თოდუა, თ. (2008). *ძველი კოლხეთი და გარე სამყარო (ძვ.წ. II- ახ.წ. VI სს.)* თბილისი: თსუ. უნ-ტის გამ-ბა.

73. თოლორდავა, ვ. (1983). დაფნარი. ო. ლორთქიფანიძე (რედ.), *ვანი VII არქეოლოგიური გათხრები* (გვ. 136–138). თბილისი: მეცნიერება.

74. თოლორდავა, ვ. (1983ა). დაბლაგომი. ო. ლორთქიფანიძე (რედ.), *ვანი VII არქეოლოგიური გათხრები* (გვ. 129–135). თბილისი: მეცნიერება.

75. ინაძე, მ. (1962). სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. *კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული / ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2*, 81-124.

76. ინაძე, მ. (2002). არქაული ხანაში კოლხეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი. *ანალები,1*, 3-14.

77. ინაძე, მ. (2004). ეგეოსური-მცირეაზიური და კოლხური კულტურულ-რელიგიური პარალელები წინა და ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VIII-VI სს.) *ანალები, 2,* 11-19.

78. ინაძე, მ. (1999ბ). ნავიგაცია და ვაჭრობა შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსაველეთ სანაპიროზე (ძვ.წ. VIII –VII სს.) *ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში, აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი.* მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., გვ. 17-18.

79. ინაძე, მ. (2009). სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბილისი: არტანუჯი.

80. ინანიშვილი, გ. (2014). ქართული მეტალურგიის სათავეებთან (ძვ.წ. IV-I). თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

81. ინაიშვილი, ა. (1971). ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. *კრ.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, 2*, 74-88.

82. ინაიშვილი, ნ. (1993). *ციხისძირის ახ. წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი: მეცნიერება.

83. კახიძე, ა., ვიკერსი, მ. (2014). *ფიჭვნარი (ტ. 6).* საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის შედეგები (2003-2007 წწ). კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. თბილისი: ინტერპრინტჯორჯია.

84. კახიძე, ა. (2016). *ფიჭვნარი (ტ. 7).* აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა და კულტურა კლასიკურ ხანაში (ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის კოლხური სამაროვანი). თბილისი: შპს ჯეოპრინტი.

85. კახიძე, ა., მამულაძე, შ. (2004). სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. *გონიო-აფსაროსი (ტ. 4) (გვ. 4-68).* ბათუმი: გამომცემლობა

86. კაპანაძე, დ. (1950). ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა.

87. კაჭარავა, დ., ხარაბაძე, ს. (2011). დაკრძალვის წესები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV-III საუკუნეებში. *იბერია-კოლხეთი, 7*, 22-46.

88. კვირკველია, გ. (1999). ბერძნული ვაჭრობა ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივ საზოგადოებებთან. *ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში, აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი.* მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., გვ. 24-25.

89. კვიჟინაძე, კ. (1975). ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

90. კვიჟინაძე, ვ. (1983). წნისისხევის ადრეელინისტური ხანის სამაროვანი. *ძეგლის მეგობარი, 63*, 28-32.

91. კვიციანი, ზ. (1997). დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის (ახ. წ. I-IV სს.) თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

92. კვიციანი, ზ. (2008). ირან-ბიზანტიის ომები და სვანეთის საკითხი წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების შუქზე. *საისტორიო ძიებანი, 10-11*, 449-461.

93. კეკელია, ჯ. (1981). ფასისის ლოკალიზაციის გეოგრაფიული ასპექტების შესახებ. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2* (102), 505-508.

94. კიღურაძე, ნ. (1977). *ჭრაქები ბიჭვინტის ნაქალაქარიდან.* ა.აფაქიძე (რედ.), *დიდი პიტიუნტი* (ტ. 2). (გვ. 211-222). თბილისი: მეცნიერება.

95. კოპალიანი, ჯ., (1999). *ქვეშის ციხე: ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა.* თბილისი: საქ. მეცნ. აკად. არქეოლოგიური ცენტრი.

96. კოპალიანი, ჯ. (2017). *დმანისის ნაქალაქარი.* თბილისი: შპს „ემ-პი-ჯი ჯგუფი“.

97. ლანჩავა, ო. (2015). *ქუთაისის არქეოლოგია.* თბილისი: ს.ს. „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“.

98. ლიჩელი, ვ. (2001). კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები (ძვ. წ. მე-IV-I საუკუნეებში) *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 5*, 3-73.

99. ლიჩელი, ვ. (2018). კავკასიის არქეოლოგია - ამიერკავკასია ანტიკურ ხანაში (ძვ.წ. VI-ახ.წ. IV საუკუნეებში) *ანტიკური კავკასია (ტ. 3).* ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის

სახელმწ. უნ-ტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინ-ტი. თბილისი: ლოგოსი.

100. ლიჩელი, ვ. (2019). გრაკლიანი გორის არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის გათხრების მოკლე ანგარიში. *ნ. ანთიძე (რედ.), 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული* (გვ. 27-38). თბილისი: შპს ფორმა.

101. ლიჩელი, ვ., რჩეულიშვილი გ. (2010). სამცხე - ძველი მეღვინეობა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით. კრ. *ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში.* თბილისი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

102. ლომთათიძე, გ. (1944). *არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

103. ლომიტაშვილი, დ. (2003). *ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ. VIII- ახ.წ. VI სს-ში /ციხე-გოჯი- არქეოპოლისი-ნოქალაქევი/*. ავტორეფერანტი. (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი: არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

104. ლომიტაშვილი, დ. (2014). *ნოქალაქევი, არქეოპოლისი, ციხე-გოჯი: არქეოლოგიური გათხრები 2001-2010. ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური ექსპედიცია (კრ.* 4.). თბილისი: შპს „დი ენდ ჯი“.

105. ლომოური, ნ. (1953). ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 4 (1)*, 100 -118.

106. ლომოური, ნ. (1968). *ეგრისის სამეფოს ისტორია (წარმოქმნიდან ახ.წ. V საუკუნის ბოლომდე).* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

107. ლორთქიფანიძე, მ. (1961). *საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი.* თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.

108. ლორთქიფანიძე, მ. (2006). ქართლის სამეფო-სამთავროები IX- X სს-ში. ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა. ნ. შოშიაშვილი (რედ.), საქართველოს ისტორია (ტ. 1). (გვ. 188-225). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

109. ლორთქიფანიძე, მ., შოშიაშვილი ნ. (2006). ეკონომიკური და სოციალური ვითარება IV-X საუკუნეებში. ნ. შოშიაშვილი (რედ.), საქართველოს ისტორია (ტ. 1). (გვ. 266-302). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

110. ლორთქიფანიძე, ოთ. (1968). *ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია).* თბილისი: მეცნიერება.

111. ლორთქიფანიძე, ოთ. (1966). *ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი: სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის ძვ.წ. VI-II სს.* თბილისი: სახ. უნ-ტის გამ-ბა.

112. ლორთქიფანიძე, ო. (1995). *ვანი „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

113. ლორთქიფანიძე, ოთ. (2002). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი: სახ. უნ-ტის გამ-ბა.

114. ლორთქიფანიძე, ოთ., მუსხელიშვილი დ. (2011). საქართველოს უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზები, *ანალები*, 7, 126-203.

115. ლორთქიფანიძე, ოთ. (1999). ვაჭრობა შავ ზღვაზე „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წანამძღვრები. *ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში, აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები.* თბ., გვ. 26-28.

116. ლორთქიფანიძე, ოთ. (1972). *ძველი კოლხეთის კულტურა.* თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

117. ლორთქიფანიძე, ოთ. (1957). ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. *საქ. მეც. აკად. მოამბე, 19(3)*, 377-384.

118. ლორთქიფანიძე, ბ., მურღულია, ნ. (2014). სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში V-VI საუკუნეებში. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, V(50-B),* 95-116.

119. ლორთქიფანიძე, ო. (1972ა). *ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). ვანი I* (გვ. 7 - 42). თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

120. ლორთქიფანიძე, ოთ., (2010). *ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში* (ტ. 1). თბილისი: შპს ფავორიტი პრინტი.

121. ლორთქიფანიძე, გ. (1991). ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

122. მათიაშვილი, ნ. (1977). *ძვ.წ. III-I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური ისტორიიდან (კერამიკული მასალის მიხედვით).* თბილისი: მეცნიერება.

123. მამაიაშვილი, ნ. (2004). *ქალაქი ჭერემი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა).* თბილისი: მეცნიერება.

124. მახარაძე, გ. წერეთელი მ. (2007). *საირხე.* თბილისი: შპს ტრიადა.

125. მელიქიშვილი, გ. (2006). ქართლი ძვ.წ. VIII-I საუკუნეში. ნ. შოშიაშვილი (რედ.), საქართველოს ისტორია (ტ. 1) (გვ. 50-63). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

126. მელიქიშვილი, გ. (2012). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი პოლიტიკური გაერთიანებები. დ. მუსხელიშვილი (რედ.), *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ა.წ. IV საუკუნემდე* (ტ. 1). (გვ. 131-147). თბილისი: პალიტრა L.

127. მელიქიშვილი, გ. (2012ა). კოლხეთი ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ბერძნული ახალშენები შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. დ. მუსხელიშვილი

(რედ.), *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ა.წ. IV საუკუნემდე* (ტ. 1). (გვ. 148-162). თბილისი: პალიტრა L.

128. მელიქიშვილი, გ. (2012ბ). ქართლის (იბერიის) სამეფოს გაძლიერება ახ.წ. I-II სს. დ. მუსხელიშვილი (რედ.), *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ა.წ. IV საუკუნემდე* (ტ. 1). (გვ. 191-201). თბილისი: პალიტრა L.

129. მეტრეველი, რ. (2012). სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. რ. მეტრეველი (რედ.), *საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე* (ტ.2). (გვ. 436-445). თბილისი: პალიტრა L.

130. მეტრეველი, რ., შოშიაშვილი, ნ. (2006). ვაჭრობა, ფინანსები. ნ. შოშიაშვილი (რედ.), საქართველოს ისტორია (ტ. 1). (გვ. 457-467). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

131. მინდორაშვილი, დ. (2008). *საქართველოს შუა საუკუნეების ძეგლები.* კრებული რ. რამიშვილი 80 წელი https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/4863/1/Arqeologiuri_Dzeglebi.pdf

132. მინდორაშვილი, დ. (2014). *საქართველოს არქეოლოგია: ადრეული შუა საუკუნეები* (ტ. 1). ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი.

133. მინდორაშვილი, დ. (2015). *საქართველოს არქეოლოგია: განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეები* (ტ. 2; 3). ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი.

134. მირიანაშვილი, ნ.(1980) თიხის სარკოფაგები აღაიანიდან. *მაცნე, 2*, 74-86.

135. მირცხულავა, გ. (2011). *მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები.* თბილისი: Artline ltd.

136. მიქელაძე, ნ. (2015). *დმანისი ფეოდალურ ხანაში.* თბილისი: ივერიონი.

137. მიქელაძე, თ. (1978). *არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე.* თბილისი: მეცნიერება.

138. მუმლაძე, შ., კახიძე, ა., კახიძე, ე. (2007). *გონიო-აფსაროსი.* თბილისი: სიესტა.

139. მუსხელიშვილი, დ. (1966). *ციხე-ქალაქი უჯარმა:ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან.* თბილისი: მეცნიერება.

140. მუსხელიშვილი, დ. (1977). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები.* თბილისი: მეცნიერება.

141. მუსხელიშვილი, დ. (2012). საქართველო IV-V ს-ის პირველ ნახევარში. რ. მეტრეველი (რედ.), *საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე* (ტ. 2). (გვ. 7-48). თბილისი: პალიტრა L.

142. მუსხელიშვილი, დ. (2012ა). საქართველო VII ს-ის მეორე ნახევარსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში. რ. მეტრეველი (რედ.), *საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე* (ტ. 2). (გვ. 123-144). თბილისი: პალიტრა L.

143. მუსხელიშვილი, დ. (2012ბ). საქართველო VI-VII ს-ის დასაწყისში. რ. მეტრეველი (რედ.), *საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII XIII საუკუნემდე* (ტ. 2). გვ. 73-100. თბილისი: პალიტრა L.

144. მუსხელიშვილი, დ. (2012გ). საქართველო V ს-ის II ნახევარში. რ. მეტრეველი (რედ.), *საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე. საუკუნემდე* (ტ. 2). (გვ. 49-72). თბილისი: პალიტრა L.

145. მუსხელიშვილი, დ. (2012დ). საქართველო VII ს-ის პირველ ნახევარში. რ. მეტრეველი (რედ.), *საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე.* (ტ. 2). (გვ. 111-122). თბილისი: პალიტრა L.

146. მურღულია, ნ., ლომიტაშვილი, დ. (2016). ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემა ადგილობრივ, რეგიონულსა და გლობალურ კონტექსტებში. *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, VII (52-B),* 262-272.

147. მურღულია, ნ. (2012). ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). *სადოქტორო ნაშრომი* 78235584.pdf (core.ac.uk)

148. ნადირაძე, ჯ. (1990). *საირხე - საქართველოს ანტიკური ქალაქი.* თბილისი: გამომცემლობა საქართველო.

149. ნარიმანიშვილი, გ., მგელაძე ნ. (2007). აჭარისწყლის ხეობაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ, *იბერია-კოლხეთი, 3*, 70-79.

150. ნარიმანიშვილი, გ., შატბერაშვილი, ვ. (2002). ძვ. წ. V-I საუკუნეების წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 9*, 54-70.

151. ნარიმანიშვილი, გ. (2018). არმაზხევის არქეოლოგიური კომპლექსზე 2014-2017 წწ. ჩატარებული გათხრების მოკლე ანგარიში. *2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული.* თბილისი: შპს ფორმა.

152. ნიკოლაიშვილი, ვ. (2005). *დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია* (არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით). *იბერია-კოლხეთი, 2*, 93-109.

153. ორჯონიკიძე, ა. (2004). *მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში.* თბილისი: საქ. მეცნ. აკად., არქეოლ. კვლევის ცენტრი.

154. პაპუაშვილი, რ. (2010). ანთროპომორფული გამოსახულებები ცაიშიდან, *კულტურულ საისტორიო ძიებანი.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

155. რეზესიძე, ნ (2021). დმანისი სავაჭრო გზაჯვარედინზე. *განათლება 1(32). 233-236.*

156. საგინაშვილი, მ. (1970). *ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი.* თბილისი: მეცნიერება.

157. სანიკიძე, თ. (2005). *უფლისციხე.* თბილისი: უნივერსალი.

158. სულავა ნ. (1996). *მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი).* თბილისი: მეცნიერება.

159. სულავა, ნ. (1998). საქართველოში აღმოჩენილი ნავისებური ფიბულა, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის V სამეცნიერო სესია, "მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო",* თბ., (გვ. 11-12).

160. სულავა, ნ. (2011). *კავკასიის ფიბულები.* თბილისი: შპს მწიგნობარი.

161. სტურუა, ქ. (1994). ობსიდიანი და ვაჭრობის საწყისები. *არქეოლოგიური კრებული 1.* 21-35.

162. ურუშაძე, ა. (1964). *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში.* თბილისი: უნ-ტის გამ-ბა.

163. ფიფია, კ. (2005). *რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. თბილისი:* უნივერსალი.

164. ფიფია, ნ. (2013). *ელინური ექსპერიმენტი დასავლეთ საქართველოში - ბერძნული ახალშენები (გენეზისი, ისტორია).* თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი.

165. ფუთურიძე, მ. (2006). ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარების ტენდენციების შესახებ. *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 17/18*, 66-74.

166. ფუთურიძე, მ. (2016). ზოგიერთი მონაცემი სამხრეთ კავკასია-ეგეოსური სამყაროს კავშირურთიერთობის შესახებ. ეგეოსური სამყარო და სამხრეთ კავკასია, კულტურული ურთიერთობები ბრინჯაოს ხანაში. კონფერენციის მასალები. საერთაშორისო სემინარი, 23-25 სექტემბერი, 2016 (გვ. 139-162). თბილისი: მწიგნობარი.

167. ყიფიანი, გ. (1987). *კაპიტელები.* თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება".

168. ყიფიანი, გ. (1993). *არქიტექტურული დეტალები, საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა.* თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

169. ყიფიანი, გ. (2002). *უფლისციხე.* თბილისი: ლოგოსი.

170. ყიფიანი, გ. (2012). *ქალაქი როდოპოლისი.* თბილისი: არტანუჯი.

171. შალიკაძე, თ. (2004). გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. *გონიო-აფსაროსი (ტ. 5).* ბათუმი: შპს „დიოსკურია“.

172. შანშაშვილი, ნ., ნარიმანიშვილი, გ. (2016). სამხრეთ კავკასიისა და ეგეოსური სამყაროს ურითიერთობების დინამიკა და ხასიათი შუა ბრინაჯოს ხანაში. *ეგეოსური სამყარო და სამხრეთ კავკასია, კულტურული ურთიერთობები ბრინჯაოს ხანაში. კონფერენციის მასალები. საერთაშორისო სემინარი, 23-25 სექტემბერი, 2016* (გვ. 11-49). თბილისი: მწიგნობარი.

173. შანშაშვილი, ნ., ნარიმანიშვილი, გ., ნარიმანიშვილი, გ. (2016). *ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის (ძვ. წ. III-II ათასწლეულები).* თბილისი: მწიგნობარი.

174. შოშიაშვილი, ნ. (2006). სახელმწიფო გამგებლობა XI-XII სს-ში. ნ. შოშიაშვილი (რედ.), საქართველოს ისტორია (ტ. 1). (გვ. 438-448). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

175. ჩიკოიძე, ც. (1979). *ქალაქი თელავი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა).* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

176. ჩუბინიშვილი, ტ. (1965). *მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის კულტურა.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

177. ჩხატარაშვილი, მ. (1978). *მინის ჭურჭელი შუა საუკუნეების საქართველოში*, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

178. წითლანაძე ლ. (1973). არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. ლიაში. *ძეგლის მეგობარი*, *33*, 66-72.

179. წითლანაძე, ლ. (1971). დარიალის ციხე. *ძეგლის მეგობარი, 27/28*, 62-67.

180. ჭაბაშვილი, ლ. (2009). თრიალეთის კულტურის ეგეოსურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის. *ამირანი, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე*, XXI, 7-16.

181. ჭილაშვილი, ლ. (1970). *ქალაქები ფეოდალური ხანის საქართველოში* (ტ. 2). თბილისი: მეცნიერება.

182. ჭილაშვილი, ლ. (1980). კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს.) თბილისი: მეცნიერება.

183. ჭილაშვილი, ლ. (1958). *ქალაქი რუსთავი: ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

184. ჭილაშვილი, ლ. (1964). *ნაქალაქარი ურბნისი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა).* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

185. ჭყონია, ა. (1999). კოლხური ოქროს ექსპორტის საკითხისათვის. *ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში, აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი.* მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., გვ. 34.

186. ჭყონია, ა. (2013). ძველი კოლხეთის კონტაქტები აქემენიდურ სამყაროსთან (ოქროს სამაჯურები). *იბერია-კოლხეთი, 9*, 117-122.

187. ჭყონია, ა. (1981). ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ო.ლორთქიფანიძე (რედ.), *ვანი VI არქეოლოგიური გათხრები.* თბილისი.

188. ხალვაში, მ. (2002). კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. *გონიო-აფსაროსი* (ტ. 2). ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“.

189. ხახუტაიშვილი, დ. (1964). *უფლისციხე: 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები* (ტ. 1). თბილისი: მეცნიერება.

190. ხახუტაიშვილი, დ. (1970). *უფლისციხე: 1963-1969 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები* (ტ. 2). თბილისი: მეცნიერება.

191. ხახუტაიშვილი, დ. (1989). *უფლისციხე-ქალაქი კლდეში.* თბილისი: მეცნიერება.

192. ჯამბურია, ს. (2021). რა შეიძლება იყოს წარსულის მომავალი: გრემის ისტორიული ლანდშაფტის პოტენციური ღირებულება. *სპეკალი, 15.* DOI: 10.55804/jtsu-1987-8583-15-5

193. ჯანდიერი, ე. (1969). *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები* (ტ. 1). თბილისი: მეცნიერება.

194. ჯალაღანია, ი., ჯაფარიძე, ვ. (1987). დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი (1036-37. 1960-66, 1968-70, 1972-73, 1975-77) *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები* (ტ. 5). (გვ. 16-32). თბილისი: მეცნიერება.

195. ჯანაშია, ს. (1949). *შრომები* (ტ. 1). თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

196. ჯაოშვილი, გ. (1979). ციხე-ქალაქი შორაპანი. *ძეგლის მეგობარი, 52*, 31-35.

197. ჯაფარიძე, ვ. (1989). *ვარდციხის ნაქალაქარი, ეგრისის ქალაქების არქეოლოგიური შესწავლისათვის.* თბილისი: მეცნიერება.

198. ჯაფარიძე, ვ. (2006). *ეგრისის ახ.წ. I-VII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები (არქეოლოგიური გათხრები, გამოკვლევა).* თბილისი: ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

199. ჯაფარიძე, ოთ. (1961). *ქართველი ტომების ისტორიისთვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე.* თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

200. ჯაფარიძე, ოთ. (1969). *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

201. ჯაფარიძე, ოთ. (1991). *საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა).* თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

202. ჯაფარიძე, ოთ. (2006). *ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან.* თბილისი: არტანუჯი.

203. Abramishvili, M. (2001). *Transcaucasian Rapiers and Problems of Their Origin*. Lux Orients: Arghaologie zwichen Asien and Europa.

204. Abramishvili, M. (2017). “Tin and Oil: Can We Foresee the Future through the Remote Past?”. In *Fitful Histories and Unruly Publics, Rethinking Temporality and Community in Eurasian Archaeology.* Leiden: The Netherlands: Brill.

205. Azad, A. (2013). Introduction: The Discourse of Landscape, Balkh and its History. *In Sacred Landscape in Medieval Afghanistan, Revisiting the Faḍāʾil-i Balkh,* Oxford University Press: Oxford Scholarship Online http, //www.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof, oso/9780199687053.001.0001/acprof-9780199687053-chapter-1

206. Babaev, I., Gagoshidze, I., Knauß, F. S. (2007). “An Achaemenid “Palace” at Qarajamirli (Azerbaijan) Preliminary Report on the Excavations in 2006”. In *Achaemenid Culture and Local traditions in Anatolia, Southern Caucasus and Iran.* Leiden: The Netherlands: Brill https, //doi.org/10.1163/ej.9789004163287.i-172.21

207. Berti, E. (2015). Defining the Cultural Routes of the Council of Europe. In Cultural Routes Management: from theory to practice. Strasbourg: Council of Europe Publishing.

208. Boardman, J. (1995). *The Diffusion of Classical Art in Antiquity*. London: Thames and Hudson.

209. Bilde, P., Bøgh, B., Handberg, S., Højte, J., Nieling, J., Smekalova, T., Stolba, V. (2008). Archaeology in the Black Sea Region in Classical Antiquity 1993–2007. *Archaeological Reports*, *54*, 115-173. doi:10.1017/S0570608400000855

210. Braund, D. (1994). *Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 BC – 562 AD*. Clarendon Press: Oxford.

211. Bujskich, A. (2010). *Die antiken Architekturformen im nördlichen Schwarzmeergebiet*. Wiesbaden: Reichert, L.

212. Callieri, P. (2001). La presunta via commerciale tra l'India e Roma attraverso l'Oxus e il Mar Caspio: nuovi dati di discussione In, *Topoi, 11/1*. https, //doi.org/10.3406/topoi.2001.1948

213. Clements, J. (2017). *A History of the Silk Road*. London: Haus Publishing.

214. Christian, D. (2000). Silk Roads or Steppe Roads? The Silk Roads in World History. *Journal of World History*, *11 (1)*, 1-26. doi:10.1353/jwh.2000.0004.

215. Chandra, M. (1977). Trade and trade routes in ancient India. New Delhi: Abhinav.

216. Cunliffe, B. (2015). *By Steppe, Desert, and Ocean: The Birth of Eurasia.* Oxford: University Press.

217. Cultraro, M. (2016). Undercurrents, Cultural Interaction Between Southem Caucasus and Northen Aegean during the Early and Middle Bronze Age. In Kvachadze, M. Shanshavili, N. (eds.), *Proceedings of International Workshop Aegean world and South Caucasus: cultural relations in the Bronze Age*, September 23-25, 2016, Tbilisi, Georgia.

218. Curtis, J., Kruszyñski, M. (2002). *Ancient Caucasian and related material in the British Museum.* London: British Museum.

219. De la Vaissière, É. (2014). Trans-Asian trade, or the Silk Road deconstructed (antiquity, middle ages). In L. Neal and J. Williamson (Eds.), The Cambridge History of Capitalism (pp. 101-124). Cambridge: Cambridge University Press.

220. Denu, P. (2015). Aims and Philosophy of the Council of Europe Cultural Routes. In Cultural Routes Management: from theory to practice. Strasbourg: Council of Europe Publishing.

221. Dixon, J., Cann, J., ও Renfrew, C. (1968). Obsidian and the Origins of Trade. *Scientific American, 218 (3)*, 38-47 Obsidian and the Origins of Trade on JSTOR

222. De Boer, J.G. (2006). The Greek Colonies in the Pontic Area during the 5th Century BC, Athens, The Rise of The "Barbarian" Kingdoms And The Ionian Revolt: An Economic Approach. In (eds) J.P. Stronk And M.D. De Weerd Proceedings of *The Dutch Archaeological And Historical Society, XXXVI-XXXVII (2004-2005)*, 267-288.

223. Edens, C. (1995). Transcaucasia at the End of the Early Bronze Age, *Bulletin of the American Schools of Oriental Research*, *299/300*, 53-64 https://doi.org/10.2307/1357345

224. Foucher, A., Foucher, E., Bazin. (1942). *La vieille route de l'Inde de Bactres à Taxila /par A. Foucher / avec la collaboration de mme E. Bazin-Foucher*. Paris: Les Éditions d'art et d'histoire.

225. Frankopan, P. (2015). The Silk Roads, a New History of the World. London: Bloomsbury Publishing.

226. Gagoschidze, I., Saginaschvili, M. (2000). Die achaimenidischen Glasgefäße in Georgien. *Archäologische Mittlungen aus Iran and Turan B.32.* Berlin. 67-73.

227. Gagoshidze, I. (2008). Dedoplis Gora – One of the Most Important Archaeological Sites on the Territory of the Ancient Iberia. In A. Furtwängler, I. Gagoshidze, H. Löhr, N. Ludwig (eds). *Iberia and Rome. The Excavations of the Palace at Dedoplis Gora and The Roman Influence In the Caucasian Kingdom of Iberia*. Langenveisßbach: Beier and Beran.

228. Gamkrelidze, G. (1998). Ein Rhyton mit Götterdarstellung aus der Kolchis, *Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Band 30,* Berlin, 1998, S. 211-219, 2 Abb.

229. Gamkrelidze, G. (2012). The Land of Colchis and the City of Phasis (towards a historical-archaelogical study of western Georgia in the Classical period) *Researches in Iberia-Colchology, 38-74.*

230. Hansen, V. (2012). The Silk Road, a new history. New York: Oxford University Press.

231. Herrmann, G. (1968). Lapis Lazuli, the Early Phases of Its Trade. *Iraq, 30(1)*, 21-57.

232. ICOMOS. (2004).*The World Heritage List: Filling the Gaps – An Action Plan for the Future*. Paris: ICOMOS.

233. Jamburia, S. (2022). Historic Premise of the Silk Roads in the South Caucasus: New Archaeological Evidence for the Communication from Iberia. *Ancient Civilizations from Scythia to Siberia 28 (1).* 177–188.

234. Jamburia, S. (2022a). Understanding the Evidence for the Silk Roads in Georgia and its Perspective. *TSU-TI - The International Scientific Journal of Humanities 1* doi: https://doi.org/10.55804/TSU-ti-1/Jamburia

235. Jing, F., Denyer, S. (2019). Safeguarding cultural heritage along the Silk Roads. In: M. Rossler, G. Doubleday, (eds). *World Heritage*, *93*. London: Publishing for Development Ltd.

236. Kanetsyan, A.G. (2001). Urartian and Early Achaemenid Palaces in Armenia, In I. Nielsen (ed.), *The Royal Palace Institution in the First Millennium B.C. Regional Development and Cultural Interchange between East and West*, Monographs of the Danish Institute at Athens, vol. 4, Aarhus, 145-153.

237. Karttunen, K. (1997). India and the Hellenistic world. Helsinki, Finnish Oriental Society.

238. Kohl, P. (2007). The Caucasus – Donor and Recipient of Materials, Technologies, and Peoples to and from the Ancient Near East. In *The Making of Bronze Age Eurasia (Cambridge World Archaeology* (pp. 57 - 125). Cambridge: Cambridge University Press.

doi:10.1017/CBO9780511618468.005

239. Koshelenko, G.A., Kuznetsov, V. D. (1996). Colchis and Bosporus, Two Models of Colonisation? *In Tsetskhladze G. R., (Ed). New studies on the Black Sea Littoral.* pp. 17-30 Oxford: ISBN 1 900118015

240. Knauss, F. (2006). Ancient Persia and Caucasus, *Iranica Antiqua, (Vol. XLI).* (pp. 79-118).

241. Kvavadze, E. and Gagoshidze, I. (2008). Fibres of silk, cotton and flax in a weaving workshop from the first century A.D. palace of Dedoplis Gora, Georgia. *Vegetation History and Archaeobotany, 17(1),* 211-215. DOI:10.1007/s00334-008-0175-5

242. Kvavadze, E. Chichinadze, M. (2020). Palynological analysis of organic materials from Pichvnari (including the earliest silk in Georgia). In N. Sekunda (Ed.), *Wonders Lost and Found. A Celebration of the Archaeological Work of Professor Michael Vickers. (pp.102-108). Oxford, Archaeopress.*

243. Licheli, V. (2000). Achaemenidisce Fundorte in Samtskhe. In *Archäologische Mittlungen aus Iran and Turan, B. 32,* IM DOL 2-6 Berlin.

244. Licheli, V. (2007). Oriental Innovations in Samtskhe (Southern Georgia) in the 1st Millenium BC. *Ancient Civilizations from Scythia to Siberia*, *13 (1-2),* 55–66.

245. Licheli, V. (2011). Urban Development in Central Transcaucasia in Anatolian Context, New Data. *Ancient Civilizations from Scythia to Siberia*, *17(1),* 135–156.

246. Licheli, V. (2016) Geoarchaeology of Phasis (Georgia). *Méditerranée,* 126, 119-128.

247. Licheli, V. (2020). Intellectual Innovations in Georgia (11th-9th Centuries BC), *Ancient Civilizations from Scythia to Siberia, 26 (2),* 350-361.

248. Licheli, V. (2020a). The Second Stage of the Grakliani Culture. In N. Sekunda (Ed.), *Wonders Lost and Found. A Celebration of the Archaeological Work of Professor Michael Vickers*. (pp. 48-58). Oxford: Archaeopress.

249. Lordkipanidze, O. (2002). Trade on the Black Sea. An historic forerunner of the Great Silk Road. In *Pont Euxin et commerce, la genèse de la "route de la soie". Actes du IXe Symposium de Vani (Colchide, 1999),* Besançon: Institut des Sciences et Techniques de l'Antiquité, pp. 7-13.

250. Matthee, R. P. (1999). *The Politics of Trade in Safavid Iran, Silk for Silver, 1600-1730*. Cambridge: Cambridge University Press.

251. Millward, J. A. (2013). *The Silk Road, A Very short Introduction*. New York: Oxford University Press.

252. Mustafayev, S. (2018). The Trade Routes and the Silk Trade along the Western Coast of the Caspian Sea from the 15th to the First Half of the 17th Century, *Acta Via Serica*, *3(2).* 23–48. https://doi.org/10.22679/AVS.2018.3.2.002

253. Nadiradzé, DJ. (1990). Le site archéologique de Saïrkhè. In, Le Pont-Euxin vu par les Grecs, sources écrites et archéologie. Symposium de Vani (Colchide), septembre-octobre 1987. Besançon: Université de Franche-Comté, 1990. pp. 213-222. (*Annales littéraires de l'Université de Besançon, 427*); Le site archéologique de Saïrkhè - Persée (persee.fr)

254. Nadooshan. F., K. Abedi, A. Glascock, M., D. Eskandari, N. Khazaee, M. (2013). Provenance of prehistoric obsidian artefacts from Kul Tepe, northwestern Iran using X-ray fluorescence (XRF) analysis. *Journal of Archaeological Science*, *40(4),* 1956-1965.

255. Renfrew, C., Dixon, J., Cann, J. (1966). Obsidian and Early Cultural Contact in the Near East. *Proceedings of the Prehistoric Society, 32*, 30-72.

256. Redgate, A. E. (1998). *The Armenians*. Oxford: Blackwell Publishers.

257. Sagona, A. (2014). Rethinking the Kura-Araxes Genesis. *Paléorient*, *40 (2),* 23-46.

258. Sauer, E. W., Chologauri, L., Gabunia, A., Hopper, K., Lawrence, D., MacDonald, E., Mashkour, M., Mowat, F. A. Naskidashvili, D., Pitskhelauri, K., Priestman, S. M.N.,

Shumilovskikh, l., Simpson, S. J., Tiliakou A., et al. (2020). *Dariali: The 'Caspian Gates' in the Caucasus from Antiquity to the Age of the Huns and the Middle Ages: The Joint Georgian-British Dariali Gorge Excavations and Surveys 2013-2016*. Oxford: Oxbow Books.

259. Schneider. P. (2017). *From India to the Black Sea, an overlooked trade route?* https, //hal.archives-ouvertes.fr/hal-01376630

260. Sheraat, E. (2004). *Trade Routes: The Growth of Global Trade*. ArchAtlas: https://www.archatlas.org/journal/asherratt/traderoutes/

261. Sherazadishvili, Z. (2015). Attempt to Determine Origin, Chronology and Function of South Caucasus Trialeti Culture Bronze Rapiers. In Isikli, M., Can, B. (eds). *International symposium on East Anatolia - South Caucasus cultures , proceedings 1,* pp. 148-155. Cambridge Scholars Publishing.

262. Suny, R. (1994). *The Making of the Georgian Nation*. Bloomington: Indiana University Press.

263. Tarn, W. W. (1951). *The Greeks in Bactria and India* (2nd ed.), Cambridge: Cambridge University Press.

264. Ter-Martirossov, F. (1996). Un «paradis» de l'Antiquité Classique, Le Site du Drashkhanakert, à Benjamin, in *J. Santrot (éd.), Arménie. Trésors de l'Arménie ancienne des origines au I er siècle*, Paris, pp. 187-189.

265. Waugh, D. C. (2013). A road less taken? *The Silk Road*, *11*, 188–191.

266. Williams, T. D. (2014). The Silk Roads, an ICOMOS thematic study. Charenton-le-Pont: ICOMOS.

267. Williams, T. D. (2015). Mapping the Silk Roads. In M. N. Walter, J. P. Ito-Adler (Eds.), *The Silk Road, interwoven history* (pp. 1-42). Cambridge MA: Cambridge Institutes Press.

268. Williams, T, D. (2016). Final Technical Report on the results of the UNESCO/Korean Funds-in-Trust Project, Support for the Preparation for the World Heritage Serial Nomination of the Silk Roads in South Asia, 2013-2016. London: UCL Institute of Archaeology.

269. Williams, T, D. (2020). Final Technical Report on the results of the UNESCO/Japanese Funds-in-Trust project, Support for Silk Roads World Heritage Sites in Central Asia (Phase II), April 2015 – November 2019. London: UCL Institute of Archaeology.

270. Wilkinson, T. C. (2014). *Tying the threads of Eurasia, trans-regional routes and material flows in Transcaucasia, eastern Anatolia and western central Asia, c.3000-1500BC*. Leiden: Sidestone Press.

271. Winter, F. (2006). *Studies in Hellenistic Architecture*. Toronto, Buffalo, London: University of Toronto Press.

272. Winter, T. (2019). *Geocultural Power, China's Quest to Revival the Silk Roads for the Twenty-First Century.* Chicago: The University of Chicago Press.

273. Winter, T. (2022). *The Silk Road: Connecting Histories and Futures.* New York: Oxford University Press.

274. Whitfield, S. (2004). *The Silk Road, Trade, Travel, War and Faith*. London: British Library and Serindia.

275. Whitfield, S. (2015). *Life along the Silk Road, Second Edition*. Oakland: University of California Press.

276. Waugh, D. C. (2010). Richthofen's "Silk Roads", Toward the Archaeology of a Concept. *The Silk Road, 5 (1),* 1-10 www.silkroadfoundation.org/newsletter/vol5num1/srjournal_v5n1.pdf

277. Воронов, Ю.Н. (1980). *Диоскуриада, Себастополис, Цхум*. Москва: Наука.

278. Воронов, Ю.Н. (1982). *Древности Азантской долины*. Тбилиси: Мецниереба.

279. Воронов, Ю. Н. (1985). *Бгажба О. Х. Материалы по археологии Цебельды.* Тбилиси: Мецниереба.

280. Гагошидзе, Ю. (1978). Отчет об археологических раскобках храмового комплекса II-I вв. до н.э. Дедоплис Миндори. *АЭМГ*, VI.

281. Гошгарли, Г. (2010). Обряд Захоронения с Оболом Харона на территории Азербайджана. *Международная научная конференция Археология, этнология, фольклористика Кавказа*, Сборник кратких содержаний докладов*,* Тбилиси, 26-27 июня 2009*.* Тбилиси: Меридиани.

282. Гозалишвили, Г. К. (1956). О Древнем Торговом Пути в Закавказъе. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის შრომები*, (ტ. 2). (გვ. 152-160).

283. Бартольд, В. В. (1925). Место Прикаспийских областей в истории мусулъмаиского мира, Баку.

284. Дударев, С.Л., Пелих, А.Л., Савенко, С.Н., Цецхладзе, Г. Р. (2020). Археологические источники о происхождении и этнополитической истории населения Северного Кавказа (Проблемы Изучения), *монография*. Армавир: Дизайн-студия Б.

285. Иессен, А. А. (1935). Олово Кавказа, *ИГАИМК*, 110, 193-205.

286. Катющин, Е.А., Крыжщий, С. Д. Кутаисов, В. А. (2004). *Античные Памятники Крыма*. Киев: Мистецвто.

287. Куфтин, Б. А. (1940). К вопросу о раниих стадиях брозновой културы територии Грузии. *Краткие Сообшение Института Историй и Материалной Културы VIII,* Тбилиси, 5-35.

288. Куфтин, Б. А. (1941). Археологические раскопки в Триалети. Тбилиси: Изд-во Акад. наук Груз. ССР.

289. Леквинадзе, В. А. (1969). Понтискии Лимес, *ВДИ*, *2,* 75-94.

290. Манандян, Я. А. (1954). О торговие и городах Армении: Ереван.

291. Мунчаев, Р. М. (1994). Майкопская культура. В К.Х.Кушнарева и В.И. Марковин (ред.), Эпоха Бронзы Кавказа и Средней Азии, Ранняя и средняя бронза Кавказа, 158-225. Москва: Наука.

292. Нариманишвили, Г. (1991). Керамика Картли V-I вв.до н.э. Тбилиси: Мецниереба.

293. Ртвелдзе Е., В. (2012). Великий Индииский Путь из Истории Важнейшних Торговых Дорог Евразии. Санкт-Петербург: Нестор-История

294. Томпсон, Д. (1953). История древней географии, Москва: Изд-во иностр. лит-ры.

295. Трапш, М. М.(1969). Сухуми в позднеантичное время. Древний Сухуми. Труды, II, Сухуми: Алашара.

296. Трапш, М. (1971). Труды, III. Тбилиси: Мецниереба.

297. Ямпольский, З. И. (1956). К Изучению Древнево Пути из Каспииского Моря по Реке Куре Через Грузию к Черному Морю. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის შრომები*, (ტ. 2). (გვ.161-180).

წყაროები და დოკუმენტური მასალები:

298. არიანე. (1983). *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ბერძენი მწერლების ცნებები საქართველოს შესახებ* (ტ. 5). ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

299. ბატონიშვილი, ვ. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება (ტ. 4). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

300. იოანე ეპიფანიელი. (1936). *გეორგიკა* (ტ. 3). ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

301. იუსტინიანეს ნოველები. (1965). *გეორგიკა* (ტ. 2). ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

302. კეჭაყმაძე, ნ. (1961). ფლავიუს არიანე „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“: თარგმანი, გამოკვლევები, კომენტარები. *უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ* (ტ. 2). თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამბა

303. ლეონტი მროველი. (2012). ცხოვრება ქართველთა მეფეთა. *ქართლის ცხოვრება* (ტ. 1) თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

304. მენანდრე პროტიქტორი. (1936). *გეორგიკა* (ტ. 3). ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

305. პროკოპი კესარიელი. (1965). *გეორგიკა* (ტ. 2). ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

306. ყაუხჩიშვილი, თ. (1976). *საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები.* თბილისი: თბილისის უნივერსტეტის გამომცემლობა.

307. ჯუანშერი. (2012). ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. *ქართლის ცხოვრება* (ტ. 1) თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

308. Strabo. *Geography, Volume VI, Books 13-14.* Translated by Horace Leonard Jones. Loeb Classical Library 223. Cambridge: MA, Harvard University Press, 1929.

309. Strabo, ., In Jones, H. L., Sterrett, J. R. S., Strabo, (1917). The geography of Strabo. London: W. Heinemann.

310. Pliny. Natural History, Volume II, Book 6. Translated by H. Rackham. Loeb Classical Library 352. Cambridge: MA, Harvard University Press, 1942.

311. ICOMOS. (2008). The ICOMOS Charter on Cultural Routes www.icomos.org/images/DOCUMENTS/Charters/culturalroutes_e.pdf

312. Citta' Di Venezia. (2019). The European Silk Route: a work in preposition Narrative document (coe.int)

313. Council of Europe. (1987). Santiago de Compostela Declaration https://rm.coe.int/16806f57d6

314. Council of Europe. (2013). Resolution CM/Res (2013)66 Result details (coe.int)

315. Council of Europe. (2013a). Resolution CM/Res (2013)67 revising the rules for the award of the "Cultural Route of the Council of Europe" certification https://rm.coe.int/16807b7d5b

316. UNESCO. (1972). Convention Concerning the Protection of the World Cultural and Natural Heritage. Paris: UNESCO.

317. UNESCO. (1985). World Heritage Committee Ninth Ordinary Session. UNESCO Headquarters, Paris, 2-6 December 1985. (SC-85/CONF.008/9) Paris: UNESCO.

318. UNESCO. (1992). Report of the World Heritage Committee Sixteenth session, Santa Fe, United States of America, 7-14 December 1992. (WHC-92/CONF.002/12) Paris: UNESCO.

319. UNESCO. (1994). Routes as Part of Our Cultural Heritage Report on the Meeting of Experts Madrid 24-25 November 1994. (94/CONF.003/INF.13) Paris: UNESCO.

320. UNESCO. (1994a). Expert Meeting on the „Global Strategy"and thematic studies for a representative World Heritage List. (WHC-94/CONF.003/INF.6) Paris: UNESCO.

321. UNESCO. (1995). Report of the World Heritage Committee Eithteenth Session, Phuket, Thailand (WHC-94/CONF.003/16). Paris: UNESCO.

322. UNESCO. (2003). Decisions adopted by the 27th Session of the World Heritage Committee. (WHC-03/27.COM/24). Paris: UNESCO.

323. UNESCO. (2005). Operational Guidelines for the Implementation of the World Heritage Convention. (WHC. 05/01) Paris: UNESCO.

324. UNESCO. (2010). Report of the Decisions Adopted By the World Heritage Committee at its 34th Session (Brasilia, 2010) (WHC-10/34.COM/20). Paris: UNESCO.

325. UNESCO. (2014). Nominations to the World Heritage List. World Heritage Committee Thirty-eighth session Doha, Qatar 15 – 25 June 2014. (WHC-14/38.COM/8B) Paris, UNESCO.

326. UNESCO. (2019). Decisions adopted during the 43rd session of the World Heritage Committee (Baku, 2019). (WHC/19/43.COM/18). Paris: UNESCO.

327. UNESCO. (2021). Operational Guidelines for the Implementation of the World Heritage Convention. (WHC. 21/01). Paris: UNESCO.

328. UNESCO. (2021a). The UNESCO Silk Roads Programme https, //en.unesco.org/silkroad/unesco-silk-roads-programme-0

329. Parliamentary Assembly. (1984). European pilgrim routes. Recommendation 987 (1984) PACE - Recommendation 987 (1984) - European pilgrim routes (coe.int)

ელექტრონული რესურსები:

330. Belt and Road Initiative. (2021). The Belt and Road Initiative (BRI) Belt and Road Initiative (beltroad-initiative.com)

331. Council of Europe. (2016). https://www.coe.int/en/web/cultural-routes/georgia

332. Council of Europe. (2018). Italy: First international European Silk Route meeting https://www.coe.int/en/web/cultural-routes/-/italy-first-international-european-silk-route-meeting

333. Council of Europe. (2021). Cultural Routes by theme https://www.coe.int/en/web/cultural-routes/by-theme

334. UNESCO. (2007). Tentative Lists: Georgia https://whc.unesco.org/en/tentativelists/state=ge